უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი და კანონმდებლობა

№1 იანვარი-ივნისი 2022

www.b-k.ge
info@iverioni.com.ge

N1 January-June 2022

ISSN 1987 - 6041

Business & Law

ბიზნესი, კანონმდებლობა

იანვარი-ივნისი 2022

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

ინდექსირებულია საერთაშორისო ძიებო ბაზაში Google scholar

რეფერირებადია 2008 წლიდან

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. შემოსული სტატიების შინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, კოსტავას ქ. 12. სართული 2.

ტელ: 599 56-14-57, 574 43-64-27

www.b-k.ge;

E-mail: info@iverioni.com.ge,

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი";

ბანკის კოდი: BAGAGE22;

ა/ა GE30BG0000000850902700;

ს/კ 404956455.

გამომცემლები:

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო "ივერიონი"

რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაურ ნაჭყებია

მთავარი რედაქტორი:

იური პაპასქუა, ეკ. მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილონა ადამია

ტექნიკური რედაქტორი:

ლევან ბოჭორიშვილი

სამეცნიერო საბჭო:

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
მიხეილ ჯიბუტი (საბჭოს თავმჯდომარე), ნოდარ ჭითანავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, პაატა კოლუაშვილი, ნატო კაკაშვილი, ნანა შონია, დავით ჯალაღონია, თემურ ხომერიკი, კოტე აბულაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე, ლარისა თაკალანძე, გიორგი ღავთაძე, ლია ელიავა, დავით ჭიოტაშვილი, სულიკო ფუტკარაძე, დემნა კვარაცხელია, ანზორ მესხიშვილი, ბორის ჭიჭინაძე, ზურაბ ლიპარტია, კახა კვაშილავა, რამინ ცინარიძე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
ავთანდილ სილაგაძე.
სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ჯემალ გახოკიძე.
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მამუკა თავხელიძე.

როგერტ ვ. მაკგი (აშშ ფაეტეევილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროფესორი)

ვინსენტ რ. ჯონსონი (სანტ-მარის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, სან ანტონიო, ტეხასი, აშშ)

ანტონი ვ. დნესი (ნორტცენტრალის უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის პროფესორი, პრესკოტის ველი, არიზონა, აშშ)

ბერნარდ ზიგლერი (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),

იოჰან ფიშერი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

ალი ალერზევი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

მარი ლანგი (EFAA-ს ტექნიკური დირექტორი).

ანნა კარმანსკა (პროფესორი, EFAA-ს გამგეობის წევრი, ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლის ბუღალტრული აღრიცხვის კათედრის ხელმძღვანელი).

ალექსეი რუფი (რუსეთის ფედერაციის ბუღალტრულ ექსპერტთა და ფინანსურ აუდიტორთა გილდიის გამგეობის თავმჯდომარე, აუდიტორულ საკონსულტაციო ჯგუფის „რუფაუდიტ/ინაუდიტ ალიანსის“ გენერალური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე).

ლილია გრიგოროი (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მოლდოვეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

ფედერიკო დიომედა (დოქტორი, EFAA-ს პრეზიდენტის საგანგებო მრჩეველი).

რობინ იარვერსი, (პროფესორი, ASSA-ის საგანგებო მრჩეველი).

Business & Law

JANUARY-JUNE 2022

INTERNATIONAL SCIENTIFIC-ANALYTICAL JOURNAL

Indexed in the Google schoral international search system

Referenced since 2008

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

ADDRESS OF EDITORIAL BOARD:
Tbilisi, Kostava str. 12.
Tel: 599 56-14-57, 574 43-64-27
URL: www.b-k.ge
E-mail: info@iverioni.com.ge,
gfaafm@gmail.com

BANK DETAILS:
JSC Bank of Georgia
Bank code: BAGAGE22
c/a GE30BG0000000850902700
i/c 404956455

PUBLISHERS:
The Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Georgia;
Information – analytical agency „Iverioni"

CHAIRMAN OF THE BOARD OF EDITORS:
ZAUR NACHKEBIA

EDITOR - IN – CHIEF
IURI PAPASQUA, Doctor of Economics, Professor

EDITOR – IN – CHARGE
ILONA ADAMIA

TECHNICAL DIRECTOR:
LEVAN BOCHORISHVILI

EDITORIAL BOARD:

DOCTORS OF ECONOMICS, PROFESSORS:
Mikheil Jibuti (Chairman of the Board), Nodar Chitanava, Elguja Mekvabishvili, Paata Koguashvili, Nato Kakashvili, Nana Shonia, Davit Djalagonia, Temur Khomeriki, Kote Abuladze, Nikolodz Chikhladze, Larisa Takalandze, Giorgi Gavtadze, Lia Eliava, Davit Chiotashvili, Suliko Futkaradze, Demna Kvaratskhelia, Giorgi Rusiashvili, Anzor Meskhishvili, Boris Chichinadze, Zurab Lipartia, Kakha kvashilava, Ramin Tsinaridze.

Academic of the Georgian Academy of Sciences
AVTANDIL SILAGADZE
Doctor of Law and Politics Sciences
JEMAL GAKHOKIDZE
Doctor of Pedagogical Sciences
MAMUKA TAVKHELIDZE
Fayeteville State University Professor

ROBERT MCGEE (USA)
Professor of Law, St. Mary's University (San Antonio, Texas, USA)

VINCENT R. JOHNSON,
The Graduate School, Northcentral University, (Prescott Valley, Arizona, USA)

ANTONY W. DNES
Berlin University Professor

BERNARD ZIGLER (GERMANY)
Bonn University Professor,

IOHAN FISHER (GERMANY)
Baku State University, Professor

ALI ALERZEVI (AZERBAIJAN)

MARIE LANG, Technical Director of EFAA

ANNA KARMAŃSKA, Professor, EFAA Board Member, Warsaw School of Economics.

ALEXEY RUF, Chairman of the Board of Guild of Accountant Experts and Financial Auditors of Russian Federation.

LILIA GRIGOROI, Ph. D.in Economics, Head of Accounting Department, Academy of Economic Sciences of Moldova.

FEDERICO DIOMEDA, doctor, Special Adviser to the President of EFAA.

ROBIN JARVIS, Professor, Special Adviser, Association of Chartered Certified Accountants.

შინაარსი

ნოდარ ჭითანავა, რუსუდან ფირცხალავა
მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების პროგნოზირების,
სტრატეგიული დაგეგმვის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები ---------- 6

დავით ჯალაღონია, იური პაპასქუა, გიორგი ყიფშიძე
სამშენებლო ბიზნესი: მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები საქართველოში ---------- 17

გურამ აბესაძე, ნოდარ აბესაძე
პოლიტიკური სოციალიზაცია და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება ----- 31

გიორგი სულაშვილი, ანზორ აბრალავა, ნინო ფაილოძე, იაშა მურვანიძე
საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა-კონტროლის მექანიზმების სრულყოფისა და
ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის სისტემის ჰარმონიზაციის
მნიშვნელოვანი ასპექტები ---------- 40

ნათია კურდღელია, ნათელა ვაშაკიძე
უკრაინაში ომის ექო საქართველოს ეკონომიკაზე ---------- 43

თეიმურაზ ფარცხალაძე
ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 2 -
გარიგების ხარისხის მიმოხილვა - სიახლეები, გამოყენების პერსპექტივა ---------- 50

ანი კიკნაძე
გლობალიზაცია და მიგრაციის პრობლემა სამხრეთ კავკასიაში ---------- 54

მიხეილ გაგნიძე
მასლოუს თეორიული შეხედულებების კრიტიკული შეფასებები ---------- 58

ანა ზუბაშვილი
ინტერნეტ-ადიქცია თუ ინტერნეტის პრობლემური მოხმარება? ---------- 62

ანა ოსიყმიშვილი
ხარისხის კონტროლის პრაქტიკა და პრობლემები მცირე და საშუალო აუდიტორულ კომპანიებში -- 73

ლევან თეზიაშვილი
ტრანსნაციონალური კორპორაციების დაბეგვრის გამოცდილება
ამერიკის შეერთებულ შტატებსა და აზიის განვითარებულ ინდუსტრიაში ---------- 79

იური პაპასქუა
მოგება?.. წაგება?.. წიგნი, რომელიც პასუხს გაპოვნინებს ---------- 84

მეცნიერ-ეკონომისთა წრეს კიდევ ერთი დოქტორი შეემატა ---------- 87

ჟურნალში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების წესი ---------- 88

CONTENTS

NODAR CHITANAVA, RUSUDAN PIRTSKHALAVA
Conceptual and methodological aspects of forecasting
and strategic planning of the land resource rational using ---------- 6

DAVID JALAGHONIA, IURI PAPASQUA, GIORGI KIPSHIDZE
Construction Business: Status and development trends in Georgia ---------- 17

GURAM ABESADZE, NODAR ABESADZE
Political socialization and the formation of a modern Georgian national identity ---------- 31

GIORGI SULASHVILI, ANZOR ABRALAVA, NINO PAILODZE, IASHA MURVANIDZE
Important aspects of improving accounting and control mechanisms
in Georgia and harmonizing the management system of transnational corporations ---------- 40

NATIA KURDGELIA, NATELA VASHAKIDZE
Echo of the war in Ukraine on the Georgian economy ---------- 43

TEIMURAZ PARTSKHALADZE
International Quality Management Standard (IAS) 2 -
Transaction Quality Review - News, Application Perspective ---------- 50

ANI KIKNADZE
Globalization and the problem of migration in the South Caucasus ---------- 54

MIKHEIL GAGNIDZE
Critical analysis of Maslow's theory ---------- 58

ANA ZUBASHVILI
Internet addiction or problematic internet use? ---------- 62

ANA OSIKMISHVILI
Quality control practices and problems in small and medium-sized audit firms ---------- 73

LEVAN TEZIASHVILI
Experience in transnational corporate taxation in the developed United States and Asian industry -- 79

IURI PAPASKUA
win?... lose?... a book that will find the answer ---------- 84

Another doctor has been added to the circle of scientists-economists ---------- 87

Rules for publishing scientific articles in a journal ---------- 88

მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების პროგნოზირების, სტრატეგიული დაგეგმვის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები

ნოდარ ჭითანავა
ე.მ.დ., საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
სტუ-ს ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი
რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

რუსუდან ფირცხალავა
სტუ-ს ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი
ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ანოტაცია

მიწის რესურსული პოტენციალის რაციონალურად გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საქართველოსათვის, რიომელიც მცირე მიწიანობით, ბუნებრივ-საწარმოო პირობების მრავალფეროვნებით, სპეციალიზაციის ალტერნატოილი მიმართულებებით და რეგიონული თავისებურებებით ხასიათდება. მიწის რესურსები ქვეყანაში არაეფექტიანად გამოიყენება. პროვატიზაცია უხეში დარღვევებით ჩატარდა, მიწის ფართობები დაქუცმაცდა, დეგრადაციის პროცესი ღრმავდება. მკვეთრად შემცირდა ნათესი ფართობები. დიდ რისკებთან არის დაკავშირებული სასურსათო უსაფრთხოება. ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოსვლა მოითხოვს სტრატეგიული მართვის თანამედროვე მეთოდების კომპლექსურად გამოყენებას.

პირველ რიგში აუცილებელია პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპებზე წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის პრობლემების გადაწყვეტა დავიწყოთ მიწის რესურსების გამოყენების ანალიზით. სახელმწიფოს ეკონომ,იკურ (აგრარულ) პოლიტიკაში ამოსავალი საწყისი უნდა იყოს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: მიწის რესურსული პოტენციალი, წარმოების ძირითადი ფაქტორები, მიწათმოწყობა, პროგნოზირება, გენერალური სქემა, გეოეკონომიკა, მიწის ბალანსი, ეკონომიკური პროტექციონიზმი.

CONCEPTUAL AND METHODOLOGICAL ASPECTS OF FORECASTING AND STRATEGIC PLANNING OF THE LAND RESOURCE RATIONAL USING

Nodar Chitanava
EMD, Academician of the Georgian Academy of Agricultural Sciences,
GTU i. Jordania Georgian Industrial Forces and Natural Chief Researcher
of the Resource Research Center
Rusudan Pirtskhalava
GTU i. Jordania Senior Research Fellow, Industrial Forces and Natural Resources Research Center,
Academic Doctor of Economics

SUMMARY

Rational using of land resource potential is one of the most important tasks for Georgia which is characterized by land scarcity, variety of natural-productive conditions, alternative directions of specialization and regional specific features. Land resources are inefficiently used in the country. Privatization was carried out with serious violations, land areas have been fragmented, degradation process deepened, areas under crops drastically reduced. Food security is under high risk. Overcoming the systemic crisis requires integrated use of modern methods of strategic management.

First of all, it is necessary to start solving problems of forecasting and strategic planning of production and labor organization based on the land resources analysis. Rational use of land and other natural resources must be an initial point for the state economic (agricultural) policy.

Keywords: land resource potential, main factors of production, land management, forecasting, general scheme, geoeconomics, land balance, economic protectionism.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის მართვის ერთ-ერთ ფუნქციად პროგნოზირებას და სტრატეგიულ დაგეგმვას თვლიან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებაში.

FAO-ს მიერ 1981 წელს მსოფლიოს ნიადაგის „ქარტიის მიღების" და 1992 წელს გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ კონფერენციის ჩატარების შემდეგ, მიწის რესურსების გამოყენების დაგეგმვა აღიარებულია მიწის რესურსების მდგრადი გამოყენებისა და მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. მიწის რესურსების გამოყენებისა და დაგეგმვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძვლად მიიჩნევა მიწის საფარის სისტემური ანალიზი და შეფასება, რაც განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად გამოსადეგია მიწა მისი სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებისათვის, ასეთი მიდგომა ამაღლებს მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობას და მიწის რესურსების მართვის დონეს[1].

ცნობილია, რომ პროგნოზირების და დაგეგმვის წარმოშობა დაკავშირებულია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან, განვითარებაში გარკვეული პროპორციების დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობასთან. პრაქტიკა გვიჩვენებს (განსაკუთრებით ეს გამოჩნდა საქართველოში გარდამავალ ეტაპზე ეკონომიკის ტრანსფორმაციის 30 წლიანი გამოცდილებით), რომ რაც უფრო ღრმავდება შრომის დანაწილების პროცესი, მით უფრო მრავალფეროვანი ხდება პროგნოზირება და დაგეგმვა (ეკონომიკის მართვის სხვა ფუნქციებთან - ორგანიზაცია, მოტივაცია, კოორდინაცია, კონტროლი და ა.შ. ურთიერთკავშირში).

მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება და დაგეგმვა (გეგმა) კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ და სხვა სახის პროგნოზებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება განიხილება, როგორც მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებები (გათვლები) რესურსების გამოყენების შესაძლო მდგომარეობის შესახებ, დაგეგმვა კი - რესურსების გამოყენების პერსპექტივად. **ამიტომაა, რომ პროგნოზირებისა და დაგეგმვის მიზნებად აღიარებულია: მიწის რაციონალურად გამოყენება და დაცვა; სამეცნიერო წანამძღვრების შექმნა; მმართველობითი გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგების შეფასება; არსებული რესურსების შეფასება და მათი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განსაზღვრა[2].**

აღსანიშნავია, რომ მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირების პრინციპებს საფუძვლად უდევს ის თეორიული მიდგომები (მახასიათებლები), რომლებიც არის ძირითადი, ზოგადად პროგნოზირებისა და გეგმისათვის. **ესენია: მეცნიერული დასაბუთების, სისტემურობის და კომპლექსურობის, ერთიანობის, უწყვეტობის, გარანტიების, თანმიმდევრულობის, პრიორიტეტულობის, ინფორმატიულობის, ეფექტიანობის პრინციპები.**

აღნიშნული პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს მიწის რესურსების ისეთი ფუნდამენტური თვისებების გათვალისწინებას, **როგორიცაა მიწა - ეკოლოგიური სისტემის ნაწილი (უნივერსალური ბუნებრივი რესურსი) - წარმოების ძირითადი ფაქტორი (სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, სამთო მრეწველობა) - უძრავი ქონება (რაც ახალია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის).** მიწის რესურსების გამოყენების კომპლექსურობა გულისხმობს განვითარების პროცესის ყველა კომპონენტის როლის (ადგილის) და ურთიერთკავშირების ახსნას. ამასთან ზემოთ აღნიშნული პრინციპები გამოიყენება არა ცალ-ცალკე, არამედ ერთმანეთთან უშუალო კავშირში. ასეთი მიდგომა იძლევა საფუძველს ობიექტურად განისაზღვროს განვითარება, როგორც ერთიანი პროცესი. ჩვენს შემთხვევაში ეს ნიშნავს მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ხელშემწყობი გარემოს შექმნას. ამიტომ პროგნოზირებისა და დაგეგმვის ფუნქციის წარმატებულად განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორად მოხერხდება არსებული რესურსების გამოყენების ანალიზი.

სამწუხაროდ, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში მიწის რესურსების გამოყენებაში პროგნოზირება და დაგეგმვა, როგორც მართვის ფუნქცია, ფაქტობრივად, არ გამოიყენება. ამიტომაა, რომ ქვეყანაში მიწის რესურსების აღრიცხვა და რეგისტრაცია ჯერ კიდევ მოუგვარებელია; ბალანსის წარმოება შეწყდა; მიწის ფონდის (ბალანსი) ანალიზი, შეფასება 2005 წლის შემდეგ არ ხდება. დაზუსტებული არ არის თუ რა ცვლილებები განიცადა მიწის ფონდის სტრუქტურამ. განსაკუთრებით ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებს. შესაბამისი დასკვნები არ გაკეთებულა 2004 და 2014 წლების სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგებიდან. პროგნოზირებისა და დაგეგმვისადმი ასეთი დამოკიდებულება ხელს უშლის მიწის რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციულ-მმართველობით და ტექნიკურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მიწის დაცვის ღონისძიებები არ ხორციელდება, ნიადაგის დეგრადაციის მონაცემები განახლებულიც არ არის. მკვეთრად შემცირდა სარწყავი ფართობები, მეორადი დაჭაობების პროცესიც ღრმავდება. პროგნოზირების (მით უფრო დაგეგმვის) გარეშე განხორციელდა უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების პროცესი. დღესაც არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რა ფართობს ფლობენ უცხოეთის მოქალაქეები საქართველოში.

ეკონომიკური რეფორმების პერიოდში გამოვლინდა ტენდენცია, რომელიც ხელს უწყობს მიწის არარაციონალურად და არამიზნობრივად გამოყენების გარემოს შექმნას. ესაა სასოფლო-სამეურნეო მიწების გადანა-

1 **Планирование использования земельных ресурсов для устойчивого управления землепользованием. ФАО., рим., 2018 г., стр. 3**

2 **С.М.Комаров, А.А.Расказова. Прогнозирование и планирование использования земельных ресурсов и объектов недвижимости. Учебник, м., «Юраат», 2018, стр. 15-16**

წილების პრობლემა, რომელიც მიწის ბაზრის მახინჯი ფორმით ჩამოყალიბების შედეგად წარმოიქმნა. იმის გამო, რომ საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილი იყო (არის), მიწის მფლობელი უფრო მეტად გახდა (ხდება) ის, ვისაც შესაბამისი ფულადი კაპიტალი გააჩნდა. უკანასკნელ წლებში (1989-2020 წლები) რიგი მიზეზების გამო, სოფლის მოსახლეობა შემცირდა 887,1 ათასი კაცით. ასეთ პირობებში, მათ საკუთრებაში არსებული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა (გადადის) ადგილობრივი ოლიგარქიული სტრუქტურების, ან უცხოელი მოქალაქეების საკუთრებაში. პროცესს რიგ რეგიონებში ხელი შეუწყო მრავალნაკვეთიანობამ, ნაკვეთების ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებამ (მაგალითად, 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, გურიაში მეურნეობათა 19,5%, იმერეთში - 16,6%, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - 26,8%, შიდა ქართლში - 24,2%-ის მიწის ფართობი შედგებოდა 4 ან 5 ნაკვეთისგან, ხოლო სამცხე-ჯავახეთში მეურნეობათა 21%-ის მიწის ფართობი - 6-9 ნაკვეთამდე). ეს პრობლემა სოციალისტურ სისტემაშიც არსებობდა, მაგრამ გარკვეულ წილად კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ხელშეწყობით წყდებოდა. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა საკუთრების ფორმების პლურალიზმის პირობებში, როცა მიწის მესაკუთრე, რომელსაც მიწის ნაკვეთი აქვს შორ მანძილზე (5 კმ და ზემოთ) ვერ ახერხებს მის დამუშავებას. ასეთი სიტუაცია ხშირად ხდება სპეკულაციური გარიგებების მიზეზიც, რომ მიწის კონსოლიდაციის პრობლემამ მწვავე ხასიათი შეიძინა. ქვეყანაში ნელი ტემპით მიმდინარეობს მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია, რომელიც უახლოეს 2-3 წელიწადში უნდა დამთავრდეს. ამასთან, მიწის ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელია. მაგალითად, 1990-2020 წლებში ქვეყანაში ნათესი ფართობები შემცირდა 701,9 ათასი ჰექტრიდან 210 ათას ჰექტრამდე, მრავალწლიანი ნარგავების ფართობი 326,3 ათასი ჰექტრიდან 127 ათას ჰეტრამდე[1]. ზემოთ აღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვისას პროგნოზირებისა და დაგეგმვის პროცესში ასეთ „გამოვლინებებს“ სიღრმისეული ანალიზი სჭირდება. **მსგავს შემთხვევაში განმსაზღვრელი უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის რაციონალურად გამოყენების პრიორიტეტი, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნას, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს დღევანდელი სოფლის მეურნის დაქირავებულ მუშებად ჩამოყალიბების რისკებს.**

მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის, დაგეგმვისა და ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით აუცილებელია:

- ქვეყნის ტერიტორიის განვითარებისა და მიწის რაციონალურად გამოყენების გრძელვადიანი პერსპექტივის განსაზღვრა (რა თქმა უნდა, მიწაზე ყველა დარგის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, მიწის კატეგორიების შესაბამისად).

- მიწის იმ ფართობების გამოვლენა, რომლებიც პერსპექტივაში შეიძლება გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (ათვისება, არსებულის გაუმჯობესება, მელიორაცია (მორწყვა, დაშრობა და სხვ.). ამ მიზნით მიწის კონსოლიდაციის პროცესის მიზნობრივად (რეგიონების თავისებურებების გათვალისწინებით) რეგულირება.

- **მიზანშეწონილია ქვეყანაში შემუშავდეს მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის გენერალური სქემა.** მასში უნდა აისახოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნები, მათი განხორციელების მიდგომები, ტერიტორიის რაციონალურად ათვისების თანამედროვე მეთოდები, კონკრეტული მუნიციპალიტეტების როლი მიწის რაციონალურად გამოყენების საერთო სახელმწიფოებრივ სტრატეგიაში და ა.შ. **გენერალური სქემა უზრუნველყოფს რესურსების კონცენტრირებულად, მიზნობრივად** და **ეტაპობრივად** გამოყენებას. ასეთი სქემით დასახული მიზნების (ამოცანების) განხორციელება უნდა მოხდეს **მიზნობრივი პროგრამებით** (გენერალური სქემის ჩარჩო პირობებით ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესაბამისად). აქვე ავღნიშნავთ, რომ გენერალური სქემის გამოყენების გამოცდილება საქართველოში გვაქვს. მაგალითად, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში შემუშავდა საქართველოს სსრ **ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გენერალური სქემა 1981-1990 წლებში და 2000 წლამდე პერიოდისათვის,** რომლის განხორციელება 1990 წლიდან პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების შეცვლის შემდეგ შეწყდა. თუმცა აღნიშნულ დოკუმენტს აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს (მისი მეთოდოლოგიური ბაზის გამოყენება შესაძლებელია ახალი გამოწვევების შესაბამისად).

მიწის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, ზემოთ მითითებული სქემის შემუშავება-განხორციელება ხელს შეუწყობს:

- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების ახალი გამოწვევების შესაბამისად განსაზღვრას. მიწის რესურსების სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის გაუმჯობესებას, მათი საზღვრების, ასევე სახელმწიფოებს შორის (განსაკუთრებით ეს ეხება საზღვრისპირა ტერიტორიებს) საზღვრების მოწესრიგებას, მიწის მარაგის შექმნას (სახელმწიფო, მუნიციპალური, დარგთაშორისი საჭიროებებისათვის), ახალი მიწების ათვისებას, ბუნებადაცვითი ღონისძიებების განხორციელებას.

გენერალური სქემაში პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მიწის, როგორც წარმოების საშუალების (ფაქტორის) გამოყენებას (იგულისხმება ნიადაგობრივი რესურსის მაქსიმალურად გამოყენება). ასევე აუცილებელია არა მხოლოდ ამჟამად არსებული ნაყოფიერი, არამედ ნაყოფიერების პოტენციალის მქონე ფართობების დადგენა და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენება.

- სქემა თავისი დანიშნულებით, როგორც წესი, გრძელვადიანი პროგრამების განხორციელების მოთხოვნებს (პრინციპებს) უნდა პასუხობდეს.

- მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების

1 სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტად უნდა ვაღიაროთ **სახელმწიფო მიწის ფონდი.** დაგეგმვისას პირველ ეტაპზე უნდა შეფასდეს მიწის რესურსების გამოყენების მიღწეული დონე, რომლის შესაბამისად გაკეთდება მაჩვენებელთა პროგნოზული გაანგარიშებები. სქემა უნდა დაამუშავოს სახელმწიფომ, მისი შესაბამისი სტრუქტურის მეშვეობით. ჩვენს შემთხვევაში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (სააგენტომ), სხვა სტრუქტურებთან კოორდინაციით (შესაბამისი მატერიალური და ორგანიზაციული ბაზის შექმნით).

- გენერალური სქემის საფუძველზე დაკონკრეტდება მუნიციპალური სქემებიც. დღევანდელი მუნიციპალიტეტები ჩამოყალიბდნენ ადრე არსებული სოფლის ადმინისტრაციული რაიონების ბაზაზე და წარმოადგენენ მთავარ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს. მათი როლი და ადგილი განისაზღვრება კონცეფციაში.

- დაგეგმვისას უნდა დავიცვათ კომპლექსურობა. ამასთან, უნდა განისაზღვროს მიწის რესურსების პროგნოზირებისა და დაგეგმვის ორსაფეხურებიანი - ქვეყნისა და მუნიციპალიტეტების იერარქიული დონე. ჩვენი აზრით, მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პროგნოზირებისა და დაგეგმვის სამსახური უნდა ფუნქციონირებდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციულ სისტემაში.

- გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ქვეყანაში მიწის (სტრატეგიული რესურსის) კომპლექსურ გამოყენებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. ამასთან, ფაქტობრივად, უყურადღებოდ დარჩა მიწის ეფექტიანობის ამაღლებაზე წარმოების სხვა ფაქტორების ზემოქმედების მნიშვნელობა. სათანადოდ შესწავლილი არ არის, თუ როგორია მათი ურთიერთმოქმედების პრინციპები, ხასიათი, რესურსული პოტენციალი და როგორ მონაწილეობენ ისინი მიწის ეფექტიანად გამოყენებაში არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ პრაგმატული მნიშვნელობითაც. შემდგომში მიწის ეფექტიანობის ამაღლებაში წარმოების განვითარების სხვა ფაქტორების - შრომის, კაპიტალის, მეწარმეობრივი უნარის და სხვ. როლი სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს.

- მიწის რესურსების გამოყენების დაგეგმვაში გასათვალისწინებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, კომპლექსურად შესასწავლია ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს მწვავე სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების (განსაკუთრებით ნათესი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების) შემცირება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოშლა, კადრების დისკვალიფიკაცია, ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის უცხოეთზე დამოკიდებულება. უნდა განხორციელდეს იმპორტჩანაცვლებისა და საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოების პროგრამა. რომელიც შემუშავდება მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ზემოთ აღნიშნული გენერალური სქემის საფუძველზე.

- განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის მიწის მარაგის განსაზღვრის საკითხი. მიწის (ნიადაგის) საფარი უნდა განიხილებოდეს ბიოფიზიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. მიწის რესურსების მრავალფუნქციური დანიშნულება თავად აყენებს მათი გამოყენების მრავალვარიანტულობას, რაც იძლევა საშუალებას გაკეთდეს სწორი არჩევანი. დღემდე მიწათსარგებლობაში ცვლილებების შეტანა ხდებოდა (ხდება) პოლიტიკური მოსაზრებებით (ცალკეულ შემთხვევებში ეკონომიკური ინტერესებით) და არა ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით. პრაქტიკამ გვიჩვენა, თუ როგორი ნეგატიური შედეგები ახლავს ასეთ მიდგომას. პირველ რიგში უნდა დადგინდეს მიწის ის ფართობები, რომლებიც შემდგომში გამოდგება სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის (როგორია მათი ათვისების დონე, რამდენად სწორად მიეკუთვნება ამა თუ იმ კატეგო-

რიას). ანალიზისას უნდა გამოვიყენოთ მიწის ფართობების მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაცია, ამასთან, არგუმენტირებულულად განისაზღვროს მისი მიზნობრივი გამოყენების აუცილებლობა. ის, რომ პრიორიტეტი ენიჭება მიწის სასოფლო-სამეურნეო ათვისებას არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ფართობების გამოყენება არ განისაზღვროს მიზნობრივად. მაგალითად, რეკრეაციული რესურსების, მრეწველობის და სხვა. ასეთი მონაცემები გვაძლევს საფუძველს მყარ მეთოდოლოგიურ ბაზაზე ჩამოყალიბდეს მიწის სახელმწიფო რეზერვი (მარაგი). ეს ობიექტური აუცილებლობაა, თუნდაც რთული ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით (დათბობა, სტიქიური მოვლენები, უცხოეთში წასული მოსახლეობის ინტერესები და ა.შ.).

მიწის რესურსების გამოყენებაში არსებული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმოების ტრადიციული ფაქტორების (მიწა, შრომა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) პოზიტიური გავლენა მიწის ეფექტიანობაზე მინიმალურია. ეს დიდი პრობლემაა და კომპლექსურად განხილვას საჭიროებს. ამასთან, აუცილებელია თითოეული ფაქტორის როლი და გამოყენების თავისებურებაც გამოვლინდეს.

ცნობილია, რომ მიწა არის ბუნებრივი დოვლათი, რომლის რაციონალურად გამოყენებაზეა დამოკიდებული მთლიანად წარმოების პროცესის განვითარება. ამასთან მიწის (ნიადაგის) როგორც წარმოების ფაქტორზეა დამოკიდებული არა მხოლოდ სურსათის გაფართოებული კვლავ წარმოება, არამედ სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგების (სტრუქტურების) განვითარებაც. მაგალითად, კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა, ტრანსპორტი, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება. ზოგადად მიწის (ნიადაგის, წიაღისეულის, რეკრეაციული და სხვა რესურსების) რაციონალური გამოყენება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლების წინაპირობაცაა. მიუხედავად ამისა, მიწას, როგორც უნიკალურ სტრატეგიულ რესურსს, საჭირო ყურადღებას არ ვაქცევთ და ცუდად ვიყენებთ.

როგორია შრომის, როგორც წარმოების ფაქტორის გამოყენების დონე? 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსახლეობის 40% სოფლად ცხოვრობდა. თუ 1990 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 25%, 2000 წელს - 52,1%, 2012 წელს - 52,5%, 2020 წელს - 40%.

1994-2018 წლებში სოფლის მოსახლეობა შემცირდა 722,3 ათასი კაცით. თუ 1988 წელს ყოველ 1000 კაცზე ბუნებრივი მატება შეადგენდა 8,1 კაცს, 2002 წელს ბუნებრივი მატება საერთოდ არ იყო, 2020 წელს გარდაცვალების მაჩვენებლები აღემატებოდა დაბადებულთა მაჩვენებლებს 4017 კაცით. ექსპერტული გათვლებით, დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციები ობიექტური არ არის. შეუსწავლელია დასაქმების ტერიტორიული პრობლემები, მოუგვარებელია კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხი. დასაქმებულის სტატუსიც განსაზღვრული არ არის. სოფლად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე უკიდურესად დაბალია. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული 40% ჰქმნის მშპ მხოლოდ 8,4%-ს. ეს ნიშნავს იმას, რომ უკიდურესად დაბალია მწარმოებლურობის დონე.

მიწის რესურსების მართვაში მნიშვნელოვანია კადრების მომზადების ორგანიზაციის სრულყოფა. სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების მწყობრი სისტემა მოიშალა, კადრების მომზადება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, უმაღლეს სკოლასა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში ფაქტობრივად შეწყდა, აღნიშნული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პრივატიზებულ იქნა. პედაგოგთა კადრები გაიფანტა, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ნომინალურ ფასად კერძო პირს გადაეცა. ამჟამად საქართველოში არ მზადდება თუნდაც მიწათმომწყობი მაშინ, როცა ადრე აგრარული უნივერსიტეტი (შესაბამისი კათედრა ჰქონდა, კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები ჰყავდა) მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს ამზადებდა.

ეროვნული ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, რომელიც ხასიათდება ურბანული ამოცანების გაძლიერებით, სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსები მკვეთრად მცირდება (მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად ქ. თბილისში ან საზღვარგარეთ საშოვარზეა წასული). არასწორი აღრიცხვის გამო, სოფლად უმუშევართა ხვედრითი წილი ობიექტურად არ არის შეფასებული. სოფლის მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტების დიდი დეფიციტია. სპეციალისტთა ძველი თაობის ახალი, თანამედროვე ინოვაციური განვითარებისათვის საჭირო კადრებით შევსება არ ხდება. ეს პრობლემა მომავალშიც დიდ სირთულეებს შექმნის. დღესაც ქვეყანაში არა გვაქვს ეკონომიკის (სოფლის მეურნეობის) კადრებით უზრუნველყოფის სტრატეგია. აგრარული წარმოება მოთხოვნასაც არ აყენებს კვალიფიციურ კადრებზე, თუმცა იზრდება მოთხოვნა ფიზიკურ შრომაზე (პრიმიტიული ინვენტარით) და ისიც ფიზიკური პირების მხრივ. მატერიალური და სოციალური სფეროს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის პროცესი, ფორმირებადი საბაზრო მექანიზმებით, რეგულირებულიც არ არის და როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი გახდა.

როგორ გამოიყენება კაპიტალი - წარმოების ფაქტორი? გასული საუკუნის 90-იან წლებში გაჩანაგდა საქართველოს სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის და მათთან დაკავშირებული დარგების მარეტიალურ-ტექნიკური ბაზა. 1990 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა ჩაის 184 ფაბრიკა, 104 ღვინის ქარხანა, ეთერზეთების 28 მეურნეობა-ქარხანა, ლუდის - 17, ხორცისა და ხორცპროდუქტების - 29, რძის - 40, უალკოჰოლო სასმელების - 17, საკონდიტრო ნაწარმის - 4 ქარხანა. პურის ქარხნები აწარმოებდნენ 800 ათას ტონა პროდუქციას, კომბინირებული საკვების საწარმოები უშვებდნენ 1 მლნ ტონა პროდუქციას. ამ დროს

ფქვილის წარმოება 1 მლნ ტონას შეადგენდა[1].

1990-იანი წლებიდან კვების მრეწველობის საწარმოების უმრავლესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა. მათი საწარმოო ფონდის ძირითადი ნაწილი საზღვარგარეთ ჯართის სახით გაიყიდა, შენობები დაიშალა, კვალიფიციური კადრები გაიფანტა.

დიდი ზიანი მიადგა უშუალოდ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. 1988 წელს სოფლის მეურნეობაში 27202 ტრაქტორი, 2850 ავტომობილი და 1700 კომბაინი იყო. 1990-1998 წლებში ტრაქტორების რაოდენობა 2,4-ჯერ შემცირდა, სატვირთო მანქანებისა - 2,5-ჯერ, კომბაინებისა - 1,6-ჯერ[2]. წარმოების მექანიზაციის დონე უკიდურესად დაბალია. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა სარწყავი ფართობების პოტენციალი. თუ წინა საუკუნის 80-იან წლებში სარწყავი ფართობი შეადგენდა 435,4 ათას ჰექტარს, დაშრობილი მიწის - 121,4 ათას ჰექტარს, 90-იან წლებში მათი დიდი ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1992-2003 წლებში საქართველოში მოირწყა მიწების 11%, 2003-2009 წლებში - 6-7%, 2012 წელს - 24 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი[3], 2018 წელს - 63 ათასი ჰექტარი[4].

თანამედროვე პირობებში ცოდნას ფართო გაგებით (უფრო მისაღებად მოგვაჩნია პირობითად მას ინტეგრირებული ცოდნა ვუწოდოთ) წარმოების (საერთო განვითარების) გადამწყვეტი ფაქტორის როლი აქვს. ეს აიხსნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების მაღალი ტემპებით და წარმოების ძირითადი ფაქტორების ინტელექტუალიზაციის დონის მკვეთრი ამაღლებით. ინტეგრირებული ცოდნა (სხვადასხვა ცოდნათა არა არითმეტიკული ჯამი, არამედ წარმოების სხვადასხვა ფაქტორების ერთობლივად გამოყენების გაცნობიერება) ქმნის რეალურ წანამძღვრებს წარმოების ფაქტორების ერთობლივად და რაციონალურად გამოყენების პროცესის ქვეყნის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად განსაზღვრისა და კოორდინაციისათვის. ამიტომაა, რომ მეცნიერება (ინტეგრირებული ცოდნა) განიხილება როგორც სისტემა, ახალი ცოდნის შექმნის პროცესი, საზოგადოებრივი საქმიანობის სფერო, რომელიც ცოდნის წარმოების (გაფართოებული კვლავწარმოების) ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი არარაციონალურად გამოიყენება. მიზეზი ისაა, რომ დღემდე ვერ მოხერხდა დროის გამოწვევებთან ადეკვატური განათლებისა და მეცნიერების სისტემის შექმნა. ცოდნის კვლავწარმოების (სრულყოფის) პროცესი მიზნობრივად და თანმიმდევრულად არ ვითარდება. ადეკვატური ღონისძიებანი არ განხორციელებულა განათლებისა და მეცნიერების მართვის სისტემაში. ამიტომ ქვეყანაში მეცნიერება (მის სამივე ფორმაში - აკადემიური, საუწყებო და უმაღლესი სკოლა) ორგანიზაციულად დასუსტდა, სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის პროცესებიდან ფაქტობრივად ამოვარდა.

მეწარმეობრივი უნარი - წარმოების ფაქტორი გულისხმობს გერგილიანობას, ინიციატივებს, წარმოების ისეთ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების სხვა ფაქტორების შეთანწყობილ (კომბინაციურ) გამოყენებას. მეწარმემ, რომელიც ორიენტირებულია მაქსიმალური მოგების მიღებაზე, უნდა შეძლოს წარმოების ფაქტორების ისეთი კომბინაცია გამოიყენოს, რომელიც უზრუნველყოფს დასახული მიზნის რეალიზაციას. ასეთი მიდგომა სრულად მიესადაგება ი.შუმპეტერის შეხედულებას „ვაწარმოოთ, ნიშნავს ჩვენს ხელთ არსებული ნივთებისა და ძალების კომბინაციას“[5].

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, იგი უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე ცოდნას. წარმოების პროცესი ითხოვს მომჭირნეობას (რესურსების შეზღუდვის გამო), ინოვაციური აზრის განვითარების ხელშემწყობი გარემოს (დემოკრატიის) პირობების ჩამოყალიბებას.

ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე განაპირობა, ერთი მხრივ, კვალიფიციური კადრების დეფიციტმა, მეორე მხრივ, სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის რეალობისაგან ფაქტობრივად მოწყვეტამ. დღემდე ქვეყანას არა აქვს თუნდაც ეკონომიკისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების ერთიანი და მწყობრი სისტემა.

1990 წელს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ფუნქციონირებდა 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 6 სამეცნიერო ცენტრი, 3 საცდელი სადგური. დასაქმებული იყო 1007 მეცნიერ-თანამშრომელი, მათ შორის 33 (3,7%) მეცნიერებათა დოქტორი, 516 მეცნიერებათა კანდიდატი (51,2%), 100-მდე ასპირანტი[6].

აკადემიის სისტემის სამეცნიერო დაწესებულებების შენობებისა და ნაგებობების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 18 მლნ ლარს, მიწის ფართობი - 13168,4 ჰექტარს.

2010 წელს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები სათანადო ანალიზისა და პროგნოზირების (არგუმენტაციის) გარეშე გადაეცა პროფილურ უმაღლეს სასწავლებლებს.

ასეთმა „რეორგანიზაციამ“ გამოიწვია თესლის, სანერგე მასალის წარმოების, სანაშენო საქმის ორგანიზაციის, ვეტსამსახურის, მცენარეთა დაცვის, საკარანტინო სამსახურის და სხვ. მოშლა. შეწყდა ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა განხორციელება. საკვლევი ინსტიტუტები გაუქმდა, ნაწილი კი გარდაიქმნა „ცენტრებად“ და ითვლება სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ორგანიზაციულ სისტემაში.

1 საქართველო ჩვენი ფასეულობანი, სოფლის მეურნეობა., თბ., 2013 წ., გვ.186
2 საქართველოს სოფლის მეურნეობა, 1998 წ., სტატისტიკური კრებული. თბ., 1999 წ., გვ. 26
3 www.data.worldbank.org
4 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები
5 ი.შუმპეტერი. ეკონომიკური განვითარების თეორია (რუს.)., “პროგრესი“, 1982 წ., გვ. 72
6 საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. წლიური ანგარიში. 2017 წ., გვ. 165

„გარდაქმნილი“ სამეცნიერო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მიწის ფართობები, შენობები, ტექნოლოგიური მოწყობილობები) გასხვისდა. აუცილებელი პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ფაქტობრივად შეწყდა.

გარდამავალ ეტაპზე, ნაცვლად იმისა, რომ მომხდარიყო არსებული ჯანსაღი სამეცნიერო პოტენციალის მიზნობრივად გამოყენება, სახელისუფლებო ორგანოების გადაწყვეტილებით („ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში) მისი სწრაფად დაშლის ღონისძიებანი განხორციელდა. განსაკუთრებით ეს შეეხო აგრარულ სფეროს, სადაც ნიადაგის ერთმანეთისაგან განსხვავებული ტიპები და ერთდროულად ბუნებრივ-ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური კანონებით მოქმედების პროცესი განსაზღვრავს სპეციალიზაციის მრავალფეროვნებას და მოითხოვს წარმოების სხვა ფაქტორების ოპტიმალურ გამოყენებას. წარმოების ეს თავისებურება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს საბაზრო პროცესის დამკვიდრებაში, ქმნის დივერსიფიკაციის ეკონომიკურ წანამძღვრებს, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების რაციონალურად შეთანწყობისას ასტიმულირებს მიწის ეფექტიანობის ამაღლებას. ამასთან, ქმნის გარკვეულ სიძნელეებს წარმოების სხვა ფაქტორების ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით. ეს მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მატერიალურ დაბანდებათა ბრუნვის ციკლი ნელა მიმდინარეობს და დაკავშირებულია რისკებთან (ბუნებრივი კატაკლიზმები, ეკონომიკური კრიზისები და სხვ.). **ამიტომ ბიზნესის განვითარების (მისი მიზნის - მოგების მაქსიმიზაცია) ლოგიკით, სასოფლო-სამეურნეო წარმოება მიმზიდველი არ არის. ეს თავისებურება დადასტურდა საქართველოშიც.**

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ინტეგრირებული ცოდნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადასტურებს ისიც, რომ პროდუქტიული პირუტყვი, მრავალწლიანი ნარგავები განეკუთვნება საწარმოო ძირითად ფონდებს (წარმოადგენენ წარმოების ბიოლოგიურ საშუალებებს), ხოლო თავად წარმოების პროცესი თანდათანობით გადადის მანქანური წარმოების სტადიაზე. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია საწარმოო ფონდების (კაპიტალის) რაციონალური გამოყენება. მაგალითად, ტრაქტორი ხვნის დამთავრების შემდეგ, თუ იგი მრავალფუნქციური არ არის, არ გამოიყენება მომავალ სეზონამდე. მისი მრავალფუნქციურობის უზრუნველყოფა სხვა დარგზეა (მრეწველობა) დამოკიდებული.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ მიწათმოქმედებაში წარმოების სხვა ფაქტორების გამოყენების ინტერესები წინააღმდეგობრივია (სეზონურობა, ნიადაგის ტიპები, ჯიშები, ბუნებრივი და საწარმოო პირობები და სხვ.). ასეთი და სხვა წინააღმდეგობების ბარიერების გადალახვისათვის აუცილებელია წარმოების მაღალი ორგანიზაცია, რაც სხვადასხვა პირობებზეა დამოკიდებული, როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე. ამის გაცნობიერებისათვის საჭიროა ინტეგრირებული ცოდნა.

კრიზისულ (ექსტრემალურ) პირობებში უნდა გამოვიდეთ ობიექტური რეალობიდან და სოციალურ-ეკონომიკურ-ეკლოგიური ეფექტიანობის ერთიანობის პრინციპების შესაბამისად უნდა განისაზღვროს (დაიგეგმოს) ეკონომიკის დაბალანსებული განვითარება. სწორედ ამაში მდგომარეობს ინტეგრირებული ცოდნის, როგორც განვითარების ერთ-ერთი ფაქტორის როლი და დანიშნულება.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება - ეკონომიკის განვითარების ფაქტორი. რეფორმების პერიოდში დადასტურდა, რომ ბიზნესი სოფლის მეურნეობას, როგორც ხარჯვით დარგს გვერდს უვლის, თავს არიდებს. ამას ის ახსნა (გამართლება) აქვს, რომ მოგების მაქსიმიზაციაზე ორიენტაცია არის საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ორგანიზაციული საფუძველი. ეს ის თავისებურებაა, რომლის გათვალისწინებით მსოფლიო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა კანონზომიერი

გამოცდილება - განვითარებული ქვეყნები სოფლის მეურნეობას ინახავენ, როგორც შეიარაღებულ ძალებსა და სახელმწიფო აპარატს.

ამერიკელი მეცნიერის მ. ენსმინგერის აზრით, „...სასურსათო პროდუქტი პასუხისმგებლობაცაა და იარაღიც. პირველი იმოტომ, რომ ერთ-ერთი მთავარი უფლება ადამიანისა არის უფლება საკვებზე და მის საკმარისად მოხმარებაზე. მეორე მხრივ - ესაა იარაღი, რომელსაც ტყვიასა და ნავთობზე მეტი ძალა აქვს". ამიტომაა, რომ დღეს მსოფლიოში სასურსათო პოლიტიკა განიხილება, როგორც სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს წარმოების, საგარეო ვაჭრობის, შენახვა-გადამუშავების, სამართლიანი გადანაწილების (იგულისხმება პროდუქტების), სოფლის სოციალურ განვითარებას.

ამჟამად სამეცნიერო ლიტერატურაში ორი ტერმინი განიხილება: **„სასურსათო უსაფრთხოება" და „სასურსათო უზრუნველყოფა".**

ექსპერტთა აზრით, უფრო სწორია მეორე განმარტება. მით უფრო, თუ პრობლემას განვიხილავთ სახელმწიფოს მზარდი როლის კონტექსტში. პირველი განმარტებით მთავარი ყურადღება გადატანილია საფრთხეზე, მეორეთი - მოვალეობაზე.

ამჟამად საყოველთაოდ მიღებულია, რომ სასურსათო უზრუნველყოფა ნიშნავს მოსახლეობის უზრუნველყოფას „ფიზიკურად ხელმისაწვდომ, უვნებელ და რაოდენობრივად საკმარის კვების პროდუქტზე".

ამ საყოველთაოდ მიღებულ მოთხოვნებთან წინააღმდეგობაშია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2003 წლის 8 მაისის (№-8) ბრძანება, რომლის მიხედვით მკვეთრად შემცირდა სურსათის მოხმარების ნორმები საერთოდ მიღებულ ნორმებთან შედარებით. სურსათის კალორიულობა განისაზღვრა 2300 კ/კალორიით, ანუ საერთო მიღებულთან შედარებით 150 კ/კალორიით ნაკლები. ხორცის მოხმარების ნორმად განისაზღვრა დღე-ღამეში 80 გრ (200 გრ-ის ნაცვლად), რძის - 215 გრ (4,5-ჯერ ნაკლები), ბოსტნეულის - 182 გრ (370 გრ-ის ნაცვლად), შაქრის - 55 გრ (100 გრ-ის ნაცვლად), პურის მოხმარების ნორმა გაიზარდა 350 გრ-დან 400 გრ-მდე. როგორც ექსპერტები მიუთითებენ[1], აღნიშნული ქმედება განხორციელდა საერთო კალათის ღირებულების შესამცირებლად. სამწუხაროდ, განვლილ პერიოდში დასახული ნორმები არ შეცვლილა.

სასურსათო უზრუნველყოფის ფუნქცია სახელმწიფოს (მით უფრო სოციალურის), როგორც პოლიტიკური სუბიექტის, ექსკლუზიური ფუნქციაა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში სახელმწიფოს მიწის ფონდის 85% - ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაშია, გასაგები გახდება სასურსათო უზრუნველყოფაში სახელმწიფოს პასუხიმგებლობის ხარისხი.

რესურსების ათვისებაში წარმოების ძირითად ფაქტორებს ეკონომიკის ტრანსფორმაციაზე სათანადო პოზიტიური გავლენა არ მოუხდენია. კერძოდ, მიწა არარაციონალურად გამოიყენება, კაპიტალი საკმარისი არ არის, სამუშაო ძალა დისკვალიფიცირებულია, მეწარმეობრივი საქმიანობის ხელსაყრელი გარემო არ შექმნილა, მეცნიერება (განსაკუთრებით გამოყენებითი) ორგანიზაციულად მოიშალა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (გამოწვევების ობიექტურად გაცნობიერება, სამართლებრივი ბაზა, ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემა, ეკონომიკური მექანიზმი, კადრების მომზადების სისტემა და სხვ.) საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ეტაპზე ჩამოყალიბებული პრობლემების გადაწყვეტას ვერ უზრუნველყოფს. ასეთ სიტუაციაში (როცა არაეფექტიანად გამოიყენება წარმოების ძირითადი ფაქტორები) ლოგიკურია დასკვნაც: ქვეყანაში ფორმირებადი საბაზრო ეკონომიკური სისტემა (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოება) არაეფექტიანია.

პროგნოზირებასა და სტრატეგიულ დაგეგმვაში, უპირველეს ყოვლისა, გვმართებს გავითვალისწინოთ, რომ წარმოების ფაქტორების როლი ქვეყნის განვითარების ეტაპებზე იცვლება. ამასთან, არც ერთ, ცალკე აღებულ ფაქტორს სხვებისგან მოწყვეტით არ შეუძლია უზრუნველყოს კვლავწარმოების სტიმულირება, ამიტომ აუცილებელია მათი ოპტიმალური კომბინაცია. გასათვალისწინებელია, რომ წარმოების ფაქტორებიც (როგორც სხვა ეკონომიკური რესურსები) შეზღუდულია. ეს მაშინ, როცა ადამიანების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი მუდმივად იზრდება. ასევე, წარმოების ფაქტორებს მუდმივად ცვლილებები (სრულყოფა) ახასიათებთ და ურთიერთგანპირობებულობის დონის (ხარისხის) ადეკვატურ ცვლილებებს იწვევენ.

აღსანიშნავია, რომ ფაქტორებს შორის წინააღმდეგობებიც კონკრეტული სიტუაციების მიხედვით წარმოიქმნება (ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებანი, მრავალფეროვნება, მასშტაბის ეფექტი, ტექნიკის (ტექნოლოგიის) გამოყენების დონე, სამუშაო ძალის ასაკობრივი სტრუქტურა, ინტეგრირებული ცოდნის დონე და სხვ.). ამიტომ აუცილებელია ფაქტორებს შორის არსებული წინააღმდეგობების გამოვლენა, მათი განვითარების ტენდენციების სწორად ახსნა და შესაბამისად ინვესტიციების ზრდის პირობების განსაზღვრა.

მსოფლიო პრაქტიკა, საქართველოში მიმდინარე გარდაქმნების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ახალი გამოწვევების ადეკვატურ ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელებაში მაკოორდინირებელ ფუნქციებს (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ სფეროში და ა.შ.) უნდა ასრულებდეს სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, მიწის რესურსების მესაკუთრე და ახალი ეკონომიკური სისტემის შემქმნელი ფაქტორი.

მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებაში, როგორც საქართველოში მიწის მართვის პრობლემების ანალიზი გვიჩვენებს, მნიშვნელოვანია სახელმწიფო პროტექციონიზმის თავისებურებების გათვალისწინებაც.

ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქტიურად მუშაობდა ჩვენს ქვეყანაში „შოკური თერაპიის"

1 გაზეთი „რეზონანსი", 16.10.2019 წელი

დოქტრინის დამკვიდრებისათვის, გამოიკვეთა აშკარა ნეგატიური დამოკიდებულება - სახელმწიფო პროტექციონიზმის მიმართ. ეს მოხდა მსოფმხედველობითი პოზიციების დაპირისპირების ფონზე, რომელიც ემყარებოდა ეკონომიკური თეორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემის - სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთგანპირობებულობის გაცნობიერების ალტერნატიულ მიდგომებს.

პროტექციონიზმი განიხილებოდა არა როგორც ექსტრემალურ პირობებში (კრიზისები) ეკონომიკური განვითარების რეგულირების ფორმა (ინსტრუმენტი), არამედ ფორმირებადი ერთ პოლუსიანი სივრცის ჩამოყალიბების ალტერნატივა. ეს რეალურად აისახა „შოკურ თერაპიაში“ (ავტორები: აშშ ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი), რომელიც მიზნად ისახავდა სოციალისტურად აღიარებული ეკონომიკის მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების ძირფესვიანად აღმოფხვრას. „შოკურმა თერაპიამ“ - როგორც დოქტრინამ, პოსტსოციალისტური ქვეყნების გარკვეულ ნაწილს შესთავაზა ერთ თარგზე გამოჭრილი მოქმედების გეგმა, რომელიც ადგილობრივ პირობებს არც ითვალისწინებდა. თანაც პროცესი მკაცრი მექანიზმებით რეგულირდებოდა. ერთი მხრივ საქართველოს პარალიზებული ეკონომიკა, მეორე მხრივ, სახსრების უკმარისობის პირობებში მისი მიღების პერსპექტივა დამოკიდებული იყო გარედან შემოთავაზებული მოდელის („შოკური თერაპია“) დანერგვის ვალდებულებებზე.

ნეგატიურ შედეგებს ვხედავთ: აგრარულ სფეროში დეინდუსტრიალიზაცია, განათლებისა და მეცნიერების განვითარების ადრე მიღწეულთან შედარებით დაბალი დონე (30 წლის განმავლობაში ქვეყნის სოფლის მეურნეობა კვლავწარმოების შეკვეცილი ფორმით ფუნქციონირებს). მაგალითად, მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, 1990 წელს საქართველოში წარმოებული იყო 2,7 მლრდ დოლარის ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია, 2020 წელს კი 1,2 მლრდ აშშ დოლარისა.

ეკონომიკური უსაფრთხოება მაღალი რისკის ქვეშ დადგა. სახეზეა სოციალურად პოლარიზებული საზოგადოება და დემორალიზებული, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული არაეფექტიანი ეკონომიკური სისტემა, რომელიც საზოგადოების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის კერძო ინტერესებს ემსახურება.

ასეთ ექსტრემალურ პირობებში სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული ღონისძიება ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოყვანისათვის.

ერთ-ერთ ასეთად მიგვაჩნია პროტექციონიზმი, როგორც რეალობის (კრიზისის) რედიკალურად შეცვლის გამოცდილი ფორმა და მისი საჭიროებისამებრ (როგორც დროებითი მოვლენის) მიზნობრივად გამოყენება.

პროტექციონიზმის კონტექსტში გვერდს ვერ ავუვლით საკამათო მხარესაც. ესაა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების (ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური როლი) და ნეოლიბერალური მოდელის (კერძო ინიციატივა, საბაზრო თვითრეგულირება) ინტერპრეტაციების ხელოვნურად დაპირისპირების ტენდენცია (ტრადიცია).

5 საუკუნეზე მეტია მეცნიერებასა და პრაქტიკაში (ისტორიული განვითარების ეტაპების თავისებურებების შესაბამისად) განიხილება სახელმწიფო პროტექციონიზმი, როგორც ეკონომიკის რეგულირების ფორმა. მის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ პროტექციონიზმი ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის (როგორც მისი დაცვის ფორმა) განვითარებას, მაშინ, როცა ნეოლიბერალური მოდელი (თავისუფალი ვაჭრობა) ანგრევს ეროვნულ ეკონომიკას, განსაკუთრებით, თუ იგი გამოიყენება სამრეწველო თვალსაზრისით ჩამორჩენილ ქვეყნებში. საპირისპირო მოსაზრება აქვთ ნეოლიბერალური მოდელის მომხრეებს. მათ მიაჩნიათ, რომ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება ეკონომიკურ ზრდას აფერხებს.

ცხოვრება კი მოითხოვს, რომ გლობალური პროცესების განვითარება კომპლექსური მიდგომებით გაანალიზდეს. ამ თვალსაზრისით, საჭიროა ახალი სტრატეგიული ხედვების ჩამოყალიბება და მიზნობრივი პროგრამებით მათი განხორციელება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხერხდება მოვლენები (პროცესები) განხილულ იქნას ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე და განისაზღვროს განვითარების სტრატეგია, საზოგადოების ინტერესების დაბალანსება, ეკონომიკის ეფექტიანობა, მისი შედეგების სოციალური

სამართლიანობის პრინციპებით განაწილება. ასეთია თანამედროვე გამოწვევების დაძლევის ლოგიკა.

ამიტომ გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა (რომელიც, ბუნებრივია, პროტექციონისტულ შემადგენელს მოიცავს) მიმართული უნდა იყოს ქვეყნის აგრარული სფეროს მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნისაკენ. **პროტექციონიზმის საკვანძო ობიექტად უნდა განისაზღვროს მიწის რესურსების (ფართო გაგებით) რაციონალურად გამოყენებისათვის მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლების შექმნის პროცესი. ამ ამოცანის განხორციელებაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს პროგნოზირებასა და დაგეგმვას. ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს მიწის სახელმწიფო ფონდის ტრანსფორმაციის თავისებურებებისა და ტენდენციების ანალიზი, მათი ობიექტური შეფასება, განვითარების პროგნოზირება სტრატეგიული დაგემვის ფარგლებში (იგულისხმება მიწის რესურსებზე მოთხოვნილების შესაბამისად). ე.ი. პირველ ეტაპზე უნდა შეფასდეს მიწის რესურსების გამოყენების დონე (მისი სამეურნეო, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, ორგანიზაციულ-მმართველობითი ასპექტები) და ამის შესაბამისად პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე პრინციპების მეთოდების გამოყენებით გაკეთდეს მაჩვენებელთა პროგნოზული გაანგარიშება.**

მიწის გამოყენების არსებული მდგომარეობა რადიკალურ ცვლილებებს საჭიროებს. ამისათვის აუცილებელია:

პირველი. თვისებრივად შეიცვალოს სახელმწიფოს სტრატეგიული ხედვები. ნეოლიბერალური მოდელის საფუძველზე ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებამ აჩვენა, რომ ცალმხრივი მიდგომის გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოყვანას. ამიტომ უნდა შეიცვალოს. ამასთან პირდაპირ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებით მისი ჩანაცვლებაც (ასეთი მოსაზრებებიც არსებობს) სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. აუცილებელია მათი ერთობლივად გამოყენება (სიმბიოზი). **კერძოდ, იმპორტჩანაცვლებისა და საექსპორტო პროდუქციის ზრდაზე ორიენტირებული სტრატეგიების ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე მიზნობრივი პროგრამებით განხორციელება.** ამით მიიღწევა ქვეყნის რესურსული პოტენციალის, პირველ რიგში მიწის რესურსების - ნიადაგის, წიაღისეულის, რეკრეაციული, ტყის, წყლის რესურსების მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად გამოყენება. ეს კი ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის საბაზრო პრინციპებზე ფორმირებისა და ეფექტიანობის ამაღლებას უწყობს ხელს. ამასთან, ღია ეკონომიკის პირობებში მიწის რესურსების კომპლექსური ათვისება ინტეგრაციულ პროცესებში აქტიური ჩართვით შრომის დანაწილების ოპტიმიზაციის, საბოლოოდ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ორგანიზაციულ ხელშემწყობ გარემოს აყალიბებს.

მეორე. სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის პრინციპების კომპლექსურად და ეკონომიკური და სოციალური მიზანშეწონილობის საფუძველზე ფართოდ გამოყენება მიწის რესურსული პოტენციალის ყველა მხარის ობიექტურად გაცნობიერებას და მათი განსაზღვრის და რეგულირების სხვადასხვა ინსტრუმენტების დიფერენცირებულად გამოყენების საფუძველს ქმნის.

მესამე. პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგემვის საფუძველზე მომზადდება პირობები მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ფონზე საგადამხდელო ბალანსის გაჯანსაღებისათვის, ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის ოპტიმიზაციისათვის. იმპორტის არა როგორც ახლა, სამომხმარებლო მიზნით გამოყენება, არამედ, ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისა და ახალი ტექნოლოგიების შემოტანა, ექსპორტში უპირატესად გადამუშავებული პროდუქციის და არა ნედლეულის გატანა, ტურიზმის განვითარების მასშტაბების გაფართოების უპირატესად ადგილობრივი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოფა (განსაკუთრებით სასურსათო) და არა იმპორტის ხარჯზე მუდმივად დამოკიდებულება.

მიწათმოწყობის სწორი ორგანიზაციის საფუძველზე მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის სისტემის შექმნა ობიექტურად ჩამოყალიბებული მოთხოვნაა. სხვანაირად, სახელწიფო საკუთარი ფუნქციების შესრულებას ვერ უზრუნველყოფს. ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის 30-წლიანი გამოცდილება ამას ადასტურებს.

ეროვნული ეკონომიკის პოსტკორონავირუსული ეტაპი უკვე დადგა. ეკონომიკის განვითარების ნიშნები (სიმპტომები) გამოჩნდა. ისინი ტენდენციებად უნდა ჩამოყალიბდეს. ამისათვის საჭიროა ისტორიულ განვითარებაში დაშვებული ჩამორჩენის წრიდან გამოსვლა დაჩქარდეს. ამას სჭირდება „გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური მოდელი“.

საჭიროა მოჯადოებული წრე გავარღვიოთ. ეს არ არის რთული ამოცანა. მაგრამ გამოსვლა უნდა დავიწყოთ მას შემდეგ, როცა გვეცოდინება საით წავიდეთ. ქართული ზღაპრებისა არ იყოს - მარჯვნივ წახვალ - გარკვეული სახის საფრთხეა, ასევე წინ და მარცხნივაც, ადგილზე გაჩერება კი აზრს კარგავს. კრიზისიდან გამოვდივართ იმიტომ, რომ განვითარების სწორ გზაზე გავიდეთ. ჯერ არ ვიცით, რომელია სწორი გზა, **ამიტომ ვამბობთ, რომ საჭიროა „გარღვევის სტრატეგია - მობილიზაციური მოდელი“, რომელიც დაგროვილი გამოცდილების ანალიზის საფუძველზე ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შექმნას ისახავს მიზნად, იყენებს რეგულირების გამოცდილ ფორმებს (მიზნობრივი პროგრამები), რაც ეფუძნება სტრატეგიული მიზნის და მის განხორციელების მთავარი რგოლის შერჩევის პრონციპს, საკვანძო პრობლემების გადაწყვეტის მიზნით რესურსების კონცენტრაციას, შესაბამისად ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებას, კერძო სექტორთან სახელმწიფოს პარტნიორობას, ეკონომიკის მართვის თვისებრივ სრულყოფას. ასეთი სტრატეგიის განსაზღვრას სჭირდება პროგნოზირების, სტრატეგიული დაგეგმვისა**

და მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენება. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში ჩამოყალიბდება შესაბამისი ერთიანი სამსახური და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად წარიმართება მისი საქმიანობა.

„გარღვევის სტრატეგიაში" სამ მთავარ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

პირველი. განვითარების რომელ საფეხურზეა ქვეყნის ეკონომიკა? როგორი თავისებურებებით, ტენდენციებით და კანონზომიერებებით ხასიათდება იგი? ამ კითხვაზე მეცნიერულად დასაბუთებული სწორი პასუხი იმიტომ გვჭირდება, რომ ვიცოდეთ, როგორია „გარღვევის" სასტარტო ბაზა, საზოგადოების ქცევა (მოტივაცია), გლობალურ პროცესებთან ადაპტირების დონე და სხვა. რაც საფუძვლად უნდა დაედოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის პროგნოზირებას და სტრატეგიულ დაგეგმვას.

მეორე. საით უნდა წავიდეთ (სტრატეგიული მიზანი), როგორ სიტუაციაში (რისკები) განვითარდება ეკონომიკა? აქ საკმარისი არ არის ვიცოდეთ საკუთარი შესაძლებლობები, არამედ უნდა შეფასდეს გარემოც (მეზობელი ქვეყნების და საერთოდ (გლობალური) ინტერესების (პოტენციალი); მათი თანხვედრის, თუ დაპირისპირების მოსალოდნელი გამოწვევები და მუქარები, რათა მართვის თანამედროვე მეთოდზე დაყრდნობით სწორად განისაზღვროს განვითარების მთავარი მიმართულებები).

მესამე. რომელ რესურსებზე ვაპირებთ ორიენტაციას და რა პერიოდებით და როგორი მექანიზმებით ვფიქრობთ დასახული მიზნის მიღწევას (ეტაპები, ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმი, დაფინანსების წყაროები, მეცნიერული უზრუნველყოფა, გლობალურ პროცესებთან თავსებადობა და სხვ.).

დღეს ქვეყანას სამი მთავარი რესურსული პოტენციალი გააჩნია: მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები; გეოეკონომიკა, როგორც ეკონომიკის განვითარების ფაქტორი; ინტელექტუალური რესურსები. მათი ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ბაზაზე სტრატეგიის შემუშავება-განხორციელებაზეა დამოკიდებული ეკონომიკის განვითარების სასურველი ტემპების მიღწევა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Планирование использования земельных ресурсов для устойчивого управления землепользованием. ФАО., рим., 2018 г;

2. С. М. Комаров, А.А.Расказова. Прогнозирование и планирование использования земельных ресурсов и объектов недвижимости. Учебник, м., «Юраат», 2018 г;

3. ნ. ჭითანავა, საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია, თბ., 2018 წ.;

4. ნ. ჭითანავა, გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში. თბ., 2021 წ.;

5. ნ. ჭითანავა, ლ.თაკალაძე. სოციალური ეკონომიკა, ფორმირება და განვითარება. I ნაწილი., თბ. 2088 წ., საგამომცემლო სახლი „ინოვაცია", 596 გვ.;

6. ნ. ჭითანავა, საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. გამომცემლობა „ივერიონი", თბ. 2012 წ.;

7. ნ. ჭითანავა, საქართველოს სოფლის მეურნეობა. ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები, გამომცემლობა „ივერიონი", თბ. 2015 წ.;

8. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები;

9. საქართველო ჩვენი ფასეულობანი, სოფლის მეურნეობა., თბ., 2013 წ.;

10. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 1998 წ., სტატისტიკური კრებული. თბ., 1999 წ.;

11. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები;

12. ი. შუმპეტერი. ეკონომიკური განვითარების თეორია (რუს.)., "პროგრესი", 1982 წ.;

13. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. წლ. ანგარიში. 2017 წ.;

14. გაზეთი „რეზონანსი", 16.10.2019 წ.;

15. რ. ფირცხალავა „მიწის ფონდის ტრანსფორმაციის საკითხები საქართველოში". დისერტაცია, სტუ, თბ., 2022 წ.

სამშენებლო ბიზნესი: მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები საქართველოში

დავით ჯალაღონია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი
იური პაპასქუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ ასოცირებული პროფესორი
გიორგი ყიფშიძე
სამშენებლო კომპანია „საქართველოს ბიზნეს ჯგუფის“ დამუძნებელი და დირექტორი

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მსხვილი მიმართულების - სამშენებლო ბიზნესის მდგომარეობის ანალიზი, შეფასება და განვითარების ტენდენციები. ფაქტობრივი გარემოებებისა და სიტუაციური შემთხვევების საფუძველზე, გამოკვეთილია პრობლემური საკითხების წრე და გადმოცემულია მათი გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ მოსაზრებები.

ნაშრომში გაზიარებულია აზრი მასზედ, რომ მშენებლობის ინდუსტრიის გარეშე შეუძლებელია საქართველოს ეკონომიკის სხვა დარგების ფუნქციონირება და განვითარება, თუმცა ამ წარმმართველი პრიორიტეტის მიუხედავად, სამშენებლო ბიზნესი ადექვატური ყურადღებით არ გამოირჩევა. ისევე, როგორც ეკონომიკის სხვა ნებისმიერი სექტორი, მშენებლობის ინდუსტრიაც ძალიან მგრძნობიარეა გაუმართავი რეგულაციებისა და ხელოვნურად შექმნილი ბარიერების მიმართ. საგნობრივი და მიზანმიმართული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სახელმწიფომ უნდა შექმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა და ხელი შეუწყოს სამშენებლო სექტორში მცირე ბიზნესის წახალისებას, შესაბამისად, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: მშენებლობის ინდუსტრია, სამშენებლოდ გამოყენების პირობა, ურბანული განვითარება, ინფრასტრუქტურული პროექტები.

CONSTRUCTION BUSINESS: STATUS AND DEVELOPMENT TRENDS IN GEORGIA

David Jalaghonia
Academic Doctor of Economics, GSU Professor
Iuri Papasqua,
Academic Doctor of Economics, GSU Associate Professor
Giorgi Kipshidze
Founder and director of the construction company "Georgian Business Group"

RESUME

The article presents the analysis and development trends of the construction business of one of the major industrial directions of the Georgian economy. The circle of problematic issues is outlined and opinions on their solution are presented.

Just like any other sector of the economy, a variety of factors affect the development, including the construction industry is very sensitive to faulty regulations and artificially created barriers. The paper develops the idea that the state should develop regulations and encourage small businesses in the construction sector, and consequently increase the number of employees.

Keywords: construction industry, construction conditions, urban development, infrastructure projects.

ძირითადი ტექსტი

სამშენებლო ბიზნესი მუდმივად მზარდი, მრავალპროფილური, ინდუსტრიული მიმართულებაა, რომლის გარეშეც, ფაქტობრივად, შეუძლებელია საქართველოს ეკონომიკის სხვა დარგების (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლება, ჯანდაცვა, კავშირგაბმულობა, ტურიზმი და ა.შ) ფუნქციონირება და განვითარება. მშენებლობის ინდუსტრია რთული სტრუქტურისაა და აერთიანებს სხვადასხვა დარგებს, ქვედარგებს, განყოფილებებს (სქემა 1):

წარმოდგენილი სქემიდან ნათლად ჩანს, მშენებლობის ინდუსტრიის მასშტაბები, ქვეყნის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებაში მისი როლისა და შესაძლებლობების მნიშვნელობა. თავის მხრივ, მშენებლობის ინდუსტრიის განვითარება სოციალური პრობლემების გადაწყვეტასთან ინვესტორების მოზიდვასთან, მეტ სამუშაო ადგილთან და მეტ დასაქმებულთან ასოცირდება.

ამ სექტორის საერთო გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებზე უფრო შთამბეჭდავად ციფრეფშიც ჩანს.

სქემა 1



წყარო: შედგენილია ავტორთა მიერ სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებზე დაყრდნობით.

საქსტატი მოწმობს, რომ ქვეყნის განვითარების მახასიათებელი ყველა მაჩვენებლის დინამიკაში მშენებლობა ძირითად პოზიციებზეა და ეკონომიკის ზრდაში თავისი გამორჩეული წვლილი სტაბილურად შეაქვს.

2014-2017 წლებში ყველაზე მეტად, სწორედ სამშენებლო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობა იზრდებოდა. 2014 წელს მისი მოცულობა შეადგენდა 1529.5 მილ. ლარს, 2017 წელს კი 3133.0 მილ. ლარს ანუ, ზრდის მაჩვენებელმა ამ პერიოდში 104.8%-ი შეადგინა, თუმცა, 2018 წელს წინა წელთან შედარებით, დამატებული ღირებულების მოცულობის 2.8 %-ით ზრდის მიუხედავად, სამშენებლო სექტორის წილმა მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაში, 2017 წელთან შედარებით, 0.7%-ით დაიწია და 9.3%-ის ნაცვლად, 2018 წელს, 8.6%-ი შეადგინა. შემდგომ წლებში მშენებლობის სექტორის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრაუქტურაში კიდევ უფრო შემცირდა და 2021 წელს 8%-მდე ჩამოვიდა. შემცირების მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, 2016 წლიდან მშენებლობაზე გაცემული ნებართვების შემცირება იყო (ცხრილი 1):

ცხრილი 1. მშენებლობაზე გაცემული ნებართვები

წელი	სულ საქართველოში	მათ შორის		სულ თბილისში	მათ შორის	
		საცხ.	სხვა, სულ		საცხ.	სხვა, სულ
2016	11031	6999	4032	5245	3932	1313
2017	10495	6799	3696	5032	3847	1185
2018	10204	6853	3351	4918	3740	1178
2019	10749	7399	3350	5248	4053	1195
2020	9564	6753	2811	5114	4120	994

წყარო: საქსტატი

ცხრილიდან ჩანს, რომ 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით გაცემულია 536-ით ნაკლები, 2018 წელს კი, წინა წელთან შედარებით, 291 ნაკლები ნებართვა, 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, მთლიანად საქართველოში და მათ შორის ქ. თბილისში გაცემული ნებართვების გაზრდილი მოცულობის მიუხედავად, 2020 წელს გაცემული ნებართვების რაოდენობა საქართველოში 1185 - ით, თბილისის მასშტაბით კი, 134-ით შემცირდა.

გაცემული ნებართვების შემცირების მიზეზი სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი რეგულაციების გამკაცრებაა, რაც უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება კ2 კოეფიციენტის ზრდის ნებართვების გაცემის შემცირებას. 2019 წელს საქართველოში გაცემული 10,749 სამშენებლო ნებართვა ითვალისწინებდა 7,538.4 ათასი კვადრატული მეტრი ფართის აშენებას. მომდევნო 2020 წელს, თითქმის 11%-ით შემცირებული ნებართვების ფონზე, ნებართვამინიჭებული სამშენებლო ფართობის მოცულობა 2,332.1 ათასი კვადრატული მეტრით ანუ, თითქმის 31%-ი შემცირდა. სამშენებლო ნებართვების რაოდენობის გაცემის ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა 2021 წელსაც, თუმცა აღნიშნულ პერიოდში, წინა წელთან შედარებით, სამშენებლო ფართობის მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა და შეადგინა 2,228.2 ათასი კვადრატული მეტრი, ანუ დაფიქსირდა თითქმის 30%-იანი ზრდა, რაც თავის მხრივ, ნიშნავს სამშენებლო სექტორის ზრდის ტემპების დაჩქარებას მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, ქალაქ თბილისშიც.

ზოგადად, მშენებლობის სექტორში დამატებული ღირებულების მოცულობის ზრდის დინამიკა წლების განმავლობაში ხასიათდებოდა დადებითი ტენდენციით. 2006 წლიდან 2020 წლამდე მისი მოცულობა 401.6 მილ. ლარიდან 3,473.3 მილ. ლარამდე გაიზარდა, ამასთან, 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, უმნიშვნელო, 2.5%-იანი შემცირების მიუხედავად, ქვეყნის მასშტაბით ბოლო წლებში სამშენებლო სექტორში შეინიშნება დამატებული ღირებულების მოცულობის სტაბილური ზრდა (დიაგრამა 1):

დიაგრამა 1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ დამატებითი ღირებულების საერთო სტრუქტურაში ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი მშენებლობის მიმართულებით ფიქსირდება (ცხრილი 2):

ცხრილი 2. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი მშენებლობის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობებით მიღებული დამატებული ღირებულების საერთო სტრუქტურაში

წელი	მშენებლობის სექტორი, სულ: მილ. ლარი	მათ შორის: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი
2017	3 133,0	1 396,4
2018	3 220,8	1 740,8
2019	3 560,6	1 968,7
2020	3 473,3	1 861,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

2017 წელს მშენებლობის სექტორში წარმოებული საერთო დამატებული ღირებულებიდან საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი მშენებლობის მოცულობამ 44.6% შეადგინა მაშინ, როდესაც მშენებლობის სექტორის სხვა ეკონომიკური საქმიანობების, მათ შორის, სამშენებლო პროექტების შემუშავების, საავტომობილო გზების და რკინიგზის მშენებლობის, საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის, სამოქალაქო მშენებლობის სხვა სამუშაოების, არსებული ნაგებობების აღებისა და სამშენებლო მოედნის მომზადების, ელექტროტექნიკური, საზეინკლო და სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშოების, მოსაპირკეთებელი სამშენებლო სამუშაოების, სხვა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ მთლიანობაში 55.4% შეადგინა. მშენებლობის სექტორში წარმოებული საერთო დამატებული ღირებულებიდან საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი მშენებლობის მოცულობის მაღალი ხვდრითი წილი ფიქსირდება მომდევნო 2018-2020 წლებშიც, მათ შორის: 2018 წელს - 54.1%, 2019 წელს - 55.3%, 2020 წელს - 53.6%.

ქვეყნის მასშტაბით მშენებლობის სექტორში წარმოებული დამატებული ღირებულების საერთო მოცულობიდან იმავე, 2017-2020 წლებში, ყველაზე მეტი სამშენებლო პროდუქცია ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით შექმნილია მცირე ზომის[1] საწარმოების მიერ (ცხრილი 3):

ცხრილი 3. დამატებული ღირებულების მოცულობა მშენებლობაში საწარმოთა ზომის მიხედვით

წელი	სულ: მილ. ლარი	მათ შორის:		
		მსხვილი	საშუალო	მცირე
2017	3 133,0	860,2	942,6	1 330,2
2018	3 220,8	634,2	1 248,3	1 338,3
2019	3 560,6	919,7	1 270,4	1 370,5
2020	3 473,3	652,4	1 261,0	1 559,9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

მშენებლობის სექტორში მცირე ზომის საწარმოების ასეთი მაღალი ხვედრითი წილი განპირობებულია მათი მოქნილობის თანდაყოლილი უნარითა და მობილურობის მეტი შესაძლებლობებით. საყურადღებოა ისიც, რომ წლების მიხედვით, მცირე ზომის საწარმოები ინარჩუნებენ უპირატეს როლს საშუალო და მსხვილ საწარმოებთან შედარებით, მათ შორის: 2017 წელს მცირე საწარმოებზე მოდიოდა 42.5%, მაშინ, როდესაც საშუალო და მსხვილი საწარმოების ხვედრითი წილი დამატებული ღირებულების საერთო მოცულობაში 30,0%-დან 27.5%-მდე მერყეობდა; 2018 წელს - 41.6%, საშუალო საწარმოებზე - 38.8%, მსხვილ საწარმოებზე - 19.6%; 2019 წელს - 38.5%, საშუალო საწარმოებზე - 35.7%, მსხვილ საწარმოებზე - 25.8%; 2020 წელს - 44.9%, საშუალო საწარმოებზე - 36.3%, მსხვილ საწარმოებზე - 18.8%.

ყველა პარამეტრის მიხედვით, აშკარად შესამჩნევია ისიც, რომ მშენებლობის სექტორში კერძო ბიზნესს უპირატესი ადგილი აქვს სახელმწიფო საწარმოების წვლილთან შედარებით (ცხრილი 4):

ცხრილი 4. დამატებული ღირებულების მოცულობა მშენებლობაში საკუთრების ფორმის მიხედვით

წელი	სულ, მილ. ლარი	სახელმწიფო	კერძო, სულ:	მათ შორის:	
				კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)	კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)
2017	3,133.0	13.0	3,120.0	2,039.5	1,080.5
2018	3,220.8	19.5	3,201.3	2,301.4	899.9
2019	3,560.6	16.7	3,543.9	2,829.5	714.4
2020	3,473.3	43.3	3,430.0	2,710.3	719.7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

1 მსხვილი ზომის საწარმოები: დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს, საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მილ. ლარს;

საშუალო ზომის საწარმო: დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა -12 მილ. ლარიდან 60 მილ. ლარამდე;

მცირე ზომის საწარმო: დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს, საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მილ. ლარს.

2020 წელს ქვეყნის მასშტაბით წარმოებული დამატებული ღირებულების საერთო მოცულობიდან 98.8% მოდის კერძო სექტორზე. დაახლოებით იგივე შედეგი ფიქსირდება 2017-2019 წლების მაჩვენებლებშიც.

მშენებლობის სექტორში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს) აქვს, შედარებით ნაკლები კი - სააქციო საზოგადოებებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს (ცხრილი 5):

ცხრილი 5. დამატებული ღირებულების მოცულობა მშენებლობაში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით

წლები	სულ, მილ. ლარი	მათ შორის						
		შპს	სს	სპს	კს	კოოპ.	ინდ. მეწარმე	სხვა
2017	3,133.0	2,310.0	55.6	-	1.3	-	42.2	723.9
2018	3,220.8	2,762.2	40.2	-	1.4	-	16.9	400.1
2019	3,560.6	3,172.3	56.9	-	1.2	-	45.0	285.2
2020	3,473.3	2,984.9	89.6	-	1.0	0.0	66.7	331.1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში სამშენებლო ბიზნესის ჩართულობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია წარმოებული საქონლისა და მომსახურების ბრუნვის მოცულობა. ამ მხრივაც, სამშენებლო ბიზნესს გამორჩეული ადგილი უჭირავს (დიაგრამა 2):

დიაგრამა 2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

როგორც წარმოდგენილი დიაგრამიდან ჩანს, ამ მიმართულებით წლების მიხედვით მონაცემები ზრდადი დინამიკით ხასიათდება. თუ კი სამშენებლო სექტორის მიერ გაყიდული საქონლისა და მომსახურების ღირებულებამ 2017 წელს 7,051.2 მილ ლარი შეადგინა, 2021 წელს ბრუნვის მაჩვენებელი 18.6%-ით გაიზარდა და 8,360.1 მილ ლარს მიაღწია.

სამშენებლო სექტორში მცირე ზომის საწარმოების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობის მსგავსად, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაშიც, მეტი აქტიურობით, სწორედ იგივე, მცირე ზომის საწარმოები გამოირჩევა. 2021 საანგარიშგებო წელს სამშენებლო სექტორის მიერ გაყიდული საერთო პროდუქციის 40.6% მცირე, შედარებით ნაკლები - 35.8%-ი საშუალო, ხოლო 23.6%-ი კი მსხვილ საწარმოებზე მოდიოდა (ცხრილი 6):

ცხრილი 6. მშენებლობის ბრუნვის მოცულობა საწარმოთა ზომის მიხედვით

წელი	სულ, მლნ ლარი	მათ შორის:		
		მსხვილი	საშუალო	მცირე
2017	7 051,2	2 109,8	2 353,7	2 587,7
2018	7 171,3	1 640,3	2 855,0	2 676,0
2019	8 263,2	2 132,4	3 084,0	3 046,8
2020	8 157,7	1 875,2	3 064,1	3 218,4
2021	8 360,1	1 974,8	2 991,7	3 396,6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილი 2021 წელს, ქვეყნის მასშტაბით დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 7.8%-ია და ამ მაჩვენებლით იგი ჩამორჩება მხოლოდ - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის - 19.0%, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის - 14.8%, განათლების - 12.0% და მრეწველობის - 11.3%, დარგების მაჩვენებლებს. ასეთივე ტენდენცია იყო შენარჩუნებული 2017 – 2020 წლებშიც, რაც მიუთითებს სამშენებლო ბიზნესის სტაბილურობაზე, დარგში ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე, ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში მის განსაკუთრებულ როლზე (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

თავის მხრივ, დასაქმებულთა სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წილი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობაში დასაქმებულებზე მოდის (ცხრილი 7).

ცხრილი 7. მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

წლები	კვარტალი	მშენებლობა სულ, კაცი	მათ შორის: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა
2017	-	76 187	35 995
2018	-	74 192	38 426
2019	-	69 956	34 999
2020	-	66 146	31 680
2021	I	56 174	27 470
	II	58 286	29 104
	III	62 596	32 384
	IV	64 113	33 637

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

2021 წლის მე-4 კვარტალის მონაცემებით მშენებლობის სექტორში დასაქმებული 64113 კაციდან, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობებით დაკავებულ დასაქმებულთა რიცხვმა 33637 კაცი შეადგინა, რაც ქვეყნის მასშტაბით მშენებლობის სექტორში მთლიანი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით დასაქმებულთა ნახევარზე მეტს ანუ, 52.5%-ს შეადგენს. ეს კი მიანიშნებს საქართველოში საცხოვრებელ ბინებზე გაზრდილი მოთხოვნილებების არსებობაზე.

მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარი მცირე ზომის საწარმოებზე მოდის. ეს ტენდენცია გრძელდება წლების მიხედვით. 2021 წლის მე-4 კვარტალის მონაცემებით მშენებლობაში დასაქმებულთა 47% მოდიოდა მცირე, 32% - საშუალო, 21% კი - მსხვილ საწარმოზე (ცხრილი 8).

ცხრილი 8. მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით

წელი	კვარტალი	სულ, კაცი	მათ შორის		
			მსხვილი	საშუალო	მცირე
2017	-	76 187	17 741	20 682	37 764
2018	-	74 192	14 186	26 364	33 642
2019	-	69 956	14 365	22 066	33 525
2020	-	66 146	14 933	21 709	29 504
2021	I	56 174	14 703	17 787	23 684
	II	58 286	14 032	19 389	24 865
	III	62 596	13 954	19 582	29 060
	IV	64 113	13 464	20 507	30 142

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

ქვეყნის მასშტაბით მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა სტრუქტურაში ბოლო ორი ათეული წლების განმავლობაში, მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა კერძო სექტორი. 2017 წლიდან დღემდე მშენებლობაში დასაქმებულთა 98%-ზე მეტი სწორედ კერძო სექტორზე მოდის, მათ შორის, დასაქმებულთა თითქმის 75%-ზე მეტი ადგილობრივი მაცხოვრებელია. არის შემთხვევები, როდესაც მშენებლობის სექტორში დასაქმებულია უცხოელი ფიზიკური თუ იურიდიული პირი. მათი ხვედრითი წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში გაცილებით მცირეა და როგორც წესი, 20-25%-ს არ აღემატება (ცხრილი 9).

ცხრილი 9. მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა საკუთრების ფორმების მიხედვით

წელი	კვარტალი	სულ, კაცი	სახელმწიფო	კერძო	მათ შორის:	
					კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)	კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)
2017	-	76 187	901	75 286	57 539	17 747
2018	-	74 192	827	73 365	54 438	18 927
2019	-	69 956	463	69 493	57 092	12 401
2020	-	66 146	771	65 375	53 957	11 418
2021	I	56 174	1 259	54 915	43 456	11 459
	II	58 286	993	57 293	46 492	10 801
	III	62 596	997	61 599	49 353	12 246
	IV	64 113	507	63 606	51 032	12 574

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

წლების მიხედვით მზარდი დინამიკით ხასიათდება სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მაჩვენებელი. რეალურად, 2006 წლიდან 2020 წლამდე საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება გაიზარდა თითქმის 6-ჯერ და 391 ლარიდან 1726 ლარს მიაღწია (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

საყურადღებოა, რომ მთლიანად მშენებლობის სექტორში საქმიანობის სახეების მიხედვით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება თითქმის თანაბარია. 2021 წლის მე-4 კვარტალის მონაცემებით, მშენებლობის

სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ამავე წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაზრდილია და 1665.2 ლარის ნაცვლად 2210.6 ლარი შეადგინა. ამასთან, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მაჩვენებელი საშუალო მაჩვენებელთან შეადრებით უფრო მაღალია და 2319.7 ლარს შეადგინს (ცხრილი 10).

ცხრილი 10. მშენებლობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება საქმიანობის სახეების მიხედვით

წელი	კვარტალი	მშენებლობა სულ: ლარი	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა
2017	-	1 473,0	1 319,5
2018	-	1 560,5	1 509,5
2019	-	1 641,8	1 644,1
2020	-	1 726,0	1 805,2
2021	I	1 665,2	1 748,7
	II	2 008,5	2 149,7
	III	2 005,3	2 109,6
	IV	2 210,6	2 319,7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნილი სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების თითქმის ანალოგიური სიდიდით ხასიათდება მშენებლობაში სექტორის საქმიანობის სხვა სახეებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მაჩვენებელიც, მათ შორის, სამშენებლო პროეტების შემუშავება - 2829.1 ლარი; საავტომობილო გზების და რკინიგზის მშენებლობა - 1830.8 ლარი; საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა - 2165.5 ლარი; სამოქალაქო მშენებლობის სხვა სამუშაოები - 2024.9 ლარი; არსებული ნაგებობების აღება და სამშენებლო მოედნების მომზადება - 2145.1 ლარი; ელექტროტექნიკური, საზეინკლო და სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებინ - 2794.5 ლარი; მოსაპირკეთებელი სამშენებლო სამუშაოები - 1819.3 ლარი; სხვა სპეციალიზირებული სამშენებლო სამუშაოები - 2210. 5 ლარი.

მშენებლობის სექტორით დაკავებულ საწარმოთა ზომითი კატეგირიების მიხედვით, შედარებით მაღალი საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ფიქსირდება საშუალო ზომის საწარმოებში. 2021 წლის მონაცემებით, მცირე და მსხვილ საწარმოებთან შედარებით, საშუალო საწარმოებში შეინიშნება საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების უფრო მაღალი ხვედრითი წილი (ცხრილი 11).

ცხრილი 11. მშენებლობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება საწარმოთა ზომის მიხედვით

წელი	კვარტალი	სულ, ლარი	მათ შორის		
			მსხვილი	საშუალო	მცირე
2017	-	1 473,0	2 017,1	1 722,1	1 057,3
2018	-	1 560,5	1 871,4	1 745,6	1 269,8
2019	-	1 641,8	2 041,0	1 960,1	1 237,2
2020	-	1 726,0	1 911,2	1 859,9	1 522,5
2021	I	1 665,2	1 782,7	1 836,9	1 448,2
	II	2 008,5	1 937,1	2 356,0	1 763,5
	III	2 005,3	1 849,2	2 190,4	1 951,9
	IV	2 210,6	2 045,1	2 409,4	2 146,0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნილი სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

მშენებლობის სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მოცულობა არერთგვაროვანია და წლების მიხედვით ხასიათდება გარკვეული ცვლილებებით.

2017 წელს მშენებლობის კერძო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება თითქმის 9%-ით ჭარბობდა სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ანალოგიურ მაჩვენებელს, მომდევნო - 2018, 2019, 2020 და 2021 წლის პირველ, მეორე და მესამე კვარტალში კი პირიქით, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება მეტი იყო კერძო სექტორთან მიმართებით, მათ შორის, 2018 წელს - 22.7%; 2019 წელს - 41.8%; 2020 წელს - 91.8%; 2021 წლის I კვარტალი - 24.8%; 2021 წლის II კვარტალი - 34.5%; 2021 წლის III კვარტალი - 0.3%, თუმცა 2021 წლის მეოთხე კვარტალში კერძო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 19.5%-ით მეტი იყო ვიდრე სახელმწიფო სექტორში (ცხრილი 12).

ცხრილი 12. მშენებლობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება საკუთრების ფორმების მიხედვით

წელი	კვარტალი	სულ, ლარი	სახელმწიფო	კერძო	მათ შორის:	
					კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)	კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)
2017	-	1 473,0	1 352,5	1 474,5	1 190,0	2 354,0
2018	-	1 560,5	1 910,0	1 556,4	1 424,1	1 925,8
2019	-	1 641,8	2 322,6	1 637,1	1 521,3	2 159,7
2020	-	1 726,0	3 275,5	1 707,3	1 568,9	2 344,8
2021	I	1 665,2	2 066,9	1 655,7	1 611,0	1 820,2
	II	2 008,5	2 686,0	1 996,4	1 917,6	2 326,1
	III	2 005,3	2 010,6	2 005,2	1 986,7	2 077,2
	IV	2 210,6	1 852,9	2 213,6	2 201,2	2 262,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

დიაგრამა 5



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი გრძელვადიანი, მყარი საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებაა. ამ მიმართულებით საქართველოს სამშენებლო სექტორში, Covid-19 პანდემიამდე ადგილი ჰქონდა ინვესტირების მაღალ დონეს. მშენებლობის სექტორის ფიქსირებულ აქტივებში 2017 წელს ჩადებული 456.4 მილ. ლარის მოცულობის ინვესტიცია 2018 წელს გაიზარდა 18.4%-ით და 540.6 მილ. ლარი შეადგინა. ინვისტიციების მოცულობის ზრდა გრძელდებოდა მომდევნო წლებშიც, შედეგად 2019 წელს მისმა მოცულობამ 759.4 მილ. ლარს მიაღწია, ანუ წინა წელთან შედარებით 40.5%-ით გაიზარდა. 2020 წელსაც მშენებლობის სექტორში შეინიშნებოდა ინვესტიციების ზრდა, თუმცა შედარებით ნაკლები ტემპებით (დიაგრამა 5).

მშენებლობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების შედარებით მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა მცირე ზომის საწარმოები. 2017 წელს მშენებლობის სექტორში განხორციელებული 456.4 მილ. ლარის მოცულობის ინვესტიციიდან მცირე საწარმოებზე მოდიოდა 61.8%, საშუალო საწარმოებზე - 21.6%, მსხვილ საწარმოებზე კი, 16.6%. თითქმის ანალოგიური მაჩვენებლებით ხასიათდებოდა მომდევნო 2018-2020 წლებიც (ცხრილი 13).

ცხრილი 13. მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საწარმოთა ზომის მიხედვით

წელი	სულ, მლნ. ლარი	მათ შორის		
		მსხვილი	საშუალო	მცირე
2017	456,4	76,0	98,4	282,0
2018	540,6	105,3	158,9	276,4
2019	759,4	201,0	144,9	413,5
2020	822,9	89,9	341,6	391,4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/msheneblobа

ბოლო ორი ათეული წლის მონაცემებით დასტურდება, რომ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, მშენებლობის სექტორში, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა საავტომობილო გზებისა და რკინიგზის მშენებლობის, სამშენებლო პროექტების შემუშავებისა და საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის დარგები, სადაც, 2017 წლიდან 2020 წლამდე ადგილი აქვს ინვესტირებული კაპიტალის მოცულობის ზრდას ყოველ წინა წელთან შედარებით (ცხრილი 14).

ცხრილი 14. მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

წელი	მშენებლობა-სულ, მილ. ლარი	მათ შორის:								
		სამშენებლო პროექტების შემუშავება	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა	საავტომობილო გზების და რკინიგზის მშენებლობა	საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა	სამოქალაქო მშენებლობის სხვა სამუშაოები	არსებული ნაგებობების აღება და სამშენებლო მოედნის მოამზადება	ელექტროტექნიკური, საზეინკლო და სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	მოსაპირკეთებელი სამშენებლო სამუშაოები	სხვა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები
2017	456.4	59.1	144.4	68.2	107.1	41.0	4.7	5.5	0.0	26.4
2018	540.6	152.5	223.0	91.8	24.1	3.6	2.8	7.3	0.5	35.0
2019	759.4	143.5	337.1	211.8	17.1	1.1	3.8	8.0	6.8	30.2
2020	822.9	217.7	212.9	306.1	35.6	4.1	3.6	7.8	0.8	34.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/msheneblobа

საკუთრების ფორმების მიხედვით, მშენებლობის სექტორში განხორციელებულ ინვესტიციებში მაღალი ხვედრითი წილით კერძო სექტორი გამოირჩევა. 2017-2018 წლებში სახელმწიფო სექტორში ჩადებული ინვესტიციების მოცულობა 1%-საც არ აღწევდა. მომდევნო წლებში სახელმწიფო სექტორის წილი შეადრებით გაიზარდა და 2019 წელს, თითქმის 9%, 2020 წელს კი - 39% შეადგინა (ცხრილი 15).

ცხრილი 15. მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში საკუთრების ფორმების მიხედვით

წელი	სულ, მილ. ლარი	სახელმწიფო	კერძო	მათ შორის:	
				კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)	კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი/ები)
2017	456,4	0,2	456,2	311,8	144,4
2018	540,6	0,2	540,4	364,1	176,3
2019	759,4	67,7	691,7	424,4	267,3
2020	822,9	324,1	498,8	321,8	177,0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/80/mshenebloba

ზემოაღნიშნული შთამბეჭდავი დინამიკა მეტყველებს იმაზე, რომ სამშენებლო ინდუსტრია საქართველოს ეკონომიკის ძირითადი შემადგენელი და მსხვილი, ანგარიშგასაწევი სექტორია. ეს ხდება იმ ფონზე, რაც Covid-19-ის ეპიდემიით ზოგადად ეკონომიკას მიადგა. პანდემიამ საკუთრივ, ქართული სამშენებლო კომპანიებიც აზარალა და ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა - უფრო გამძაფრდა ის პრობლემები, რაც პანდემიამდეც არსებობდა. საყურადღებოა, რომ პანდემიის პერიოდში არც ერთ ინფრასტრუქტურულ პროექტზე მუშაობა არ შეჩერებულა, სამშენებლო მასალებზე ფასების ზრდამ და ლარის კურსის ვარდნამ სამშენებლო ინდუსტრია ძლიერ აზარალა. მაგრამ ამ ურთულეს ვითარებაშიც, სამშენებლო კომპანიებმა შეინარჩუნეს დასაქმებული მუშახელი და ეკონომიკის ამოქმედებაზე დადებითად იმოქმედეს. თუმცა, მიუხედავად ამისა, სამშენებლო ბიზნესი სახელმწიფო მზრუნველობის ადექვატური ყურადღებით არ გამოირჩევა - ამ სეექტორშიც მოქმედებს ობიექტური თუ სუბიექტური შემაფერხებელი გარემოებები, არაგანვითარებაზე ორიენტირებული საკანონმდებლო აქტები. ადგილი აქვს სამშენებლო ნორმების დარღვევებს, ეკონომიკურ დანაშაულს, მიკერძოებულ გადაწყვეტილებებს და ა.შ. ისევე, როგორც ეკონომიკის სხვა ნებისმიერი სექტორი, მშენებლობის ინდუსტრიაც ძალიან მგრძნობიარეა გაუმართავი რეგულაციებისა და ხელოვნურად შექმნილი ბარიერების მიმართ.

თითოეული ასეთი გამოვლინება საფუძვლიან კვლევას და შეფასებას საჭიროებს. მრავალთაგან, სამშენებლოდ გამოყენების პირობის დადგენასთან დაკავშირებული რეგულაცია სამშენებლო კომპანიებს უქმნის გაურკვევლობებს და უარყოფითად მოქმედებს მათ გადაწყვეტილებებზე.

პრობლემის არსში გარკვევისთვის უნდა შევნიშნოთ, რომ სამშენებლო სფეროს ძირითად საბაზისო ადმინისტრაციული დოკუმენტს წარმოადგენს, მუნიციპალური არქიტექტურის სამსახურის ან ეკონომიკის სამინისტროს არქიტექტურის სამსახურის მიერ კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე, მოთხოვნის შემთხვევაში, გაცემული ბრძანება სამშენებლოდ გამოყენების პირობის დადგენაზე.

სამშენებლოდ გამოყენების პირობის დადგენა, როგორც წესი (ნორმა), თავისი ძირითადი შინაარსით, წარმოადგენს კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე ზონალურად დადგენილი კოეფიციანტების დამაგრებას და მომიჯნავე ტერიტორიაზე სხვა დადგენილი შეზღუდვების თუ მუნიციპალური მოთხოვნების ერთ დოკუმენტში მოქცევას, რომელშიც ეს მოთხოვნები უნდა გაიწეროს პუნქტებათ და ყველა მოთხოვნა თუ შეზღუდვა აისახოს კანონის ნორმის მითითებით.

მშენებლობის დაგეგმარებასა და რენტაბელობის განსაზღვრისთვის ძირითადი კატალიზატორი სწორედ შერჩეულ კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე (ან სადემონტაჟო შენობით არსებულ მიწის ნაკვეთზე) სამშენებლოდ გამოყენების დადგენილი პირობებია. ეს უკანასკნელი უმთავრესია მიწის ნაკვეთის შეძენასა თუ ბარტერული გაცვლის ოპერაციების შემდგომი ბიზნესდაგეგმარებაში, რამდენადაც მხოლოდ კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე დადგენილი კოეფიციენტი განაპირობებს შესაძლებლობას სამშენებლო კომპანიებმა მიიღონ სრული ინფორმაცია სავარაუდო მშენებლობის მოცულობასთან დაკავშირებით, შექმნან პროექტის მონახაზი, გააკეთონ ეკონომიკური გათვლები და დაახლოებით მაინც დათვალონ სავარაუდო ფინანსური მოგება.

ანალოგიური წინასწარი გათვლებია საჭირო აუქციონზე გამოტანილი მიწის ნაკვეთებზეც. მაგრამ ფაქტობრივად, არც ერთ მიწის ნაკვეთს, რომელიც გამოტანილია აუქციონზე, ან იყიდება, წინასწარ არ აქვს დადგენილი

სამშენებლოდ გამოყენების პირობები და შესაბამისად, ინტერესის გამოხატვის და აუქციონზე წარმატების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია რომ საწადელი დანიშნულების შესრულება შესყიდულ ნაკვეთზე იყოს შეუძლებელი.

ამ შემთხვევაში, პრობლების სათავე იქიდან იწყება, რომ კანონმდებლის მიერ, დადგენილი ნორმების თანახმად, შემუშავებული და დამტკიცებულია კონკრეტული ქალაქისა თუ რაიონის გენერალური გეგმა, რამაც, ერთი შეხედვით, თითქოს ყველა ადრე არსებულ კითხვებზე გასცა პასუხი და შესაბამისად, სამშენებლო ბიზნესს პრაქტიკულად მიესცა საშუალება წინასწარ, მარტივად მოიპოვოს ინფორმაცია ზონალური პრინციპებით დაყოფის, შესაბამის ზონებში სამშენებლო ინტენსიურობის საჯაროობის თუ ზონალურ ლოკაციებზე აკრძალვების შესახებ და აქედან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილებები.

იდეაში, გენერალურმა გეგმამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის კანონიერი ინტერესების (სამეზობლო მიჯნების) დაცვა, არ დაუშვას ქაოტური, არაპროპორციული მშენებლობები, არ შეიზღუდოს ეკონომიკური საქმიანობა, სამშენებლო ბიზნესს მიეცეს ორიენტირების შესაძლებლობა, თუმცა ურბანული განვითარების ამ მთავარმა დოკუმენტმა აღნიშნული ინტერესების მოცვა ვერ შეძლო და, პრაქტიკულად, აქედან ნეგატიური გამოვლინებები უფრო მეტია, ვიდრე სარგებელი.

გენერალური გეგმით დადგენილი მშენებლობის ინტენსიობის (კოეფიციენტების) ზონალური პრინციპი ვერ იქნება და არც არის პრეუდიცია, რადგან ნებისმიერ ნაკვეთს, რომელსაც არ გააჩნია სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მისთვის ის უნდა დადგინდეს. სწორედ აქ იჩენს „ახალი თავსატეხი". ხშირ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტები გაცემულ სამშენებლოდ გამოყენების პირობებში კოეფიციენტებს ზონალურად განსაზღვრულთან შედარებით გაცილებით ნაკლებს ადგენენ.

გამოდის, რომ სამშენებლო ბიზნესმა შერჩეულ სამომავლო განვითარებისთვის მიწის ნაკვეთზე წინასწარ უნდა აიღოს გამოყენების პირობები და მერე გადაწყვიტოს შეიძინოს თუ არა აღნიშნული ნაკვეთი. თუმცა ამ შემთხვევაში, კერძო პირს, ვისაც მიწის ნაკვეთის გასხვისება უნდა, ამ მიწაზე სამშენებლოდ გამოყენების პირობა არ გააჩნია და გაყიდვამდე არც ამ პირობის აღების უფლებას იძლევა. აუქციონზე გამოტანილ სახელმწიფო საკუთრების არც ერთ მიწის ნაკვეთსაც არ აქვს დადგენილი გამოყენების პირობა. პრაქტიკაში კი ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა ნაკვეთი კომპანიას შეუძენია სახელმწიფოსგან, ხოლო სახელწიფოსვე შემდეგ არ გაუცია მშენებლობის ნებართვა გასხვისებულ ნაკვეთზე.

ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი წესი და პრაქტიკა მხოლოდ ართულებს მიწის ნაკვეთზე ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვას, ამასთან, დაინტერესებულ პირს თუ ორგანიზაციას, პირობების გარეშე მიწის ნაკვეთის შეძენა რისკებს მნიშვნელოვნად უზდის. უდავოა, რომ ასეთი რეგულაციები ყველა შესაძლო გართულებაზე თავიდანვე არაა ტესტირებული და მავნებლურ გვერდით მოვლენებს იწვევს. ამიტომ, სავსებით ლოგიკურია, რომ ასეთი და სხვა პრობლემური საკითხები სათანადო შესწავლისა და განსჯის ობიექტი უნდა გახდეს.

დასკვნა

ამრიგად, გვაქვს საფუძველი განვაზოგადოთ ზემოთ განხილული გარემოებები და შევნიშნოთ, რომ საქართველოში მშენობლობის ინდუსტრია ერთ-ერთი ძირითადი დარგია. ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით წარმოებული პროდუქციის საერთო მოცულობაში, მშენებლობის სექტორის ხვედრითი წილი წლების განმავლობაში მზარდი დინამიკით ხასიათდება. მშენებლობის ინდუსტრიის შესაძლებლობების გაფართოება, თავის მხრივ, დადებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის მასშტაბით დამატებული ღირებულების პროდუქციის მოცულობის, დასაქმების, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის, შემოსავლების ზრდის მაჩვენებლებზე. უფრო მეტიც, ეკონომიკური პრობლემების ზრდის ფონზე, სამშენებლო სექტორში არსებული შედარებით სტაბილური მდგომარეობა ხელს უწყობს ქვეყანაში შიდა და გარე ინვესტიციების მოზიდვას.

მშენებლობის სექტორი წარმოადგენს დასაქმების ერთ-ერთ ძირითად სფეროს. ზრდადი დინამიკით ხასიათდება მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების დინამიკაც.

მოქნილობის თანდაყოლილი უნარისა და მობილურობის მეტი შესაძლებლობების გამო, მშენებლობის ინდუსტრიაში მცირე საწარმოები, ყველა პარამეტრებით, უფრო აქტიურად არინ წარმოდგენილი, ვიდრე საშუალო და მსხვილი კომპანიები, თუმცა მათი წახალისება არ ხდება. ამ უპირატესი როლის მოტივაციის ასამაღლებლად, მიზანშეწონილია სახელმწიფომ შეიმუშაოს რეგულაციები და ხელი შეუწყოს სამშენებლო სექტორში მცირე ბიზნესის წახალისებას, შესაბამისად, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

ყოველმხრივად დადებითი დინამიკის მიუხედავად, სამშენებლო ბიზნესს სახელმწიფოსაგან ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელობის ადექვატური ყურადღებით არ ექცევა და ადგილი აქვს ამ დარგის განვითარების შემაფერხემელ გარემოებებს. მათ შორის, მშენებლობის ინდუსტრიაც ძალიან მგრძნობიარეა გაუმართავი რეგულაციებისა და ხელოვნურად შექმნილი ბარიერების მიმართ.

ქვეყნის ეკონომიკაში მშენებლობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი რეგულაციის დაწესება მკაფიოდ გააზრებული, წინასწარ შესწავლილი, შეფასებული და შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც სამშენებლო სექტორი მეტი დამატებული ღირებულების ფორმირებასთან ერთად უზრუნველყოფს დასაქმებლთა რაოდენობის, და შესაბამისად, თითოეული დასაქმებულის შემოსავლების ზრდას; სამშენებლო პროდუქციის წარმოების მოცულობის მზარდი დინამიკის პირობებში უძრავ ქონე-

ბაზე, მათ შორის, საცხოვრებელ ბინებზე, გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას; სამშენებლო ბიზნესის მიერ სამშენებლო მასალებზე და მომსახურებაზე მოთხოვნილებების მატებას და შესაბამისად, ასეთი პროდუქციის მწარმოებელი და მომწოდებელი ფირმების, მათში დასაქმებული ფიზიკური პირების რაოდენობის ზრდას; ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების და შესაბამისად, სამშენებლო ბიზნესის პროდუქციის ბრუნვის ზრდას, საბოლოო ჯამში, სამშენებლო ინდუსტრიაში მიმდინარე პროცესები ხელს შეუწყობს მშენებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ბიზნეს-საქმიანობების განვითარებას და მათ გაფართოებას, მთლიანობაში კი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას.

ქვეყნის რეალური სექტორის დინამიური განვითარებისათვის, მშენებლობის სექტორის მარეგულიერებელი ნორმატიული აქტების შემდგომ სრულყოფასთან ერთად, აუცილებელია ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად სამშენებლო კომპლექსის დინამიურ და სტაბილურ განვითარებას. მათ შორის, დღის წესრიგში უნდა დადგეს მიწის სამშენებლოდ გამოყენების მარეგულიერებელი ნორმატიული დოკუმენტების სრულყოფა.

მოქმედ ახალ რეგულაციაში სამშენებლო დანიშნულებით შეძენილი კონკრეტული მიწის ნაკვეთის დანიშნლებით გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები მაღალია, რაც ართულებს მიწის ნაკვეთზე ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვას და მშენებლობის ინდუსტრიაში ხელს უშლის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას.

დაუშვებელია, რომ მუნიციპალიტეტებისა და სხვა სახელმწიფო შესაბამისი ადმინისტრაციული სამსახურების გადაწყვეტილებები წინააღმდეგომაში მოდიოდენ პარლამენტის მიერ კანონად ქცეულ გენერალური გეგმით დადგენილ პირობებთან.

სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული ეკონომიკური საქმიანობის მაქსიმალური ხელისშეწყობა არ უნდა შფერხდეს ადმინისტრაციული ბიუროკრატიული წინაღობებით და ხელოვნურად არ უნდა იზრდებოდეს ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული პირების ქმედუნარიანობას შესუსტების რისკები.

ამ ვითარებიდან გამოსავალი არსებული რეგულაციების პირობებშიც შესაძლებელია, თუ კი ფუნქციური ზონების შესაბამისი განვითარების მონაცემებით, ყველა, მათ შორის სახელმწიფო მიწის ნაკვეთზე, წინასწარ დაზუსტდება სამშენებლოდ გამოყენების პირობები და ინფორმაცია შესაბამის პორტალზე განთავსდება, ამასთან, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული ეკონომიკური საქმიანობის მაქსიმალური ხელშეწყობის პოლიტიკას ხელი არ შეუშალონ სხვადასხვა დონის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლებმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის დადგენილება №14-39, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის დადგენილება №39-18; დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცევის შესახებ;

3. საქართველოს კანონი საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის შესახებ, ქუთაისი, 20 ივლისი 2018 წ.; №3213-რს;

4. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბილისი, 2021, 293 გვ.;

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს სექტორი საქართველოში, 2021, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2021;

6. ნამჩავაძე ბ.; ნატროშვილი ლ.; საერთაშორისო გამჭვირვალობა, მშენებლობის სექტორი საქართველოში, თბილისი, 2018;

7. პაპასქირი რ.; საქართველოს სამშენებლო კომპანიების ფინანსური რეგულირების ზოგიერთი პრობლემა, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“;

8. ლომიძე ნ.; ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სრულყოფის მიმართულებები ბინათმშენებელ დეველოპერულ კომპანიებში, დისერტაცია, თბილისი, 2015;

9. Xie Ameng; Analysis of the impact of business administration informatization on China's real estate economy; ScienceDirect; The 8th International Conference on Information Technology and Quantitative Management; (ITQM 2020 & 2021); ocedia Computer Science 199 (2022) 885-891; www.elscevier.com/locate/procedia;

10. Madhulika Ajay Sonawane; Arvind Chaudhari; Relationship marketing to product based marketing a trend of residential construction business; Procedia - Social and Behavioral Sciences 37 (2012) 197 – 206; www.elscevier.com/locate/procedia

პოლიტიკური სოციალიზაცია და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება

რეზიუმე

პოლიტიკური სოციალიზაცია თანამედროვე ქართული პოლიტიკური ერისა და მისი იდენტობის ფორმირების განმსაზღვრელი პირობაა. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სოციალიზაციაზე ორი ფაქტორი მოქმედებს: 1. შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური ტრანზიციის რაციონალური და ირაციონალური პროცესები და 2. მსოფლიო წესრიგის ცვლილება, რომელიც ახალი გეოპოლიტიკური ტრანზიციით გამოირჩევა. თანამედროვე ქართული პოლიტიკური სოციალიზაციის მოდელი ეს არის პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური და კულტურულ-იდეოლოგიური ცვლილებების პროცესი, რომლის მიზანია ერის ახალი პოლიტიკური იდენტობის ფორმირება. თანამედროვე ეპოქამ წინა პლანზე წამოსწია ეროვნული იდენტობის პრობლემა, რომელიც ახლებურ გააზრებას მოითხოვს. ქართული პოლიტიკური სოციალიზაციის უპირველესი ღირებულებითი პრიორიტეტია მულტიკულტურული და პოლიეთნიკური სივრცის პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო იდენტობის ფორმირება. სოციალიზაციის უპირველესი აგენტია პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც სტაბილურობით არ გამირჩევიან; პოლიტიკურ სცენაზე პოლარიზება და დესტრუქციულობა აქტორული მოღვაწეობის სინდრომი გახდა, რაც სოციალიზაციის კრიზისს იწვევს. პოლარიზებას კიდევ უფრო აღრმავებს დომინანტური პარტიები, რომლებიც დემოკრატიული ტრანზიციას აფერხებენ. პოლიტიკური სოციალიზაციის ირაციონალურ ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკური გაუცხოების ელემენტების გაძლიერება. ერის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია იდეოლოგიას აკისრია. იდეოლოგია - ეს არის გარკვეულ ღირებულებათა სისტემა, რომელმაც უნდა მოახდინოს ერის პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიცია და თანამედროვე პოლიტიკური ერის ფორმირება. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სახელმწიფოებრივი და ინსტიტუციური იდეოლოგია სუსტია, რაც ციკლური პერიოდულობით კრიზისების მიზეზი ხდება. ინსტიტუციური და იდეოლოგიური ვაკუუმის პირობებში თავისი ეროვნული პოზიციით მართლმადიდებელი ეკლესია გამოირჩევა, რომელსაც კონსტიტუციურად პოლიტიკური სტატუსი გააჩნია. ქართული ეკლესია თანამედროვე პოლიტიკური სოციალიზაციისა და ეროვნული იდენტობის ტრანზიციის უმნიშვლევანესი აქტორი გახდა.

გურამ აბესაძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნოდარ აბესაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების დოქტორანტი

POLITICAL SOCIALIZATION AND THE FORMATION OF A MODERN GEORGIAN NATIONAL IDENTITY

Guram Abesadze - Doctor of Political Science, Professor at Sokhumi State University, Head of Policy Science
Nodar Abesadze - Doctor of Social Sciences of Georgian Technical Universit

SUMMARY

Political socialization is a defining condition for the formation of a modern Georgian political nation and its identity. Two factors affect modern Georgian political socialization: 1. Rational and irrational processes of domestic political transition, and 2. A change in the world order, which is characterized by a new geopolitical transition. The model of modern Georgian political socialization is the process of institutional and cultural-ideological changes of the political system, which aims to form a new political identity of the nation. The modern era has brought to the fore the problem of national identity, which requires a new understanding. The primary value priority of Georgian political socialization is the political integration of the multicultural and polyethnic space and the formation of a civic identity. The primary agent of socialization is political institutions that are not distinguished by stability; Polarization and destructiveness on the political scene have become a syndrome of acting, leading to a crisis of socialization. Polarization is further exacerbated by dominant parties hindering the democratic transition. The strengthening of the elements of political alienation should be considered as an irrational tendency of political socialization. The most

important function in the process of political socialization of the nation is played by ideology. Ideology - this is a system of certain values, which should lead to the political-cultural transition of the nation and the formation of a modern political nation. State and institutional ideology is weak in the Georgian political space, which causes crises at cyclical intervals. In the conditions of institutional and ideological vacuum, the Orthodox Church is distinguished by its national position, which has a constitutionally political status. The Georgian Church has become an important actor in the modern political socialization and transition of national identity.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო წესრიგმა პოლიტიკური სოციალიზაციისა და ეროვნული იდენტობის პრობლემა პრიორიტეტულ პროცესად აქცია; მსოფლიოს ახალი გეოპოლიტიკური პარადიგმა რადიკალურად ცვლის ეროვნული იდენტობის ფორმირების კრიტერიუმებს, რომლებსაც გარკვეული ცვლილებები შეაქვს პოლიტიკური სოციალიზაციის თანამედროვე გაგებაში. ის ერები, რომლებიც უმკლავდებიან პოლიტიკურ ტრანზიციას, უფრო რაციონალურ მიმართულებას აძლევენ ერის სოციალიზაციის პროცესს. საქართველოში პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი, შეიძლება ითქვას, გარკვეულ კრიზისულ სიტუაციაშია, რადგანაც პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური მდგრადობა არ არის მიღწეული. პოლიტიკური სისტემა თავის ფუნქციონირებას ძირითადად ორი განზომილებით ავლენს: 1. პოლიტიკურ-ინსტიტუციური წესრიგითა და მათი მდგრადი აქტორული მოღვაწეობის დემოკრატიული სტილით და 2. პოლიტიკურ-კულტურული და იდეოლოგიური ტრანსფორმაციით, რომელიც პოლიტიკური სივრცის ღირებულებით სტაბილურობას ემსახურება. ფუნქციონალურად ეს პროცესები ერთმანეთს განსაზღვრავს, რაც დემოკრატიული ტრანზიციის ტემპში გამოვლინდება. ამ მიმართულებით, საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ნამდვილად იგრძნობა ინსტიტუციური და პოლიტიკურ-კულტურული კრიზისი, რომელიც ერის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესს აფერხებს; თავის მხრივ, ეს ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიციის პროცესის კრიზისსაც იწვევს. ამიტომ, ამ პრობლემების ახლებური გააზრება თანამედროვე ქართული პოლიტიკური ტრანზიციის აქტუალური თემა გახდა.

1. პოლიტიკური სოციალიზაციის თანამედროვე ქართული მოდელი

თანამედროვე ქართველი ერის პოლიტიკური სოციალიზაცია მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდშია, რომელიც ახალი პოლიტიკური იდენტობის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს; სოციალიზაცია ისეთი პროცესია, რომლის გარეშე ერის პოლიტიკური გარდაქმნა და სოციალური მეობის ახლებური გააზრება შეუძლებელია. თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სოციალიზაციაზე ორი დროითი ფაქტორი მოქმედებს: პირველი, შიდასახელმწიფოებრივი განვითარების ტენდენციები, რომელიც ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის რაციონალური და ირაციონალური პროცესების თანაფარდობით განისაზღვრება და მეორე, საგარეო ფაქტორებით, რომელსაც მსოფლიო წესრიგის ცვლილებები და ახალი გეოპოლიტიკური ტრანზიციები განსაზღვრავს. ამიტომ, ქართული პოლიტიკური სოციალიზაციის მოდელი თავისი ინსტიტუციური და ღირებულებითი ცვლილებებითი გამოირჩევა. **შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული პოლიტიკური სოციალიზაცია ეს არის ახალი ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესი, რომელიც საზოგადოების პოლიტიკურ-ინსტიტუციურ და კულტურულ-იდეოლოგიურ ტრანზიციას ემყარება და მიზნად ისახავს პოლიტიკური ერის ფორმირებას. ე.ი. პოლიტიკური სოციალიზაცია ერის პოლიტიკურ-კულტურულ ტრნზიციას წარმოადგენს, რომლის აგენტები არსებული პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურით განისაზღვრება.**

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პოლიტიკური სოციალიზაციისა და ეროვნული იდენტობის ფორმირების მთავარი აგენტია პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც სტაბილურ ფუნქციონალურ ხასიათს არ ატარებენ და მარკეტინგულ მოღვაწეობაში დესტრუქციულობის ელემენტებით სარგებლობენ. ჩვენ ვგულისხმობთ პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობით სტილს, რომელიც იდეოლოგიურ პლატფორმებს არ ემყარება და კლანური ინტერესებით განისაზღვრება. განსაკუთრებით თვალშისაცემია ოპოზიციური პარტიული სპექტრის დესტრუქციულობის სინდრომი, რომელიც ქართული პოლიტიკური სცენის მუდმივი დამახასიათებელი სულისკვეთება გახდა. ინსტიტუციური პოლარიზება მკვეთრად აზიანებს ერის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესს, რადგანაც მათი მიდგომები ხშირად სახელმწიფოებრივ ინტერესებს სცდება და სოციუმს გაუცხოების პირობებში აცხოვრობს. ეს გაუცხოების ელემენტები ვლინდება სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი დამოკიდებულებაშიც, რომელიც ქართული პოლიტიკური პროცესის ეროზიას აძლიერებს. ე.ი. ინსტიტუციური გაუცხოება სახეზე გვაქვს, რომელიც პოლიტიკური სოციალიზაცვიის პროცესის პოლარიზებას იწვევს და სერიოზულად აფერხებს ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიციის პროცესს. ამ გაგებით, ინსტიტუციური პოლიტიკურ-მარკეტინგული მოღვაწეობა ვერ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს, რომელიც მკვეთრად აფერხებს ერის პოლიტიკურ გარდაქმნასა და ინტეგრაციას.

პოლიტიკური სოციალიზაციის თანამედროვე მოდელის ირაციონალურ პროცესად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ერმა პოლიტიკურ ტრანზიციაში ვერ გამოკვეთა თავისი პოლიტიკური მეობის თვითდამკვიდრების პრიორიტეტები. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველაზე რთული პროცესი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა

აღმოჩნდა. ქართველმა ერმა სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში ვერ მოახდინა თავისი თავის ადაპტაცია და პოლიტიკირი ფუნქციის აღდგენა. პოლიტიკური ფუნქციის აღდგენაში ვგულისხმობთ ერის სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირებას, რომელიც პოლიტიკური ერის არსებითი განზომილებაა. ამას თან დაერთვის კიდევ ერთი მეტად საშიში ტენდენცია, როდესაც ერი ზედმეტად დაკავებულია შიდა პოლიტიკური დაპირისპირებით და საგარეო საფრთხეები და გამოწვევები მთელი სერიოზულობით არ აღიქმება; ეროვნული თვითგადარჩენის რისკები და გამოწვევები უფრო და უფრო იზრდება, რომელიც სათანადოდ არ არის შეფასებული ერის პოლიტიკური ელიტის მიერ. ე.ი. თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების დამკვიდრება პოლიტიკური სოციალიზაციის განმსაზღვრელ განზომილებად ვერ გადაიქცა, რომლის შედეგადაც ქართველი ერი თანდათანობით კარგავს თავისი თვითდამკვიდრების ელემენტებს. სწორედ ეს არის თანამედროვე ქართული იდენტობის კრიზისის მაჩვენებელი პარადიგმა, რომელიც სერიოზულ ტრანზიციას საჭიროებს.

პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის პოლარიზებას ხელს უწყობს დომინანტი პარტიის სინდრომი, რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მუდმივ ირაციონალურ პროცესად იქცა. დომინანტური პარტიის ძალაუფლება შეიძლება სტაბილურობის თვალსაზრისით გამართლებული იყოს, მაგრამ მისი ოლიგარქიული გადაგვარება საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებრიობას. საერთოდ, ოლიგარქიულობის სინდრომი გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანი გახდა, რომელსაც კიდევ უფრო აძლიერებს დომინანტი პარტიის ძალაუფლება. პროცესი ორი მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ: პირველი, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების შერწყმა, რომელიც პოლიტიკურ-ოლიგარქიულ ავტორიტარულ სისტემად გარდაიქმნება; მეორე, დემოკრატიულ ტრანზიციას იმიტაციურ ფორმებში აქცევს და პოლიტიკურ მენეჯმენტს ციკლურ კრიზისულობას ანიჭებს.

საქართველოში ავტორიტარული ოლიგარქიზმი თითქმის ყველა პარტიის დომინანტური მმართველობის სტილი იყო, რომელმაც კონსოლიდირებული დემოკრატიის ფორმირებას ფასადურობის ხასიათი მიანიჭა. საქართველოში გამოიკვეთა ორი დომინანტი პარტია: „ქართული ოცნება“, რომელიც ძალაუფლების მატარებელი ინსტიტუტია და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც დომინანტ ოპოზიციურ ძალას წარმოადგეს; პოლიტიკურ ველზე მათი დაპირისპირება და პოლარიზება მუდმივ სინდრომად გადაიქცა, რომელიც ძალაუფლების შენარჩუნებას ან მის მოპოვებას ემსახურება. ამ ორ დომინანტ აქტორს მთელი პოლიტიკური სცენა მონოპოლიზირებული აქვს, რომელიც აღარ ტოვებს ადგილს სხვა პოლიტიკური ძალებისათვის. ამასთანავე, პოლიტიკური სოციალიზაციის მთელი აქტორული სივრცე მათი დაპირისპირების სცენარებით განისაზღვრება, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებს სამოქალაქო გაუცხოებისა და უიმედობის პროცესს. ევროსაბჭოს 2022 წლის ახალ ანგარიშში, რომელიც ასოცირების შესრულებას ეხება, პირდაპირ არის მითითებული, რომ საქართველოში დომინანტური პარტიები განსაზღვრავენ მთელ პოლიტიკურ პროცესებს, რომელიც ადგილს აღარ ტოვებს განსხვავებული აზრისათვის.[1] პოლიტიკური რეალობა ნამდვილად ითხოვს პოლიტიკურ სპექტრში ცვლილებებს, რომელიც ახალ აზროვნებასა და ეროვნულ პრაგმატიზმზე იქნება დამყარებული. სოციუმი ნამდვილად ითხოვს ახალ ძალას, მაგრამ არა ამ პოლიტიკური ოპოზიციის ხარჯზე, რომელიც გადაგვარებულია და ძალაუფლების მოპოვების სინდრომით არის შეპყრობილი. ეს პოლიტიკური ოპოზიცია თავისი წარმომავლობითა და წარსულში ჩატარებული ექსპერიმენტული რეფორმებით დროის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მათი ნეობოლშევიკური სტილი, ექსტრემისტული და ავტორიტარული ლიბერტანიანებლობა ქართველი ერის იდენტობისათვის ყოვლად მიუღებელია. ახალი ავანტიურიზმი, რაც ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დროს მოხდა, ერს აღარ ესაჭიროება. მათი ინტელექტუალური პოტენციალი და ექსტრემისტული აზროვნება რევოლუციის სინდრომზეა გათვლილი, რომლის სულისკვეთებაც ერს ნამდვილად აღარ გააჩნია; ქართველი ერი სტაბილურ დემოკრატიულ რეფორმებს ითხოვს, რომელიც სამოქალაქო აქტივობაზე იქნება დამყარებული. ევროკავშირის წევრობის კითხვარიც ამ მოთხონებზეა აგებული, რომელიც მთელ რიგ ინსტიტუციურ და ღირებულებით ცვლილებებს საჭიროებს. მთელი ეს პროცესები დაკავშირებულია ახალი პოლიტიკური აზროვნების ფორმირებასთან, რომელიც ერის პოლიტიკური სოციალიზაციის გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სოციალიზაციის ახალი მოდელის ფორმირების უმნიშნელოვანესი საფუძველია ერის პოლიტიკურ-კულტურული ტრანზიცია. პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური გაუმართავობა და პოლარიზება, თავისთავად პოლიტიკური კულტურის დეგრადაციასაც იწვევს. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, აშკარად იგრძნობა პოლიტიკური კულტურის დეფიციტი, რომელიც უკიდურეს აგრესიულ ფორმებს იძენს. კულტურულმა და ინტელექტუალმა ნიჰილიზმმა ერის პოლიტიკურ-ღირებულებითი სივრცე უაღრესად გააღარიბა. ამიტომაც არის, რომ ექსტრემისტული აზროვნება პოლიტიკური ქცევის ელემენტი გახდა, რომელიც კონსენსუსისა და დიალოგის კულტურას გამორიცხავს. პოლიტიკური კულტურიზაციისა და სოციალიზაციის პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება წაბაძვას, როგორც ამას ცნობილი ფრანგი სოციოლოგი გაბრიელ ტარდი მიიჩნევდა. ქართულ სინამდვილეში, პოლიტიკურ პროცესში ისეთი აქტორები არის წინა პლანზე წამოწეული, რომლებიც თავისი პოლიტიკური და ინტელექტუალური დონით არ გამოირჩევიან და

1 იხ.:საქართველოს მიერ ასოცირების შეთნხმების შესრულებასთან დაკავშირებით ევროკავშირის ანგარიში. 2022. https://civil.ge/ka/archives/483692

დესტრუქცული ქცევებით სურთ პოლიტიკური თვითდამკვიდრება. სამწუხაროდ, საზოგადოების ექსტრემისტული ნაწილიც ამ წაბაძვით ამკვიდრებს თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის სტილს. ასეთ სივრცეში მიმდინარეობს ახალგაზრდობის ნაწილის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესიც, რომელიც ერის ტრადიციული პოლიტიკურ-კულტურული აზროვნებისა და პრაგმატიზმის გადაგვარებას იწვევს.

პოლიტიკურ-კულტურულ ტრანზიციაში მნიშვნელოვანია ახალი პოლიტიკური რიტორიკა, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში თავისი აგრესიული ტერმინოლოგიით გამოირჩევა. პოლიტიკა, წარმოადგენს რა შესაძლებლობის ხელოვნებას, მასში მთავარ როლს რიტორიკა ასრულებს, რომელიც დიალოგის კულტურაში კარგად გამოვლინდება. პოლიტიკური რიტორიკა გარკვეულ ინტელექტუალურ დონეს მოითხოვს, რომელიც პოლიტიკურ აქტორულ სივრცეს ნამდვილად აკლია. პოლიტიკური რიტორიკის კულტურა არ ეხება მხოლოდ შიდა ტრანზიციულ პროცესებს, არამედ, მისი მნიშვნელობა საგარეო პოლიტიკაშიც განსაკუთრებულია. დიპლომატიური რიტორიკით უნდა ავიცილოთ ის სერიოზული გამოწვევები და რისკები, რომელის წინაშეც აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოებრიობა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსული იმპერიული აგრესია გაძლიერდა, რომელმაც კატასტროფული შედეგები მოუტანა უკრაინის სახელმწიფოს და საფრთხეს უქმნის მსოფლიოს პოლიტიკურ სტაბილურობას. ასეთ სიტუაციაში, დიპლომატიური რიტორიკის კულტურა წინა პლანზე იწევს, რომელიც პოლიტიკური სოციალიზაციის წამყვანი ელემენტი უნდა გახდეს.

2. თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის რეინტერპრეტაცია და პოლიტიკური ტრანზიცია

თანამედროვე ქართული დემოკრატიული ტრანზიტის უმნიშვნელოვენეს პრობლემას წარმოადგენს ეროვნული იდენტობის რეინტერპრეტაცია და ცვლილებების შესაბამისად მისი პოლიტიკური ტრანზიცია. საერთოდ, ეროვნული იდენტობის აქტუალობა ახალმა გლობალურმა გეოპოლიტიკურმა ტრანსფორმაციებმა განაპირობა, რომელმაც ნაციონალიზმისა და რელიგიურობის აღორძინება გამოიწვია; აქედან გამომდინარე, ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო ეროვნული იდენტობის ყველა ინსტიტუციურ და ღირებულებით ელემენტებს, რომელმაც ერების ახალ სიტუაციეში ადაპტაციის პრობლემა აქტუალური გახადა. ქართველ ერს, რომელსაც იმპერიულ და ავტორიტარულ სისტემებში ხანგრძლივი თანაცხოვრება მოუწია, მაინც შეძლო ეროვნული იდენტობის ცალკეული ელემენტების შენარჩუნება, მაგრამ დემოკრატიული ტრანზიტის შესაბამისს ცვლილებებს მაინც საჭიროებს; ამიტომ, მისი რეინტერპრეტაცია და ახალი იდენტობის ფორმირების ძირითადი კრიტერეუმებისა და აგენტების გააზრება დროითი მოთხოვნა გახდა.

მოდერნულმა ეპოქამ მწვავედ დააყენა ეროვნული იდენტობის პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს პოლიტიკურ პროცესებს თანამედროვე მსოფლიოში. თვით ტერმინი „ეროვნული იდენტობა“ დიდი ხანი არ არის რაც სოციალურ მეცნიერებებში გამოჩნდა და კვლევის ერთ-ერთ აქტუალურ თემად გადაიქცა; სანამ ამ თანამედროვე ტერმინს დაამკვიდრებდნენ ხშირად გამოიყენებოდა „ეროვნული თვითმყოფადობა“, „ეროვნული ხასიათი“, „ეროვნული ცნობიერება“ და ა.შ. შეიძლება, ვთქვათ, რომ ეროვნული იდენტობის ცნებამ ერთიან სისტემაში მოიყვანა ერის ისტორიულად ფორმირებული და ადაპტირებული გენეტიკური და ტრადიციული ნიშან-თვისებები; იდენტობის ელემენტები დროთა განმავლობაში ტრასფორმირდებოდა და ერთიან ფუნქციონალურ ტრადიციად გარდაიქმნებოდა, რომელიც პოლიტიკური ინსტიტუციის განზომილებით სახელმწიფოებრიობის სახეს იღებდა. ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ერი იდენტობას უფრო სრულყოფილად და კონსოლიდირებულად თავის სახელმწიფოებრიობაში გამოხატავს, რაც პოლიტიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე გამოვლინდება.

ეროვნული იდენტობა, შეიძლება ვთქვათ, კრიზისის ფაზაშია, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ გლობალური მასშტაბით; ამერიკელი პოლიტოლოგი **ფრენსიის ფუკუიამა** ამ მიმართულებით აშკარად გამოხატავს თავის პოზიციას და მიიჩნევს, რომ თანამედროვე მსოფლიოს განვითარებას იდენტობის იდეოლოგია განსაზღვრავსო. ეს პროცესები უფრო და უფრო ძლიერდება ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში, რომლებიც ეროვნული იდენტობის პრობლემებს მწვავე გამოწვევად აღიქვამენ. განსაკუთრებით ეს პროცესები შესამჩნევი გახდა ევროპული დემოკრატიის ქვეყნებში, რომლებიც მიგრაციული მოვლენებისა და უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიული პოლიტიკის გამო კიდევ უფრო გამწვავდა. იდენტობის პრობლემა საგრძნობი გახდა აღმოსავლეთ ევროპის ახალი დემოკრატიის ქვეყნებშიც, რომლებიც გარდამავალი პოლიტიკური პროცესებით ხასიათდებიან. ამ თვალსაზრისით, საქართველოს პოლიტიკური სისტემაც ტრანზიტოლოგიურ ცვლილებებს განიცდის, რომლის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად ეროვნული იდენტობის გარდაქმნის პროცესი აღიქმება. ე.ი. დემოკრატიული ტრანზიტი და ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიცია ერთმანეთთან თანაფარდობაშია, რომელმაც უნდა განახორციელოს ახალი ქართული პოლიტიკური ერის ფორმირება.

პოლიტიკურ ლიტერატურაში ეროვნული იდენტობის რამდენიმე განზომილებით ელემენტს გამოყოფენ: ტერიტორია ანუ გეოპოლიტიკური სიცრცე, კულტურულ-ღირებულებითი ელემენტები, ერის ფსიქიკური თავისებურებები, ისტორიული თანაცხოვრება და გენეტიკურ-მემკვიდრეობითი ტრადიციები; პოლიტიკური განზომილება, რომელიც სახელმწიფოებრიობის სახით წარმოგვიდგება. ეროვნული იდენტობის ეს ელემენტები დროითი და სივრცითი პროცესებით განისაზღვრება, რაც მის მობილობასა და დინამიკურობაზე მიუთითებს. ინგლისელი სოციოლოგი **ენტონი დ.სმითი** მიიჩნევს, რომ ის, რასაც „ნაციონალურ იდენტობას“ ვუწოდებთ,

გულისხმობს გარკვეულ, თუნდაც ერთობ უმნიშვნელო ცნებას პოლიტიკური ერთობისა. პოლიტიკური ერთობა, თავის მხრივ, ნიშნავს გარკვეული საერთო ინსტიტუციებისა და ამ ერთობის ყველა წევრისათვის უფლებათა და მოვალეობათა ერთიანი სისტემის არსებობას.[1] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერი თავის პოლიტიკურ განზომილებას ახლა ქმნის, რომელიც სახელმწიფოებრივი იდენტობის ელემენტების გააზრებაში მდგომარეობს.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდენტობის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად სახელმწიფოებრივი ერის ფორმირება უნდა მივიჩნიოთ. ქართველი ერის იდენტობის კულტურული ელემენტი ძლიერია, რომელიც მემკვიდრეობითი ელემენტებით სარგებლობს, თუმცა პოლიტიკური კულტურა მაინც მორჩილებითი და აგრესიული ჩანს. პოლიტიკური კულტურის დემოკრატიული ტრანზიციის ერთ-ერთ პარადიგმად სახელმწიფოებრივი აზროვნების კულტურა უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ირაციონალურობის სინდრომით სარგებლობს. სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირებაში გადამყვეტი სიტყვა ეკუთვნის პოლიტიკუყრი სოციალიზაციის აგენტებს: ოჯახს, პოლიტიკური ისისტემის ინსტიტუციებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, პოლიტიკურ ელიტასა და ლიდერებს, ეკლესიას. ამ სივრცეს აკლია კორდინირებული ფუნქციონირება, რომელიც პოლიტიკური ელიტისა და ლიდერების მოღვაწეობის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. საერთოდ, პოლიტიკური ელიტა, განმსაზღვრელ როლს ასრულებს ეროვნული იდენტობის ფორმირებასა და მისი ტრანზიციის პრიორიტეტების განსაზღვრაში. ისტორიული გარდატეხის პერიოდებში პოლიტიკურ-ინტელექტუალურმა ელიტამ უნდა შეიმეცნოს ერის მოთხოვნები და ახალ სიტუაციაში განსაზღვროს მისი ადაპტაციის პრიორიტეტები. ასეთი პრიორიტეტია ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის აღქმა, რომელიც ვერ გადაიქცა ერის ძირითად პოლიტიკურ განზომილებად. გარკვეული თვალსაზრისით, ქართველი ერი სახელმწიფოებრიობას ვერ აღიქვს თავისი პოლიტიკური იდენტობის ინსტიტუციად და მისგან გაუცხოების რეჟიმში ცხოვრობას ამჯობინებს.

სახელმწიფოებრიობის კატეგორიას თანამედროვე ქართული იდენტობისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანც საქართველო მულტიკულტურულ და პოლიეთნიკურ ქვეყანას წარმოადგენს. სახელმწიფომ, როგორც პოლიტიკურმა ინსტიტუციამ, უნდა მოახდინოს ერთიანი, ინტეგრირებული სივრცის ფორმირება. **ენტონი დ. სმითი** აღნიშნავს, რომ სახელმწიფო არის ეროვნული იდენტობის დარაჯი, რომელიც თავისი ლეგიტიმურობის პრინციპს ნაციაში ხედავს და იქეთკენ მიისწრაფვის, რომ მის ხორცშესხმად და გამოხატულებად გადაიქცეს.[2] სამოქალაქო ნაციონალიზმი და მისი ძირითადი შედეგი - სამოქალაქო იდენტობა ამ ფენომენს ემყარება. სამოქალაქო იდენტობა არის პოლიტიკურად გარდაქმნილი ერი, რომლის იდენტობა მულტიკულტურული და პოლიეთნიკური ინტეგრაციის მაღალი დონით გამოირჩევა. ქართული პოლიტიკური ისტორია მკაფიოდ აჩვენებს, რომ სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური პრაგმატულობის კულტურა ყოველთვის სტაბილურობის გარანტი იყო და სამოქალაქო იდენტობის ფორმულას სრულად აკმაყოფილებდა. ამიტომ, პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესი თანამდეროვე ქართული ეროვნული იდენტობის სამოქალაქო ტრანზიციის განსაკუთრებულ პრიორიტეტად უნდა გადაიქცეს, რომელიც თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ინსტიტუციურ ფორმულას დააკმაყოფილებს. საქრთველო დაჩქარებული

1 ენტონი დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა. ლოგოს პრესი, თბ., 2008, გვ.10
2 ენტონი დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა. ლოგოს პრესი, თბ., 2008, გვ.213

წესით ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდა, რომელიც ამ ღირებულებითი პრიორიტეტების წინა პლანზე წამოწევას მოითხოვს. ამიტომ, თანამედროვე ქართული დემოკრატიისა და ერის პოლიტიკური სოციალიზაციის განმსაზღვრელი პრიორიტეტი უნდა გახდეს პოლიტიკურად ინტეგრირებული ერის ფორმირება, რომლის გარეშეც შეუძლებელია სამოქალქო იდენტობაზე დამყარებული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა და ევროპულ სივრცეში დამკვიდრება.

3. იდეოლოგია და ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიცია

თანამედროვე პოლიტიკურმა პროცესებმა და გეოპოლიტიკურმა ტრანსფორმაციებმა ახალი განზომილება მისცა იდეოლოგიას, რომლის გარეშეც შეუძლებელია პოლიტიკური გარდაქმნების განხორციელება. იდეოლოგია ქმედებაზე ორიენტირებული შეხედულებების, იდეების, კონცეფციების, პროგრამებისა და პლატფორმების ერთობლიობაა, რომელშიც მკაფიოდ გამოიკვეთება ტრანზიციის პრიორიტეტები. თანამედროვე პირობებში ახალი იდენტობა და სახელმწიფობრივი ერის ფორმირება მყარი იდეოლოგიური სივრცის შექმნის გარეშე შეუძლებელი იქნება. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, როდესაც ბიპოლარული მსოფლიო დასრულდა, ყველას ეგონა, რომ იდეოლოგიამ უკვე დაკარგა თავისი მნიშვნელობა. სამწუხაროდ დეიდეოლოგიზაციის კონცეფციამ არ გაამართლა და ღირებულებათა და ცივილიზაციათა შეჯახების თეორიამ მისი ახალი შინაარსობრივი აღორძინება გამოიწვია. შეიძლება ითქვას, რომ იდეოლოგიის აღორძინება ორი მიმართულებით გამოიკვეთა: 1. გლობალური წესრიგის პირობებში მულტიპოლარული მსოფლიო წინააღმდეგობათა ახალ სტადიაში შევიდა, რომელმაც გეოპოლიტიკური მიზნები წინა პლანზე წამოსწია; მისი მიზანია ახლებურად გაიაზროს ერი-სახელმწიფოების ისტორიული თანაცხოვრება და გეოპოლიტიკური ინტერესები, რომელიც ახალი იდეოლოგიური კონცეფციების შექმნის საწინდარი ხდება; თანამედროვე „ჰიბრიდული ომები“ მყარად იყენებს იდეოლოგიურ კონცეფციებს ე.წ. „რბილი ძალის“ სახით. შეიძლება ითქვას, რომ წინა საუკუნის ე.წ. „ფსიქოლოგიური ომის“ კონცეფცია აშკარა რენესანსს განიცდის. 2. პოლიტიკური ტრანზიცის პროცესი და ახალი სახელმწიფოებრივი მშენებლობა გარკვეულ იდეოლოგიურ დოქტრინებს უნდა ემყარებოდეს; პოლიტიკური იდეოლოგია ქმნის სახელმწიფოებრივი მშენებლობის ღირებულებით პრიორიტეტებს, რომელიც ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის ფორმას იძენს; ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ერის პოლიტიკური განვითარებისა და ტრანსფორმაციის აუცილებელი ღირებულებითი სისტემაა, რომელიც ფუნქციონალური სტაბილურობის გარანტიებს წარმოადგენს. ამ გაგებით, თანამედროვე მსოფლიოს ახალი იდეოლოგიური მოწყობა მიმდინარეობს, რომელიც სულ უფრო და უფრო აქტიურ ფაზაში შედის.

XIX საუკუნის 60-იან წლებში გამოიკვეთა ქართული იდეოლოგიისა და იდენტობის ძირითადი კონცეპტუალური პრიორიტეტები **- მამული, ენა, სარწმუნოება,** რომელიც **ილია ჭავჭავაძისა და „თერგდალეულების“** ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის სამოქმედო პროგრამა გახდა. ილიას მეთაურობით ჩამოყალიბდა ქართული ნაციონალიზმის ძირითადი პრინციპები, რომელიც ეროვნული იდეოლოგიის ფორმას იღებდა. ამ პერიოდში, ქართული სააზროვნო სივრცე თავის იდეოლოგიურ საფუძვლებს აყალიბებდა, რომელიც ეროვნული იდენტობის ძირითადი ელემენტების ფორმირების პროცესს ემსახურებოდა. სააზროვნო სივრცეში ახლებურად დაისვა ეროვნული მეობის გაგების პრობლემა, რომელსაც თანდათანობით თავისი სახელმწიფოებრივი სახე უნდა მიეღო. მაშინდელმა ელიტურმა აზროვნებამ შექმნა ერის იდეოლოგიური მრწამსი, რომლის მიზანი იყო, **ილია ჭავჭავაძის** სიტყვებით რომ ვთქვათ - **„...ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს...“**.[1] ეს სიტყვები დღესაც არ

1 ილია ჭავჭავაძე. მგზავრის წერილები. რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. 2, თბ., 1985, გვ.24

კარგავს თავის მნიშვნელობას, რომელიც თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდენტობის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს.

თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანზიცია იდეოლოგიური წინააღმდეგობების გარეშე არ მიმდინარეობს, რომელიც ხელს უშლის მის ახლებურ გააზრებას. ერთ-ერთი გამოკვეთილი მიზეზი გახლავთ, დემოკრატიული ტრანზიციის ზედმეტი ღირებულებითი ტრანსპლანტაციური პროცესებით გაჯერება, რომელიც ქართული ტრადიციული პოლიტიკური და გენეტიკური აზროვნების სრულ ნიველირებას ახდენს; გარკვეული ძალების მიერ ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ქართული ეროვნული იდენტობის ელემენტების გადაფასებაზე, რომელიც ექსტრემისტულ და ავანტიურისტულ ხასიათს ატარებდა და ერის გარკვეულ ნაწილს ნიჰილიზმის ტყვეობაში აგდებდა. ქართული პოლიტიკური პროცესისათვის სრულიად უცხო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ და მისი კმარესებური იდეოლოგია, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართულ ცნობიერებაში. ამ მოვლენამ დიდი ზიანი მოუტანა ქართული იდენტობის იდეოლოგიას, რომელიც აგრესიულად უარყოფდა ყოველგვარ ეროვნულ მენტალურ და მემკვიდრეობით ინტელექტუალურ შემოქმედებას. ე.წ. :ვარდების რევოლუციის“ ლიდერების მიერ ხუნვეიბინურ სტილში დაიწყო აგრესიული ბრძოლა ქართული კულტურულ-ინტელექტუალური ფენომენების წინააღდეგ. სამწუხაროდ, ნაწილობრივ მიზანს მიაღწიეს, რამაც ინტელექტუალური და საგანმანათლებრო სივრცის დეგრადაცია გამოიწვია; მათ შექმნეს ახალი ინტელექტუალური სივრცე, რომელიც თავის შემოქმედებაში იდეოლოგიურ ექსტრემიზმს ემყარებოდა, რომელიც დღესაც ამ აზროვნების საფუძველზე დესტრუქციულობისა და რევოლუციურობის სინდრომს ქმნის ქვეყანაში. შედეგად მივიღეთ ის, რომ ერი თანდათანობით კარგავს პოლიტიკურ-ინტელექტუალურ პოტენციალს, რომელიც ეროვნული იდეოლოგიის ფორმირებასა და მისი მემკვიდრეობითი ელემენტების დაცვაში გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს.

იდეოლოგიურ სივრცეში ირაციონალურ ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ პოლარიზების ელემენტების შემოტანა, რომელიც გარკვეული პოლიტიკური აქტორების მიერ მიმდინარეობს. დაპირისპირების თემად გადაიქცა სახელმწიფოებრივი განვითარების ღირებულებითი ორიენტაცია, რომლის რიტორიკა „მტრის ხატის“ ძიებაზეა აგებული. სწორედ ეს უშლის ხელს ეროვნული იდენტობის ახლებურ გააზრებასა და სამოქალქო იდენტობად მის გადაქცევას. შეიძლება ითქვას, რომ დესტრუქციული ოპოზიციური ძალების შემოქმედებით არ გვაქვს ერთიანი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც ერის პოლიტიკურ-ღირებულებით სახეს შექმნიდა და სამოქმედო პროგრამად გადაიქცეოდა. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით ერის ინტელექტუალი ელიტის ტრანსფორმაციაც უნდა მოხდეს და მისი იდეოლოგიური როლიც ეროვნული იდენტობის პოლიტიკურ ტრანზიციაში უფრო აქტიური გახდეს.

4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეროვნული იდენტობის ფორმირების აქტორი

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში თავისი განსაკუთრებული პოზიციითა და პოლიტიკური სტატუსით მართლმადიდებელი ეკლესია და მისი ხელმძღვანელი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** გამოირჩევა. საქართველოს კონსტიტუციაში სათანადოდ არის შეფასებული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში ქართული ეკლესიის როლი, რომელიც ისტორიულად პოლიტიკური სტატუსის მატარებელი ინსტიტუცია იყო და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ცვილებების პროცესში. მიგვაჩნია, რომ ქართული ეკლესიის პოლიტიკური როლი თანამედროვე პოლიტიკურ სივრცეში კიდევ უფრო გაიზარდა, რადგანაც ერის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი

სტაბილური ინსტიტუციების აქტიურობას საჭიროებს. ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა, პოლიტიკურ ინსტიტუტებთან შედარებით, ყველაზე მეტად ქართულ ეკლესიას ენდობა, რომელიც იმედიან განწყობას უქმნის საზოგადოებას და ნაკლებ პოლარიზებულია.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თანამედროვე პოლიტიკური ტრანზიციის პროცესებში აქტიურ ძალას წარმოადგენს, რაც გარკვეული პოლიტიკური აქტორების გაღიზიანებას იწვევს; იგი მკვეთრად გამოხატავს თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას ზედმეტი ღირებულებითი ტრანსპლანტაციური პროცესების მიმართ, რომლებიც ქართული მენტალური თვითმყოფადობის წინააღმდეგ არის მიმართული. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ეკლესიის მიმართ პოლიტიკურ სპექტრსა და აზრში ორი რადიკალურად განსხვავებული პოზიცია გამოირჩევა: **პირველი** მიმართულება მიიჩნევს, რომ ეკლესია აქტიურად არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში და მისი პოლიტიკური სტატუსის აღიარება კონსტიტუციურად და კონკორდატით თითქოს პოლიტიკურ შეცდომას წარმოადგენს; მათ მიაჩნიათ, რომ ეკლესიის ავტორიტეტის ზრდა ირაციონალური ტენდენციაა და სერიოზულად აფერხებს დემოკრატიული ტრანზიციის პროცესს; **მეორე** მიმართულების მიხედვით, ქართულმა ეკლესიამ ახალი აქტორული როლი შეიძინა და აქტიურად იღებს მონაწილეობას ტრანზიციის პროცესებში, რაც მისი პოლიტიკური სტატუსის აღორძინებით არის გამოწვეული; ეს პოლიტიკური აქტორები და პოლიტოლოგები უფრო პრაგმატულად და რაციონალურად აზროვნებენ და ნათლად ხედავენ ეროვნულ იდენტობასა და პოლიტიკურ სოციალიზაციაში ეკლესიის აქტორული როლის მნიშვნელობას. მივიჩნევთ, რომ ეკლესიის როლი კი არ უნდა დაკნინდეს, არამედ, მსოფლიოში რელიგიური რენესანსის კვალდაკვალ, რომელიც ეროვნული იდენტობის იდეოლოგიის აღორძინებით არის გამოწვეული, კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. პირველი თვალსაზრისი ნამდვილად ვერ პასუხობს დროის მოთხოვნებს და ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ პოზიციას წარმოადგენს. ასეთი აქტორული სპექტრი თავისი ლიბერტარიანული ირაციონალური პოზიციით აშკარად უპირისპირდება ქართულ ეროვნულ კულტურულ-ღირებულებით სივრცეს, რაც სულიერი კრიზისს იწვევს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II** მიუთითებს, რომ „ფაქტია ყველას გვინდა ძლიერი, განვითარებული ქვეყანა გვქონდეს, ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საზოგადოებაში სწორი ღირებულებათა სისტემა იარსებებს და ამ საფუძველზე მოხდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება, დეზორიენტერიბული საზოგადოება კი ქაოსში ჩაიძირება და სახელმწიფოს დიდად დააზარალებს“.[1]

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის იდეოლოგიური ვაკუუმის შევსება. ეკლესია სტაბილური იდეოლოგიური ინსტიტუტია, რომელიც პოლიტიკური აქტორების პოლარიზებისა და კრიზისის პირობებში ერის სულიერ კონსოლიდაციას ინარჩუნებს. ქართული იდეოლოგია - ეს მთელი ღირებულებითი სივრცეა, რომელიც ტრანზიციის პირობებში გარკვეულ კრიზისში აღმოჩნდა. იდეოლოგიის ელემენტია ერის ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც ნაციონალების მიერ ჩატარებული საგანმათლებლო რეფორმის შედეგად გარკვეულ კრიზისში აღმოჩნდა. უწმინდესი და უნეტარესი **ილია II** გამოვიდა მკაცრი კრიტიკით საგანმანათლებლო სივრცეში ჩატარებული რეფორმების მიმართ, რომელმაც განათლებისადმი ახალგაზრდობის გაუცხოება გამოიწვია. პატრიარქი მიიჩნევს, რომ „განათლების რეფორმისას დაშვებულმა შეცდომებმა შედეგად მოგვიტანა ის, რომ მოზარდები ცოდნის შეძენის სურვილს უკვე ნაკლებად ამჟღავნებენ, სამეცნიერო მოღვაწეობა კი არაპრესტიჟულად მიაჩნიათ, რადგანაც ხედავენ, რომ ინტელიგენციას სათანადო დაფასება არ აქვს“.[2]

პოლიტიკურ სოციალიზაციასა და ეროვნული იდენტობის ტრანზიციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ავტორიტეტები, რომლებიც ერის ღირებულებით პრიორიტეტებს განსაზღვრავენ და დროის პრაგმატულ მოთხოვნებს რეალურად აფასებენ. სამწუხაროდ, ერის ინტელექტუალური ავტორიტეტები უარყოფილია და

1 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე. კარიბჭე, თბ., 2018, გვ.21-22
2 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. კარიბჭე, თბ., 2010, გვ.6

გასაქანი ეძლევა ავანტიურისტულ ელემენტებს, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ერის პოლიტიკური გარდაქმნის სადავეები. ქართულმა ეკლესიამ მკვეთრად გაილაშქრა ასეთი ტენდენციების წინააღმდეგ, რომელთაც ერი ინტელექტუალურ ნიჰილიზმამდე მიჰყავს. უწმინდესი პირდაპირ მიუთითებს, რომ იქმნება უზნეო ცრუ ავტორიტეტები, რომელნიც თავიანთი ანტიეროვნული და ანტიქრისტიანული ქმედებების გამო წახალისებულნი და დაჯილდოებულნი არიან.[1] ამასთანავე მიუთთებს, რომ „საზოგადოება ისეთია, როგორი ავტორიტეტებიც ჰყავს მას. ფაქტია, რომ ღირსეული პიროვნებები ჩვენთან სათანადოდ არ არიან დაფასებულნი. მათ ნაცვლად წინ წამოწეულნი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მნიშნელოვანი არაფერი აქვთ გაკეთებული (ყოველ შემთხვევაში დღეისათვის) ან ისინი, რომელნიც უგულებელყოფენ სულიერ ღირებულებებს“.[2]

თანამედროვე მსოფლიოში სრულიად ახალი გეოპოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რამაც კიდევ უფრო მწვავედ დასვა ეროვნული და სახელმწოფოებრივი იდენტობის პრობლემები. ამ მიმართულებით, კიდევ უფრო გამოიკვეთა ქართული ეკლესიის გეოპოლიტიკური ფუნქციები; მისი დომინანტური გეოპოლიტიკური როლი რეგიონალურ სივრცეში პოლიტიკური თანამშრომლობის მანიშვნელოვანი ფაქტორია. ქართული ეკლესია თავისი ტოლერანტული და კონსენსუალური მიდგომებით გამოირჩეული აქტორია, რომელიც კონფესიური თანამშრომლობის უპირველეს პრაგმატულ პირობას ქმნის. გეოპოლიტიკურად მართლმადიდებლობის შესუსტებ, თავისთავად ქართულ იდენტობას უქმნის საფრთხეს.

ქართულმა ეკლესიამ თავისი პოზიცია დააფიქსირა მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი უკრაინაში რუსული აგრესიის მიმართ. პატრიარქმა **ილია II-მ** 2022 წლის სააღდგომო ეპისტოლეში აღნიშნა, რომ უდიდეს გულისტკივილს იწვევს დღეს მსოფლიოში მიმდინარე ომები, განსაკუთრებით ჩვენს მეზობლად, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში, სადაც ადგილი აქვს შემზარავ ფაქტებსა და უმძიმეს სისასტიკეს. ამჟამად, არსებული მდგომარეობა კი ისეთია, როდესაც არავინ იცის ხვალინდელი დღე რას მოიტანს და მოვლენები როგორ განვითარდება; პროცესები შერიძლება მალე დასრულდეს ან ხანგრძლივ დაპირისპირებაში გადაიზარდოს ან, შეიძლება ყველანი გლობალური კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ, რაც, ბუნებრივია, საყოველთაო შიშს ბადებს. მთვარია, უმძიმეს მდგომარეობაშიც არ დავკარგოთ ადამიანური ღირსებები, არ დავკარგოთ რწმენა და სასოება შემოქმედისა.[3]

თანამედროვე პოლიტიკური გარდაქმნები ქართული ეკლესიის როლის კიდევ უფრო გააქტიურებას მოითხოვს, რადგანაც პოლიტიკური კრიზისის გარკვეული ელემენტები სახეზეა. პოლიტიკური ელიტა და პოლიტიკური სპექტრი ბოლომდე ვერ უმკლავდება ეროვნულ გამოწვევებსა და რისკებს. თანამედროვე პოლიტიკური პრაგმატიზმი ახალ აზროვნებაზე უნდა იყოს აგებული, რომლის ღირებულებითი საფუძვლები ქართული ეკლესიის მოღვაწეობაში ნამდვილად ვლინდება. მართლმადიდებელი ეკლესია ახალი ქართული პოლიტიკური იდენტობის ფორმირების ერთ-ერთი აქტიური აქტორი გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე. მგზავრის წერილები. რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. 2, თბ., 1985;

2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე, თბილისი, 2022. https://www.interpressnews.ge/ka/article/707498-saagdgomo-epistole;

3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე. თბილისი, 2018;

4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. კარიბჭე, თბ., 2008;

5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. კარიბჭე, თბ., 2006;

6. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. კარიბჭე, თბ., 2010;

7. გ. აბესაძე. დომინანტი ინსტიტუციური აქტორები ქართულ პოლიტიკაში და დემოკრატიის სტაბილურობა. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეხუთე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2021, გვ. 210-219;

8. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე.სამოქალაქო სივრცის რაციონალურობა და დემოკრატიული ტრანზიცია საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური და რეფერირებადი ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“. ივლისი-დეკემბერი, N 2, 2021, გვ. 9-13;

9. ნ. აბესაძე. მართლმადიდებლობა და თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის პოლიტიკური ტრანსფორმაცია. სტუ საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, 47-48, 2021, გვ. 252-257;

10. ნ. აბესაძე. ეროვნული იდენტობა და თანამედროვე ქართული პოლიტიკურ-კულტურული სივრცის დემოკრატიული ტრანზიცია. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული ოცდამეხუთე/. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2021, გვ. 220-228;

11. საქართველოს მიერ ასოცირების შეთნხმების შესრულებასთან დაკავშირებით ევროკავშირის ანგარიში. 2022. https://civil.ge/ka/archives/483692;

13. ე.დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა. ლოგოს პრესი, თბ., 2008;

14. Francis Fukuyama. Ideology Is Out, Identity Is In.2019,

https://reason.com/2018/12/25/ideology-is-out-identity-is-in/ .

1 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. კარიბჭე, თბ., 2008, გვ.6

2 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. კარიბჭე, თბ., 2006, გვ.6

3 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე.თბილისი, 2022. https://www.interpressnews.ge/ka/article/707498-saagdgomo-epistole

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა-კონტროლის მექანიზმების სრულყოფისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის სისტემის ჰარმონიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტები

გიორგი სულაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ანზორ აბრალავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ნინო ფაილოძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

იაშა მურვანიძე
შავი ზღვის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

აბსტრაქტი

ტრანსნაციონალური კორპორაციების ფუნქციონირება მოითხოვს შესაბამის ჰარმონიზაციას იმ ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურასთან და ინფრასტრუქტურასთან, სადაც ისინი ანხორციელებენ თავიანთ საქმიანობას. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი სეგმენტია ბუღალტრული აღრიცხვა და კონტროლი, მისი პერმანენტული სრულყოფა, ინტეგრაციისა და თავსებადობასთან დაკავშირებული საკითხების საფუძვლიანად გააზრება. აღნიშნული ეს ორი მიმართულება მოითხოვს ჰარმონიზაციის პროცესის წარმართვას, როგორც ფუნქციონალური, ისე სტანდარტიზაციის კუთხით.

ნაშრომის მიზანია წარმოების ტრანსნაციონალიზაციასთან დაკავშირებული თავისებურებების, ტენდენციების, კანონზომიერების დადგენა და მასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გამოვლენა; ტრანსნაციონალური კორპორაციათა ამოცანების რეალიზაციის, წარმოების განლაგებისა და საკუთრების უფლებათა თავისებურებების საკითხების კვლევა. ასევე მნიშვნელოვანია ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის მეთოდიკის სრულყოფის ისეთი გზების გამონახვა, რომლის დანერგვით ობიექტიურად შეფასდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და გააქტიურდება კონტროლი, რომელიც პირდაპირ კავშირშია გამართულ ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად.

საკვანძო სიტყვები: ბუღალტრული აღრიცხვა, გლობალური პრობლემები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, ფინანსური მდგომარეობა.

IMPORTANT ASPECTS OF IMPROVING ACCOUNTING AND CONTROL MECHANISMS IN GEORGIA AND HARMONIZING THE MANAGEMENT SYSTEM OF TRANSNATIONAL CORPORATIONS

Giorgi Sulashvili
Associate Professor of Georgian Technical University
Anzor Abralava
Professor of Georgian Technical University
Nino Pailodze
Professor of Georgian Technical University
Iasha Murvanidze
Assistant Professor of Black Sea International University

SUMMARY

The functioning of transnational corporations requires correspondence with the economic structure and infrastructure within the operated country. Important segment is accounting and control, with deep understanding issues of continuous improvement, integration and compatibility. These directions require a harmonization, in terms of functionality and standardization.

The aim of the paper is to identify the peculiarities, tendencies, regularities related to the transnationalization of production and to identify the contradictions related to it; A study of the peculiarities of the realization of the transnational corporations, the peculiarities of the production layout and the peculiarities of the property rights. The aim of the paper is to find ways to improve the accounting and control methodology, the introduction of which will objectively assess the financial condition of the enterprise and activate the control, which is directly related to proper and proper accounting to achieve the goals and objectives of the institution.

Keywords: Accounting, global problems, transnational corporations, financial condition.

შესავალი

საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პრინციპების ადაპტირებასთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა ადმინისტრირების აქტუალური საკითხებია, რასაც განაპირობებს თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) საქმიანობის გააქტიურება, გლობალიზაციის შეუქცევადი და წინააღმდეგობრივი ხასიათი.

ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფის აუცილებლობა ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოსათვის, და ზოგადად გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის.

ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) ფენომენის შესწავლა პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებების ერთ-ერთი საყურადღებო პრობლემაა. მსოფლიო ეკონომიკაში თითქმის არ არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მოხდეს ტნკ-ის მონაწილეობის გარეშე. ისინი გამოდიან ძირითად ინსტიტუტებად, რომლებიც აყალიბებენ თანამედროვე და მომავალი მსოფლიოს სახეს, ღებულობენ პირდაპირ და საფუძვლიან მონაწილეობას,როგორც გლობალურ,ისე ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობა და წარმოების გლობალიზაცია საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. Mმსოფლიო ეკონომიკაში ტნკ გახდა ცენტრალური ფაქტორი. იგი არის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე მათი გავლენა უაღრესად მნიშვნელოვანია.

ტნკ-ებმა მსოფლიო ეკონომიკა გარდაქმნა საერთაშორისო წარმოებად, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების განვითარებას მისი ყველა მიმართულებით: ტექნიკური დონე და პროდუქციის ხარისხი, წარმოების ეფექტიანობა, მენეჯმენტის ფორმის სრულყოფა, წარმოების მართვა. ფლობენ დიდ სამეცნიერო-საწარმოო და საბაზრო პოტენციალს, რომლითაც უზრუნველყოფენ განვითარების მაღალ დინამიკას.

მართვის ყველა დონეზე კონტროლის მეშვეობით ხორციელდება ობიექტის ფუნქციონირების პროცესისა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესაბამისობის შემოწმება, რომელიც მისაღებია კონტროლის ყველა სუბიექტისათვის, მათი ინტერესებისა და საქმიანობის მასშტაბების მიუხედავად.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში ბოლო წლებში სახელმწიფო ფინანსურ კონტროლთან დაკავშირებით მოხდა ძირეული ცვლილებები, შეიცვალა მისი სტრუქტურული და ორგანიზაციული სახე, რამაც საბიუჯეტო სისტემაში დღის წესრიგში დააყენა ბიუჯეტის შესრულების პროცესში კონტროლის ახალი მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. გამოიკვეთა საქართველოს კორპორაციების (საწარმოების) მართვის მექანიზმში ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკის ადაპტირება-დამკვიდრებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ნორმალური ფუნქციონირების რეგულირებას, საკუთრების ყველა ფორმის კანონიერებასა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დაცვას უზრუნველყოფს.

მსოფლიო ვითარდება ერთიანი სისტემის ჩარჩოებში, რომელსაც აქვს საკუთარი ლოგიკა და დინამიკა. მისი უმთავრესი თვისებაა ტრანსნაციონალური სტრუქტურებისა და ეროვნული ეკონომიკური სივრცეების არსებობა. გლობალური ეკონომიკის ფორმირებადი ერთიანი სისტემა წარმოადგენს არა მხოლოდ ეროვნული მეურნეობების და ტნკ-ს ჯამს, არამედ თვითორგანიზებად სისტემას, რომელიც წარმოიქმნება ეროვნული სახელმწიფოების და ტნკ-ს ურთიერთობების ერთობლიობით. ტრანსნაციონალიზაციის დაჩქარებული პროცესები არ ანადგურებენ ეროვნულ ეკონომიკებს, თუმცა ხელს უწყობენ მათ ტრანსფორმაციას და გარდაქმნას. ძლიერდება ფასწარმოქმნის, მოხმარების, ტექნიკის, ინფორმაციის, კულტურის, ცხოვრების წესის და იდეების „პლანეტარული" სისტემის ფორმირების ტენდენციები.

იმ შემთხვევებში, როდესაც ტრანსნაციონალური კაპიტალის ინტერესები ობიექტურად ემთხვევა გარკვეული სახელმწიფოების ინტერესებს, მას შეუძლია უზრუნველყოს ისინი მნიშვნელოვანი უპირატესობით საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის პირობებში. ამავე დროს, ნებისმიერი სახელმწიფო უნდა ითვალისწინებდეს შესაძლო კონფლიქტებს თავინთი ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანებსა და ეროვნული და უცხოური ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგიებს შორის, რომლებიც შეიძლება არ ემთხვეოდეს ზოგიერთი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პრიორიტეტებს.

საბაზრო იდეოლოგია ეკონომიკაში უნდა შეიცვალოს სახელმწიფოს გაბედული მონაწილეობის პარადიგმით. გლობალური ფინანსური კრიზისების წარმოშობა იწვევს არსებული პარადიგმის მკვეთრ ცვლილებას. ამჟამად დღის წესრიგში აქტუალურად დგას კორპორატიული მართვის ახალ შეხედულებათა ერთობლიობის შექმნის ამოცანა, რომელშიც კომპანიების მოგების მაქსიმიზაცია და მენეჯერთა აქტივობა გადაინაცვლებს გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაზე, რომელსაც მიებმება მმართველთა სტიმულირების მექანიზმი. ახალ პარადიგმაში ასევე აისახება პასუხისმგებლობა დანაკარგებზე, რომლებიც კომპანიებმა მენეჯერთა მხრიდან შეიძლება განიცადონ რისკიანი ოპერაციების განხორციელების გამო.

ქვეყანის მაკროეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია ბუღალტრული აღრიცხვის და კონტროლის როლი. მის სრულყოფას შეუძლია მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულოს ეკონომიკის განვითარების სტიმულირებისათვის და ფინანსური ანგარიშგების სანდოობისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მექანიზმების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებაში. აღნიშნული განაპირობებს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ფუნ-

ქციონირების რეგულირებას, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დაცვას.

დასკვნა

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში ტნკ-ების მნიშვნელობის, მათი თავისებურებების, წარმოქმნის თეორიული საფუძვლების, არსისა და ტიპოლოგიის განხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1. თანამედროვე მსოფლიო ვითარდება ერთიანი სისტემის ჩარჩოებში, რომელსაც აქვს საკუთარი ლოგიკა და დინამიკა. მისი უმთავრესი თვისებაა ტრანსნაციონალური სტრუქტურების და ნაციონალური ეკონომიკური სივრცეების არსებობა.

2. გლობალური ეკონომიკის ფორმირებადი ერთიანი სისტემა წარმოადგენს არა მხოლოდ ნაციონალური მეურნეობების და ტნკ-ს ჯამს, არამედ თვითორგანიზებად (გარკვეულ დონეზე) სისტემას, რომელიც წარმოიქმნება ნაციონალური სახელმწიფოების და ტნკ-ს ურთიერთობების ერთობლიობით.

3. ტრანსნაციონალიზაციის დაჩქარებული პროცესები არ ანადგურებენ ნაციონალურ ეკონომიკებს, თუმცა ხელს უწყობენ მათ ტრანსფორმაციას და გარდაქმნას. ძლიერდება ფასწრმოქმნის, მოხმარების, ტექნიკის, ინფორმაციის, კულტურის, ცხოვრების წესის და იდეების „პლანეტარული“ სისტემის ფორმირების ტენდენციები.

4. გლობალური განვითარების ლოგიკა მოითხოვს ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის მექანიზმებისა და ეროვნული საბუღალტრო აღრიცხვა-კონტროლის სისტემის ჰარმონიზაციას.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [SP-2-21-162].

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. მონოგრაფია. თბ. 2005;

2. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა. თბ., 2007;

3. მანველიძე ი. ტრანსნაციონალური კომპანიები ამერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009;

4. ოთინაშვილი რ. ეროვნული უსაფრთხოება. ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები. თბ., 2005;

5. სულაშვილი გ., აბრალავა ა., ფაილოძე ნ. კომპანიის მართვის ცენტრალიზაცია, სამეცნიერო ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა” XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, #6(10) 2010;

6. ლიპარტია ზ. ბიზნესის ანალიზი და განვითარების პროგნოზირება, თბილისი 2019 წ.;

7. Шагурин С.В., Шимко П.Д. Экономика транснационального предприятия, Санкт-Петербург, 2008. С.16;

8. Grazia Letto-Gillies, Transnational Corporation and International Production, Published by Edward Elgar Publishing Limited Glensanda House. Massachusetts, 2005. P.6;

9. http://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=report_30&lang=ka&search10=25-09-2015;

10. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri.

უკრაინაში ომის ექო საქართველოს ეკონომიკაზე

ნათია კურდღელია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ნათელა ვაშაკიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
აწსუ პროფესორი

ანოტაცია

უკრაინაში მიმდინარე ომმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ნეგატიურად იმოქმედა გლობალურ ეკონომიკაზე - უპირატესად აზარალა ქვეყნებს შორის ვაჭრობა და ინვესტიციები. მათ შორის საქართველომაც, როგორც გლობალურ ეკონომიკასთან ღრმად ინტეგრირებულმა სახელმწიფომ, მძიმე დარტყმა მიიღო. ომის სასტიკი გამოვლინებები მძიმე ტვირთად აწვება მშვიდობიან მოსახლეობას - გაძვირდა ენერგომატარებლები, სამომხმარებლო და სამრეწველო პროდუქცია.

ნაშრომში განხილულია ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, წარმოქმნილი პრობლემები და გამოწვევები.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ინტეგრაცია, სანქციები, ექსპორტი, იმპორტი, ინფლაცია.

ECHO OF THE WAR IN UKRAINE ON THE GEORGIAN ECONOMY

Natia Kurdgelia
Academic Doctor of Economics
Natela Vashakidze
Academic Doctor of Economics, Atsu Professor

ANNOTATION

The ongoing war in Ukraine, as expected, had a negative impact on the global economy - mainly affecting trade and investment between the two countries. Among them, Georgia, as a country integrated with the global economy, received a heavy blow. The brutal effects of the war are a heavy burden on the civilian population - energy prices, consumer goods and industrial products have risen.

The paper discusses the impact of the war on the Georgian economy, the problems and challenges.

Keywords: economic integration, sanctions, exports, imports, inflation.

ძირითადი ტექსტი

Covid-19-თან დაპირისპირებით ქანცგაცლილ მსოფლიოს ახალი თავსატეხი გაუჩნდა - უკრაინაში მიმდინარე ომი გლობალურ პრობლემას უქმნის კაცობრიობას... საომარი მოქმედების დაწყებიდან საკმაო დროა გასული, თუმცა დასასრული არ უჩანს ნგრევას, ადამიანების სიცოცხლეზე დამუქრებულ სისასტიკეს. რუსული აგრესია უკრაინის ტერიტორიაზე პირწმინდად სპობს, ანადგურებს ადამიანების საცხოვრისს, მატერიალურ და კულტურულ ფასეულობებს, ადამიანთა კეთილდღეობისა და განვითარებისათვის განკუთვნილ რესურსებს.

უკრაინაში მიმდინარე ომის გაღვივებას თავისი პოლიტიკური საფუძვლები აქვს და გლობალური ინტერესებითაა აალებული. როგორი საბაბიც არ მოუძებნოთ, ფაქტია, რომ დღეს მეზობლები, საერთო წარმომავლობის, სარწმუნოების, ერთიანი წარსულის, ერთდროს ერთიან პოლიტიკურ ბანაკში მყოფი, თანამოაზრე, ეკონომიკურად გადაჯაჭვული სამი ქვეყანა - რუსეთი, ბელორუსი და უკრაინა ერთმანეთს შიგნით სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა, გარედან კი რუსეთის იმპერიულმა მისწრაფებებმა სხვა ქვეყნები „აღაშფოთა“ და საომარ მოქმედებებში პირდაპირი ჩართვის გარეშე, უკრაინას სოლიდარობას უცხადებენ. ომი უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, თუმცა შენიღბული ფორმით, მასში გლობალური ინტერესების სამხედრო ინდუსტრიაც აქტიურადაა ჩართული.

პოლიტიკური შემადგენელის გარდა, ამ ომს ეკონომიკური მიზანსწრაფულობაც გააჩნია - მსოფლიოს ლიდერი ქვეყნები ახალი გლობალური წესრიგისა და ენერგომატარებლებზე გავლენების გადანაწილებისთვის იბრძვიან. ამ დაუნდობელ შერკინებაში ომის ყველა საშუალება და ფორმა გამოიყენება - იარაღი, პროპაგანდა, სანქციები...

საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად მებრძოლი უკრაინელი ხალხის მიმართ სოლიდარობას „აღშფოთებული“ მსოფლიოს ლიდერი ქვეყნები იარაღის მიწოდებითა და რუსეთის წინააღმდეგ სრულმასშტაბიან სანქციებზე მიერთებით გამოხატავენ. სანქციები არის ერთ-ერთი ის უკიდურესი ზომა, რომელიც რუსეთის ეკონომიკაზე, ინდივიდუალური მოქალაქეების ფინანსებზე ზიანის მიყენებას ისახავს მიზნად. ეს უკანასკნელი ჰიბრიდული ომის ახალი სახეობაა, რომლითაც მასში ირიბად ჩართულ სახელმწიფოებს რუსეთის მალე დასუსტებისა და ზღვარსგასული დაპირისპირების დასრულებისთვის ერთიანი ფრონტით, შეთანხმებულად უნდა ემოქმედათ. თუმცა სანქციების გამოყენების მიმართ მოსაზრებები ერთნაირი არ არის.

პლანეტის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო, ჩინეთი იმთავითვე არ დაეთანხმა რუსეთის მიმართ საკითხების სანქციებით გადაჭრას, მით უმეტეს, ცალმხრივი,

საერთაშორისო სამართლის საფუძვლის გარეშე. **„სანქციები არა მხოლოდ არ აგვარებს პრობლემებს, არამედ შექმნის ახალს“**, ნათქვამია ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

სანქციების გამოყენებაზე არ არსებობს აზრთა ერთიანობა თავად ევროკავშირის შიგნითაც. - თუ პოლონეთი რუსეთის წინააღმდეგ ყველაზე რადიკალური ნაბიჯების მომხრეა, უნგრეთი, პირიქით, ფეხს ითრევს და ცდილობს ამ მხრივ მინიმალური აქტიურობა გამოავლინოს.

ევროკომისიის პრეზიდენტმა **ურსულა ფონ დერ ლაიენმა** განაცხადა, რომ „ევროკავშირი იძულებულია, იყიდოს ნავთობი რუსეთიდან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდენტი პუტინი ენერგოპროდუქტების მყიდველებს სხვა ბაზრებზე იპოვის და კიდევ უფრო მეტ თანხებს გამოიმუშავებს. ჩვენ ყოველთვის უნდა ვიპოვოთ სწორი ბალანსი, რომ ჩვენს ეკონომიკას დიდი ზიანი არ მივაყენოთ. თუ ჩვენ დღეიდან რუსულ ნავთობზე სრულად ვიტყვით უარს, მაშინ პუტინი სავარაუდოდ, შეძლებს მის გაყიდვას მსოფლიო ბაზარზე, სადაც ფასები გაიზრდება და მეტს გამოიმუშავებს. ეს მის საომარ სახსრებს შეავსებს. ასე, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან სტრატეგიული ამ საკითხთან დაკავშირებით“.

ამ განცხადებაში რამდენიმე საყურადღებო აქცენტია გაკეთებული: მსოფლიო ბაზარი ერთიანი არ არის და სანქციების გამოყენების დირექტივებით არ იმართება; ევროპის (და არამარტო ევროპის) ეკონომიკას ზარალი უკვე ადგას და აქედან ზიანი გაცილებით მეტი შეიძლება იყოს; აუცილებელია გამოსავალი მოიძებნოს.

სხვა აზრი ალბათ არ არსებობს, რომ სანქციების გამოყენებას ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში შეუძლია რუსეთი ეკონომიკა დაასუსტოს და ომის გაგრძელების სცენარებზეც იმოქმედოს. მაგრამ ფაქტობრივი გარემოებები იმასაც ადასტურებენ, რომ რუსეთი ეკონომიკა ჯერ კიდევ დგას, არ ჩამოშლილა, რუბლი სტაბილურდება, საომარი მოქმედებებიც არ შეწყვეტილა. ყველა გრძნობს და ამჩნევს, რომ სანქციები მძიმედ ურტყამს ჩვეულებრივ ადამიანს, რიგით მოქალაქეს, რომელსაც არ სურს ომი და არც გაუაზრებელ სახელმწიფო პოლიტიკას უჭერდეს მხარს, მით უფრო, როცა სანქციების ეფექტიანობა ბოლომდე არცაა გასაგები. სანქციების ზეგავლენა, პირდაპირ თუ ირიბად, ყველა სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოს და მის ეკონომიკას აზიანებს.

დღევანდელი გლობალური კავშირურთიერთობებით, ურთიერთვალდებულებებით და დამოკიდებულებით „დაქსელილ“ მსოფლიოში ტრადიციული კავშირურთიერთობების გაწყვეტა და ახლის მოძიება საარაკოდ ძვირი ჯდება და მიზანშეწონილობაც უმნიშვნელოა. თანდათან უფრო ცხადი ხდება, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში არც სანქციებმა იმუშავა ჩაფიქრებული მიმართულებით. პირიქით, - ამ სანქციებს უფრო სასტიკი უკურეაქცია და გვერდითი მოვლენები განუვითარდა - ომის ყველა ეს სახე თუ ფორმა, პირდაპირი დანიშნულების გარდა, უპირატესად, მშვიდობიანი მოსახლეობის ყოფით პირობებზე ახდენს გავლენას და მათ მძიმე ტვირთად აწვება. ომის გავლენის „ჰუმანური“ გამოვლინებები უკვე სახეზეა - ენერგომატარებლები, სამომხმარებლო და სამრეწველო პროდუქცია უპრეცენდენტოდაა გაძვირებული.

გლობალური ინტერესის შესაბამისი ახალი წესრიგის დამყარების მხარდამჭერთათვის უფრო შორსმიმავალი გეგმებია საორიენტაციო. ამ მიზნებისთვის უმნიშვნელოა ის, რომ რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი მსოფლიო ინტეგრაციული ერთობის ნაწილია და აქედან გამომდინარე, მათ კავშირურთიერთობიდან გამოთიშვას ისედაც მძიმე შედეგები ექნებოდა, მით უფრო, ომის დროს სპეკულაციური მანქანა უფრო მძიმედ „გრუხუნებს“.

სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს საქართველოს ეკონომიკაზეც აქვს გავლენა. რუსეთი, უკრაინა და ბელარუსი საქართველოსთან ეკონომიკურ ურთიერთობაში მჭიდროდ არიან ინტეგრირებული და სავაჭრო საქონელბრუნვა ამ ქვეყნებთან არსებითია. ეს ურთიერთობები (უფრო მეტად კი რუსეთთან) ეკონომიკურის ფარგლებს სცილდება და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოწვევაა. საფრთხის რეალობა მით უფრო საყურადღებოა, რადგან რუსეთის ბაზარი, პოლიტიკური რყევების გამო, სანდო არ არის და შესაძლოა, ჩაიკეტოს. აღნიშნულის დასტურია ის რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში რუსეთმა არაერთხელ გამოიყენა ეკონომიკური ბერკეტები საქართველოს წინააღმდეგ - გარკვეული პერიოდი ბუნებრივი აირის და ელექტროენერგიის მოწოდება შეგვიწყვიტა; შემდეგ საქართველოდან რუსეთში პროდუქციის ექსპორტი აიკრძალა; საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია დაიწყო. რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით ფრენები ახლაც არ ხორციელდება და ა.შ. ამდენად, სულ უფრო აქტუალური ხდება ვიცოდეთ, საქართველოს ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულების დონე და ტენდენცია. ამიტომ ამ დამოკიდებულების ანალიზი, მათ შორის, უშუალოდ ომით განპირობებული და რუსეთის მიმართ სანქციებით წარმოქმნილი საფრთხეების იდენტიფიცირება და მათი მინიმუმამდე დაყვანა გადაუდებელი საპროგრამო ამოცანაა.

ჯერ კიდევ ადრეა უკრაინაში მიმდინარე ომის გავლენების შედეგებზე მსჯელობა - ეს მხოლოდ ომის დამთავრებისა და ახალი გარემოებების, განვლილი პერიოდის ეკონომიკური მაჩვენებლების ზუსტ სტატისტიკაზე დაყრდნობით იქნება შესაძლებელი, თუმცა მანამდე ინტერესმოკლებული არ იქნება ვნახოთ, დღეს რა ეკონომიკური კავშირებია საქართველოსა და რუსეთ-უკრაინას შორის და რა საფრთხეები შეიძლება გამორიყოს ზღვარს გაცდენილმა ომის მასშტაბებმა.

გვინდა თუ არა, ან მოსწონს თუ არა ეს აგრესიულ ოპონენტს, რუსეთი, უკრაინა და ბელორუსი საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორები არიან. ამდენად, სულაც არაა აღმოჩენა, რომ „პარტნიორებთან“ მიმდინარე დაპირისპირება საქართველოზეც ნეგატიურად იმოქმედებს.

აღნიშნულ ქვეყნებთან დამოკიდებულებას განსაზღვრავს საგარეო ვაჭრობა, ტურიზმი და ემიგრანტების მიერ გადმორიცხული ფულადი გზავნილები. მართა-

ლია, ბოლო წლებში ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის იმპორტში რუსეთს მნიშვნელოვანი წილი უკვე აღარ უჭირავს და არც რუსეთიდან ინვესტიციებია საყურადღებო - სტრატეგიული ობიექტების შესყიდვა რუსეთმა 2012 წლამდე მოახერხა და ამ ობიექტების მეშვეობით რუსეთთან მიჯაჭულობა ანგარიშგასაწევია. გაცხადებულის და ციფრებში გამოხატულის გარდა, ფაქტია, რომ რუსეთს კიდევ უფრო მეტი გავლენა აქვს საქართველოზე, რომელიც ყოველდღიურობაში არ ჩანს. აქედან გამომდინარე, უკრაინაში მიმდინარე ომის გამო, მოსალოდნელიცაა, რომ საქართველო გარკვეულ შემოსავალს ნამდვილად დაკარგავს. გარდა ამისა, მდგომარეობას ამძიმეს ის გარემოება, რომ საომარი მოქმედებები მიმდინარეობს შავი ზღვიდან მისაზღვრე ქვეყანაში, შესაბამისად, საომარ მდგომარეობაში მყოფი რეგიონი ინვესტიციებისთვის მიმზიდველი არ არის; ნატოს გაფართოების მიმართ რუსეთის მიერ დასავლეთზე წაყენებული ულტიმატუმი უკრაინასთან ერთად საქართველოსაც ეხება და ეს დამშვიდების საბაბს ნამდვილად არ იძლევა; რაც მთავარია, ფართომასშტაბიან ომი და რუსეთისთვის დაწესებული სანქციები მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება.

რუსეთი, ბელორუსი და უკრაინა საქართველოდან ერთ-ერთი მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია. პანდემიის გამო მცირე შეფერხების გარდა, ამ ურთიერთობებს ბოლო წლებში აღმავალი დინამიკა ახასიათებს (ცხრილი 1).

ფაქტობრივად, იგივე თანაფარდობა გრძელდება მიმდინარე წელსაც (ცხრილი 2):

ან დინამიკაშიც შეინიშნება და ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ ეკონომიკურად საქართველო რუსეთზე გაცილებით მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე უკრაინაზე.

რუსეთი საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი ექსპო-

ცხრილი 1

საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით 2017 - 2021 წლებში (ათ. აშშ დოლარი)

ქვეყნები	წლები				
	2017	**2018**	**2019**	**2020**	**2021**
რუსეთი	397 853,6	437 749,3	496 974,5	441 105,0	610 026,7
უკრაინა	127 361,9	179 520,2	250 923,6	217 524,3	307 309,4
ბელორუსი	27 547,3	28 445,8	44 058,0	47 305,0	59 442,4
წილი საქართველოს ექსპორტში, %					
რუსეთი	14,5	12,9	13,1	13,2	14,4
უკრაინა	4,6	5,3	6,6	6,5	7,2
ბელორუსი	1	0,8	1,1	1,4	1,4

ცხრილი 2

საქართველოს ექსპორტი ქვეყნების მიხედვით 2022 წლის იანვარ-აპრილში (ათ. აშშ დოლარი)

ქვეყნები	**იანვარი**	**თებერვალი**	**მარტი**	**I კვარტ.**	**აპრილი**
რუსეთი	42 684,0	50 194,2	16 958,1	**109 836,2**	46 607,1
უკრაინა	31 629,0	15 952,7	1 839,9	**49 421,6**	3 544,2
ბელორუსი	4 642,0	4 445,4	5 196,2	**14 283,7**	2 922,9
წილი საქართველოს ექსპორტში, %					
რუსეთი	5,3	4,9	1,9	**4,0**	4,9
უკრაინა	3,9	1,5	0,2	**1,8**	0,4
ბელორუსი	0,6	0,4	0,5	**0,5**	0,3

წყარო: საქსტატი

საქართველოს ექსპორტი რუსეთში

დიაგრამა 1.



უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში 2022* წლის იანვარ–აპრილში



წყარო: საქსტატი

რტიორია და ეს დინამიკა წლების მიხედვით მზარდია.

2021 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტი 38%-ით გაიზარდა და 610 026,7 ათას დოლარს მიაღწია. ამ მხრივ, ის მხოლოდ ჩინეთს ჩამორჩება. შედეგად, სახეზეა, რომ რუსეთი საქართველოს მეორე უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი გახდა – მისი წილი მთლიან ექსპორტში 14.4%-ია. მიმდინარე წელს კი ექსპორტის მაჩვენებელი შემცირდა და პირველ რიგში, ეს რუსეთსა და უკრაინაში საომარი მოქმედებების, ფინანსური და ეკონომიკური სანქციების და რუბლის დევალვაციის გამო მოხდა;

ეს დინამიკა თვალნათლივ ჩანს წარმოდგენილ 1 და 2 დიაგრამებში.

არანაკლებ საინტერესოა რუსეთთან, ბელარუსთან და უკრაინასთან საიმპორტო დამოკიდებულება (ცხრილი 3):

ცხრილი 3

საქართველოს იმპორტი ქვეყნების მიხედვით 2017 - 2021 წლებში (ათ. აშშ დოლარი)

ქვეყნები	წლები				
	2017	**2018**	**2019**	**2020**	**2021**
რუსეთი	789 556,7	934 715,8	977 118,1	888 445,8	1 022 571,3
უკრაინა	447 204,5	514 880,8	415 619,5	390 508,7	451 833,7
ბელორუსი	66 949,6	58 700,1	50 481,3	50 144,7	52 140,7
წილი საქართველოს იმპორტში %					
რუსეთი	4,9	4,7	5,2	5,5	6
უკრაინა	1,6	1,9	2,6	2,7	3,0
ბელორუსი	0,3	0,3	0,4	0,5	0,6

ცხრილი 4

საქართველოს იმპორტი ქვეყნების მიხედვით 2022 წლის იანვარ-აპრილში (ათ. აშშ დოლარი)

ქვეყნები	**იანვარ-აპრილი**	**იანვარი**	**თებერვალი**	**მარტი**	**I კვარტ.**	**აპრილი**
რუსეთი	**403 262,2**	85 948,1	95 954,6	92 010,5	**273 913,1**	129 349,0
უკრაინა	**92 996,4**	33 838,9	35 223,7	11 248,9	**80 311,5**	12 684,9
ბელორუსი	**19 293,3**	4 727,2	5 142,0	3 010,1	**12 879,3**	6 414,1
წილი საქართველოს იმპორტში %						
რუსეთი	4,3	5,3	4,9	1,9	4,0	4,9
უკრაინა	1,4	3,9	1,5	0,2	1,8	0,4
ბელორუსი	0,4	0,6	0,4	0,5	0,5	0,3

წყარო: საქსტატი

როგორც ცხრილიდან ჩანს, აქაც მზარდია დინამიკა. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნებზე დამოკიდებულება იზრდება. ამასთან, ყურადღებას იპყრობს ის რომ საქართველოს რუსეთთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს, ანუ უფრო მეტი პროდუქცია შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს. 2021 წელს რუსული პროდუქციის იმპორტი 1 022571 ათას აშშ დოლარს გადასცდა. ამ დინამიკაში საგანგაშო ისაა, რომ იმპორტირებულ საქონელში ყველაზე დიდი პროცენტი ბენზინსა და ხორბალს უჭირავს. საქართველოს რუსულ ხორბალზე მაღალი დამოკიდებულება გააჩნია. 2021 წელს 87 მლნ დოლარის ღირებულების 319 ათასი ტონა ხორბალი შემოვიტანეთ, რაც საქართველოში იმპორტირებული ხორბლის 94%-ია. ხოლო ხორბლის ფქვილის იმპორტში რუსეთს 96%-იანი წილი უჭირავს. სხვა ქვეყნების ხორბლის შესყიდვა, ბაზარზე ჩამოყალიბებული საერთაშორისო ფასების გამო, მნიშვნელოვნად გააძვირებს პურს.

უკრაინაში მიმდინარე ომის პირველმა თვემ იმპორტის მაჩვენებლებში საგრძნობი ვარდნა დააფიქსირა - სამივე ქვეყნიდან მკვეთრად დაეცა იმპორტის მოცულობა, თუმცა მიმდინარე წლის აპრილის თვეში კვლავ აღმავალი ტენდენცია შეინიშნება (ცხრილი 4).

უმსხვილეს საიმპორტო ქვეყნებს შორის, რუსეთი მეორე ადგილზეა თურქეთის შემდეგ და ჩინეთსაც კი მნიშვნელოვნად უსწრებს. ეს ტენდენცია კარგად ჩანს წარმოდგენილ დიაგრამაზე №4.

რუსეთ-უკრაინიდან და ბელორუსიდან საქართველოში შემოსავლების სხვა ძირითადი წყაროების ტურისტების მიღება და ფულადი გზავნილები. ამ პოზიციების მიხედვით, მიმდინარე წლის იანვარ აპრილში შემოსავლებმაც მნიშვნელოვნად იკლო (დიაგრამა №5).

რუსეთისგან განსხვავებით, უკრაინის ეკონომიკაზე საქართველო ნაკლებადაა დამოკიდებული. უკრაინას საქართველოს ექსპორტში მე-5 ადგილი უჭირავს.

საქართველოში შემოსული ვიზიტორების მხრივ უკრაინა მე-4 ადგილზეა. მთლიან გზავნილებში უკრაინის წილი 4%-ია.

დიაგრამა 4



დიაგრამა 5



წყარო: საქსტატი

ჯამში, უკრაინიდან ექსპორტით, ტურიზმით და ფულადი გზავნილებით საქართველომ 2021 წელს 500 მლნ დოლარამდე შემოსავალი მიიღო. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველო-უკრაინის ურთიერთობები გაფუჭდეს, თუმცა ეკონომიკური კავშირები უთუოდ გაუარესდება, რადგან ყველა ნიშნის მიხედვით, მიმდინარე ომი უკრაინის ეკონომიკურ პოტენციალს ანადგურებს (საუბარია 2022 წელს ამ ქვეყნის მშპ-ის 35-პროცენტიან შემცირებაზე) და აქედან თავდაღწევას რამდენიმე წელი დასჭირდება.

ყველაზე ნაკლებად საფრთხე საქართველო-ბელორუსის ეკონომიკურ ურთიერთობებს შეეხება, თუმცა ცალკეულ მაჩვენებლებში დინამიკა აქაც გაუარესდა.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი, რომ შევჯერდეთ: უკრაინაში მიმდინარე ომი, თავისი, მასშტაბებითა და შედეგებით, უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკაზე და უწინარესად, ეს მოსახლეობის კეთილდღეობაზე უკვე პოულობს პირდაპირ ასახვას.

მძიმე შედეგები განპირობებულია, როგორც ომის გამო, რომელიც ანადგურებს ყველაფერს, რაც ადამიანს და ცივილიზაციას შეუქმნია, ისე გაუაზრებელი სანქციებით. სანქციები გავლენას ახდენენ ბიზნეს-სექტორზეც და აქედან გამომდინარე, იმოქმედებს კონტრაქტების შესრულებაზე. დაძაბული და საომარი მოქმედებების გამო, გარკვეული პერიოდით, როგორც ექსპორტი, ასევე საინვესტიციო პროექტებიც გაჩერდება.

ომისა და სანქციების გარდა, ისედაც მძიმე მდგომარეობას ამძიმებს სპეკულაციური და პანიკური დი-

ნებები, რომელიც ასეთი არასტაბილურობის მუდმივი თანამგზავრია.

შედეგების გაუარესება პირდაპირაა დამოკიდებული ომის დასრულებაზე და კონფლიქტის მოგვარების გზებზე. უკრაინისთვის იარაღის მოწოდება და უკრაინელი ხალხის შეგულიანება ომის შეწყვეტისკენ არაა მიმართული და მეტ დამანგრეველ მუხტს შეიცავს. დღეს ამ მიმართულებით პროგნოზირება საფუძველს მოწყვეტილი იქნება.

ომის მიმდინარეობამ უკვე გამოკვეთა საფრთხეები, რომელიც უალტერნატივო იმპორტდამოკიდებულებას ახლავს და აუცილებელია ამ საფრთხეების განეიტრალება.

ყველაზე დიდი საფრთხე კი სამომხმარებლო და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების ზრდაა.

საქსტატის თანახმად, მაისის მონაცემებით, წლიური ინფლაცია 13,3%-ია, ხოლო სურსათსა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები 22.0 პროცენტითაა გაზრდილი, რაც წლიურ ინფლაციაზე 6.88 პროცენტული პუნქტით აისახა. ყველაზე მეტად ერთ წელიწადში ბოსტნეული და ბაღჩეული (51.1 პროცენტით), პური და პურპროდუქტები (34.5 პროცენტით),ზეთი და ცხიმი (17.7 პროცენტით,) რძე, ყველი და კვერცხი (16.0 პროცენტით), შაქარი, (15.4 პროცენტით), ხორცი და ხორცის პროდუქტები (9.6 პროცენტი) გაძვირდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო, საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები და რუსული კომპანიები საქართველოში, 2022, https://www.transparency.ge/ge/post/sakartvelos-ekonomikuri-damokidebuleba-rusetze-vachroba-turizmi-puladi-gzavnilebi-da-rusuli#_edn2;

2. თ. გელანტია, ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, 2022, Business Media Georgia, https://bm.ge/ka/article/omis-gavlena-saqartvelos-ekonomikaze-irakli-kovzanadze-7-faqtors-asaxelebs/104720 FacebookTwitterEmailPecypc;

3. იური პაპასქუა, ომი უკრაინაში... გლობალური ინტერესების სასტიკი გამოვლინებები, საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი", 13.05.2022;

4. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti

5. https://businessformula.ge/News/6610

6. http://exclusivenews.ge/post/305181

7. https://rustavi2.ge/ka/news/223196

8. https://reginfo.ge/politics/item/25349-rusetisadmi-sanqziebs-saqartvelo-avtomaturad-uertdeba-ekonomikis-eqspertebi

ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 2 - გარიგების ხარისხის მიმოხილვა - სიახლეები, გამოყენების პერსპექტივა

რეზიუმე

წარმოდგენილ ნაშრომი ეხება 2020 წლის დეკემბერში, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) მიერ განახლებულ სტანდარტს. დოქტორამტი ახდენს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის (ხმსს) 2 - გარიგების ხარისხის მიმოხილვას, აღწერს მასში შესულ სიახლეებს და გამოყენების პერსპექტივას.

INTERNATIONAL QUALITY MANAGEMENT STANDARD (IAS) 2 - TRANSACTION QUALITY REVIEW - NEWS, APPLICATION PERSPECTIVE

Teimuraz Partskhaladze
PhD student at Sokhumi State University

თეიმურაზ ფარცხალაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

RESUME

This paper addresses an updated standard by the International Standards on Auditing and Assurance Services (IAASB) in December 2020. The PhD reviews the International Quality Management Standard (IFRS) 2 - transaction quality, describes its innovations and prospects for use.

შესავალი

2020 წლის დეკემბერში, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) გამოუშვა ხარისხის მართვის სამი ახალი და განახლებული სტანდარტი. აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის მიდგომის გაძლიერება და მოდერნიზება: ISQM 1, ISQM 2 და ISA 220 (შესწორებული), ხარისხის მართვა ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის.

მაღალი ხარისხის აუდიტის, მარწმუნებელი მომსახურების და სხვა დაკავშირებული სტანდარტების შემუშავებით, IAASB-ს მიზნად ისახას ემსახუროს საზოგადოების ინტერესებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების კონვერგენციის ხელშეწყობით, ამგვარად აუმჯობესებს რა პროფესიონალი ბუღალტრების საქმიანობის ხარისხსა და ერთგვაროვნებას მთელ მსოფლიოში და განამტკიცებს საზოგადოების ნდობის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების პროფესიის მიმართ საერთაშორისო დონეზე.

IAASB შეიმუშავებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტებსა და სახელმძღვანელო მითითებებს ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის სტანდარტების შემუშავების კომპლექსური პროცედურული პროცესის მეშვეობით, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესების საზედამხედველო საბჭოსა და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს კონსულტანტ-მრჩეველთა ჯგუფის მონაწილეობას, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB მიერ გამოცემულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო მითითებებში. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის მხარდაჭერას და დახმარებას.

ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი 2 (ხმსს 2) (ISQM 2) განსაზღვრავს:

- სამუშაოს ხარისხის მიმომხილველის დანიშვნას და უფლებამოსილებას; და
- სამუშაოს ხარისხის მიმომხილველის პასუხისმგებლობას, რომელიც დაკავშირებულია მიმოხილვის შესრულებასთან და ხარისხის მიმოხილვის დოკუმენტაციასთან.

მოთხოვნები აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვასთან დაკავშირებით ამჟამად მოცემულია არსებულ ISQC 1-ში და ISA 220-ში. როდესაც ახალი სტანდარტი ამოქმედდება, ISQM2 შეცვლის არსებულ დებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია აუდიტორიული პროექტის ხარისხთან მიმოხილვები ISQC 1-ში და ISA 220-ში. არსებობს შესაბამისი ცვლილებები რიგ ISA-ებში და მათთან ISQM 2-ში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მიღებული მასალა, რომელთაგან არცერთი არ განიხილება არსებითად.

აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვის ცალკე სტანდარტის ქონა უზრუნველყოფს უამრავ სარგებელს, მათ შორის:

- აქცენტის გამახვილება აუდიტორიული პროექტის ხარისხის განხილვის მნიშვნელობაზე;

• მოთხოვნების გაძლიერება სამუშაოს ხარისხის მიმომხილველთათვის და შესაბამისი სამუშაოს შესრულება და დოკუმენტაცია;

• მექანიზმის უზრუნველყოფა, რათა უფრო მკაფიოდ განასხვავოს ფირმის პასუხისმგებლობა აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველმა; და

• ISQM 1-ის მასშტაბურობის გაზრდა, რადგან შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც ფირმამ შეიძლება განსაზღვროს, რომ არ არსებობს აუდიტი ან სხვა მარწმუნებელი პროექტები, რომლებისთვისაც სამუშაოს ხარისხის მიმოხილვა პასუხობს ერთი ან მეტი ხარისხის რისკს.

ISQM 2 უნიკალური სტანდარტია, რადგან ის ეხება მრავალი მხარის პასუხისმგებლობას (მაგ., ფირმას და აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველი). თუმცა, ვინაიდან აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველი მოქმედებს ფირმის სახელით, სტანდარტის მიზანი ჩამოყალიბებულია როგორც ფირმის მიზანი. სტანდარტის მიზანში გაიგივებულია როგორც ფირმის მიზანი, რადგან აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვა არის ფირმის სპეციფიკური პასუხი, რომელიც ხორციელდება აუდიტორიული პროექტის დონეზე. ასევე მიზანი ისახავს იყოს შედეგზე ორიენტირებული ,ანუ სასურველ შედეგზე ორიენტირებული სტანდარტის მოთხოვნების გამოყენება და არა ამ მოთხოვნების „აღმასრულებელი რეზიუმე“.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და მნიშვნელოვანი საკითხების ცნებები განხილულია ISA 220-ში და ISA 230, აუდიტის დოკუმენტაცია, შესაბამისად. აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველი ISQM 2-ში აუდიტორიული პროექტის გუნდის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმოხილვას შეესაბამება მიდგომა, რომელიც მიღებულია მომსახურე პარტნიორის მიერ აუდიტის დოკუმენტაციის განხილვასთან დაკავშირებით ISA 220-ში. აქედან გამომდინარე, ISQM 2 მოიცავს მასალას A35-A36 პუნქტებში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ამ სტანდარტებზე. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარდა სხვა ვალდებულებებისთვის, მნიშვნელოვანი განსჯები, რომლებიც გამოტანილია აუდიტორიული პროექტის გუნდის მიერ შეიძლება დამოკიდებული იყოს სამუშაოს ან სუბიექტის ბუნებასა და გარემოებებზე, როგორც მითითებულია ISQM 2-ის A37 პუნქტში.

ISQM 2 აღიარებს, რომ აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველი არ მუშაობს პროფესიონალურ სკეპტიციზმით, რადგან ეს ტერმინი ზოგადად გამოყენებულია მტკიცებულებათა მოპოვებისა და შეფასებისას. ISQM 2-ის მე-9 პუნქტი მიუთითებს, რომ აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველი არ არის აუდიტორიული პროექტის ჯგუფის წევრი და არ მოეთხოვება მტკიცებულებების მოპოვება მოსაზრებების ან დასკვნის გასამყარებლად აუდიტორიული პროექტის შესახებ, მაგრამ აუდიტორიული პროექტის გუნდს შეუძლია მოიპოვოს დამატებითი მტკიცებულებები მიმოხილვის დროს წამოჭრილ საკითხებზე რეაგირებისას. თუმცა, ISQM 2 მოითხოვს, რომ აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველმა შეაფასოს, როდესაც ეს ეხება პროექტის საჭიროებას, პროფესიული სკეპტიციზმის გამოვლენას აუდიტორიული პროექტის გუნდის მიერ.

ISQM 1-ში ხარისხის მენეჯმენტის ახალ მიდგომასთან შესაბამისობის მიზნით, ISQM 2 ცვლის ტერმინებს „აუდიტორიული პროექტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვა / მიმომხილველი“ არსებულ ISQC 1-ში და ISA 220-ში „აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვა/მიმომხილველი.“

ISQM 2 აუმჯობესებს ტერმინების განმარტებას აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვა/მიმომხილველი დეტალების გამორიცხვით (ადრე შეტანილი ტერმინების განმარტებაში აუდიტორიული პროექტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვა /მიმომხილველი), რომელიც იმეორებს სტანდარტის მოთხოვნებს.

ISQM 2 შემოაქვს ტერმინის ახალი განმარტება „შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები“ ეთიკური მოთხოვნების კონტექსტში, რომლებიც გამოიყენება პროფესიონალ ბუღალტერზე სამუშაოს შესრულების მიმოხილვისას.

ISQM 2 შექმნილია იმისთვის, რომ იმუშაოს, როგორც ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ნაწილი, ამიტომ ISQM 1 და ISQM 2 მოთხოვნები ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფს შესაბამისი კავშირი სტანდარტებს შორის:

• ISQM 1 ეხება აუდიტორიული პროექტის ხარისხს მოთხოვნებს, რომელიც ექვემდებარება აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვას; და

• ISQM 2 ეხება კონკრეტულ მოთხოვნებს დანიშვნისა და უფლებამოსილების შესახებ,აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველის განხილვის შესრულებასა და დოკუმენტაციაზე.

ISQM 1 ადგენს ფირმის პასუხისმგებლობას მისი ხარისხის მართვის სისტემაზე და მოთხოვს ფირმებს შეიმუშავონ და განახორციელონ პასუხები ხარისხის რისკების გადასაჭრელად ისე, რომ ეფუძნებოდეს და რეაგირებდეს ხარისხის რისკებზე, მოცემული შეფასების მიზეზების მიხედვით. ISQM 1-ში მითითებული პასუხები მოიცავს პოლიტიკის ან პროცედურების ჩამოყალიბებას, რომელიც ეხება აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვას ISQM 2-ის შესაბამისად.

ამიტომ, ISQM 2-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვა არის განსაზღვრული პასუხი რომელიც შემუშავებულია და ახორციელებს ფირმა ISQM 1-ის შესაბამისად. აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვა ხორციელდება აუდიტორიული პროექტის დონეზე აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველის მიერ ფირმის სახელით.

მიუხედავად იმისა, რომ აღარ არსებობს მოთხოვნები აუდიტორიული პროექტის ხარისხის შესრულებისთვის ISA 220-ში, განახლებული სტანდარტი კვლავ შეიცავს მოთხოვნებს აუდიტორიული პროექტის პარტნიორის პასუხისმგებლობაზე, რომელიც დაკავშირებულია აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვასთან, რომელიც დიდწილად ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ ურთიერთობენ აუდიტორიული პროექტის პარტნიორი ,

აუდიტორიული პროექტის გუნდი აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველი.

ISQM 2 მოიცავს ახალ მოთხოვნებს და მასალას რომელიც განსაზღვრავს:

• პირის (პირების) უფლებამოსილება ფირმაში, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტორიული პროექტის ხარისხის დანიშვნაზე;

• პიროვნების უფლებამოსილების შეზღუდვა, დაინიშნოს სამუშაოს ხარისხის მიმომხილველად, როდესაც ინდივიდი ადრე მსახურობდა აუდიტორიული პროექტის პარტნიორად;

• ინდივიდ(ებ)ის უფლებამოსილება, რომლებიც ეხმარებიან აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველს სამუშაოს შესრულებაში აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვაში ; და

• აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველი იღებს საერთო პასუხისმგებლობას აუდიტორიული პროექტის შესრულებაზე , მათ შორის, მიმოხილვაში დამხმარე პირების შესრულებულ სამუშაოზე.

მოთხოვნები ISQM 2-ში დანიშვნისათვის და აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველის უფლებამოსილება (ფირმის შიდა ან გარე) უფრო მკაცრია ვიდრე არსებული ISQC 1. თუმცა მოთხოვნა, რომ აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველი არ იყოს წევრი აუდიტორიული პროექტის გუნდის უცვლელი რჩება.

არსებული ISQC 1 მოიცავს მოთხოვნებს აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველის დასაშვებობის კრიტერიუმებთან დაკავსირებით , რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ტექნიკურზე კვალიფიკაციაზე, მათ შორის აუცილებელ გამოცდილებაზე, ავტორიტეტზე და მიმომხილველის ობიექტურობის შენარჩუნებაზე . ISQM 2 აფართოებს ამ მოთხოვნებს და აღწერს კომპეტენციას და აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველის შესაძლებლობები ISQM 1-ში აღწერილი სხვა როლების მსგავსად.

ISQM 2-ის A5-A8 აბზაცების მასალა იძლევა დამატებით ახსნას მოსაზრებების შესახებ იმის განსაზღვრა, აქვს თუ არა ინდივიდს საჭირო კომპეტენცია და შესაძლებლობები, რომ შესარულოს ხარისხის მიმოხილვა კონკრეტული აუდიტორიული პროექტისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული ISQC 1 მიუთითებს საჭირო უფლებამოსილების ქონაზე განხილვის ჩასატარებლად, ის არ ითვალისწინებს დამატებითი ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მიიღწევა ასეთი უფლებამოსილება. უფლებამოსილება შეიძლება დამყარდეს სხვადასხვა საშუალებებით, არა მხოლოდ ფირმაში კონკრეტული პოზიციის ქონით. ISQM 2-ის A9 პუნქტი ხაზს უსვამს, რომ ფირმის კულტურა შეიძლება გაიზარდოს ისე, რომ აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველისადმი. ასეთი კულტურის შექმნით ფირმა ამცირებს ალბათობას აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველის მიერ შეუსაბამო გავლენა მოახდინოს აუდიტორიული პროექტის გუნდის მიერ მიღებული მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე. გარდა ამისა, ISQM 2 აღნიშნავს, რომ ფირმის პოლიტიკამ ან პროცედურებმა, რომელიც მიმართულია აზრთა სხვადასხვაობის განხილვისას, შეიძლება გააძლიეროს აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმომხილველის ავტორიტეტი. რათა გადაჭრას საკითხები, რომლებიც აზრთა სხვადასხვაობის დროს წარმოიქმნება.

არსებული ISQC 1 მოიცავს მოთხოვნას ფირმებისთვის, ჩამოაყალიბონ პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც შექმნილია აუდიტორული პროექტის ხარისხის მიმომხილველის ობიექტურობის შესანარჩუნებლად. გაუმჯობესების მიზნით პროექტის ხარისხის მიმომხილველის ობიექტურობასთან დაკავშირებით განიხილავს უფრო კონკრეტულ საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას. ISQM 2-ის მე-18(ბ) პუნქტი მოითხოვს, რომ პროექტის ხარისხის მიმომხილველი შეესაბამებოდეს შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს, მათ შორის, ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებს.

არსებული ISQC 1 მოიცავს მოთხოვნას, რომ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები ითვალისწინებს აუდიტორული პროექტის ხარისხის მიმომხილველის ჩანაცვლებას, სადაც მიმომხილველის შესაძლებლობა განახორციელოს ობიექტური მიმოხილვა შეიძლება დაზიანდეს. ISQM 2-ის 22-ე პუნქტი აფართოებს ამ დებულებას და მოითხოვს ფირმამ ჩამოაყალიბოს პოლიტიკები ან პროცედურები, რომლებიც ისეთ გარემოებებს ეხება, როდესაც დარღვეულია გარიგების ხარი- სხის მიმოხილვის ჩატარების უფლებამოსილების კრიტერიუმებთან გარიგების ხარისხის მიმომხილველის შესაბამისობა და ფირმამ უნდა გაატაროს სათანადო ზომები, მათ შორის შეიმუშაოს პროცედურული პროცესი, რომლის მეშვეობითაც შეარჩევს და დანიშნავს შემცვლელს ასეთ სიტუაციაში.

ISQM 2 განმარტავს და აუმჯობესებს მოთხოვნებს, რომლებიც ეხება პროექტის ხარისხის მიმოხილვის შესრულებას, რათა გაზარდოს მათი უფლებამოსილება.

მოქმედი ISQC 1 მოითხოვს ხარისხის მიმომხილველისგან:

- განიხილოს მნიშვნელოვანი საკითხები აუდიტორული პროექტის პარტნიორთან;

- განიხილოს შერჩეულ სამუშაო დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია ხარისხის მიმოხილველი ჯგუფის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან შეფასებებთან და მიღებულ დასკვნებთან;

- შეაფასოს ანგარიშის ჩამოყალიბებისას მიღწეული დასკვნები და განიხილოს არის თუ არა შემოთავაზებული ანგარიში შესაბამისი.

ISQM 2-ის 25(a)-25(c) პუნქტები აფართოებს ამ დებულებებს და სთხოვს ხარისხის მიმომხილველს:

• წაიკითხეთ და გაიგეთ ინფორმაცია, რომელიც მიწოდებულია: (1) აუდიტის ჯგუფის მიერ პროექტის ხასიათისა და გარემოებების შესახებ და ასევე აუდიტის სუბიექტის შესახებ; და (2) ფირმა, რომელიც დაკავშირებულია ფირმის მონიტორინგთან, კერძოდ, გამოვლენილი ხარვეზები, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს ან გავლენა მოახდინოს იმ სფეროებზე, რომლებიც მოიცავს აუდიტის გუნდის მიერ გამოტანილ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას.

• განიხილეთ აუდიტორული პროექტის პარტნიო-

რთან და, საჭიროების შემთხვევაში, გუნდის სხვა წევრებთან, მნიშვნელოვანი საკითხები და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება პროექტის დაგეგმვის, შესრულებისა და ანგარიშის შესახებ.

• მოპოვებულ ინფორმაციაზე და ზემოთ გაკეთებულ დისკუსიებზე დაყრდნობით, გადახედეთ შერჩეულ სამუშაო დოკუმენტაციას, რომელიც დაკავშირებულია მოწვევის ჯგუფის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან მსჯელობებთან და შეაფასეთ: (1) ამ მნიშვნელოვანი განსჯის გამოტანის საფუძველი, მათ შორის, როდესაც ეს ეხება სამუშაოს ტიპს, პროფესიული სკეპტიციზმი ჩართულობის გუნდის მხრიდან; (2) შეესაბამება თუ არა შერჩეული დოკუმენტაცია მიღებულ დასკვნებს; და (3) არის თუ არა მიღებული დასკვნები შესაბამისი.

დისკუსია აუდიტორული პროექტის პარტნიორთან (ან ჯგუფის სხვა წევრებთან, თუ ეს შესაძლებელია), გუნდისგან მიღებული ინფორმაციასთან ერთად სუბიექტის ბუნებისა და გარემოებების შესახებ საშუალებას მისცემს პროექტის ხარისხის მიმომხილველს გაეცნოს იმ სფეროებს, რომლებზეც მნიშვნელოვანი განსჯა გაკეთდებოდა. პროექტის გუნდისა და ფირმის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გაგებამ შეიძლება დაეხმაროს აუდიტორული პროექტის ხარისხის მიმომხილველს გააცნობიეროს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ ინფორმაციის საფუძველზე განიხილება შერჩეული სამუშაო დოკუმენტაცია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მხარდასაჭერად.

პროფესიული სკეპტიციზმი

ეს მოთხოვნა აღიარებს, რომ აუდიტორული პროექტის ხარისხის მიმომხილველის როლის მნიშვნელოვანი ნაწილია გუნდის პროფესიული სკეპტიციზმის შეფასება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას და მასზე დასკვნების გამოტანისას. პროექტის ხარისხის მიმომხილველის მიერ გუნდის პროფესიული სკეპტიციზმის შეფასების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ახალი განაცხადის მასალა ISQM 2-ის A41-A43 პარაგრაფებში იძლევა დამატებით მითითებებს ამ კუთხით.

დამოუკიდებლობა და კონსულტაცია

ჩამოთვლილი ერთეულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის, მოქმედი ISQC 1 მოითხოვს ფირმას ჩამოაყალიბოს პოლიტიკები და პროცედურები, რათა მოსთხოვოს ხარისხის მიმომხილველს ასევე გაითვალისწინოს დამოუკიდებლობა და კონსულტაცია. ISQM 2 ახლა აფართოებს შესაბამისი მოთხოვნების გამოყენებას საჯარო კომპანიების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიღმა. ISQM 2-ის 25(დ) და 25(ე) პუნქტები, შესაბამისად, მოსთხოვს აუდიტორული პროექტის ხარისხის მიმომხილველს:

• ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის პროექტის პარტნიორის მიერ დადგენის საფუძვლის შეფასებას, რომ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები შესრულებულია; და

• ყველა პროექტისთვის, შეაფასეთ, გაიმართა თუ არა შესაბამისი კონსულტაცია რთულ ან სადავო საკითხებზე ან საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია აზრთა სხვადასხვაობასთან და ამ კონსულტაციებიდან გამომდინარე დასკვნები.

ჯგუფის აუდიტის მოსაზრებები

ჯგუფის აუდიტის სამუშაოებისთვის, თუმცა შეიძლება არსებობდეს სირთულეები სამუშაოს ხასიათისა და იმ ფაქტის გამო, რომ აუდიტის პროცედურები შეიძლება შესრულდეს კომპონენტების ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე, სამუშაოს ხარისხის მიმოხილვის მიზანი იგივე რჩება (ანუ, პროექტის ჯგუფის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ობიექტური შეფასება და მის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები).

აუდიტორული პროექტის ხარისხის მიმოხილვის დოკუმენტაცია

მიუხედავად იმისა, რომ ISQM 2 მოიცავს პრინციპებზე დაფუძნებულ დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ISQM 2-ის A40 პარაგრაფი იძლევა მითითებებს, რომ ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები შეიძლება მიანიშნოს პროექტის დოკუმენტაციაზე, რომელიც უნდა განიხილებოდეს ხარისხის მიმომხილველის მიერ. გარდა ამისა, ასეთი პოლიტიკა ან პროცედურები შეიძლება მიუთითებდეს, რომ სამუშაოს ხარისხის მიმომხილველი განსახილველი დამატებითი დოკუმენტაციის შერჩევისას ახორციელებს პროფესიონალურ განსჯას ჯგუფის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

გლობალიზაცია და მიგრაციის პრობლემა სამხრეთ კავკასიაში

ანი კიკნაძე
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

გლობალიზაცია დადებით მახასიათებლებთან და შესაძლელობებთან ერთად, გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს მცირე ერებისთვის. გარდა იმისა, რომ ანტიგლობალისტებში ის სუვერენიტეტის და კულტურული იდენტობის დაკარგვის შიშს იწვევს, რიგ სახელმწიფოებში რადიკალურად ცვლის სოციალურ გარემოს. წინამდებარე სტატიაში სწორედ ერთ-ერთ ფაქტორზე, მიგრაციაზეა საუბარი, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე. გლობალიზაციამ ფართო ასპარეზი მისცა ადამიანებს. ტექნოლოგიური პროგრესისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურების განვითარებამ, ასევე საზღვრების გადალახვის გამარტივებულმა წესმა, შესაძლებელი გახადა სამუშაოს მაძიებელთა გადინება ქვეყნებიდან. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან უმეტესაც ეკონომიკურად და რეპროდუქტიულად აქტიური მოსახლეობა გადის ანუ ადამიანები, ვინც უნდა შექმნას სახელმწიფოსთვის დოვლათი და დემოგრაფიული სტაბილურობა. „ტვინების გადინების“ სახელით ცნობილი მოვლენა ნიშნავს, რომ ქვეყანა კარგავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ბაზას. ყველა ზემოჩამოთვლილი მიზეზი კი იწვევს ერის დაბერებას.

გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო ემიგრაცია შეუქცევადი პროცესი გახდა. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემთხვევაში მიგრაციულ პროცესებზე ერთნაირი ფაქტორები არ მოქმედებს და ქვეყებს სხვადასხვა პოლიტიკა აქვთ სტატისტიკის წარმოებისა და პრობლემასთან გამკლავების კუთხითაც.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, გლობალიზაცია, სამხრეთ კავკასია, ტვინების გადინება.

GLOBALIZATION AND THE PROBLEM OF MIGRATION IN THE SOUTH CAUCASUS

Ani Kiknadze
Georgian Technical University
PhD student

SUMMARY

Globalization, with its positive characteristics and possibilities, represents a certain threat to small nations. Besides, that it causes fear of losing sovereignty and cultural identity in anti-globalists, in some states, it is radically changing the social environment. This article discusses one of these factors, migration, on the example of the countries of the South Caucasus. Globalization presented broader arena to human beings. The development of technological progress and transport infrastructure, as well as the simplified rule of crossing borders, have made it possible for job seekers to leave the countries. The problem is that, mostly economically and reproductively active population are leaving Georgia, Armenia and Azerbaijan i.e. people, who shall create material well-being and demograohic stability for the state. The phenomenon known as the "brain drain" means that the country is losing the base of highly qualified specialists. All of the above-mentioned causes even lead to the aging of the nation.

It turned out that international emigration had become an irreversible process. In the case of Georgia, Armenia and Azerbaijan, the same factors do not affect on migration processes, and countries have different policies in terms of keeping statistics and dealing with the problem.

Keywords: migration, globalization, South Caucasus, brain drain.

ძირითადი ტექსტი

XX საუკუნის მეორე ნახევარში, კაცობრიობა გახდა გლობალიზაციის დაუძლეველი და შეუქცევადი პროცესების თანამონაწილე, რომელიც ასე თუ ისე მოიცავს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს და ქმნის მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთდამოკიდებულების გლობალურ სისტემას. გლობალიზაციის პროცესებმა, გლობალურ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სისტემებში სწრაფ ცვლილებებთან ერთად, ხელი შეუწყო მიგრაციული პროცესების მკვეთრ ინტენსიფიკაციას და გამოიწვია კაცობრიობის მიგრაციის ისტორიაში ახალი ეტაპის დაწყება.

ამჟამად ყველა სახელმწიფო ჩართულია საერთაშორისო მიგრაციის პროცესებში და საერთაშორისო მიგრანტები გლობალური სამყაროს განუყოფელი ნაწილი გახდნენ. საერთაშორისო მიგრაცია ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში დაჩქარდა. გლო-

ბალიზაციის პროცესებმა გამოიწვია უზარმაზარი და ხშირად უკონტროლო საერთაშორისო მიგრაციული ნაკადები და ამრიგად, საერთაშორისო მიგრაცია გადაიქცა უმნიშვნელოვანეს გლობალურ მოვლენად, რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე. დღეს უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს საკუთარ სამშობლოს ფარგლებს გარეთ, ვიდრე ოდესმე.

საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების მასშტაბები საშუალებას იძლევა განვიხილთ ის გლობალური გავლენის ფენომენად. გაეროს მონაცემებით, 2019 წლის ანგარიშზე დაყრდნობით, ყოველი 32-ე ადამიანი საერთაშორისო მიგრანტია. განვითარებულ რეგიონებში კი ასეთი ყოველი მერვე ადამიანია.

საერთაშორისო მიგრაციის გაფართოებული გეოგრაფიული არეალი განისაზღვრა გლობალიზაციის პროცესების შედეგად, ქვეყნებს შორის დამყარებული ახალი სოციალური კავშირებითა და მიგრაციული ქსელებით. მიგრაციის სოციალური ქსელები ხელს უწყობს პოტენციური მიგრანტების გადაადგილებას საჭირო ინფორმაციისა და დახმარების მიწოდებით.

ღრმა გლობალური ცვლილებები XX საუკუნის მეორე ნახევარში განპირობებული იყო ეკონომიკის პოსტინდუსტრიული სექტორის განვითარებით და გლობალური შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ტრანსფორმაციით, ასევე ლიბერალური რეფორმებითა და დემოკრატიული ცვლილებებით პოსტკომუნისტურ და განვითარებად ქვეყნებში.

საერთაშორისო მიგრაციის ფარგლებში ყველაზე სწრაფად იზრდებოდა შრომითი მიგრაცია, რაც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალებების უფრო დიდ ხელმისაწვდომობასთან, ეს კი, აადვილებს მიგრაციას და „ამცირებს“ მანძილს ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის.

მიგრაციული ნაკადების ხარისხობრივ სტრუქტურაში არსებული ძვრები ძირითადად საერთაშორისო მიგრანტებში პროფესიონალების რაოდენობის ზრდას ნიშნავს. ეს ტენდენცია მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო მიგრაციის ყველაზე მტკივნეულ მოვლენასთან, ეგრეთწოდებულ „ტვინების გადინებასთან“, ანუ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების - მეცნიერების, ინჟინრების, ექიმების და ა.შ.

იმ ქვეყნებისთვის, სადაც მოსახლეობა დაბერებულია, მიგრაცია ხდება რესურსი, რომელიც ავსებს მუშახელის დეფიციტს და უზრუნველყოფს ახალგაზრდა მუშაკების ნაკადს, რომლებსაც შეუძლიათ გაზარდოს სამუშაო ძალის დინამიკა, ინოვაციურობა და მობილურობა. ამასთანავე, ამ სამუშაო ძალის გადინება მშობლიური ქვეყნებიდან, ამ ქვეყნებში ქმნის დეფიციტს კვალიფიციურ კადრებზე, ეკონომიკურად აქტიურ პერსონებზე, ადამიანებზე, რომლებმაც უნდა შექმნან დოვლათი სახელმწიფოში.

სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა რეგიონიდან მოსახლეობის გადინებაა. მიგრაციის გამო მოსახლეობის კლების პრობლემა არ არის ცალკეულად აზერბაიჯანის, სომხეთის ან საქართველოსთვის, ეს არის საერთო პრობლემა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნისთვის. აზერბაიჯანის შვიდნახევარი მილიონი მოსახლედან დაახლოებით სამი მილიონი ახლა ცხოვრობს და მუშაობს რუსეთში; სომხეთის სამ მილიონ ნახევარი მოსახლედან, დაახლოებით ერთი მილიონი; საქართველოს ოთხნახევარი მილიონი მოსახლედან, დაახლოებით ყოველი მეოთხე, ანუ მილიონზე მეტი მოქალაქე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უახლესი მონაცემებით, 2021 წელს საქართველო 99 974-მა ადამიანმა დატოვა. წინა წლის მონაცემებთან

შედარებით ემიგრანტების რიცხვი 34,5%-ით არის გაზრდილი და 17,8%-ით შემცირდა იმიგრანტების რიცხვიც.

მიგრაცია გავლენას ახდენს კავკასიის სახელმწიფოების ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროზე. აღსანიშნია, რომ ცნობილია მძლავრი სომხური დიასპორები შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი კი რუსეთის შემდეგ მიგრირებულია ევროპის მთელ კონტინენტზე. ევროპაში ქართველთა მიგრაცია ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის შემდგომ მკვეთრად გაიზარდა. სტატისტიკა პირდაპირპროპორციულად აისახება ფულად გზავნილებზე.

პანდემიის პერიოდში მიგრაციის სალდო დადებითი იყო, 2020 წელს საქართველოში უფრო მეტი ადამიანი დაბრუნდა, ვიდრე ქვეყნიდან გავიდა, რაც სწორედ პანდემიისთვის დამახასიათებელი ტენდენციაა. მიგრაციული ტალღა კვლავ გაიზარდა საჰაერო მიმოსვლის გააქტიურებისთანავე.

მიგრაცია რეალურად ცვლის მოსახლეობის ასაკობრივ და სქესობრივ სტრუქტურას, პოლიტიკურ სფეროშიც კი, დიასპორის წევრი ახალი ბიზნესმენების გავლენას მნიშვნელოვანს ხდის წარმოშობის ქვეყნებზე, საქართველოზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზე.

საქართველოს მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, ქალები ძირითადად მიგრირებენ საბერძნეთში, თურქეთსა და იტალიაში, ხოლო მამრობითი მიგრანტები მიდიან რუსეთსა და პოლონეთში. რაც ალბათ, დაკავშირებულია დასაქმების შესაძლებლობებთან სხვადასხვა სექტორში, როგორიცაა მშენებლობა, მოხუცების მოვლა და საშინაო სამუშაოები, დანიშნულების ქვეყნებში.

კავკასიის ქვეყნებიდან პოსტსაბჭოთა მიგრაციის ძირითადი ვექტორი რუსეთისკენ იყო მიმართული და სწორედ რუსეთში ყალიბდება ამ ქვეყნებიდან მიგრანტების დიდი ჯგუფები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი მიგრაცია სსრკ-ს დაშლის შედეგია, თავად ფენომენი, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების მრავალი სხვა პრობლემა, სათავეს იღებს საბჭოთა ეპოქაში. მის გაჩენას ხელი შეუწყო შრომითი რესურსების სიჭარბემ და მიწის ნაკლებობამ კავკასიაში, განსაკუთრებით მთიან რაიონებში.

სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ განიცადა ძალიან განსხვავებული პოსტკომუნისტური ტრანზიციები, რამაც გავლენა მოახდინა მოკლე და გრძელვადიანი მიგრაციის პირობებზე მათი ტერიტორიებიდან და მის ფარგლებს გარეთ. სამხრეთ კავკასია შედარებით მაღალი არასტაბილურობის რეგიონია გაყინული კონფლიქტებითა და მუდმივი გეოპოლიტიკური ბრძოლებით. თითოეული პოლიტიკური გადაწყვეტილება ბუნებრივად მოქმედებს მიგრაციის დინამიკაზე: მოცულობაზე, ხასიათზე და, რა თქმა უნდა, მიმართულებაზე. სამივე ქვეყანას აქვს უარყოფითი მიგრაციის ბალანსი 1991 წლიდან და ისინი კვლავ ემიგრაციის ქვეყნებად რჩებიან და არა იმიგრაციის. თუმცა ტენდენცია გვაჩვენებს, რომ 2003 წლის შემდეგ, აზერბაიჯანი ამ თვალსაზრისით ბალანსის მიღწევას ცდილობს. ცვალებადი მიგრაციული რეალობის გათვალისწინებით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები განსხვავებულად ჩაერთნენ მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებაში, მიგრაციის პოლიტიკის საერთაშორისო დებატებში, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს სხვა წევრებს შორის. სამივე ქვეყანა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ნაწილია.

მიიჩნევა, რომ გლობალიზაცია სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუმცა აქ ვხვდებით წინააღმდეგობას სწორედ მიგრაციული პროცესების კო-

ნტექსტში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკურად აქტიური პოტენციალის ქვეყნიდან გადინება, ნიშნავს იმ ქვეყნების კეონომიკების შენელებას და შესუსტებას, სადაც მაღალია შრომითი მიგრაცია. ასევე, ამ ქვეყნებში დემოგრაფიული სიბერის ტენდენცია მკვეთრდება და იცვლება მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, მათ შორის ეთნიკური შემადგენენლობაც კი.

მიგრაცია თამაშობს მნიშვნელოვან როლს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ფორმირებაზეც. ტრადიციული გაგებით, მიგრაცია მიმღებ ქვეყანაში დამკვიდრების, ინტეგრირების პროცესია. სამხრეთ კავკასიის მოსახლეობისთვის კი ამ სოციალურმა ფაქტორმა არ იმუშავა. ვითარება გაართულა საზღვრის კვეთის არალეგალურმა მეთოდებმა, რაც გარკვეული გარდაუვლობით იყო გამოწვეული. ტურისტული მოტივებით საზღვრებს გარეთ წასული მოსახლეობისთვის, რომელიც არალეგალურად საქმდება და რჩება უცხო ქვეყნებში, არ არსებობს სამუშაო ხელშეკრულებები და სოციალური კეთილდრეობები, მათ შორის ჯანმრთელობის დაზღვევა. ევროკავშირის ქვეყნებში 2015 წელს მხოლოდ საქართველოდან 5 000-მდე არალეგალი აღმოაჩინეს, 2018 წელს კი მათი რიცხვი 9 000-ს აღემატებოდა.

სახელმწიფოს ძლიერს მისი როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსების პრაგმატული გამოყენება ხდის. საქართველოს მაგალითზე, თამამად შეილძება ითქვას, რომ არათუ რესურსის პრაგმატული გამოყენება ხდება, პირიქით, ბოლო ათწლეულებია იფლანგება დრო და ტვინების გადინება ერთგვარი ტრადიციული აქტია. 2021 წლის შემოდგომაზე, ქალაქ ქუთაისში აქცია-პერფორმანსიც კი გაიმართა სახელწოდებით „„ჩემოდნებზე დამჯდარი ქალაქი“. ამ ფორმით ახალგაზრდებმა ადგილობრივ ხელისუფლებას სამშაო ადგილები მოსთხოვეს და ხაზი გაუსვეს ფაქტს, რომ ქვეყნიდან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მასობრივად გაედინება.

სამუშაო ადგილების სიმცირე არ არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მიგრაციული პროცესები აქტიურია აზერბაიჯანში. არასტაბილური გარემო და უსაფრთხოების განცდის დეფიციტი მთავარი ფაქტორებია.

მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, დღეს აზერბაიჯანიდან 1 მილიონ 147 ათასი ემიგრანტი სხვა ქვეყნებში ცხოვრობს. ოფიციალურ სტატისტიკაში 2008 წლიდან დღემდე მიგრაციის დადებითი მაჩვენებელი სტაბილურია, რაც ადგილობრივი ანალიტიკოსებისთვის სკეპტიციზმის საგანია. აზერბაიჯანში ემიგრაციის ნუსხაში მხოლოდ მათ აღრიცხავენ, ვინც ოფიციალურად მიუთითა ქვეყნის დატოვების ამგვარი მიზეზი.

თუკი ადრინდელი ტენდენციების მიხედვით, ძირითადად შუახნის სოფლის მაცხოვრებლები მიდიოდნენ რუსეთში, დღეს ევროპის ქვეყნებში წასულთა რიცხვი გაიზარდა და ეს არის უფრო კვალიფიციური პერსონალი და ასაკიც შემცირებულია. ტვინების გადინების პრობლემა ცალსახაა აზერბაიჯანშიც.

იგივე პრობლემის წინაშე დგას სომხეთი. დამოუკიდებელ სომხეთში 90-იანი წლების დასაწყისში მოსახლეობის მნიშვნელოვანი გადინება იყო. ათასობით სომეხს მოუწია ქვეყნის დატოვება ოჯახების სარჩენად. ამან გამოიწვია ფართო განხილვა ზოგადად მიგრაციისა და შრომითი მიგრაციის შესაძლო პოზიტიურ და უარყოფით ასპექტებზე. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთიდან შრომითი მიგრაცია მნიშვნელოვანი პრობლემაა, ფაქტობრივი ინფორმაცია ტენდენციების შესახებ არასრული და ფრაგმენტულია.

მიგრაციული პროცესის მორიგი ტალღა, სტაგნაციურმა ეკონომიკამ და ყარაბაღის ომში დემორალიზებულმა დამარცხებამ გამოიწვია. იმის გამო, რომ პროცესი არაფორმალურია, სომხეთიდან ემიგრაცია ზუსტად ვერ გამოითვლება. 2021 წლამდე, უკანასკნელ 3 წელში უფრო მეტი სომეხი ბრუნდებოდა ისტორიულ სამშობლოში, ვიდრე გაედინებოდა, თუმცა 2021 წლის სურათი მკვეთრად შეცვლილია.

ოფიციალური მონაცემებით, 2021 წლის სამი კვარტალში 103 000-ით მეტმა სომეხმა დატოვა ქვეყანა, ვიდრე შევიდა. ეს არის ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 3 პროცენტი.

სამხრეთ კავკასიაში მრავლად არიან ნიჭიერი ადამიანები, ახალგაზრდა თაობებს შორის. მათ შორის ბევრი დაჯილდოებულია ისეთი უნარ-ჩვევებით, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოების ამჟამინდელი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მთავრობებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, შეუქმნან პირობები ამ ადამიანებს თავიანთი შესაძლებლობების რეალიზებისთვი. მათ ასევე უნდა დაიწყონ იმ ახალგაზრდების მოზიდვა, ვინც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დატოვა ქვეყანა/რეგიონი. ბევრმა მათგანმა, ვინც წავიდა დასავლეთის ქვეყნებში, შეიძინა ღირებული გამოცდილება, უმეტესობამ დააგროვა გარკვეული კაპიტალი და ყველას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს რეგიონის წინსვლაში და მათი საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aleshkovski I.A. Современное общество: актуальные проблемы и перспективы развития, RUDN Journal of Sociology Vol. 17 No. 2 . 2017;

2. United Nations, International Migration 2019;

3. Bara A. Di Bartolomeo A. Brunarska Z. Makaryan S. Mananashvili S. Weinar A. REGIONAL MIGRATION REPORT: SOUTH CAUCASUS. Robert Schuman Centre, European University Institute 2013;

4. წულაძე გ. მაღლაფერიძე ნ. სულაბერიძე ა. დემოგრაფია. თბილისი 2009;

5. James P. Nation Formation: Towards a Theory of Abstract Community. London: Sage Publications;

6. Noiriel G. Population, Immigration et Identité Nationale en France, XIX-XX siècle. Hachette Supérieur, 1992;

7. Scholte J.A. Globalization: A Critical Introduction, London: McMillan 1997.

მასლოუს თეორიული შეხედულებების კრიტიკული შეფასებები

მიხეილ გაგნიძე
სსუ ბიზნესის
ადმინისტრირების
მიმართულების დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიში წარმოადგენილია მასლოუს ადამიანის მოთხოვნილებათა იერარქიის კრიტიკული შეფასება. მასში აქცენტები კეთდება მოთხოვნილებათა იმ იერარქიებზე, რომლებშიც განსხვავებული მოსაზრება, შესაძლოა, არსებობდეს. მაგალითად, მასლოუს პირამიდა არ ითვალისწინებს ინდივიდის მახასიათებლებს და ყველა ადამიანის მიმართ განსაზღვრავს მოთხოვნილებათა იერარქიის ერთნაირ სტრუქტურას. ეს გარემოება იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მასლოუს პირამიდა არ შეესაბამება ინდივიდების რეალურ მოთხოვნილებებს. მასლოუს თეორია არ ეფუძნება მის მირ ჩატარებული კვლევის შედეგებს ინდივიდის მოთხოვნილებების თაობაზე. იგი მეტწილად ეყრდნობა იმ ნაშრომებს, რომლებიც ფსიქოლოგიის დარგში შექმნეს ადლერმა, ფროიდმა და სხვა ფსიქოლოგებმა. ამიტომ დიდია იმის ალბათობა, რომ იგი არ გამოხტავდეს ინდივიდის მოთხოვნილებების რეალურ იერარქიას. მასლოუს მოთხოვნილებების პირამიდა იერარქიულია, რაც ნიშნავს, რომ ერთი საფეხურის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ წინარე საფეხურის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ არის შესაძლებელი. თუმცა დღემდე არ არსებობს სამეცნიერო კვლევები, რომლების საფუძველზეც დადასტურდებოდა ამ მოსაზრების მართებულობა. წარმოდგენილ სტატიაში სწორედ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის აღნიშნული მხარეებია განხილული. ნაშრომში მოყვანილი მოსაზრებები ეფუძნება მასლოუს 1943 წლის სტატიას მოთხოვნილებათა იერარქიის შესახებ. სტატიის მიზანია მასლოუს თეორიის შეზღუდვების გამოვლენა და მათი ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: მასლოუს პირამიდა, მოტივაცია, მოთხოვნილებების იერარქია, თვითაქტუალიზაცია,

CRITICAL ANALYSIS OF MASLOW'S THEORY

Mikheil Gagnidze
SSU Business Administration PhD student in the field

RESUME

This article offers a critique of Maslow's theory of hierarchy of needs. It focuses on need hierarchies in which diverse points of view may exist. The Maslow pyramid, for example, ignores individual differences to identify the identical structure of needs for everyone. As a result of this circumstance, we can conclude that Maslow's pyramid fails to meet people's genuine needs. Maslow's hypothesis is founded not on the findings of his study into individual needs but primarily based on Adler's, Freud's, and other psychologists' research in psychology. As a result, likely, it doesn't stray from the order of actual individual demands. Maslow's Demands Pyramid is hierarchical. According to Maslow's Needs Pyramid, we can address one layer's needs after meeting the demands of the preceding tier. However, to date, there are no scientific studies that would confirm the validity of this view. This article discusses these aspects of Maslow's hierarchy of needs. The ideas presented in this article are based on Abraham Maslow's 1943 paper on the hierarchy of needs. This article aims to identify and analyze the limitations of Maslow's theory.

Keywords: Maslow pyramid, motivation, hierarchy of needs, self-actualization.

შესავალი

აბრაჰამ მასლოუ - ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის დამფუძნებელი, ერთ-ერთი პირველია მათ შორის, ვინამაც დაიწყო ადამიანის ქცევების დადებითი მხარეების შესწავლა, მუშაობდა მოტივაციის თეორიაზე, რომელიც მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელზეა დაფუძნებული. მასლოუს მიაჩნდა, რომ უმაღლესი მოთხოვნილება, რომელიც ადამიანს უბიძგებს თავისი შესაძლებლობებისა და ტალანტების გაშლისკენ, **თვითაქტუალიზაციის** მოთხოვნილებაა. მასლოუს იდეები, მისი გამოკვლევები საყურადღებო და საინტერესოა. თუმცა როგორც ყველა შეხედულებას, მასლოუს მოსაზრებებსაც გამოუჩნდნენ მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც. კრიტიკულად განწყობილი ოპონენტები ამტკიცებენ, რომ მასლოუს კვლევის ნაკრებები ძალზე მცირე იყო ასეთი განზოგადოებების გასაკეთებლად. მასლოუს შეხედულებების კრიტიკა დღესაც აქტუალურია და მკვლევართა ამ პოზიციას შესაბამისი არგუმენტები გააჩნია.

მასლოუს ადამიანის მოთხოვნილებათა იერარქიის სუსტი მხარეები

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ მასლოუს თეორია არაა გამოსადეგი ბიზნესის მენეჯმენტის პროცესში. იგი ფსიქოლოგიური თეორიაა და ადამიანის ქცევის განმაპირობებელი მიზეზების ახსნაზეა ორიენტირებული[1]. მასლოუს თეორიას საფუძვლად უდევს ის მოსაზრება, რომ ადამიანის სურვილია დაიკმაყოფილოს ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები. ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა ინდივიდს უჩნდება ეტაპობრივად, ქვედა საფეხურის მოთხოვნილებების დაკმყოფილების შემდეგ. მასლოუს თეორიის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ვერ დაიკმაყოფილებს ქვედა საფეხურის მოთხოვნილებებს, იგი ვერ შეძლებს იერარქიის ზედა საფეხურს მიკუთნებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სწორედ აქედან გამომდინარე, მენეჯმენტში მასლოუს თეორიის გამოყენება შეუძლებელია. მასლოუს მიზანი არასოდეს ყოფილა ადამიანების შრომის ეფექტიანობის, ან მოტივაციის ზრდის საშუალებების განსაზღვრა. სტატიაში, რომელშიც მან წამოაყენა თეორია მოთხოვნილებათა იერარქიის შესახებ, მასლოუ მსჯელობდა ადამიანის მოთხოვნილებების იერარქიაზე[2]. იმ ნაშრომებშიც კი, სადაც მასლოუ მოთხოვნილებების პირამიდას ეხება, ეს თეორია გამოყენებულია იმის საჩვენებლად, თუ როგორაა კონსტრუირებული ადამიანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები[3]. ამდენად, იგი წარმოდგენს მხოლოდ ავტორის დაკვირვებებსა და მოსაზრებებს ინდივიდის შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზების საშუალების თაობაზე. მასლოუს თეორია გვიჩვენებს, როგორ უნდა იქნას მიღწეული ისეთი მდგომარეობა, როდესაც სრულებით იქნება გამოყენებული ადამიანის შესაძლებლობები.

მასლოუს თეორიის ერთერთ სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იგი არ ეფუძნება მეცნიერული კვლევების შედეგებს[4]. სწორედ ეს აჩენს ეჭვს მის მართებულობაზე. მასლოუ არ ეფუძნებოდა სამეცნიერო დაკვირვებებს იმის თაობაზე, რომ ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებლია მოხდეს მხოლოდ განსაზღვრული თანმიმდევრობით და ინდივიდის შესაძლებლობების სრული მოცულობით რეალიზება, რაც მასლოუს თეორიაში თვითაქტუალიზაციის სახელითაა ცნობილი, მხოლოდ ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შედეგადაა შესაძლებელი. მასლოუს თეორიის სუსტი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მოტივაციის თეორიაზე მუშაობის პროცესში იგი ერთდროულად დაეყრდნო რამდენიმე ფსიქოლოგის ნაშრომებს და ასე განსაზღვრა მოთხოვნილებების იერარქია. მასლოუმ ამ ნაშრომებიდან გამოიტანა დასკვნა, რომ არსებობს ადამიანის მოთხოვნილებების იერარქია, რომელიც მკაცრადაა განსაზღვრული და რომლის დაკმაყოფილება არის აუცილებელი პირობა ინდივიდის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ არცერთი ნაშრომის ავტორი, რომელსაც დაეყრდნო მასლოუ არ ამტკიცებდა იმას, რაც მან მოთხოვნილებათა იერარქიის ფარგლებში წამოაყენა. მასლოუმ გამოიტანა დასკვნები სხვის ნაშრომებზე დაყრდნობით და შესაბამისად, მისი თეორიაც სხვა მკვლევარების მოსაზრებების და მიგნებების შეჯერების შედეგადაა შექმნილი. მასლოუმ მოთხოვნილებების იერარქია დააფუძნა გოლდსტეინისა და გეტსტალდის ფსიქოლოგიაზე, ასევე ფროიდის დინაციმიზმსა და ადლერის ნაშრომებზე[5]. სტატიაში, რომელშიაც მასლოუმ წამოაყენა თავისი თეორია, არაა დაკონკრეტებული როგორ მოხდა მისი თეორიული საფუძვლების ანალიზი, ან ზემოაღნიშნული ავტორების კონკრეტულად რომელმა მსჯელობებმა და მიგნებებმა უბიძგა მას მოთხოვნილებების იერარქიის ფორმირებისკენ. გასათვალისწინებელია, რომ თავად ფროიდიც თავის შრომებში ეფუძნებოდა სხვა ავტორების ნაშრომებს და არამხოლოდ პირად დაკვირვებებს ადამიანის ფსიქიკის სხვადასხვა ასპექტების თაობაზე. ამიტომ სამეცნიერო თეორიის დაფუძნება იმ ნაშრომებზე, რომლებიც არ ეყრდნობა ემპერიული კვლევების შედეგებს, ყოველთვის უქმნის მას არასარწმუნო რეპუტაციას.

მასლოუს თეორიის მეორე სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს მოთხოვნილებების იერარქია. პირველი ორი საფეხურის მიხედვით ადამიანმა ჯერ ფიზიოლოგიური, ხოლო შემდგომში ფსიქოლოგიური მოთხოვნილებები უნდა დაიკმაყოფილოს[6]. ეს მოსაზრება ეჭვს არ იწვევს, რადგან საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარეშე ინდივიდი მოკლებულია შესაძლებლობას დაიკმაყოფილოს სხვა მოთხოვნილებები. ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საჭიროა, სულ მცირე, სხვა ნებისმიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. თუმცა მასლოუს სტატიიდან არ იკვეთება შემდეგ საფეხურს მიკუთნებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ლოგიკა. მაგალითად, გაუგებარია რატომ არ შეუძლია ინდივიდს სიყვარულის მოთხოვნილება მიკუთნებადობის მოთხოვნილებასთან ერთად დაიკმაყოფილოს, ან რატომ დგას მიკუთნებადობის საჭიროება სიყვარულის საჭიროებაზე მაღლა. მეორე მხრივ სავარაუდოა, რომ თვითაქტუალიზაციას უკეთესად ახდენენ ის ადამიანები, რომლებმაც უკვე დაიკმაყოფილეს ყველა სხვა მოთხოვნილება, თუმცა მასლუს სტატია არ ცემს პასუხს კითხვას: რატომაა შეუძლებელი საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება სიყვარულის, ან მიკუთნებადობის მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის, ან მათი ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში.

1 საყვარელიძე, ს., მოტივაციის ზრდის სტრატეგიები საქართველოს საჯარო უწყებებში, თბ., 2018, 24
2 A theory of human motivation, Maslow, A., H., Psychological Review, 50, 1943, 370-396
3 კატუკია, ა., მოტივაციის კვლევა შედარებით მენეჯმენტში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2018,
4 Fowler, S., What Maslow's Hierarchy Won't Tell You About Motivation, Harvard Business Review, 2014; retrived from https://hbr.org/2014/11/what-maslows-hierarchy-wont-tell-you-about-motivation 05.07.2022
5 A theory of human motivation, Maslow, A., H., Psychological Review, 50, 1943, 370-396
6 A theory of human motivation, Maslow, A., H., Psychological Review, 50, 1943, 370-396

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მიხედვით, შემდეგი საფეხურის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ წინა საფეხურს მიკუთნებული საჭიროებების დაკმაყოფილების შემთხვევაშია შესაძლებელი.[1] ეს მოსაზრება გამორიცხავს იმ დაშვებას, რომ ინდივიდმა სიყვარულის, ან მიკუთნებადობის მოთხოვნილება თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებასთან ერთად დაიკმაყოფილოს.

შემდგომში მასლოუმ შეცვალა მისი მოთხოვნილებების იერარქია და წარმოადგინა იგი 7 საფეხურინი პირამიდის სახით[2], რაც იმაზე მიუთითებს რომ თავდაპირველი შემოთავაზებული ვერსია არ იყო ზუსტი, ან სულ მცირე ამომწურავი. მასლოუს პირამიდის ახალი ვარიანტის მიხედვით მოთხოვნილებათა იერარქიის მეხუთე საფეხურზე არის ადამიანის შემეცნების მოთხოვნილება, რაც გამოიხტება ინდივიდის სურვილში შეიძინოს ცოდნა და განვითარდეს. მეექვსე საფეხურზეა ესთეტიზმის, ხოლო მეშვიდეზე ტრანსცედენტის შეცნობის მოთხოვნილება[3]. განსხვავებით მასლოუს პირამიდის თავდაპირველი ვარიანტიდან, მისი შეცვლილი ვერსია არ ეფუძნება არავითარ სამეცნიერო ნაშრომს. ამ დრომდე არაა ხელმისაწვდომი წყაროები, სადაც დასაბუთებული იქნებოდა მოთხოვნილებათა იერარქიის ცვლილების საჭიროება. ამასთან, მასლოუს მიერ შემოთავაზებული ახალი ვარიანტის რელევანტურობა ეჭვს იწვევს. მასლოუს პირამიდის 8 საფეხურიანი ვერსიის მიხედვით ინდივიდს ესთეტიზმის მოთხოვნილება არ უჩნდება სანამ არ დაიკმაყოფილებს შემეცნების სურვილს, რაც საკამათო მოსაზრებაა და არ დასტურდება არცერთი ამ დრომდე არსებული კვლევით ადამიანის მოთხოვნილებების თაობაზე. საეჭვოა იმ მოსაზრების მართებულობაც, რომ ტრანსცენდენტის შეცნობის მოთხოვნილება ინდივიდს მხოლოდ მოთხოვნილებათა იერარქიის ბოლოს წინა საფეხურზე უჩნდება. ტრანსცენდენტის ძიება ნიშნავს რელიგიით დაინტერესებას, საკუთარი არსებობის საზრისის ძიებას, რაც ჯერ კიდევ პირველი ტოტემური რელიგიებისთვის იყო დამახასიათებელი. მეორე მხრივ ის მოსაზრება უპირისპირდება ფროიდის მსჯელობებსაც, რომელიც ფსიქოლოგმა განავითარა ნაშრომში „ტოტემი და ტაბუ". წიგნში ფროიდი აღნიშნავდა, რომ ადამიანი უხსოვარი დროიდან იყო მიდრეკილი მისი პიროვნების გარეთ მოეძებნა საყრდენი მფარველი მამის სახით, რის შედეგადაც პირველი რელიგიური კულტები წარმოიშვა[4]. ამავეზე მიუთითებდა ფრომიც, რომელიც ნაშრომში „ფსიქოანალიზი და რელიგია" აღნიშნავდა, რომ ადამიანის მოთხოვნილებაა სამყაროსთან ერთიანობის მიღწევა, ხოლო რელიგია არის მისი ცხოველური საწყისებიდან მოწყვეტისა და გაადამიანურების საშუალება[5]. თუ გავითვალისწინებით იმას, რომ ტრანსცენდენტის მოთხოვნილება ჯერ კიდევ ჯოგში მცხოვრებ ადამიანებს ჰქონდათ, ეჭქვეშ დგება მასლოუს პირამიდის იმ ნაწილის სისწორე, სადაც მან ტრანსცენდენტის მოთხოვნილება მოათავსა.

მასლოუს პირამიდის ერთერთი სისუსტეა თვითაქტუალიზაციის კონცეფცია, რომელიც მან დაამკვიდრა მოთხოვნილებათა იერარქიის განსაზღვრის მიზნით. ამ კონცეფციის მიხედვით თვითაქტუალიზაცია ნიშნავს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას[6]. მასლოუს თქმით თვითაქტუალიზაციის გამოხატულება განსხვავდება ერთმანეთისგან იმისდა მიხედვით, ვინ არის ინდივიდი. მუსიკოსი თვითაქტუალიზაციას მუსიკალური ნაწარმოებების შექმნით აღწევს, ხოლო სპორტსმენი სპორტული წარმატებებით[7]. თუმცა კონცეფციის სუსტი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს ინდივიდის პოტენციალის ზუსტი საზომი. მეორე მხრივ მისი შესაძლებლობების რეალიზება დამოკიდებულია იმ გარემოზე, სადაც ცხოვრობს და საქმიანობს პიროვნება. ამიტომ რთულია განისაზღვროს რამდენად იქნა გამოყენებული ინდივიდის პოტენციალი საზოგადოებაში. მეორე მხრივ, თუ თვითაქტუალიზაციის ცნებაში ვიგულისხმებთ მხოლოდ ინდივიდის შესაძლებლობების ნაწილობრივ გამოყენებას, მაშინ შეიძლება ითქვას რომ

1 A theory of human motivation, Maslow, A., H., Psychological Review, 50, 1943, 370-396
2 მელიქიშვილი, მ., მოტივაცია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ., 2013;
3 McLeod, S, A., Maslow's Hierarchy of Needs, Highgate Counselling Center, 2013, 2
4 ფრომი, ე., დოგმატი იესო ქრისტეზე, გამომცემლობა „პეგა", თბ., 2015,120
5 ფრომი, ე. ფსიქოანალიზი და რელიგია, გამომცემლობა „პეგა", თბ., 2015, 22
6 Haque, F., Haque, M., Islam, M., Motivational Theories – A Critical Analysis, ASA University Review, Vol. 8. #1, 2014, 63
7 Uysal, T., Aydemir, S., Genc., E., Maslow,s Hierarchy of Needs in 21st Century: the examination of vocational differences, Researches on Science and Art in 21st Century Turkey, Volume 1, 2017, 11

თვითაქტუალიზაცია მოთხოვნილებათა იერარქიის წინარე საფეხურების გავლის გარეშეც შესაძლებელია.

მასლოუს თეორიის კრიტიკოსთა შორის გამორჩევით არგუმენტირებულია ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პამელა რუთლეჯის მოსაზრებები. თავის სტატიაში რუთლეჯმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მასლოუმ ყურადღების მიღმა დატოვა სოციალური კავშირების ფაქტორი, რაც ასევე წარმოადგენს ინდივიდის ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას. რუთლეჯის თქმით, მასლუმ მისი თეორია დააფუძნა იმ დაშვებას, რომ ადამიანის საბაზისო ინსტინქტია გადარჩენის მოთხოვნილება, რასაც ყველა სხვა დანარჩენი ეფუძნება. თუმცა გადარჩენისთვის საჭიროა სოციალური კავშირები, რაც რუთლეჯის აზრით უნდა იკავებდეს მასლოუს პირამიდის მესამე საფეხურს[1].

თანამედროვე ფსიქოლოგიურ თეორიებში მასლოუ ყველაზე მეტად მოთხოვნილებათა პირამიდითაა ცნობილი, თუმცა კრიტიკოსები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ თვითონ მასლოუს მსგავსი სქემა არ შეუდგენია. ის მისმა მოწაფეებმა შეადგინეს, უპირატესად – პედაგოგიური მიზნით, თეორიის გასათვალსაჩინოებლად[2].

განსხვავებულ შეხედულებათა და მიმდევრობათა მოზღვავების დღევანდელ ეტაპზე, სავსებით ბუნებრივია, რომ მასლოუს თეორიას მრავალი კრიტიკოსი ჰყავს, რადგან თანამედროვე ფსიქოლოგების დიდი უმრავლესობა მატერიალიზმის, პოზიტივიზმის, სოციოცენტრიზმისა და რობოტომორფიზმის დოგმებს იზიარებს[3].

დასკვნა

ამრიგად, გვაქვს საფუძველი, რომ შევჯერდეთ: მასლოუს ადამიანური მოთხოვნილებების პირამიდა ეფუძნება ფსიქოლოგიის დარგში არსებული ცნობილი ავტორების ნაშრომების გააზრებას და არა ემპერიული კვლევის შედეგებს. ამიტომ მასლოუს თეორია არაა დასაბუთებული მეცნიერული თვალსაზრისით. იგი უფრო ავტორისეული ხედვაა ინდივიდის მოთხოვნილებების თაობაზე, ვიდრე მეცნიერულად დასაბუთებული ვარაუდი. მასლოუს მოთხოვნილებების იერარქია გამორიცხავს სრული მოცულობით ინდივიდის საჭიროებების დაკმაყოფილებას წინარე საფეხურს მიკუთნებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარეშე, თუმცა სტატიაში მოცემული ვარაუდების დამადასტურებელი კვლევის შედეგები არ არსებობს, რაც იმაზე მეეტყველებს, რომ მასლოუს მოთხოვნილებების იერარქია პირობითია და ავტორის ლოგიკაზეა დამყარებული. თეორიის განსაკუთრებით სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს არაბიოლოგიური მოთხოვნილებების იერარქია, რომლებიც შესაძლოა ისე იქნას დაკმაყოფილებული ინდივიდის მიერ, რომ არ გახდეს საჭირო სხვა საფეხურის მოთხოვნილეების დაკმაყოფილება. მასლოუს ადამიანის საჭიროებების იერარქია არის ინდივიდის პოტენციალის სრული რეალიზების შესაძლებლობის განსაზღვრის მცდელობა, თუმცა რადგან ვერ მოხერხდება იმის დადგენა, არის თუ არა ინდივიდი სრულად რეალიზებული სოციუმში, თვითაქტუალიზაციის იდენტიფიცირება და მისი ხარისხის შეფასებაც შეუძლებელია. შეიძლება ითქვას, რომ მასლოუს თეორია არ შეიცავს დამაჯერებელ არგუმენტებს იმის შესახებ, რატომ არის შეუძლებელი ინდივიდის პოტენციალის რეალიზება სხვა საჭიროებების დაკმაყოფილების გარეშე. მასლოუს თეორია ქმნის ზოგად წარმოდგენას იმ ურთიერთკავშირზე, რაც არსებობს ინდივიდის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების სურვილს შორის.

კრიტიკული შეფასებების მიუხედავად, ა. მასლოუ მოტივაციის ფსიქოლოგიის ყველაზე აღიარებული ავტორიტეტია. მისმა თეორიულმა კვლევებმა დასაბამი მისცა და გაგრძელება-განვითარება ჰპოვა პოზიტიური ფსიქოლოგიისა და თვითდეტერმინაციის თეორიამ. ამიტომაც, მასლოუ ბოლო დროის ფსიქოლოგთა შორის ყველაზე ხშირად ციტირებადი და პოპულარული მოაზროვნეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კატუკია, ა., მოტივაციის კვლევა შედარებით მენეჯმენტში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2018;

2. მელიქიშვილი, მ., მოტივაცია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ., 2013;

3. საყვარელიძე, ს., მოტივაციის ზრდის სტრატეგიები საქართველოს საჯარო უწყებებში, თბ., 2018;

4. ფრომი, ე. ფსიქოანალიზი და რელიგია, გამომცემლობა „პეგა“, თბ., 2015;

5. ფრომი, ე., დოგმატი იესო ქრისტეზე, გამომცემლობა „პეგა“, თბ., 2015,120;

6. A theory of human motivation, Maslow, A., H., Psychological Review, 50, 1943, 370-396;

7. Fowler, S., What Maslow's Hierarchy Won't Tell You About Motivation, Harvard Business Review, 2014; retrived from https://hbr.org/2014/11/what-maslows-hierarchy-wont-tell-you-about-motivation;

8. McLeod, S, A., Maslow's Hierarchy of Needs, Highgate Counselling Center, 2013;

9. Uysal, T., Aydemir, S., Genc., E., Maslow,s Hierarchy of Needs in 21st Century: the examination of vocational differences, Researches on Science and Art in 21st Century Turkey, Volume 1, 2017;

10. Haque, F., Haque, M., Islam, M., Motivational Theories – A Critical Analysis, ASA University Review, Vol № 8, №1, 2014;

11. http://www.insource.ge/ge/node/590:

12. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/.

1 Rutledge, P., Social Networks: What Maslow Misses, 2011; retrieved from https://www.psychologytoday.com/intl/blog/positively-media/201111/social-networks-what-maslow-misses-0 07.05.2022

2 http://www.insource.ge/ge/node/590

3 http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/

ინტერნეტ-ადიქცია თუ ინტერნეტის პრობლემური მოხმარება?

ანოტაცია

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ კაცობრიობას ბევრი სიკეთე მოუტანა – უმრავლესობისათვის ინტერნეტი უამრავი შესაძლებლობის შემქმნელი საოცარი ინფორმაციული ინსტრუმენტია. მაგრამ უკანასკნელი ორზე მეტი ათწლეულის მანძილზე ჩატარებულმა მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ ტექნოლოგიების გადაჭარბებულ, არაკონტროლირებად მოხმარებას მოჰყვება არაერთი ნეგატიური შედეგი – ფსიქოპათოლოგიური სიმპტომები, ჯანმრთელობის პრობლემები, სოციალური თუ პროფესიული დარღვევები და სხვ., ანუ სიმპტომები, რომელიც ტრადიციულად უკავშირდებოდა ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარებას ან აზარტულ თამაშებს.

სტატიაში წარმოდგენილია ამ თემისადმი მიძღვნილი უცხოური ლიტერატურის მიმოხილვა, რომელმაც აჩვენა, რომ თუმცა ინტერნეტის გადაჭარბებულ მოხმარებასთან დაკავშირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები სადავო აღარ არის, კონსენსუსი ამ ფენომენის კონცეპტუალიზაციასა და დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით მიღწეული ვერ იქნა, რის გამოც ის ადიქციად არ იქნა აღიარებული არც DSM-5-სა და არც ICD-11-ს მიერ. ადიქციის კონცეფციის ალტერნატიული მიდგომაა პრობლემური მოხმარების თეორია, რომლის ფარგლებში ფენომენი განიხილება არა როგორც პათოლოგია, კლინიკური დარღვევა, არამედ უფრო ნეგატიური შედეგების გამომწვევი კოგნიციები და ქცევა, ანუ კოგნიტურ-ქცევითი პარადიგმა – თვითრეგულაციის პრობლემა. ტერმინი „პრობლემური“ უფრო რელევანტურია, ვინაიდან, ჯერ ერთი, სადავოა, არის თუ არა გადაჭარბებული მოხმარება ადიქცია; მეორეც, მოიცავს პრობლემური ქცევის მთლიან სპექტრს – მსუბუქიდან ძრიერ დარღვევამდე; დაბოლოს, „ადიქციასთან“ შედარებით ტერმინი „პრობლემური“ ნაკლებად მასტიგმატიზებელია. ტერმინი „ინტერნეტი“ ზედმეტად ზოგადია, ვინაიდან ინტერნეტი მხოლოდ გარემოა, რომელიც იძლევა ჩვევის გამომწვევი სხვადასხვა ქმედების შესრულების საშუალებას, ამიტომ აუცილებელია მოხმარებული კონტენტის გათვალისწინება.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტ-ადიქცია, ინტერნეტის პრობლემური მოხმარება, კოგნიტურ-ქცევითი პარადიგმა, ონ-ლაინ კომუნიკაციის მჯობინება, კომპენსატორული მოდელი, არარეალიზებული მოთხოვნილებები, ნეგატიური შედეგები.

ანა ზუბაშვილი
კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი

INTERNET ADDICTION OR PROBLEMATIC INTERNET USE?

Ana Zubashvili
Master of Clinical Psychology

ABSTRACT

The development of digital technology has brought many benefits to mankind - for majority the Internet is an amazing information tool with many opportunities. But numerous studies conducted over the last two decades have revealed that in some cases, excessive, uncontrolled consumption of these technologies might lead to a number of negative consequences - psychopathological symptoms, health problems, social or occupational disorders, etc., that is, symptoms traditionally associated with psychoactive substance usage or gambling.

The article presents a review of foreign literature about this topic, which showed that although mental health problems related to excessive Internet use are no longer debatable, consensus could not be reached on the conceptualization and diagnosis of this phenomenon, which is why it was not recognized as an addiction for neither DSM-5 nor ICD-11. An alternative approach to the concept of addiction is the theory of problematic use, in which the phenomenon is considered not as a pathology, a clinical disorder, but as a cognition that causes more negative effects and behavior, or cognitive-behavioral paradigm - the problem of self-regulation.

The term “problematic” is more relevant, since, first, it is debatable whether excessive consumption is an addiction; Second, it covers the whole range of problem behaviors - from mild to severe disorder; Finally, the term “problematic” is less mesmerizing than “addiction”. The term “Internet” is too general, since the Internet is just an environment that allows you to perform various actions that cause habituation, so it is necessary to consider the content consumed.

Keywords: Internet addiction, problematic Internet use, cognitive-behavioral paradigm, preference for online communication, compensatory model, unrealized needs, negative results.

ძირითადი ტექსტი

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ კაცობრიობას ბევრი სიკეთე მოუტანა – უმრავლესობისათვის ინტერნეტი უამრავი შესაძლებლობის შემქმნელი საოცარი ინფორმაციული ინსტრუმენტია. 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვმა 4.95 მილიარდს მიაღწია, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 62.5% შეადგენს (Overview of Global Internet Use). მაგრამ უკანასკნელი ორზე მეტი ათწლეულის მანძილზე ჩატარებულმა მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ ტექნოლოგიების გადაჭარბებულ, არაკონტროლირებად მოხმარებას მოჰყვება არაერთი ნეგატიური შედეგი – სუბიექტული დისსტრესი, ფსიქოპათოლოგიური სიმპტომები, ჯანმრთელობის პრობლემები, სოციალური თუ პროფესიული დარღვევები და სხვ., ანუ სიმპტომები, რომელიც ტრადიციულად უკავშირდება ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარებას ან აზარტულ თამაშებს. შესაბამისად, ამ ინოვაციებმა არა მარტო რადიკალურად შეცვალა **ჩვენი ცხოვრების წესი**, რომელსაც უწოდეს „მარტონი ერთად“, ანუ ვირტუალურად გაერთიანებული, მაგრამ ფიზიკურად განმარტოებული, იზოლირებული ამ ტექნოლოგიებით გატაცების გამო (Turkle, 2013), არამედ შექმნა ნიადაგი სხვადასხვა ქცევითი ადიქციის განსავითარებლად, რომლებიც დღეს გაერთიანებულია „ქოლგისებრი“ ტერმინით – „ტექნოლოგიური ადიქცია“, „ინტერნეტზე (სმარტფონზე, ონ-ლაინ-თამაშზე, სოციალურ ქსელებზე და სხვ.) დამოკიდებულება“. აშშ-ში ჯერ კიდევ 1998 წელს ჩატარებული კვლევის ავტორებმა ამ ფაქტს „ინტერნეტ-პარადოქსიც“ კი უწოდეს: „სოციალური ტექნოლოგია, რომელიც ამცირებს სოციალურ ჩართულობასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას?“ (Kraut, et al., 1998).

„ინტერნეტ-აშლილობის“ ცნება შემოიტანა ამერიკელმა ფსიქიატრმა Goldberg, ოღონდ „როგორც ყოველდღიური ქცევის აღქმული პათოლოგიზაციის საპასუხო სატირიკული მისტიფიკაცია“ (Kuss D. , Griffiths, Karila, & Billieux, 2014; New Yorker Magazine, 2000). Goldberg თანახმად, ესაა ტოქსიკომანიის ანალოგი, DSM-IV-ით განსაზღვრული კრიტერიუმებით: 12 თვის განმავლობაში უნდა აღინიშნებოდეს სულ მცირე სამი სიმპტომი შემდეგიდან: ტოლერანტულობა, აბსტინენცია, კონტროლის დაკარგვა, რეციდივი, ინტერნეტის ხანგრძლივი მოხმარება და მოხმარების გაგრძელება ნეგატიური შედეგების მიუხედავად (Goldberg, 1996). თუმცა, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამ თემის კვლევას საფუძველი ჩაუყარა ორმა მკვლევარმა – Young (აშშ) და Griffiths (დიდი ბრიტანეთი). 1996 წელს გამოქვეყნდა Young მოხსენება სახელწოდებით „ინტერნეტის ადიქციური გამოყენება. შემთხვევა, რომელიც სტერეოტიპს ამსხვრევს“, სადაც აღწერილი იყო 43 წლის დიასახლის ამბავი. პირველად დადასტურდა, რომ სტერეოტიპული წარმოდგენა გადაჭარბებულ ინტერნეტ-მომხმარებელზე (ახალგაზრდა მამაკაცი-ტექნოკრატი) მცდარია – ახლა ეს იყო ინტერნეტში კუთვნილების განცდისა და კომფორტის მაძიებელი მომხმარებელი-ქალი (Young K. , Psychology of computer use: XL., 1996). 1998 წელს Young გამოაქვეყნა მის მიერ შემუშავებული 20-პუნქტიანი ტესტით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები სათაურით „ინტერნეტ-ადიქცია: ახალი კლინიკური აშლილობა“ (Young K. , 1998). საინტერესოა, რომ 2015 წლის ბოლოსთვის მოხსენება 755-ჯერ იქნა ციტირებული, კვლევა კი – 3144-ჯერ (Young K. , 2015). Young თანახმად, ინტერნეტ-ადიქცია არის პათოლოგიური აზარტული თამაშის მსგავსი პრობლემური ქცევა, რომელიც ფუნქციურად შეიძლება განისაზღვროს, როგორც **იმპულსური კონტროლის აშლილობა**, რომელიც არ უკავშირდება ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარებას, შემდეგი სიმპტომებით: (1) ინტერნეტით შემპყრობა; (2) სულ უფრო ხანგრძლივი მოხმარების საჭიროება; (3) მოხმარების შეწყვეტის წარუმატებელი მცდელობა; (4) გუნება-განწყობილების შეცვლა მოხმარების შეწყვეტის ან შემცირების მცდელობისას; (5) ქსელში დაგეგმილ დროზე დიდხანს დარჩევა; (6) მნიშვნელოვანი შესაძლებლობების ან ურთიერთობების რისკის ქვეშ დაყენება გადაჭარბებული მოხმარების გამო; (7) ტყუილი ინტერნეტის მოხმარებასთან დაკავშირებით; (8) ინტერნეტის მოხმარება პრობლემებისგან გასაქცევად („ესკაპიზმი“) ან დაქვეითებული განწყობილების შესამსუბუქებლად. Young აღნიშნავს, რომ შესაფასებელია მხოლოდ პირადი დრო, რომელიც არ უკავშირდება სამუშაო ან სასწავლო მიზნებს; ადიქცია დასტურდება, თუ აღინიშნება ხუთი ან მეტი სიმპტომი (Young K. , 1998). ეს სიმპტომები ემთხვევა DSM-IV-ის კრიტერიუმებს პათოლოგიური აზარტული თამაშისათვის. Young კონცეპტუალური სქემის თანახმად, გამოყოფილია ონლაინ-ადიქციური ქცევის ხუთი ტიპი: კიბერსექსუალური ადიქცია, დამოკიდებულება კიბერ-ურთიერთობაზე, წმინდა კომპულსია (აკვიატებული ონლაინ-აზარტული თამაშები, შოპინგი ან ვაჭრობა), ინფორმაციული გადატვირთვა და კომპიუტერული ადიქცია (აკვიატებული კომპიუტერული თამაშები) (Young, Pistner, O'Mara, & Buchanan, 1999). Young მოდელის შესაბამისად, ინტერნეტ-ადიქციის განვითარება სამი სტადიის შემცველი პროცესია. პირველ სტადიაზე ხდება გაცნობა და ახალი შესაძლებლობებით დაინტერესება (engagement), მეორეზე – ცხოვრების მნიშვნელოვან მხარეთა ჩანაცვლება ინტერნეტით (substitution), ხოლო მესამეზე – „რეალური სამყაროდან და საკუთარი ცხოვრებიდან გაქცევა (Young K. , 1998, გვ. 116). ავტორის აზრით, ინტერნეტს გააჩნია მიჩვევის განვითარების მასტიმულირებელი სპეციფიკური ნიშნები – ხელმისაწვდომობა, კონტროლი და აგზნება (Young, Yue, & Ying, 2011).

1995 წელს გამოქვეყნდა Griffiths სტატია სახელწოდებით „ტექნოლოგიური ადიქციები“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ინტერნეტ-ადიქცია არის ტექნოლოგიური ადიქციის ტიპი, ანუ არაქიმიური, **ქცევითი ადიქცია**, რომელიც უკავშირდება ადამიანისა და მანქანის ურთიერთქმედებას, მოიცავს როგორც პასიურ, ისე აქტიურ ქცევას, რომელიც შეიძლება განმტკიცდეს ხელშემწყობი მახასიათებლებით და გამოიწვიოს ადიქციის განვითარება (Griffiths, 1995, გვ. 15). მომდევნო წელს გამოქვეყნდა მისი კიდევ ერთი სტატია – „ქცევითი ადიქ-

ცია: პრობლემა ყველასთვის?“ (Griffiths, 1996), რომელშიც ის აღნიშნავს, რომ ამჟამად არაერთი ტიპის ქცევა, რომელიც არ უკავშირდება ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარებას, განიხილება, როგორც პოტენციურად მიჩნევის გამომწვევი და ცდილობს პასუხის გაცემას კითხვაზე, მართლაც არსებობს თუ არა ქცევითი ადიქცია. ავტორის თქმით, ქცევითი და ქიმიური ადიქციის სხვადასხვა საერთო ნიშნების (ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და კულტურული) შესწავლამ დაადასტურა, რომ „ადიქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ნარკოტიკების მოხმარებით... ქცევითი ადიქციები არსებობს“ (იქვე, გვ. 24). ამასთანავე, ინტერნეტ-ადიქცია, როგორც ტექნოლოგიური ადიქცია, არის ექვსი საერთო კომპონენტის მქონე ქცევით ადიქციათა ქვესიმრავლე. Brown ნაშრომზე დაყრდნობით Griffiths მიერ გამოყოფილია ექვსი უნივერსალური კომპონენტი: პრიორიტეტულობა – ადამიანის ცხოვრებაში კონკრეტული საქმიანობა ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი; განწყობილების შეცვლა; ტოლერანტულობა – უწინდელი ეფექტის მისაღწევად ჩართულობის გაზრდის საჭიროება; აბსტინენცია – შეწყვეტის ან შემცირების თანმხლევი უსიამოვნო ფსიქოლოგიური, ფიზიკური ნიშნები; კონფლიქტი – გარემოცვასთან თუ საკუთარ თავთან; რეციდივი. ქცევა ჩვევის გამომწვევად მიიჩნევა, თუ აღინიშნება ყველა ეს კომპონენტი (Griffiths M. , 1998).

ასე დაიწყო ამ ფენომენის შესწავლა. 1999 წლისათვის გამოიცა სამი ავტორის მონოგრაფია: Young (Young K. , 1998), Greenfield (Greenfield, 1999) და Surratt (Surratt, 1999). Surrat თქმით, ახალი საუკუნის დასაწყისისათვის მოხდა, ფაქტობრივად, ინტერნეტ-ადიქციის ლეგალიზება, მაგრამ არა როგორც კლინიკური მიმართულებისა, არამედ კვლევისა და პრაქტიკული ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის სფეროს სახით. „ამ საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში ინტერნეტ-დამოკიდებულების თემაზე გამოქვეყნებულ კვლევათა რაოდენობა ექსპოტენციურად იზრდება“ (Fernandes, Maia, & Pontes, 2019, გვ. 1). თუ 2005 წლისათვის PubMed ბაზაში ამ საკითხზე იძებნებოდა მხოლოდ 32 სტატია, 2013 წელს – 275, 2015 წლის ბოლოსთვის პუბლიკაციების რაოდენობამ 1561-ს მიაღწია (Dalal, 2016). წინა ხუთ წელთან შედარებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პუბლიკაციების რიცხვი თითქმის გასამმაგდა (Dell'Osso, et al., 2021).

შედეგად ბოლო ათწლეულების განმავლობაში ადიქციის კონცეფცია მნიშვნელოვნად გაფართოვდა – ის აღარ გულისხმობს მხოლოდ ნივთიერებათა მოხმარებას და მოიცავს ადიქციური თუ პრობლემური ქცევის არაერთ სახეობას (ონ-ლაინ თამაშები, აზარტული თამაშები, კიბერსექსი, შოპინგი, სოციალური ქსელები და სხვ.). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიების მოხმარებასთან დაკავშირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები სადავო აღარ არის, **კონსენსუსი** ამ სახის აშლილობის კონცეპტუალიზაციასა და დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით **მიღწეული არ არის** (Kuss & Billieux, Technological addictions: Conceptualisation, measurement, etiology and treatment., 2016). ამ ფენომენის აღსანიშნავად ლიტერატურაში გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი: „ინტერნეტ-ადიქცია“ (Young K. , 1998), „კომპულსიური მოხმარება“, „ვირტუალური ადიქცია“ (Greenfield, 1999), „ინტერნეტ-დამოკიდებულება“ (Wildt, 2011), „პათოლოგიური მოხმარება“, „პრობლემური მოხმარება“ (Morahan-Martin & Schumacher, 2000; Davis & Flett, 2002; Sim, Gentile, Bricolo, Serpelloni, & Gulamoydeen, 2012; Pawlikowski, Nader, Burger, Stieger, & Brand, 2014; Aboujaoude, Koran, Gamel, Large, & Serpe, 2006; Beard & Wolf, 2001), „ინტერნეტ-ადიქციის აშლილობა“ (Ko, Yen, Chen, Chen, & Yen, 2005). ტერმინების არაერთგვარობა განპირობებულია განსხვავებული თეორიული მიდგომით ან კლინიკური შეფასებით სხვადასხვა ხერხით (Griffiths, Pontes, & Kuss, 2015).

კონსენსუსი არც ინტერნეტ-ადიქციის განსაზღვრებასთან დაკავშირებით არსებობს (Pontes, Kuss, & Griffiths, 2015; Starcevic & Aboujaoude, 2017). ინტერნეტ-ადიქცია განისაზღვრება, როგორც სპეციფიკურად ფსიქოლოგიური ადიქცია (მაგალითად, თამაში, შოპინგი, სოციალური ქსელები და სხვ.), რომელიც ხასიათდება სხვა ტიპის ადიქციასთან საერთო ნიშნებით – კონტროლის დაკარგვა, აბსტინენცია, ძლიერი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, გავლენა ყოველდღიურ საქმიანობაზე და ინტერესის დაკარგვა სხვა საქმიანობის მიმართ (Fernandes, Maiaa, & Pontes, Internet addiction or problematic internet use? Which term should be used?, 2019). ინტერნეტ-ადიქცია აგრეთვე განისაზღვრება, როგორც დეზადაპტაციური მოხმარების მოდელი, რომელმაც ადამიანის ცხოვრებას შეიძლება კლინიკურად მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს (Elhai, Dvorak, Levine, & Hall, 2017). Kuss და Pontes განსაზღვრეს ინტერნეტ-ადიქცია, როგორც ინტერნეტის მოხმარების ქცევითი მოდელი, რომელიც მოიცავს ინტერნეტის მოხმარებისაკენ დისფუნქციურ ლტოლვას გადაჭარბებული, არარეგულირებადი დროის განმავლობაში, თანხმლები ფსიქოლოგიური, სოციალური და ფუნქციური დარღვევებით, რომლებიც არ აიხსნება რაიმე სხვა აშლილობით (Kuss & Pontes, 2019).

არც ინტერნეტ-ადიქციის საყოველთაოდ აღიარებული კონცეფცია არსებობს (Griffiths, Pontes, & Kuss, 2015; Fernandes, Maia, & Pontes, 2019; Kuss & Pontes, 2019). ინტერნეტ-ადიქციის განვითარებისა და განმტკიცების ასახსნელად განსხვავებული თეორიული მოდელები გამოიყენება. შემუშავებულია რამდენიმე თეორიული მოდელი. როგორც უკვე ითქვა, Young განიხილავს ინტერნეტ-ადიქციას, როგორც პრობლემურ ქცევას, რომელიც ფუნქციურად შეიძლება განისაზღვროს, როგორც იმპულსური კონტროლის აშლილობა. Block თანახმად, ინტერნეტ-ადიქცია არის კომპულსიურ-იმპულსური სპექტრის აშლილობა, რომელიც ხასიათდება გადაჭარბებული მოხმარებით, აბსტინენციის, ტოლერანტულობის სიმპტომებითა და ნეგატიური შედეგებით (Pontes, Kuss, & Griffiths, 2015). Brand, Young & Laier შეიმუშავეს „ნეირობიოლოგიურად ორიენტირებული“ (Fernandes, Maia, & Pontes, 2019, გვ.

2) ურთიერთქმედების პროცესის მოდელი I-PACE (Interaction of Person-Affect-Cognition-Execution). ინტერნეტის მოხმარებასთან დაკავშირებული ესა თუ ის აშლილობა არის ხელშემწყობ ფაქტორებს (ნეირობიოლოგიური და ფსიქოლოგიური კონსტიტუცია), მოდერატორებსა (სირთულეთა დაძლევის სტილი და ინტერნეტთან დაკავშირებული დისფუნქციური კოგნიციები) და მედიატორებს (აფექტური და კოგნიტური რეაქცია სიტუაციურ ტრიგერებზე) შორის ურთიერთქმედების პროცესის შედეგი (Brand, Young, Laier, Wölfling, & Potenza, 2016). მოგვიანებით ეს მოდელი განახლდა: ადიქციური ქცევა ვითარდება, როგორც რისკ-ფაქტორებს, კონკრეტულ სტიმულებზე აფექტურ და კოგნიტურ რეაქციას, აგრეთვე აღმასრულებელ ფუნქციებს (სამუხრუჭე კონტროლი და გადაწყვეტილებათა მიღება) შორის ურთიერთქმედების შედეგი (Brand, et al., 2019). თუმცა, ამ მოდელს ემპირიული დასაბუთება აკლია (Fernandes, Maia, & Pontes, 2019).

ინტერნეტ-ადიქციის მოდელებს შორის ერთ-ერთი ყველაზე აღიარებულია Griffiths სიმპტომებზე ცენტრირებული „კომპონენტების მოდელი", რომელიც ეფუძნება ბიოფსიქოსოციალურ მიდგომას: ადიქცია ყოველთვის არის მრავალ ფაქტორს შორის ურთიერთქმედების შედეგი, ბიოლოგიური/გენეტიკური მიდრეკილების, ფსიქოლოგიური კონსტიტუციის (პიროვნული ფაქტორები, არაცნობიერი მოტივაცია და ა.შ.), სოციალური გარემოსა (სიტუაციური მახასიათებლების) და თავად ადიქციური საქმიანობის ხასიათის ჩათვლით. ნებისმიერ ადიქციას აქვს საერთო ექვსი კომპონენტი (Griffiths M. , A 'components' model of addiction within a biopsychosocial framework, 2005). ადიქცია (ნივთიერებათა მოხმარებით თუ მოხმარების გარეშე) არის ბიოფსიქოსოციალური პროცესის ნაწილი და ნებისმიერი ტიპის გადაჭარბებულ ქცევას ბევრი საერთო აქვს. ეს დასკვნა ეფუძნება ბოლო წლების ემპირიულ კვლევებს, რომლებმაც დაადასტურა სხვადასხვა ტიპის ადიქციური ქცევის მსგავსება ნეირონული ჯაჭვისა და ტვინში ქცევითი განმტკიცების არის აქტივაციის დონეზე (Sharifat, Rashid, & Suppiah, 2018; Fernandes, Maiaa, & Pontes, 2019). თუმცა, ამ მსგავსების მიუხედავად, Griffiths ხაზს უსვამს სხვადასხვა ადიქციის გამიჯვნის აუცილებლობას: ინტერნეტი კონკრეტული გადაჭარბებული ქცევის რეალიზების მხოლოდ „ადგილია" (Griffiths & Szabo, 2014), ინტერნეტ-ადიქცია და ინტერნეტ-თამაშების ადიქცია ერთი და იგივე არ არის – ისინი კონცეპტუალურად განსხვავდება (Griffiths & Pontes, 2014).

Shaffer ადიქციის სინდრომის მოდელი ეფუძნება აზრს, რომ ადიქციერი აშლილობის განვითარებაში ადიქციის კონკრეტული ობიექტი ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან ყველა სახის ადიქციას (როგორც ქცევითს, ისე ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარებას), უნიკალური ელემენტების მიუხედავად, აქვს საერთო ნეირობიოლოგიური და ფსიქოსოციალური ნიშნები (რისკ-ფაქტორები), რომლებიც ასახავს მათ საფუძვლად მდებარე ადიქციის სინდრომს. ამ მოდელის თანახმად, ადიქციის სხვადასხვა გამოვლინებას ბევრი საერთო აქვს და ეს საერთო ნიშნები საერთო ეტიოლოგიის ამსახველია. რისკ-ფაქტორების (კონტექსტის ჩათვლით) გამო ზოგი პირი ადიქციის მიმართ უფრო მოწყვლადია. სხვადასხვა ადიქცია განსხვავდება მხოლოდ ფაქტობრივი გამოვლინებით – ზოგს უვითარდება გარკვეული ქცევითი ადიქცია, ზოგს კი – ნივთიერებაზე დამოკიდებულება (Shaffer, et al., 2004).

განსხვავებულ მიდგომას ეფუძნება Davis ინტერნეტის პათოლოგიური მოხმარების კოგნიტურ-ქცევითი მოდელი (Davis R. , 2001). თუ სხვა მოდელების ავტორებს ინტერნეტის გადაჭარბებული მოხმარება კლინიკურ დარღვევად მიაჩნიათ, კოგნიტურ-ქცევითი მიდგომა უფრო ფოკუსირებულია ფენომენის საფუძვლად მდებარე ფსიქოლოგიურ პროცესზე და განიხილავს მას, როგორც **ნეგატიური ცხოვრებისეული შედეგების გამომწვევი ჩვევებისა და თვითრეგულაციის პრობლემას**, ანუ ნაკლებად სერიოზულ პრობლემას, ვიდრე ამას ინტერნეტ-ადიქციის პარადიგმა გულისხმობს (Pontes, Caplan, & Griffiths, 2016). იქიდან გამომდინარე, რომ ინტერნეტის მოხმარება სხვადასხვა მიზანს ემსახურება, Davis მიერ გამიჯნულია ინტერნეტის პათოლოგიური მოხმარების ორი სახეობა: სპეციფიკური და ზოგადი. პირველი უკავშირდება ინტერნეტის კონკრეტული ფუნქციების პათოლოგიურ მოხმარებას (მაგალითად, ონლაინ-თამაშები), მეორე კი ინტერნეტის კომუნიკაციურ კონტექსტს (Caplan, 2002; Kuss & Pontes, 2019). ინტერნეტის პათოლოგიური მოხმარების ეტიოლოგიის ასახსნელად Davis განასხვავებს დისტალურ (შორეულ) და პროქსიმალურ მიზეზებს. დისტალური მიზეზები მოიცავს ადრე არსებულ ფსიქოპათოლოგიას (დეპრესია, სოციალური შფოთვა, ტოქსიკომანია და სხვ.) და თავად ინტერნეტით „უზრუნველყოფილ" ქცევით განმტკიცებას. პროქსიმალური მიზეზები, თავის მხრივ, შეიცავს დისფუნქციურ კოგნიციებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს პათოლოგიურ მოხმარებასთან დაკავშირებული სიმტომები. სახელდობრ, ფსიქოსოციალური პრობლემები ხელს უწყობს დისფუნქციური კოგნიციების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, იწვევს ქცევითი იმპულსების კონტროლის მოშლას, რასაც მოჰყვება ინტერნეტის არარეგულირებადი მოხმარებით გამონვეული ნეგატიური შედეგები. მაშასადამე, ფსიქოსოციალური პრობლემები ინტერნეტის პრობლემური მოხმარების არა შედეგია, არამედ მიზეზი (Caplan, 2002).

Davis ინტერნეტის პათოლოგიური გამოყენების კოგნიტურ-ქცევითი მოდელი გაზიარებულია არაერთი მეცნიერის მიერ. ამ მოდელს ეფუძნება, მაგალითად, მოგვიანებით შემუშავებული Caplan ინტერნეტის პრობლემური მოხმარების მოდელი (Caplan & High, 2011). ფსიქოსოციალური პრობლემების მქონე პირმა პირისპირ ურთიერთობას შეიძლება ამჯობინოს ონლაინ-კომუნიკაცია, რომელიც აღიქმება, როგორც უფრო უსაფრთხო, კომფორტული, ვინაიდან თვითპრეზენტაციის უფრო მაღალი კონტროლის საშუალებას იძლევა. არსებული მონაცემები ადასტურებს, რომ მაღალი სოციალური შფოთვის მქონე პირი ამჯობინებს ონლაინ-კომუნიკაციას, ვინაიდან ის არბილებს თვითპრეზენტაციასთან

დაკავშირებულ შფოთვას პირისპირ ურთიერთობისას (Caplan & High, 2007; Kim & Davis, 2009). ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება ინტერნეტის პრობლემური მოხმარების მნიშვნელოვანი კოგნიტური სიმპტომია, რომელიც განაპირობებს სხვა კოგნიტურ თუ ქცევით სიმპტომებს. ამ სიმპტომის წამყვანი როლი, როგორც ინტერნეტის პრობლემური მოხმარების სხვა სიმპტომების განვითარების განმაპირობებელი საკვანძო ფაქტორისა, განასხვავებს ამ მიდგომას ინტერნეტ-ადიქციის პარადიგმისაგან. მეორე კოგნიტური სიმპტომია ინტერნეტის მოხმარება გუნება-განწყობილების რეგულირებისათვის, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქცევითი სიმპტომების განვითარებაში (LaRose, Lin, & Eastin, 2003). ინტერნეტის მოხმარება გუნების რეგულირებისთვის, თავის მხრივ, პირდაპირი დადებითი პრედიქტორია ინტერნეტის მოხმარების არასაკმარისი რეგულაციისა, რაც გულისხმობს თვითკონტროლის დაქვეითებას (Caplan, 2010, გვ. 1091). არასაკმარისი რეგულაციის კონსტრუქტი ორ განზომილებას შეიცავს: კოგნიტურს – აკვიატებული ფიქრი ვირტუალურ სამყაროზე – გონების შეპყრობა (cognitive preoccupation) და ქცევითს – კომპულსიური მოხმარება, ანუ ინტერნეტში საკუთარი ქცევის რეგულირების უუნარობა. თუ ინტერნეტის პრობლემური მოხმარების კოგნიტური სიმპტომები გამოხატულია, ისინი იწვევს ქცევით სიმპტომებს, რასაც, საბოლოო ჯამში, ნეგატიური შედეგები მოჰყვება (იქვე, გვ. 1090). აღსანიშნავია, რომ ამ მოდელის ყველა ძირითადი დაშვება ეფუძნება ემპირიულ მონაცემებს. ვთქვათ, დადასტურდა, რომ კომპულსიური მოხმარება პრობლემური მოხმარების ცენტრალური კომპონენტია (Caplan, 2005). ონლაინ-კომუნიკაციის მჯობინება კომპულსიური მოხმარების პრედიქტორია (Fioravanti, Primi, & & Casale, 2013; Gàmez-Guadix, Villa-George, & Calvete, 2012), გუნების რეგულირება ნეგატიური შედეგების კოგნიტური პრედიქტორია (Gámez-Guadix, Orue, & Calvete, 2013). ონ-ლაინ კომუნიკაციის მჯობინება პრობლემური მოხმარების საკვანძო სიმპტომია (Svicher, Fioravanti, & Casale, 2021). ონ-ლაინ კომუნიკაციის მჯობინება Facebook მოხმარების რეგულირების უუნარობის პრედიქტორია როგორც ახალგაზრდებს (de Veiga, et al., 2019), ისე მოზარდებს (Assunção & Matos, 2017) შორის. ონ-ლაინ კომუნიკაციის მჯობინება და სოციალური ქსელების მოხმარება გუნების რეგულირებისათვის არასაკმარისი თვითრეგულაციის პრედიქტორია, რომელიც, თავის მხრივ, ნეგატიური შედეგების პრედიქტორია (Fioravantia, Flettb, Hewittc, Rugaia, & Casale, 2020). კოგნიტურ-ქცევით მიდგომას ეფუძნება ინტერნეტ-ადიქციის მკურნალობის (კოგნიტურ-ქცევითი თერაპიის – CBT-IA) პროტოკოლები (Kuss & Pontes, 2019).

ფენომენის საფუძვლად მდებარე ფსიქოლოგიურ პროცესებზე ასევე ფოკუსირებულია Kardefelt-Winther **ინტერნეტის კომპენსატორული მოხმარების** თეორია. ავტორის აზრით, ის, რასაც ჩვეულებრივ ინტერნეტ-ადიქციას უწოდებენ, ყოველთვის ფსიქიკური აშლილობა როდია, ამიტომ განხილულ უნდა იქნეს, როგორც კომპენსატორული მოხმარება. „აკვიატებული, პათოლოგიური ბუნების ნაცვლად, რომელიც ლიტერატურაში ინტერნეტ-ადიქციას მიეწერება, ის გაგებულ უნდა იქნეს, როგორც დაძლევის სტრატეგია, რომელიც ეფუძნება გასაგებ მოტივებს, თუმცა ეს მოტივები ყოველთვის ჯანსაღი არ არის“ (Kardefelt-Winther, 2014, გვ. 352). ნეგატიური ცხოვრებისეული პრობლემები, რეალურ ცხოვრებაში დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები წარმოქმნის ინტერნეტის მოხმარების მოტივს – ნეგატიური განცდების შესამსუბუქებლად, სხვადასხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ თეორიის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ პრობლემას განაპირობებს რეაქცია ნეგატიურ ცხოვრებისეულ ვითარებაზე. მაგალითად, თუ ინდივიდი რეალურ ცხოვრებაში სოციალური სტიმულაციის ნაკლებობას განიცდის, ის ცდილობს ამის ანაზღაურებას კომუნიკაციით ინტერნეტში. ამას მოჰყვება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები: დადებითი იმ კუთხით, რომ ინდივიდი უკეთ გრძნობს თავს, ვინაიდან იღებს სასურველ სოციალურ სტიმულაციას, უარყოფითი კი იმიტომ, რომ ეს ხელს უშლის მეგობრების შეძენას რეალურ ცხოვრებაში, რაც გრძელვადიანი პერსპექტივისათვის ნიშნავს, რომ მისი სოციალური კონტაქტები შეიძლება მხოლოდ ინტერნეტ-კომუნიკაციით შემოიფარგლოს. მართალია, ეს სოციალური კონტაქტების მოპოვების გასაგები და პრაქტიკული გზაა, მაგრამ ამ ჩვევამ შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები და ადიქციის მსგავსი სიმპტომები. რეალურ ცხოვრებაში მუდმივი პრობლემების მქონე პირისათვის კომპენსაციის მოთხოვნილება შეიძლება პერმანენტული გახდეს, თუმცა ნაკლებად მძიმე შემთხვევაში (დროებითი პრობლემები) ინტერნეტის კომპენსატორული მოხმარება შეიძლება სასარგებლოც კი აღმოჩნდეს. შესაბამისად, ინტერნეტის მოხმარებასა და ფსიქოსოციალურ კეთილდღეობას შორის კავშირი გაშუალებულია მოხმარების მოტივებით. ემ მოტივები გადაჭარბებული მოხმარებისა და ნეგატიური შედეგების ახსნის საშუალებას იძლევა – ქცევის, როგორც პათოლოგიურის, წარმოდგენის გარეშე.

განსხვავებული თეორიული პოზიციით გამოწვეული ტერმინოლოგიის, დიაგნოსტიკური კრიტერიუმების, ეტიოლოგიის თაობაზე კონსენსუსის არარსებობის ნათელი დასტურია 2011 წელს Young and Abreu რედაქციით გამოცემული წიგნი „Internet addiction: a handbook and guide to evaluation and treatment“: სხვადასხვა ავტორიტეტული ავტორის მიერ დაწერილი თითოეული თავი ინტერნეტ-ადიქციის განსხვავებულ ახსნას გვთავაზობს. „ეს წიგნი არსებული კვლევების განზოგადების მნიშვნელოვანი მცდელობაა, თუმცა ის სთავაზობს მკითხველს ბევრ შესაძლო ახსნას, თუმცა კონსენსუსის გარეშე“ (Kardefelt-Winther, 2014, გვ. 352).

კონსენსუსის არარსებობა, თავის მხრივ, განაპირობებს მეთოდოლოგიურ პრობლემებს მოვლენის გავრცელების შეფასების კუთხით. 2014 წელს ჩატარებული სისტემური კვლევის შედეგებმა, რომელშიც გაანალიზებულია 2000 წლის შემდეგ გამოქვეყნებული 68 ეპიდემიოლოგიური კვლევა (შერჩევის მოცულობა – არანაკლებ 1000 პირისა) აჩვენა, რომ „ინტერნეტ-ადიქ-

ციის კლასიფიკაციის ოქროს სტანდარტი არ არსებობს, ვინაიდან გამოვლინდა 21 განსხვავებული შეფასების ინსტრუმენტი" (Kuss D. , Griffiths, Karila, & Billieux, 2014, გვ. 4026). ეს ინსტრუმენტები ეფუძნება ან პათოლოგიური აზარტული თამაშების თუ ტოქსიკომანიის ოფიციალურ კრიტერიუმებს, ანდა ინტერნეტში გატარებული დროის თუ წარმოქმნილი პრობლემების კრიტერიუმებს, რის გამოც გავრცელების მაჩვენებლები ძალიან განსხვავებულია – 0.8%-დან იტალიაში 26.7%-მდე ჰონკონგში (იქვე). 2019 წლის მონაცემებით, გავრცელების მაჩვენებელი მერყეობს მინიმალური 1%-დან (გერმანია) მაქსიმალურ 18.7%-მდე ტაივანელ მოზარდებს შორის (Kuss & Pontes, 2019).

„მიუხედავად იმისა, რომ ფენომენის შესწავლის საწყის ეპატზე ჩამოყალიბებულმა ინტერნეტ-ადიქციის კონცეპტუალიზაციამ ხელი შეუწყო ინტერნეტ-ადიქციის გაგებას სხვადასხვა ასპექტითა და კონტექსტით" (Pontes, Kuss, & Griffiths, 2015, გვ. 12), დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ „ინტერნეტ-ადიქციის კონცეფცია ორი ტიპის პრობლემას აწყდება. ჯერ ერთი, არის თუ არა ეს ადიქცია? მეორე პრობლემა უკავშირდება ინტერნეტს, როგორც ჩვევის გამომწვევ გარემოს" (Starcevic, 2013). მკაფიო საზღვრის არარსებობა ინტერნეტ-ადიქციასა და დღევანდელი ცხოვრების წესით გამოწვეულ ინტერნეტის გადაჭარბებულ, მაგრამ „ნორმატიულ" მოხმარებას (რომელიც აუცილებლად ადიქცია არ არის) შორის, ამ კონცეფციის ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა: აღინიშნება გადაჭარბებული მოხმარების **„პათოლოგიზაცია"** (Starcevic & Aboujaoude, 2017; Billieux, Schimmenti, Khazaal, Maurage, & Heeren, 2015). ისმის კიდევ ერთი კითხვა: ინტერნეტ-ადიქცია დამოუკიდებელი მდგომარეობაა თუ გამოვლინებაა სხვა ძირითადი ფსიქიკური აშლილობისა – ვთქვათ, დეპრესიისა, შფოთვითი აშლილობისა, ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიულობის სინდრომისა (Aboujaoude, 2010; Starcevic, 2010; Pies, 2009). ჩატარებულ კვლევათა უმრავლესობა კროს-სექტორულია, ამიტომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ვერ ხერხდება (Starcevic & Aboujaoude, 2017; Grohol, 2017).

ალტერნატიული მიდგომაა ინტერნეტის **პრობლემური მოხმარების** კონცეფცია, რომელიც გაიზიარა ბევრმა იმ მეცნიერმა, რომელიც ეფუძნება Davis კოგნიტურ-ქცევით თუ LaRose სოციალურ-კოგნიტურ მოდელს (LaRose, Lin, & Eastin, 2003), ინტერნეტის არარეგულირებადი მოხმარების სოციალურ-კოგნიტურ თეორიას (Tokunaga, 2015). პრობლემური მოხმარების კონცეფცია შეთავაზებულ იქნა Beard & Wolf მიერ. ეს ტერმინი შემოტანილ იქნა ინტერნეტის ისეთი მოხმარების აღსანიშნავად, რომელიც ფსიქოლოგიურ, სოციალურ, აკადემიურ თუ პროფესიულ პრობლემებს იწვევს (Beard & Wolf, 2001). პრობლემური მოხმარება განიხილება არა როგორც დაავადება, პათოლოგია ან კლინიკური დარღვევა, არამედ უფრო ნეგატიური შედეგების გამომწვევი კოგნიციებისა და ქცევის მოდელი (Assunção & Matos, The generalized problematic internet use scale 2: validation and test of the model to Facebook use., 2017; Fernandes, Maia, & Pontes, 2019). მაგრამ ნეგატიური შედეგები იგივე არ არის, რაც ადიქციის არსებობა (Panova & Carbonell, 2018). Tokunaga თქმით, პრობლემური მოხმარება **პრობლემის სიმძიმის კონტინუუმის საშუალო დიაპაზონში** მდებარეობს და კეთილთვისებიანი ხასიათისაა, მაშინ როცა ინტერნეტ-ადიქცია კონტინუუმის ზედა ნაწილშია და სერიოზულ ნეგატიურ შედეგებს იწვევს (Tokunaga, 2015). ზოგი ავტორის აზრით, პრობლემური მოხმარება ნეგატიური ემოციების შემსუბუქებისაკენ მიმართული ქცევაა (Wan & Chiou, 2006), დეზადაპტაციური დაძლევის (ესკაპიზმი – პრობლემისგან გაქცევა) შედეგი (Billieux, et al., 2013; Kuss, Louws, & Wiers, 2012).

გამოითქვა აგრეთვე აზრი, რომ ვინაიდან ინტერნეტი დღევანდელი ცხოვრების განუყრელი ნაწილია, ინტერნეტ-ადიქციის ზოგიერთი სავარაუდო სიმპტომი შეიძლება აიხსნას არა როგორც პათოლოგიური ქცევა, არამედ ახალი თაობის გართობისა და კომუნიკაციის ნორმატიული ცვლილება, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტერნეტის ჩაშენების დასტური. Smahel & Blinka თქმით, ის, რასაც მკვლევარები განიხილავენ, როგორც პათოლოგიურ ქცევას, შეიძლება იყოს ახალი ცხოვრების წესი (Kardefelt-Winther, 2014). ამერიკელმა ჟურნალისტმა, Marc Prensky, ციფრულ ეპოქაში დაბადებულ თაობას „ციფრული აბორიგენები" (Digital Natives), ხოლო უფროს თაობას – „ციფრული მიგრანტები" (Digital Immigrants) დაარქვა (Prensky, 2001). Oblinger & Oblinger (Oblinger & Oblinger, 2005), Tapscott (Tapscott, 1999) იყენებენ ტერმინს „net-generation", Strauss & Howe (Howe, 2000) – „Millennials". მათი აზრით, დღევანდელი სტუდენტები პრინციპულად განსხვავებულად ფიქრობენ და ამუშავებენ ინფორმაციას, ვიდრე წინა თაობები. თუმცა, ეს რომ ასეც იყოს, ნეგატიურ შედეგების დამადასტურებელ კვლევათა დიდი ნაწილი სწორედ მათზეა ჩატარებული, ამიტომ თუ ზოგი „აბორიგენისათვის" ცხოვრების წესი ნეგატიური შედეგების გამომწვევია, პრობლური მოხმარების საკითხი არ იხსნება. Griffiths თქმით, თუ გადაჭარბებული ქცევა ცხოვრებას არ ართულებს, ის ადიქცია არ არის. განსხვავება გადაჭარბებულ ჯანსაღ ენთუზიაზმსა და არაჯანსაღ მოხმარებას შორის ისაა, რომ პირველი ცხოვრებას ამდიდრებს, მეორე კი ამძიმებს (Griffiths M. , A 'components' model of addiction within a biopsychosocial framework, 2005).

დღეს მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ტერმინი „ინტერნეტ-ადიქცია" მოძველებულია, მისი გამოყენება შეცდომაა და მასზე უარი უნდა ითქვას (Pontes, Caplan, & Griffiths, 2016; Fernandes, Maia, & Pontes, 2019; Kuss & Pontes, 2019; Dell'Osso, et al., 2021; Panova & Carbonell, 2018). აღსანიშნავია ერთ-ერთი ავტორიტეტული ავტორების სტატიის სათაური: „ინტერნეტ-ადიქცია: სულ უფრო არაადეკვატური კონცეფციის გადაფასება" (Starcevic & Aboujaoude, 2017). გადაჭარბებული პათოლოგიზაციის ტენდენციას შეიძლება მოჰყვეს შესაბამისი ფსიქოლოგიური პროცესების საეჭვო შეფასება. აუცილებელია კრიტერიუმებზე ორიენტირებული მიდგომიდან გადასვლა მოტივაციურ, აფექტურ, კოგნიტურ, ინტერპერსონალურ და სოციალურ პროცე-

სებზე ორიენტირებულ მიდგომაზე (Billieux, Schimmenti, Khazaal, Maurage, & Heeren, 2015; Griffiths, et al., 2016). ფენომენი უნდა განიხილებოდეს არა როგორც დაავადება, არამედ კოგნიტურ-ქცევითი პარადიგმა – თვითრეგულაციის პრობლემა (Pontes, Caplan, & Griffiths, 2016; Fernandes, Maia, & Pontes, 2019; Dell'Osso, et al., 2021).

ამრიგად, ტერმინი „პრობლემური" უფრო რელევანტურია, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ მოსაზრება იმის შესახებ, რომ გადაჭარბებული მოხმარება არის ადიქცია, ჯერ კიდევ სადავოა. მეორეც, ტერმინი „პრობლემური" აღწერს ქცევას უფრო ფართო აზრით – მოიცავს პრობლემური ქცევის მთლიან სპექტრს – მსუბუქიდან ძრიერ დარღვეულ ქცევამდე (Ang, Chong, Chye, & Huan, 2012). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადიქციასთან შედარებით ტერმინი „პრობლემური" ნაკლებად მასტიგმატიზებელია.

რაც შეეხება ინტერნეტის ცნებას, საწყის ეტაპზე გამოყენებული ტერმინი „ინტერნეტი" ზედმეტად ზოგადია, ვინაიდან ინტერნეტი იძლევა სხვადასხვა ქმედების შესრულების საშუალებას (Starcevic & Aboujaoude, 2017). ინტერნეტი მხოლოდ გარემოა, რომელშიც ხორციელდება ჩვევის გამომწვევი ქცევა (Griffiths M. , 2000; Griffiths & Szabo, 2014; Pontes, Kuss, & Griffiths, 2015; Fernandes, Maiaa, & Pontes, 2019). „გარკვეული აზრით იმის თქმა, რომ ინდივიდი დამოკიდებულია ინტერნეტზე, იგივეა, რაც თქვა, რომ ალკოჰოლთან პრობლემების მქონე პირი დამოკიდებულია ღვინის მაღაზიაზე" (Van Rooij & Prause, 2014, გვ. 204). „ინტერნეტის მომხმარებელი დამოკიდებულია ინტერნეტზე ისე, როგორც ალკოჰოლიკი ბოთლზე" (Kim & Kim, 2010). შემდგომმა კვლევებმა არჩენა კონცეპტუალური განსხვავება ინტერნეტში განხორციელებულ პრობლემურ ქცევასა (ინტერნეტი მხოლოდ იმ კონკრეტული ქცევის განსახორციელებული გარემოა, რომელიც შეიძლება ავტონომიურ რეჟიმშიც შესრულდეს – მაგალითად, აზარტული თამაშები) და ინტერნეტის კონკრეტულ კონტენტზე დამოკიდებულებას შორის (მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით მისაწვდომი – მაგალითად, სოციალური ქსელები) (Kuss & Billieux, 2016; Griffiths, Pontes, & Kuss, 2015). სანდო ემპირიულმა მონაცემებმა ცხადყო კონკრეტულ ონ-ლაინ ქმედებათა გამიჯვნის აუცილებლობა – ვთქვათ, „თამაშის ადიქცია განსხვავდება ინტერნეტ-ადიქციისაგან" (Pontes, Caplan, & Griffiths, 2016, გვ. 12). ამრიგად, ინტერნეტის პრობლემური მოხმარება უკავშირდება ინტერნეტის გარკვეული ფუნქციების (ონ-ლაინ თამაშები, სოციალური ქსელები და ა.შ.) მოხმარებას, ამიტომ აუცილებელია მოხმარებული კონტენტის გათვალისწინება.

2013 წელს ამერიკულმა ფსიქიატრიულმა ასოციაციამ (APA) პირველად შეიტანა ქცევითი ადიქციები დიაგნოსტიკური სახელმძღვანელოს მეხუთე გამოცემაში (DSM-5, 2013). პათოლოგიური აზარტული თამაში კლასიფიცირებულ იქნა, როგორც აზარტული თამაშების აშლილობა, ანუ გახდა პირველი ოფიციალურად აღიარებული ქვევითი ადიქცია. წინა ვერსიების კლასიფიკაციით, ის იმპულსური კონტროლის აშლილობაში შედიოდა. ეს ცვლილება ეფუძნებოდა ათწლეულობის მანძილზე დაგროვილ მონაცემებს, რომლებიც ადასტურებდა გემბლინგის მსგავსებას ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარებასთან. DSM-5-ის გამოქვეყნებამდე მიმდინარეობდა დისკუსია ინტერნეტ-ადიქციის, როგორც ცალკეული აშლილობის, ჩართვის შესახებაც (Block, Issues for DSM-5: Internet addiction, 2008; Petry & O'Brien, 2013). სადავო აგრეთვე იყო ის, ეს უნდა ყოფილიყო ინტერნეტი ზოგადად თუ ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული კონკრეტული ქმედება. ამ დებატების შედეგად DSM-5-ში შეტანილ იქნა ინტერნეტის პრობლემური გამოყენების მხოლოდ ერთი ქვეტიპი – ინტერნეტ-თამაშების აშლილობა, ოღონდ მესამე ნაწილში, ანუ როგორც საკითხი, რომელიც მომავალ ვერსიაში შეტანამდე დამატებით კვლევას საჭიროებს (Griffiths, Kuss, Lopez-Fernandez, & Pontes, 2017). რაც შეეხება სხვა ქვეტიპებს, მიჩნეულ იქნა, რომ არსებული მონაცემები საკმარისი არ არის მათი აშლილობად აღიარებისათვის.

დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-11 ვერსიაში (ICD-11, 2022) შენარჩუნებულია იმპულსური კონტროლის კატეგორია, რომელშიც შეტანილია აზარტული თამაშების აშლილობა (6C50), „თამაშების აშლილობა, უპირატესად ონ-ლაინ" (6C51.0). რაც შეეხება ინტერნეტის პრობლემური მოხმარების სხვა ქვეტიპებს, მიჩნეულ იქნა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის დამოუკიდებელ მდგომარეობად მათი აღიარებისათვის არსებული მონაცემები საკმარისი არ არის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aboujaoude, E. (2010). Problematic Internet use: an overview. World Psychiatry. 2010; 9(2), 85–90.

2. Aboujaoude, E., & Gega, L. (2020). From digital mental health interventions to digital "addiction": Where the two fields converge. Frontiers in Psychiatry, 10:1017, 1-5.

3. Aboujaoude, E., Koran, L., Gamel, N., Large, M. D., & Serpe, R. (2006). Potential markers for problematic Internet use: a telephone survey of 2,513 adults. CNS Spectr.; 11(10), 750–755.

4. Al-Menayes, J. (2016). The fear of missing out scale: Validation of the Arabic version and correlation with social media addiction. . International Journal of Applied Psychology. 6, , 41–46.

5. Andreassen, C. (2015). Online social network site addiction. A comprehensive review. Curr. Addict. Rep. 2,, 175–184.

6. Andreassen, C., Billieux, J., Griffiths, M., Kuss, D., Demetrovics, Z., Mazzoni, E., & Pallesen, S. (2016). The relationship between addictive use of social media and video games and symptoms of psychiatric disorders: A large-scale cross-sectional study. Psychology of Addictive Behaviors, 30, 252-262.

7. Andreassen, C., Torsheim, T., Brunborg, G., & Pallesen, S. (2012). Development of a Facebook Addiction Scale. . Psychological Reports. 110 , 1–17.

8. Ang, R. P., Chong, W. H., Chye, S., & Huan, V. S. (2012).

Loneliness and generalized problematic internet use: parents' perceived knowledge of adolescents' online activities as a moderator. Computers in Human Behavior, 28(4),, 1342-1347.

9. Assunção, R. S., & Matos, P. M. (2017). The generalized problematic internet use scale 2: validation and test of the model to Facebook use. Journal of Adolescence, 54, 51-59.

10. Assunção, R. S., & Matos, P. M. (2017). The generalized problematic internet use scale 2: Validation and test of the model to Facebook use. . Journal of Adolescence, 54, 51–59.

11. Beard, K. W., & Wolf, E. M. (2001). Modification in the proposed diagnostic criteria for internet addiction. CyberPsychology & Behavior, 4(3),, 377-383.

12. Becker, M., Alzahabi, R., & Hopwood, C. (2013). Becker, M.W.; Alzahabi, R.; Hopwood, C.J. Media multitasking is associated with symptoms of depression and social anxiety. . Cyberpsychology, Behavior, and Social Networking , 132-135.

13. Billieux, J., Schimmenti, A., Khazaal, Y., Maurage, P., & Heeren, A. (2015). Are we overpathologizing everyday life? A tenable blueprint for behavioral addiction research. Journal of Behavioral Addictions, 4(3),, 119- 123.

14. Billieux, J., Van der Linden, M., Achab, S., Khazaal, Y., Paraskevopoulos, L., & Zullino, D. (2013). Why do you play World of Warcraft? An in-depth exploration of self-reported motivations to play online and in-game behaviours in the virtual world of Azeroth. Computers in Human Behavior, 29(1), 103–109.

15. Block, J. (2008). Issues for DSM-5: Internet addiction. American Journal of Psychiatry. Vol. 165, 306–307.

16. Block, J. (2008). Issues for DSM-V: Internet addiction. The American Journal of Psychiatry. [Editorial]. 165(3), 306-307.

17. Boyd, D., & Ellison, N. (2008). Definition, history, and scholarship. J. Comput.-Mediat. Commun. 13, , 210–230.

18. Bragazzi, N., & Del Puente, G. (2014). A proposal for including nomophobia in the new DSM-V. . Psychology Research and Behavior Management. 7 , 155–160.

19. Brand, M., Wegmann, E., Stark, R., Müller, A., Wölfling, K., Robbins, T. W., & & Potenza, M. N. (2019). The Interaction of Person-Affect-Cognition-Execution (I-PACE) model for addictive behaviors: update, generalization to addictive behaviors. Neuroscience and Biobehavioral Reviews, 104, 1-10.

20. Brand, M., Young, K. S., Laier, C., Wölfling, K., & Potenza, M. N. (2016). Integrating psychological and neurobiological considerations regarding the development and maintenance of specific Internet-use disorders: An Interaction of Person-Affect-Cognition-Execution (I-PACE) model. Neuroscience and Biobehavioral Reviews, 71, 252-266.

21. Buglass, S., Binder, J., Betts, L., & Underwood, J. (2017). Motivators of online vulnerability: The impact of social network site use and FOMO. . Computers in Human Behavior. 66, , 248–255.

22. Cam, E., & Isbulan, O. (2012). A new addiction for teacher candidates: Social networks. . Turkish Online Journal of Educational Technology. 11, , 14–19.

23. Caplan, S. E. (2002). Problematic Internet use and psychosocial well-being: Development of a theory-based cognitive-behavioral measure. Computers in Human Behavior, 18 , 533–575.

24. Caplan, S. E. (2005). A social skill account of problematic internet use.. Journal of Communication, 55 , 721-736.

25. Caplan, S. E. (2010). Theory and measurement of generalized problematic Internet use: A two-step approach. Computers in Human Behavior, 25, 1089-1097.

26. Caplan, S. E., & High, A. C. (2007). Beyond excessive use: The interaction between cognitive and behavioral symptoms of problematic Internet use. Communication Research Reports, 23, 265-271.

27. Caplan, S. E., & High, A. C. (2011). Online Social Interaction, Psychosocial Well-Being, and Problematic Internet Use. E. b. Abreu.-მი, Internet addiction: a handbook and guide to evaluation and treatment (გვ. 35-54). Hoboken, New Jersey: John Wiley & Sons, Inc.

28. Dalal, P. B. (2016). Twenty years of Internet addiction … Quo Vadis? Indian Journal of Psychiatry. 58(1) , 6–11.

29. Davis, R. (2001). A cognitive-behavioral model of pathological Internet use. Computers in Human Behavior, 17, 187–195.

30. Davis, R., & Flett, G. (2002). Validation of a new scale for measuring problematic Internet use: Implications for pre employment screening. Cyberpsychology & Behavior; 5(4):, 331-345.

31. de Veiga, G. F., Sotero, L., Pontes, H. M., Cunha, D., Portugal, A., & Relvas, A. P. (2019). Emerging adults and Facebook use: The validation of the Bergen Facebook addiction scale (BFAS). International Journal of Mental Health and Addiction, 17, 279–294.

32. Dell'Osso, B., Di Bernardo, I., M., V., Piccoli, E., Giorgetti, F., L., M., . . . Viganò, C. (2021). Managing Problematic Usage of the Internet and Related Disorders in an Era of Diagnostic Transition: An Updated Review. Clinical Practice and Epidemiology in Mental Health, 17, 61-74.

33. Donnelly, E., & Kuss, D. (2016). Depression among users of social networking sites (SNSs): The role of SNS addiction and increased usage. Journal of Addiction Research and Preventive Medicine. 1 , 107.

34. DSM-5. (2013). 53. American Psychiatric Association Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders – Text Revision (Fifth Edition). Washington: D.C.: Author.

35. Echeburua, E., & de Corral, P. (2010). Addiction to new technologies and to online social networking in young people: A new challenge. . Adicciones, 22, 91–95.

36. Elhai, J. D., Dvorak, R. D., Levine, J. C., & Hall, B. J. (2017). Problematic smartphone use: a conceptual overview and systematic review of relations with anxiety and depression psychopathology. Journal of Affective Disorders, 207, 251-259.

37. Fernandes, B., Maia, B. R., & Pontes, H. M. (2019). Internet addiction or problematic internet use? Which term

should be used? Psicologia USP, 2019, volume 30, 1-8.

38. Fernandes, B., Maiaa, B. R., & Pontes, H. M. (2019). Internet addiction or problematic internet use? Which term should be used? Psicologia USP, volume 30,, 1-8.

39. Fioravanti, G., Primi, C., & & Casale, S. (2013). Psychometric evaluation of the Generalized Problematic Internet Use Scale 2 in an Italian sample. Cyberpsychology, Behavior, and Social Networking, 10, 761-766.

40. Fioravantia, G., Flettb, G., Hewittc, P. L., Rugaia, & Casale, S. (2020). How maladaptive cognitions contribute to the development of problematic social media use. Addictive Behaviors Reports. 11: 100267.

41. Gámez-Guadix, M., Orue, & Calvete, E. (2013). Evaluation of the cognitive-behavioral model of generalized and problematic Internet use in Spanish adolescents. Psicothema, Vol. 25, No. 3, 299-306.

42. Gàmez-Guadix, M., Villa-George, F., & Calvete, E. (2012). Measurement and analysis of the cognitive behavioral model of generalized problematic Internet use among Mexican adolescents. Journal of Adolescence, 35, 1581-1591.

43. Gil, F., Chamarro, A., & Oberst, U. (2016). Addiction to online social networks: A question of "Fear of Missing Out"? . Journal of Behavioral Addictions, 4 (Suppl. S1) , 51.

44. Goldberg, I. (1996). Internet addiction disorder. CyberPsychol. Behavior. V. 3. №4. , P. 403-412.

45. Greenfield, D. N. (1999). Virtual addiction; Help for Netheads, Cyberfreaks, and Trose Who love Them. Oakland. : New Yarbinger Publ.

46. Griffiths. (1995). Technological Addictions. Clinical Psychology Forum, 76,, 14-19.

47. Griffiths. (1996). Internet addiction: An issue for clinical psychology? Journal of Workplace Learning, 19-25.

48. Griffiths, M. (1998). Fruit machine addiction: an issue for educational psychologists? Educational and Child Psychology, Vol. 15 (4), 33-44.

49. Griffiths, M. (2000). Internet addiction – time to be taken seriously? . Addict Res Theory; 8(5), 413–418.

50. Griffiths, M. (2005). A 'components' model of addiction within a biopsychosocial framework. Journal of Substance Use, 10(4). , 191–197.

51. Griffiths, M. (2012). Facebook addiction: Concerns, criticisms and recommendations. Psychological Reports, 110,, 518–520.

52. Griffiths, M. D. (2003). Internet gambling: Issues, concerns, and recommendations. . CyberPsychology & Behavior, 6 , 557-568.

53. Griffiths, M. D., van Rooij, A., Kardefelt-Winther, D., Starcevic, V., Király, O., Pallesen, S., & al., e. (2016). Working towards an international consensus on criteria for assessing Internet Gaming Disorder: A critical commentary on Petry et al. Addiction, 111(1),, 167–175.

54. Griffiths, M., & Pontes, H. (2014). Internet addiction disorder and Internet gaming disorder are not the same. Journal of Addiction Research & Therapy; 5(4):, e124.

55. Griffiths, M., & Szabo, A. (2014). Is excessive online usage a function of medium or activity? An empirical pilot study. Journal of Behavioral Addictions; 3(1), 74–77.

56. Griffiths, M., & Szabo, A. (2014). Is excessive online usage a function of medium or activity? An empirical pilot study. J Behav Addict. 3(1), 74–77.

57. Griffiths, M., Kuss, D., & Demetrovics, Z. (2014). Social networking addiction: An overview of preliminary findings. In Behavioral Addictions: Criteria, Evidence and Treatment; Rosenberg, K., Feder, L., Eds.; Elsevier: New York, NY, USA, 2014; pp. 119–141. K. F. Rosenberg-ში, In Behavioral Addictions: Criteria, Evidence and Treatment (გვ. 119-141). Griffiths, M.D.; Kuss, D.J.; Demetrovics, Z. Social networking addiction: An overview of preliminary findings. In Behavioral Addictions: CriteNew York: Elsevier: NY, USA.

58. Griffiths, M., Kuss, D., Lopez-Fernandez, O., & Pontes, H. (2017). Problematic gaming exists and is an example of disordered gaming. Journal of Behavioral Addictions 6(3), 296–301.

59. Griffiths, M., Pontes, H., & Kuss, D. (2015). Clinical psychology of Internet addiction: a review of its conceptualization, prevalence, neuronal processes, and implications for treatment. Neuroscience and Neuroeconomics, 2015 (4),, 11-23.

60. Grohol, J. M. (2017). Internet addiction guide. მოპოვებული

61. https://psychcentral.com/netaddiction/-დან

62. Howe, N. S. (2000). Millennials rising: the next great generation. . New York : NY: Vintage.

63. ICD-11. (2022). ICD-11 for Mortality and Morbidity Statistics (Version: 02/2022). მოპოვებული https://icd.who.int/browse11/l-m/en-დან

64. Jiang, S., & Ngien, A. (2020). The Effects of Instagram Use, Social Comparison, and Self-Esteem on Social Anxiety: A Survey Study in Singapore. . Social Media+Society., 1-10.

65. Kardefelt-Winther, D. (2014). A conceptual and methodological critique of internet addiction research: Towards a model of compensatory internet use. Computers in Human Behavior, 31, 351-354.

66. Kim, H., & Davis, K. E. (2009). Toward a comprehensive theory of problematic Internet use: Evaluating the role of self-esteem, anxiety, flow, and the self-rated importance of Internet activities. Computers in Human Behavior, 25, 490-500.

67. Kim, M., & Kim, J. (2010). Cross-validation of reliability, convergent and discriminant validity for the problematic online game use scale. Computers in Human Behavior. Vol. 26(3)., 389–398.

68. Ko, C., Yen, J., Chen, C., Chen, S., & Yen, C. (2005). Proposed diagnostic criteria of Internet addiction for adolescents. Journal of Nervous and Mental Disease; 193(11):, 728-733.

69. Koc, M., & Gulyagci, S. (2013). Facebook addiction among Turkish college students: The role of psychological health, demographic, and usage characteristics. . Cyberpsychology, Behavior, and Social Networking. 16 , 279–284.

70. Kraut, R., Patterson, M., Lundmark, V., Kiesler, S., Mukopadhyay, T., & Scherlis, W. (1998). Internet Paradox: A Social Technology That Reduces Social Involvement and Psychological Well-Being? American Psychologist. Vol. 53, No. 9,, 1017-1031.

71. Kuss, D. J., & Billieux, J. (2016). Technological addictions: Conceptualisation, measurement, etiology and treatment. Addictive Behaviors, 64., 231-233.

72. Kuss, D. J., & Griffiths, M. D. (2011). Online social networking and addiction: a review of the psychological literature. International journal of environmental research and public health, 8(9), 3528–3552.

73. Kuss, D. J., & Lopez-Fernandez, O. (2016). Internet addiction and problematic Internet use: A systematic review of clinical research. . World Journal of Psychiatry, 6(1), , 143–176.

74. Kuss, D. J., & Pontes, H. M. (2019). Internet Addiction. Toronto, Ontario: Hogrefe Publishing.

75. Kuss, D. J., Louws, J., & Wiers, R. W. (2012). Online gaming addiction? Motives predict addictive play behavior in massively multiplayer online role-playing games. Cyberpsychology, Behavior and Social Networking, 15(9),, 480–485.

76. Kuss, D., & Griffiths, M. (2017). Social Networking Sites and Addiction: Ten Lessons Learned. International journal of environmental research and public health vol. 14(3): 311. International journal of environmental research and public health vol. 14(3): 311., 1-17.

77. Kuss, D., Griffiths, M., Karila, L., & Billieux, J. (2014). Internet addiction: a systematic review of epidemiological research for the last decade. Current Pharmaceutical Design, 20 (25),, 4026-4052.

78. Kuss, D., Griffiths, M., Karila, L., & Billieux, J. (2014). Internet Addiction: A Systematic Review of Epidemiological Research for the Last Decade. Current Pharmaceutical Design; 20 (25). Current Pharmaceutical Design; 20, No. 25, 1-26.

79. Kuss, D., Shorter, G., van Rooij, A., Griffiths, M., & Schoenmakers, T. (2014). Assessing Internet addiction using the parsimonious Internet addiction components model: A preliminary study. Int. J. Ment. Health Addict. 2, 351–366.

80. LaRose, R., Lin, C. A., & Eastin, M. S. (2003). Unregulated Internet usage: Addiction, habit, or or deficient self-regulation? Media Psychology, 5,, 225–253.

81. Latif, H., Uckun, C., Gökkaya, Ö., & Demir, B. (2016). Perspectives of generation 2000 and their parents on e-communication addiction in Turkey. International Journal of Humanities and Social Science. 5,, 51–61.

82. Malik, A., Dhir, A., & Nieminen, M. (2016). Uses and gratifications of digital photo sharing on Facebook. . Telematics and Informatics., 33, 129–138.

83. Marketing Land Nearly 80 Percent of Social Media Time Now Spent on Mobile Devices. (2017 წლის 29 January). მოპოვებული Facebook-usage-accounts-1-5-minutes-spent-mobile-171561: marketingland.com-დან

84. Morahan-Martin, J., & Schumacher, P. (2000). Incidence and correlates of pathological Internet use among college students. Computers in Human Behavior; 16 (1), 13-29.

85. New Yorker Magazine. (2000). Justt Click No. Talk Story about Dr. Ivan K. Goldberg and the Internet Addiction Disorder. მოპოვებული http://www.newyorker.com/magazine/1997/01/13/just-click-no-დან

86. Oberst, U., Wegmann, E., Stodt, B., Brand, M., & Chamarro, A. (2017). A. Negative consequences from heavy social networking in adolescents: The mediating role of fear of missing out. . Journal of Adolescence. 55, 51–60.

87. Oberst, U., Wegmann, E., Stodt, B., Brand, M., & Chamarro, A. (2017). Negative consequences from heavy social networking in adolescents: The mediating role of fear of missing out. . Journal of Adolescence. 55, 51–60.

88. Oblinger, D. G., & Oblinger. (2005). Educating the Net Generation. მოპოვებული Washington, DC: Educause: Retrieved from http :// www. educause. edu/educatingthenetgen /-დან

89. Overview of Global Internet Use. (თ. გ.). მოპოვებული https://datareportal.com/global-digital-overview-დან

90. Panova, T., & Carbonell, X. (2018). Is smartphone addiction really an addiction? Journal of Behavioral Addictions, 7(2), 252-259.

91. Pawlikowski, M., Nader, I. W., Burger, C., Stieger, S., & Brand, M. (2014). Pathological Internet use – it is a multidimensional and not a unidimensional construct. Addiction Research & Theory.; 22(2), 166–175.

92. Petry, N., & O'Brien, C. (2013). Internet gaming disorder and the DSM-5. Addiction. Vol. 108, 1186–1187.

93. Pies, R. (2009). Should DSM-V designate "internet addiction" a mental disorder? Psychiatry (Edgmont), 6(2),, 31-37.

94. Pontes, H. M., Caplan, S. E., & Griffiths, M. D. (2016). Psychometric validation of the Generalized Problematic Internet Use Scale 2 in a Portuguese sample. Computers in Human Behavior, vol. 63, 823-833.

95. Pontes, H., Kuss, D., & Griffiths, M. (2015). Clinical psychology of Internet addiction: a review of its conceptualization, prevalence, neuronal processes, and implications for treatment. Neuroscience and Neuroeconomics (4), 11-23.

96. Prensky, M. (2001). Digital Natives, Digital Immigrants Part 1. On the Horizon, Vol. 9 No. 5, 1-6.

97. Przybylski, A., Murayama, K., DeHaan, C., & Gladwell, V. (2013). Motivational, emotional, and behavioral correlates of fear of missing out. Computers in Human Behavior. 29 , 1841–1848.

98. Shaffer, H. J., LaPlante, D. A., LaBrie, R. A., Kidman, R. C., Donato, A. N., & Stanton, M. V. (2004). Toward a Syndrome Model of Addiction: Multiple Expressions, Common Etiology. Harvard Review of Psychiatry, 12(6), 367-374.

99. Sharifat, H., Rashid, A. A., & Suppiah, S. (2018). Systematic review of the utility of functional MRI to investigate internet addiction disorder: recent updates

on resting state and task-based fMRI. Malaysian Journal of Medicine and Health Sciences, 14(1), 21-33.

100. Sim, T., Gentile, D., Bricolo, F., Serpelloni, G., & Gulamoydeen, F. (2012). A conceptual review of research on the pathological use of computers, video games, and the Internet. International Journal of Mental Health and Addiction. 10(5):, 748–769.

101. Smith, A., & Anderson, M. (2018 წლის March). Social media use in 2018. 4, 2018). მოპოვებული www.pewinternet.org/2018/03/01/social-media-use-in-2018/ (accessed -დან

102. Social media - Statistics & Facts . (2022). მოპოვებული Statista: Social Media Statistics & Facts | Statista-დან

103. Starcevic, V. (2010). Problematic Internet use: a distinct disorder, a manifestation of an underlying psychopathology, or a troublesome behaviour? World Psychiatry. 9(2) , 92–93.

104. Starcevic, V. (2013). Is internet addiction a useful concept? Australian and New Zealand Journal of Psychiatry, 47(1), 16-19.

105. Starcevic, V., & Aboujaoude, E. (2017). Internet addiction: reappraisal of an increasingly inadequate concept. CNS Spectrums, 22(1), 7-13.

106. Status of Mind. (2017). Social Media and Young People's Mental Health and Wellbeing Submitted. London: Royal Society for Public Health Publ.

107. Surratt, C. (1999). Netaholics? The Creation of Pathology. New York: Nova Science Publishers. .

108. Svicher, A., Fioravanti, G., & Casale, S. (2021). Identifying the central symptoms of problematic social networking sites use through network analysis. Journal of Behavioral Addictions. 25; 10(3), 767-778.

109. Tao, R., Huang, X., Wang, J., Zhang, H., Zhang, Y., & Li, M. (2010). Proposed diagnostic criteria for internet addiction. Addiction, 105(3), 556–564.

110. Tapscott, D. (1999). Educating the net generation. Educational Leadership, 56(1) , 6-11.

111. Thorens, G., Achab, S., Billieux, J., Khazaal, Y., Khan, R., Pivin, E., & al., e. (2014). Characteris tics and treatment response of self-identified problematic internet users in a behavioral addiction outpatient clinic. Journal of Behavioral Addictions, 3(1), 78–81.

112. Tokunaga, R. S. (2015). Perspectives on internet addiction, problematic internet use, and deficient self-regulation: contributions of communication research. Annals of the International Communication Association, 39(1), , 131- 161.

113. Tsitsika, A., Tzavela, E., Janikian, M., Ólafsson, K., Iordache, A., Schoenmakers, T., . . . Richardson, C. (2014). Online social networking in adolescence: Patterns of use in six European countries and links with psychosocial functioning. Journal of Adolescent Health, 55, 141–147.

114. Turel, O., & Serenko, A. (2012). The benefits and dangers of enjoyment with social networking websites. European Journal of Information Systems, 21, , 512–528.

115. Turkle, S. (2013). Alone together. Why we expect more from technology and less from each other. Philadelphia, : PA: Basic Books.

116. Van Rooij, A. J., & Prause, N. (2014). A critical review of "Internet addiction" criteria with suggestions for the future. Journal of behavioral addictions, 3(4), 203–213.

117. Wan, C., & Chiou, W. (2006). Psychological motives and online games addiction: a test of flow theory and humanistic needs theory for Taiwanese adolescents. CyberPsychology and Behavior, 9(3), 317-324.

118. Wiederhold, B. K. (2018). The Tenuous Relationship Between Instagram and Teen Self-Identity. . Cyberpsychology, Behavior, And Social Networking. Volume 21, Number 4, , 215-216.

119. Wildt, B. (2011). Internet dependency: Symptoms, diagnosis and therapy. H. D. Cornelius K-ში, Virtual worlds and criminality (გვ. 61-78). Berlin: Springer.

120. World Health Organisation. (2014). WHO (2014). Public health implications of excessive use of the Internet, computers, smartphones and similar electronic devices. Tokto, Japan: National Cancer Research Centre.

121. Wu, C.-S., & Cheng, F.-F. (2007). Internet cafe addiction of Taiwanese adolescents. Cyberpsychology, Behavior, and Social Networking. 10,, 220–225.

122. Xu, H., & Tan, B. (2012). Why do I keep checking Facebook: Effects of message characteristics on the formation of social network services addiction. In Proceedings of the Thirty Third International Conference on Information Systems, Orlando, FL, USA, 16–19 Dece. In Proceedings of the Thirty Third International Conference on Information Systems (გვ. 28-37). Orlando: FL, USA.

123. Young, K. (1996). Psychology of computer use: XL. Addictive use of the Internet: A case that breaks the stereotype. Psychol Rep. 79 (3 Pt 1): , (გვ. 899–902.).

124. Young, K. (1998). Caught in the Net: How to Recognize the Signs of Internet Addiction and a Winning Strategy for Recovery. New York: Wiley; 1st edition.

125. Young, K. (1998). Internet addiction: Emergence of a new clinical disorder. CyberPsychology & Behavior. Volume 1, Number 3., 237–244.

126. Young, K. (2015). The evolution of Internet addiction. Addictive Behaviors Advance online publication. მოპოვებული Retrieved from http://www.sciencedirect.com/science/article/pii/ S0306460315001884.-დან

127. Young, K., Pistner, M., O'Mara, J., & Buchanan, J. (1999). Cyber disorders: the mental health concern for the new millennium. Cyberpsychol Behav. 2 (5):, 475-479.

128. Young, K., Yue, X. D., & Ying, L. (2011). Prevalence Estimates and Etiologic Models of Internet Addiction. K. &. Edited by Young-ში, Internet Addiction: A Handbook and Guide to Evaluation and Treatment (გვ. 3-18). Canada: John Wiley & Sons.

ხარისხის კონტროლის პრაქტიკა და პრობლემები მცირე და საშუალო აუდიტორულ კომპანიებში

ანა ოსიყმიშვილი
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მცირე და საშუალო აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის კონტროლის პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები, მათი გენეზისი და პრევენციული შესაძლებლობები.

ნაშრომში დოქტორანტი ავითარებს აზრს მასზედ, რომ მომხმარებელთა ნდობის ამაღლების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ გარიგების გუნდის მიერ აუდიტორული მომსახურების კვალიფიციურად ჩატარებისა და ამ პროცესზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის არსებობის შემთხვევაში. ხარისხის კონტროლის სისტემაში იგულისხმება **გარე მონიტორინგი,** რომელსაც ზედამხედველი ორგანო ახორციელებს და **ხარისხის მართვა ფირმის დონეზე** - აუდიტორული კომპანიის ფარგლებში. ისინი ერთიანი სისტემის ურთიერთგანმაპირობებელი ნაწილები არიან. თუმცა გარე მონიტორინგის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური პრაქტიკა უკვე არსებობს და ხორციელდება, ხოლო საქართველოს მცირე და საშუალო აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის მართვა, როგორც აუდიტორული მომსახურების მომხმარებელთა მოთხოვნების უზრუნველყოფის მთავარი საწინდარი, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპს გადის. ამიტომაც შედეგები სასურველზე დაბალია. კომპანიაში ხარისხის მართვის დამკვიდრების პროცესის ხანგრძლიობას ორგანიზაციული და გამოცდილებითი რესურსების ნაკლებობა განაპირობებს.

ავტორი ეხება კომპანიის შიგნით ხარისხის კონტროლის ორგანიზების ხელშემშლელ გარემოებებს და გამოთქვამს მოსაზრებებს, რომელიც პრობლემის გადაწყვეტას ისახავს მიზნად.

საკვანძო სიტყვები: აუდიტი; აუდიტის ხარისხის კონტროლი; გარიგების ხარისხის მიმოხილვა, ხარისხის მართვა ფირმის დონეზე.

QUALITY CONTROL PRACTICES AND PROBLEMS IN SMALL AND MEDIUM-SIZED AUDIT FIRMS

Ana Osikmishvili
Doctoral student of Sokhumi State University

RESUME

The article discusses the problems related to quality control practices in small and medium-sized auditing companies, their genesis and preventive capabilities.

In the paper, the doctoral student develops the idea that customer confidence can be ensured only if the transaction team conducts qualified audit services and there is an audit quality control system in line with international standards in this process. Quality control system includes external monitoring carried out by the supervisory body and quality management at the firm level - within the auditing company. They are interdependent parts of a unified system. However, the organizational-methodological practice of external monitoring already exists and is being implemented, and quality management in small and medium-sized audit companies of Georgia, as the main prerequisite for meeting the needs of audit service users, is still in its infancy. That is why the results are lower than desired. The length of the quality management process in the company is due to the lack of organizational and experienced resources.

The author addresses the circumstances that hinder the organization of quality control within the company and expresses views aimed at solving the problem.

Keywords: audit; Audit quality control; Transaction quality review, quality management at the firm level.

შესავალი

გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების გაღრმავებასთან ერთად, საინფარმაციო რისკების შემცირების შესაძლებლობებზე მოთხოვნები იზრდება. თავის მხრივ, რისკების შემცირების შესაძლებლობების სანდოობის მიმართაც მომხმარებელი უფრო მომთხოვნი გახდა. ამ კავშირურთიერთობასთან იგივე კორელაციულ დამოკიდებულებაშია აუდიტი, აუდიტორული მომსახურება და მისი ხარისხი.

სავსებით ლოგიკურია და გასაგები, რომ აუდიტორის დასკვნაზეა დამოკიდებული ინფორმაციის მომხმარებლის მიერ მიღებული (მისაღები) გადაწყვეტილების შედეგი. მესაკუთრეები, ინვესტორები, კრედიტორები თუ ინფორმაციის სხვა ნებისმიერ მომხმარებელი გულისხმობს და დარწმუნებულიც უნდა იყოს, რომ მისთვის ანაზღაურების სანაცვლოდ მიწოდებული ფინანსური ინფორმაცია არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. ამიტომაც აუდიტორის მოსაზრება უნდა იყოს მიუკერძოე-

ბელი, ობიექტური და მომხმარებელს უქმნიდეს ნდობის მაღალ დონეს.

შემსრულებელთა და მომხმარებელთა ფართო წრისათვის უკვე კარგადაა ცნობილი, რომ საინფორმაციო რისკის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ აუდიტორის პროფესიონალიზმისა და პროცედურული მოთხოვნების განუხრელი დაცვის პირობებში.

მომხმარებელთა ნდობის ამაღლების უზრუნველყოფა ხდება არა სხვაგან, არამედ აუდიტორულ კომპანიაში და მიღწევადია მხოლოდ გარიგების გუნდის მიერ აუდიტორული მომსახურების კვალიფიციურად ჩატარებისა და ამ პროცესზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ეფექტიანი ხარისხის კონტროლის სისტემის არსებობის შემთხვევაში.

აუდიტის ხარისხი კომპლექსური ცნებაა. ამჟამად არ არსებობს ამ ტერმინის ზუსტი განმარტება ან ანალიზი, რომელიც საყოველთაოდ იქნებოდა აღიარებული. მსოფლიო აუდიტორულ პრაქტიკაში, აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის უნივერსალური, ცალსახად ჩამოყალიბებული მიდგომაც არ არსებობს. მარეგულირებელ აქტებსა და შესაბამის სტანდარტებში აღწერილია ზოგადი ფარგლები, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ჩატარებული აუდიტორული მომსახურების პროცესი.

სადავო არ არის, რომ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაზე პასუხისმგებლობა აუდიტორებს ეკისრებათ. თუმცა მისი ხარისხი გაცილებით მაღალია ისეთ გარემოში, სადაც აუდიტორს მხარს უჭერენ ფინანსური ანგარიშგების მიწოდების ჯაჭვის ყველა მონაწილე და ისინი თვითონაც სათანადოდ ურთიერთქმედებენ და თანამშრომლობენ.

მართლაც, შეუძლებელია შეცდომებისა და არსებითი უზუსტობების არარსებობის სრული გარანტიით დამოწმება. მაგრამ მცდარი დასკვნების ალბათობის შემცირება და აუდიტის ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია.

აუდიტორული საქმიანობის ხარისხის ეფექტიანი კონტროლი, უწინარესად, ორდონიანია და გულისხმობს აუდიტის განმახორციელებელი პირის **გარე მონიტორინგს,** რომელსაც სახელმწიფო ზედამხედველი ორგანო ან თვითრეგულირებადი აუდიტორული გაერთიანებები ახორციელებენ და **ხარისხის მართვას ფირმის დონეზე** - აუდიტორული კომპანიის ფარგლებში. ისინი ერთმანეთს აძლიერებენ და მთლიანობაში ქმნიან გარანტიების მაღალ, მაგრამ არა აბსოლიტურ დონეს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მოქმედმა კანონმა დაამკვიდრა და ხორციელდება აუდიტორის, აუდიტორული ფირმის და მისი გარიგების პარტნიორის მიერ გამოყენებული პროცედურების აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი გარიგებებისა და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შემუშავებულია გარე მონიტორინგის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები, შესაბამისი პრაქტიკაც უკვე არსებობს და მონიტორინგის შედეგებზეც რეაგირება ხორციელდება, ხოლო საქართველოს მცირე და საშუალო აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის მართვა, როგორც აუდიტორული მომსახურების მომხმარებელთა მოთხოვნების უზრუნველყოფის მთავარი საწინდარი, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპს გადის. ამიტომაც შედეგები სასურველზე დაბალია. ხარისხის მართვის დამკვიდრების პროცესის ხანგრძლიობას ორგანიზაციული და გამოცდილებითი რესურსების ნაკლებობა განაპირობებს.

აუდიტის ხარისხის პრობლემა აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოს მცირე და საშუალო აუდიტორული კომპანიებისთვის, არამედ ყველა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნისთვის. ამ პრობლემის გადაწყვეტას უფრო ინდივიდუალური მიდგომა და განზოგადება სჭირდება.

ძირითადი ტექსტი

ხარისხის კონტროლი აუცილებელია ნებისმიერი დარგის თუ ტიპის საწარმოსთვის, და ცხადია, ამ მხრივ, აუდიტორული საქმიანობა ვერ იქნება გამონაკლისი. ამ სფეროს თავისებურება და ეკონომიკის ყველა სხვა მიმართულებასთან მჭიდრო კავშირი კანონისმიერეადაც ავალდებულებს აუდიტირულ კომპანიებს ხარისხის დაცვას. ამასთან, მკაცრ პასუხისმგებლობასაც უწესებს დამრღვევ პირებს. განსაკუთრებული აქტუალობის გამო, აუდიტორის პირადი პასუხისმგებლობა სავალდებულო დაზღვევასაც კი დაექვემდებარა.

მოქმედი რეგულაციების მოთხოვნების თანახმად, აუდიტორულ კომპანიას აკისრია პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის, სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებისთვის ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე. ხარისხის კონტროლის სისტემა საჭიროა იმისთვის, რომ ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს კომპანიის მიერ შესრულებული გარიგებების ხარისხი ფირმის დონეზე, აგრეთვე იმისთვის, რომ კომპანიაში იყოს გარემო გარიგების გუნდის წევრებმა მომხმარებელთა დაკვეთა მაღალი პასუხისმგებლობით შეასრულონ. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება, რომ მხოლოდ ჩატარებული აუდიტორული მომსახურება და გაცემული დასკვანა უნდა იყოს სტანდარტების შესაბამისი, არამედ მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის შიდა პროცესები და ყველა, მათ შორის, ელემენტარული მოქმედებებიც იყოს სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების შესაბამისი. თითოეულ თანამშრომელს უნდა ჰქონდეს მოტივირებული ხედვა, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაო წარმატებას მოუტანს კომპანიას და პირადად მასაც. სამუშაოთა ხარისხიანი შესრულება კომპანიის ავტორიტეტზე, კომპეტენციაზე და ეფექტიანობაზე პოულობს ასახვას, რაც საბოლოოდ, მის კონკურენტულ უპირატესად გადაიქცევა.

ხარისხის კონტროლის სისტემის უმთავრესი დანიშნულებაა შეიმნას ისეთი გარანტია, რომ ეს აუდიტორული კომპანია ატარებს აუდიტს ან ახორციელებენ

აუდიტორთან დაკავშირებულ მომსახურებას საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

ხარისხის კონტროლის სისტემა უნდა დაეფუძვნოს პოლიტიკას, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ აუდიტორულმა კომპანიამ და მისმა პერსონალმა გარანტირებულად დაიცვას პროფესიული სატანდარტები, მარეგულირებელი და საკანონმდებლო მოთხოვნები; განახორციელოს პროცედურები, რომლებიც აუცილებელია ამ პოლიტიკის გასატარებლად, მის შესრულებაზე მონიტორინგის განსახორციელებლად; ყოველთვის და ყველა შემთხვევაში, იგულისხმება, რომ კომპანიის ან გარიგების პარტნიორის მიერ გაცემული დასკვნები კონკრეტული გარემოებების შესაფერისი იქნება.

ფირმამ უნდა შექმნას და ამუშაოს ხარისხის კონტროლის ისეთი სისტემა, რომლის პოლიტიკა და პროცედურები ეხება ქვემოთ ჩამოთვლილ თითოეულ ელემენტს: ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას; ეთიკურ მოთხოვნებს; დამკვეთებთან ურთიერთობას; შრომით რესურსებს; გარიგების შესრულებას; მონიტორინგს (სქემა 1). კომპანია ვალდებულია დოკუმენტურად დააფიქსიროს თავისი პოლიტიკა და პროცედურები და გააცნოს ისინი ფირმის პერსონალს.

ხარისხის კონტროლის პრინციპები, ბუნება, ვადები, მიზნები და სპეციფიკური პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორული სუბიექტის მოცულობასა და ბუნებაზე, მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, ხარჯ-სარგებლის თანაფარდობაზე. **აუდიტორულ კომპანიაში მოქმედი რეგულაციებით დადგენილი** აუდიტის ხარისხის კონტროლის პრინციპები და პროცედურები, სავალდებულოა ყველა აუდიტორული კომპანიისთვის და მასში გაწერილი უნდა იყოს:

- **პროფესიული მოთხოვნები** - რაც კომპანიის თანამშრომლებს დაავალდებულებს დამოუკიდებლობის, პატიოსნების, ობიექტურობისა და კონფიდენციალურობის პრინციპების, ასევე პროფესიული ქცევის ნორმების დაცვას;
- **პროფესიული კომპეტენცია** - მოეთხოვებათ თანამშრომლებს სათანადო უნარ-ჩვევებისა და პროფესიონალიზმის ფლობა, რომელიც აუცილებელია მოვალეობების გულმოდგინებით შესასრულებლად;
- **ამოცანების მინიჭება** - აუდიტორული პასუხისმგებლობის მინიჭება სპეციალური მომზადებისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლებისთვის, რომლებიც აუცილებელია კონკრეტულ პირობებში;
- **კონტროლის უფლებამოსილებები** - აუდიტის პერსონალის ადეკვატური მუშაობის წარმართვა, მუდმივი კონტროლის განხორციელება ყველა დონეზე, რათა უზრუნველყოს გონივრული გარანტია, რომ შესრულებული სამუშაო შეესაბამება ხარისხის შესაბამის დონეს;

სქემა 1

ხარისხის კონტროლის სისტემის ელემენტები



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტანდარტის მოთხოვნებზე დაყრდნობით

• **კონსულტაცია** - საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების გამართვა შესაბამისი ცოდნის მქონე სპეციალისტებთან;

• **მუშაობა აუდიტის ქვეშ მყოფ სუბიექტებთან და პირებთან,** რომლებსაც ეძლევათ აუდიტთან დაკავშირებული მომსახურება - მუდმივი მუშაობა როგორც პოტენციურ, ისე არსებულ კლიენტებთან;

• **პროცედურების ეფექტურობის მონიტორინგი** - ხარისხის კონტროლის პრინციპებისა და კონკრეტული პროცედურების ადეკვატურობისა და ეფექტურობის რეგულარული მონიტორინგი.

ხარისხის კონტროლის სიტემა მოიაზრებს ხარისხის კონტროლში ჩართულ პირთა კატეგორიებს - ხელმძღვანელს, აუდიტორს, თანაშემწეს და ა.შ. აუდიტორულმა კომპანიამ უნდა შეიმუშაოს მათი თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, თუმცა ეს იმდენად სპეციფიურია, რომ რაიმე სახის ერთიანი ნომენკლატურა, ფაქტობრივად, არ არსებობს და ყველა კომპანია კომპეტენციათა გამიჯვნაზე ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებებს.

ხარისხის კონტროლის პრინციპები და სპეციფიკური პროცედურები ცნობილი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს აუდიტორული კომპანიის თითოეული თანამშრომლისთვის ისე, რომ მიღწევადი იყოს მათი გაგებისა და პრაქტიკაში გამოყენების გონივრული გარანტია.

ხარისხის კონტროლი ტარდება ყოველ აუდიტორთან, მათ შორის, აუდიტის პროცესში. ამისათვის კომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა:

• გამოიყენოს ისეთი კონტროლის პროცედურები, რომლებიც შეესაბამება აუდიტის მიზნებსა და ამოცანებს;

• გააანალიზოს იმ აუდიტორებისა და მათი თანაშემწეების პროფესიული კომპეტენცია, რომლებიც ასრულებენ მათთვის დაკისრებულ სამუშაოს;

• მკაფიოდ ჩამოაყალიბონ აუდიტორებისა და მათი თანაშემწეების მიერ შესაბამისი აუდიტის პროცედურების შესრულების შესახებ ინსტრუქციები. უმეტესად, ამ ფუნქციებს ასრულებს: აუდიტის პროგრამა, დროის შეფასება და საერთო აუდიტის გეგმა.

პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საკონტროლო ფუნქციებს, გამოირჩეოდნენ შესაბამისი გამოცდილებითა და კვალიფიკაციით. ამასთან, ისინი დამოუკიდებელი უნდა იყვნენ კონკრეტული აუდიტორული დავალებისაგან.

ნებისმიერ კომპანიაში, შესაძლოა, გაჩნდეს წინი, დეფექტი, ან დადგენილი სტანდარტიდან გადახრა. სწორედ იმისთვის, რომ დროულად გამოვლინდეს ეს ხარვეზი და ასევე დროულად მოხდეეს მისი აღმოფხვრა, გარდაუვალია ხარისხის შიდა კონტროლის ფუნქციის მატარებელი წესრიგის გაჩენა. ეს ფუნქცია სულაც არ უნდა ისახავდეს მიზნად დამნაშავის ძებნას და მის სამაგალითო დასჯას, არამედ უნდა ემსახურებოდეს ხარვეზის გამოვლენას და შემდგომ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

ძირითადი დოკუმენტი, რომელიც აუდიტორულ

კომპანიაში ხარისხის კონტროლის ორგანიზებისთვის სახელმძღვანელოს წარმოადგენს, ესაა ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი 1 (ხკსს) 1. ამ დოკუმენტის საფუძველზე აუდიტორულმა კომპანიამ დანერგოს და გამოიყენოს ისეთი ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მას დასაბუთებული რწმუნებით იმის შესახებ, რომ:

ა) ფირმა და მისი პერსონალი იცავენ პროფესიულ სტანდარტებსა და სათანადო საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებს;

ბ) ფირმის ან გარიგების პარტნიორების მიერ გაცემული დასკვნები კონკრეტული გარემოებების შესაფერისია.

თავის მხრივ, ხკსს 1 ეფუძნება წინაპირობას, რომ ხარისხის კონტროლის სისტემაზე და პოლიტიკასა და პროცედურებზე პასუხისმგებელია აუდიტორული კომპანია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ

2020 წლის დეკემბერში, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) გამოუშვა ხარისხის მართვის სამი ახალი და განახლებული სტანდარტი. აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის მიდგომის გაძლიერება და მოდერნიზება: ISQM 1, ISQM 2 და ISA 220 (შესწორებული), ხარისხის მართვა ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის. აღნიშნული სტანდარტი ამოქმედდება მომავალი წლიდან და კომპანიებს მოუწევთ რამდენიმე მნიშვნელოვან სიახლეზე გადაეწყონ. კერძოდ, აუდიტორულ ფირმებს ევალებათ გააუმჯობესონ მათი მონიტორინგის სისტემა, ხარისხი მათ კორპორატიულ კულტურაში და „ხელმძღვანელობის ეთიკურობა", ასევე აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვებში.

ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი 2 (ხმსს 2) (ISQM 2) განსაზღვრავს:

- სამუშაოს ხარისხის მიმომხილველის დანიშვნას და უფლებამოსილებას; და
- სამუშაოს ხარისხის მიმომხილველის პასუხისმგებლობას, რომელიც დაკავშირებულია მიმოხილვის შესრულებასთან და ხარისხის მიმოხილვის დოკუმენტაციასთან.

მოთხოვნები აუდიტორიული პროექტის ხარისხის მიმოხილვასთან დაკავშირებით ამჟამად მოცემულია არსებულ ISQC 1-ში და ISA 220-ში. როდესაც ახალი სტანდარტი ამოქმედდება, ISQM2 შეცვლის არსებულ დებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია აუდიტორიული პროექტის ხარისხთან მიმოხილვები ISQC 1-ში და ISA 220-ში. არსებობს შესაბამისი ცვლილებები რიგ ISA-ებში და მათთან ISQM 2-ში განხორციელებული ცვლილებების შედეგად მიღებული მასალა, რომელთაგან არცერთი არ განიხილება არსებითად.

ახალი მოთხოვნების ამოქმედება, მისი მიზანდასახულობიდან ჩანს, რომ სარგებელს მოიტანს, მათ შორის, არსებითად გაუმჯობესდება აუდიტორული მომსახურების ხარისხი. მაგრამ ამასთან, მცირე და საშუალო აუდიტორული კომპანიები ახალი ვალდებულებების და მაშასადამე, ახალი სირთულეების წინაშე აღმოჩნდებიან.

საქართველოში აუდიტორული საქმიანობა გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ექცევა საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში. მაშინაც არსებობდა კანონში სტანდარტების დაცვის მოთხოვნაზე ჩანაწერები, თუმცა, ფაქტობრივად, მას ფორმალური დატვირთვა გააჩნდა და ხარისხის კონტროლზე პასუსხისმგებელი ორგანო და არც დამრღვევთა მიმართ ზომები გაწერილი არ იყო. ეს გაურკვევლობა 2016 წლამდე გაგრძელდა. 90-იან წლებში აღმოცენებული ქართული აუდიტორული კომპანიები უმთავრესად მცირე აუდიტორული კომპანიების სახით ფუნქციონირებენ და შემდგომაც ასეთად დარჩენ. მხოლოდ ერთეულმა კომპანიებმა მოახერხეს გამსხვილება და კავშირურთიერთობები საერთაშორისო ქსელის კომპანიებთან.

ამჟამად, აუდიტორული ბაზრის 85 % დიდი ოთხეულისა და საერთაშორისო ქსელის აუდიტორულ კომპანიებს უჭირავთ. ამ კომპანიებში ხარისხის კონტროლის სისტემა მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, რაც მიღწეულია ბაზარზე ყოფნის მრავალწლიანი გამოცდილებით, სათავო ოფისებიდან მიღებული მკაცრი დირექტივებითა და ინსტრუქციებით, ხარისხის კონტროლის სტრუქტურითა და მკაცრი საშემსრულებლო დისციპლინით. სხვა ქართულ აუდიტორულ კომპანიებში კი წინსვლა, მით უფრო, პანდემიის, მცირე და საშუალო აუდიტორული კომპანიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მწირი შესაძლებლობებს, განვლილი წლების პრაქტიკის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და მრავალწახნაგა სხვა ფაქტორების მძვინვარების პირობებში, ნელი ტემპით მიმდინარეობს.

მოქმედი კანონმდებლობით ხარისხის მონიტორინგის შემოღებამ მცირე აუდიტორულ კომპანიებს „ახალი თავსატეხი" გაუჩინა. პრაქტიკიდან ცნობილია, რომ კონტროლის სისტემის შემოღებას, როგორც ყოველ ახალ წამოწყებას, მცირე და საშუალო აუდიტორული კომპანიები არაერთგვაროვნად კმაყოფილნი შეხვდნენ, მაგრამ მოგვიანებით, ისინიც დარწმუნდნენ, რომ ეს პროცესი, უპირველესად, მათი საქმიანობის უკეთ წარმართვას, კონკურენტულ გარემოში უპირატესობის წარმოჩენას და მომხმარებლების მოზიდვას უწყობს ხელს. თუმცა მონიტორინგის შედეგები მოწმობენ, რომ ვითარება არსებითად არ უმჯობესდება. ძირითად პრობლემას თვითონ ამ კომპანიებში თანამშრომელთა მცირერიცხოვნება და კვალიფიციური კადრების დეფიციტი ქმნის. გარდა ამისა, ყველაზე ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება სტანდარტული მოთხოვნების განზოგადებული, მხოლოდ დირექტიული სახე და, ფაქტობრივად, არ ჩანს კონკრეტიკა, რა ფორმით ან რა სახით უნდა უზრუნველყოს კომპანიამ ხარისხის კონტროლი. სამწუხაროდ, საქართველოს მცირე აუდიტორულ კომპანიებს ასეთი კონტროლის სანიმუშო პარაქტიკის ობიექტებიც არ გააჩნია. აუდიტის პროცესისთვის, საოქმო ჩანაწერების თუ მსჯელობების დაფიქსირების სანიმუშო ფორმები, ფაქტობრივად, არც არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გამოჩნდა აუდიტორული პროგრამა „ედოკი", HAT - სახელმძღვანელო, ისინი საჭიროებენ გადამუშავებას და კომპანიის სპეციფიკაზე მორ-

გებას - კომპანიამ თვითონ უნდა შექმნას ხარისხის კონტროლოს სისტემა და სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად შეიმუშაოს აუდიტის სახელმძღვანელო მეთოდოლოგია, ვითარების და არსებული გარემოებების შესაბამისად, მოახდინოს ცალკეული პროცედურის დოკუმენტური დადასტურება, თუმცა ასეთი ჩანაწერების არსებობის შემთხვევაშიც კი, მათი შინაარსობრივი და ფორმალური მხარის დაწუნების შესაძლებლობა ყოველთვის მოინახება და ასეთი „მტკიცებულება" მომხმარებლისთვის რწმუნების ამაღლების ერთადერთ, შეუმცდარ დასაბუთებად, შესაძლოა, არ ჩაითვალოს.

სავსებით გასაგებია, რომ აუდიტორულ კომპანიაში ხარისხის კონტროლის სისტემის პრაქტიკული ორგანიზება მრავალმხრივი გარემოებებით არის განპირობებული. სწორედ სიტუაციური შემთხვევების მრავალფეროვნება აჩენს კითხვებსა და მოსაზრებებს, რომლებიც მცირე აუდიტორულ კომპანიებში ხარისხის კონტროლის მოთხოვნებს უკავშირდება. მათ შორის, სავსებით ლოგიკურია იმის გარკვევა, თუ რამდენად გამოსაყენებელია კანონმდებლობისა და სტანდარტების მოთხოვნები იმ მცირე ზომის აუდიტორული კომპანიებისთვის, რომლებსაც არა ჰყავს ბევრი თანამშრომელი?; რა პერიოდულობით უნდა შესრულდეს სტანდარტით გათვალისწინებული პროცედურები?; საჭიროა თუ არა სტანდარტების ამა თუ იმ მოთხოვნის ზედმიწევნით გამოყენება სტანდარტების სხვა დებულებების, საქმიანი პრაქტიკის ან კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად? რა გამოსავალი არსებობს ამ ჩიხური მდგომარეობიდან გამოსასვლელად? ცხადია, ამ კითხვებს საფუძვლიან კვლევებზე დაყრდნობით, დასაბუთებული პასუხი უნდა გაეცეს.

ზედაპირული შეხედულებით, აუდიტორულ მომსახურებათა შორის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ყველაზე საპასუხისმგებლოა და სხვაზე მეტად კვალიფიციურ მიდგომებს მოითხოვს. სხვა აუდიტორული საქმიანობა, დაკავშირებული მომსახურების ან შეთანხმებული პროცედურების ფარგლებში ხორციელდება, უდრო დამკვეთსა და აუდიტორის ურთიერთობით წესრიგდება. დამკვეთი გადასაწყვეტია ენდობა თუ არა აუდიტორის მოსახრებას. ნებისმიერ შემთხვევაში, აუდიტის მიმართ მცირე აუდიტორული კომპანიების პასუხისმგებლობის შერბილება გამოსავალი ვერ იქნება და არცაა დასაშვები. მაგრამ მცირე კომპანიებზე ხარისხის კონტროლის მოთხოვნების ისეთივე დონით გავრცელება, როგორც ეს მსხვილ კომპანიებს მოეთხოვება, არაა გამართლებული. მცირე და საშუალო ზომის აუდიტორული კომპანიებისათვის ხარისხის კონტროლის შემოწმებაზე უნდა იყოს პროპორციული მოთხოვნა და მათთვის უნდა შემუშავდეს ხარისხის კონტროლის შემოწმების სპეციალური მეთოდოლგია.

დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე ინტენსიური ეკონომიკური ინტეგრაციის დინამიურ პროცესსა და მზარდი კონკურენციის გარემოცვაში აუდიტორული მომსახურების მიწოდებისას ხარისხის დაცვა გარდაუვალია. მაგრამ გარემოებების შეფასების დროს გასათვალისწინებელია, რომ მცირე აუდიტორულ კომპანიებში, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მწირი შესაძლებლობების, რეფორმამდელ პერიოდში კონტროლის სისტემის არარსებობის შედეგების ინერციის, აგრეთვე საქართველოში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმაპირობებელი მრავალწახნაგა ფაქტორების აქტიურობის პირობებში, ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის განუხრელი უზრუნველყოფა, ფაქტობრივად, სრულფასოვნი მოცულობით ვერ ხერხდება, მით უფრო, როცა გაწეული მომსახურების საბაზრო ღირებულება ხარისხის მინიმალური ნიშნულის მიღწევისთვის აუცილებელთანაც კი შეუდარებლად დაბალია. ამასთან, საგულისხმოა, რომ ახალი რეგულაციების შემოღებიდან რეფორმის მაღალი შედეგების მისაღწევად გასული დროც ძლიერ ცოტაა - ხარისხის დაცვის პირობების უზრუნველსაყოფად ხკსს-1-ის, HAT აუდიტის სახელმძღვანელოს და „ედოკის" პროგრამის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის გაჩენის შემდეგაც კი მათ ათვისებას, აუდიტორული კომპანიებისათვის მორგებას, გამოყენების უნარების გამომუშავებას, საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას მარეგულირებელი და პროფესიული საზოგადოების მხრიდან ჯერ კიდევ ხანგრძლივი ძალისხმევა დასჭირდება.

გამოსავალი ამ ჩიხური მდგომარეობიდან მცირე კომპანიების გამსხვილებაა, მათ შორის, გაერთიანებათა გზით.

გამოყენებული ლიტერატურა:

აუდიტის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები: ხკსს 1, ასს 220;

აუდიტის ხარისხი, დირექტორის სახელმძღვანელო, ა(ა)იპ "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდი", თბილისი 2019;

აუდიტის ხარისხის სტრუქტურული საფუძვლები: ძირითადი ელემენტები, რომლებიც ქმნის გარემოს აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისთვის.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანება ხარისხის კონტროლის მონიტორიმგის განხორციელების წესის შესახებ;

კენჭაძე დავით, ხარისხის კონტროლი, https://davidkenchadze.ge/ka/blog/105;

საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ", ქუთაისი. 2016 წ;

საბაური ლევან, აუდიტორული ორგანიზაციის საქმიანობის საქმიანობის ხარისხის შიდა კონტროლის უზრუნველყოფის აქტუალური საკითხები, http://eprints.tsu.ge/1597;

ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ძირითადი მიმართულებები 2021 წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.

ტრანსნაციონალური კორპორაციების დაბეგვრის გამოცდილება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და აზიის განვითარებულ ინდუსტრიაში

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში ასახულია მოსაზრებები ტრანსნაციონალური კორპორაციების გადასახადების შესახებ.

საქართველოს ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი, ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა გააჩნია. სწორედ ამიტომ შეიქმნა აქ ტრანსნაციონალური კორპორაციები და დოქტორანტი ანვითარებს აზრს მასზედ, რომ არსებობს სხვა ახალი ასეთი კომპანიების დამკვიდრების, ზღვისპირა ქალაქებისა და საკონტინენტთსაშორისო ვაჭრობის განვითარების რეალური შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, ქვეყანა უნდა ემზადებოდეს ასეთი პერსპექტივისთვის, მათ შორის, საჭიროა ჩამოყალიბდეს ტრანნაციონალური კორპორაციების დაბეგვრის სისტემა და შესაბამისი რეგულაციები.

ნაშრომში განხილულია განვითარებული ქვეყნების, მათ შორის, ამერიკის, ევროპის, ასევე სხვადასხვა აზიური სახელმწიფოების გამოცდილება, რაც საქართველოსთვის მისაღებ და სამაგალითო მოდელს შეიძლება დაედოს საფუძვლად.

საკვანძო სიტყვები: ტრანსნაციონალური კორპორაცია, საგადასახადო სტრუქტურა, საკონტინენტთაშორისო ვაჭრობა.



ლევან თეზიაშვილი
სსუ ბიზნესის
ადმინისტრირების
მიმართულების დოქტორანტი

EXPERIENCE IN TRANSNATIONAL CORPORATE TAXATION IN THE DEVELOPED UNITED STATES AND ASIAN INDUSTRY

Levan Teziashvili
PhD student in Business Administration, SSU

ANNOTATION

The presented paper reflects the views on transnational corporation taxes.

Georgia has a favorable strategic location connecting Europe and Asia. That is why transnational corporations have been set up here and the doctoral student develops the idea that there is a real opportunity to establish other such new companies, to develop seaside towns and intercontinental trade. Of course, the country needs to prepare for such a prospect, including the need to establish a tax system for transnational corporations and relevant regulations.

The paper discusses the experience of developed countries, including the United States, Europe, as well as various Asian countries, which can serve as an acceptable and exemplary model for Georgia.

Keywords: Transnational corporation, tax structure, intercontinental trade.

შესავალი

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს მიაკუთვნებენ ეკონომიკური პროფილის ორგანიზაციულ წარმონაქმნებს, რომელთა მფლობელობა, მენეჯმენტი, წარმოება და საქმიანობა ხორციელდება ორ ან მეტ ქვეყანაში და სხვადასხვა სახელმწიფოს კანობმდებლობის ფარგლებშია მოქცეული. ასეთი კორპორაციები პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების მიწოდებისთვის ირჩევენ ყველაზე წარმატებულ ადგილს და სარგებლობენ მასპინძელი ქვეყნების საგადასახადო შეღავათებით.

დღევანდელ რეალობაში არსებობს ტრანსნაციონალური კორპორაციების ოთხი ტიპი, ესენია:

1. **დეცენტრალიზებული კორპორაცია,** რომელსაც მძლავრი წარმომადგენლობა ჰყავს მის რეზიდენტ ქვეყნაში;

2. **გლობალური, ცენტრალიზებული კორპორაცია,** რომელიც აღწევს დანახარჯების მინიმიზაციას იმ ქვეყნების მეშვეობით, სადაც მოიპოვება იაფი მუშახელი და სანედლეულო რესურსები;

3. **გლობალური კორპორაცია,** რომელსაც აშენებს ეგრეთ წოდებული მშობელი კომპანიები, გიგანტები.

4. **ტრანსნაციონალური კორპორაციები,** რომლებიც იყენებს და ერთმანეთში აერთიანებს ზემოთ აღნიშნულ სამივე ფორმას.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებს მიეკუთვნება ისეთი გაერრთიანებები, რომელთა დამფუძნებელიც, შესაძლოა, იყოს ორი ან მეტი ქვეყანა და ჰქონდეს ფართო გავრცელების არეალი, ამასთან, მისი აღმასრულებელი ხელმძღვანელობა ხდებოდეს დამფუძნებელი ქვეყნების გარეთ. ერთ-ერთს ასეთს წარმოადგენს „ვოლმარტი“,

რომელიც მსოფლიოს ათ უმსხვილეს კორპორაციათა ჩამონათვალშია და გამოირჩევა თავისი მასშტაბურობით. იგი ოპერირებს მსოფლიოს 28 ქვეყანაში, გააჩნია დაახლოებით 11700 „რითეილის“ ქსელური მაღაზია, სადაც დასაქმებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით 2,3 მილიონი ადამიანი.

კორპორაციულ წარმონაქმნებს გააჩნიათ უპირატესობები. ისინი ცდილობენ თავიანთი საოპერაციო ნაწილი განათავსონ იმ ბაზრებზე, სადაც მათი კაპიტალი ითვლება ყველაზე ეფექტიანად, ან სადაც მუშა ხელის ანაზღაურება არის ძალიან დაბალი. ზუსტად იგივე ხარისხის პროდუქციის წარმოება, ბევრად დაბალ ფასად აძლევს კორპორაციებს იმის შესაძლებლობას, რომ მაქსიმალურად შეამცირონ ფასი პროდუქციაზე, რის საბოლოო შედეგიც იქნება მსოფლიო მასშტაბით არსებული მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ასევე მათი მსყიდველობით უნარიანობის გაზრდა. მეორე უპირატესობა, რასაც ტრანსნაციონალური კორპორაციები იღებენ წარმომადგენლობის სხვა ქვეყანაში გახსნით, ეს არის შესაძლებლობა გამოიყენონ საგადასახადო ცვლილებები საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, კონკრეტულად კი ჩართოს საკუთარი ბიზნესი ქვეყანაში, სადაც გადასახადების დაბალი მაჩვენებელია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ოპერაციული საქმიანობა და სხვადასხვა მოქმედებანი შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა ქვეყნებში.

სხვა უპირატესობებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ეკონომიური საქმიანობის საწარმოებელ ქვეყანაში ჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, რაც ერთი მხრივ, ხელსაყრელია მოსახლეობისთვის, ხოლო მეორე მხრივ, იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები. კომპრომისს და დაბალი ფასების სანაცვლოდ გადასახდელ საფასურს ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის წარმოადგენს ის რომ, მათ უწევთ მოახდინონ შიდა სამუშაო ძალის ტრანსფერი საზღვარგარეთ. შრომითი ბიუროს სტატისტიკის მაჩვენებლების მიხედვით (BLS) ირკვევა, რომ: 2001-დან 2010 წლამდე შუალედში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაკარგა მის მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების დაახლოებით 33%. ციფრებში გამოხატული ეს პროცენტული მაჩვენებელი 5,8 მილიონი სამუშაო ადგილია. ეს მონაცემები ხაზს უსვამს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეკონომიკისთვის, ჰყავდეს მობილური ან ცვლილებების მიმართ მარტივად ადაპტირებადი სამუშაო ძალა, რომ ეკონომიკური ხასიათის ძვრებმა და ცვლილებებმა არ მიიყვანოს მოსახლეობა გრძელვადიან უმუშევრობამდე. ამასთან, დაკავშირებით, განათლების მიღება და ახალი უნარ-ჩვევების კულტივირება, რომლებიც პასუხობს თანამედროვე ტექნოლოგიებს და სტანდარტებს წარმოადგენენ მობილური მუშახელისა და სამუშაო რესურსის ფორმირების გზას. იმდენად, რამდენადაც ამერიკაში ერთერთი სწრაფად მზარდი ინდუსტრია გახლავთ საკრედიტო პლატფორმა, სამედიცინო სფერო, ტელე მედიცინის სერვისი და მოძრაობის დამაფიქსირებელი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა.

ერთად აღებული ეს ყველა ინდუსტრია, დღესდღეისობით ანაცვლებს უამრავ ამერიკულ სამუშაო ადგილს, რომელიც იყო მოწოდებული უცხოური მწარმოებლებისგან. ადამიანთა ჯგუფი, ვინც კრიტიკულად არის განწყობილი საერთაშორისო კორპორაციების მიმართ, ამტკიცებენ, რომ კორპორაციები ცდილობენ მოიპოვონ ბაზარზე მონოპოლია (გარკვეული პროდუქციისთვის) მომხმარებელთათვის ფასების გაზრდით. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს აქვთ უარყოფითი გავლენა გარესამყაროზე, რაც გამოიხატება ბუნებრივი რესურსების გამოყენებაში. ტრანსნაციონალური კორპორაციების შესვლა მიმღებ ქვეყანაში ასევე შეიძლება გახდეს მათში არსებული მცირე და ადგილობრივი ბიზნესის განადგურების მიზეზი. აქტივისტები ასევე ამტკიცებდნენ, ტრანსნაციონალური კორპორაციები არღვევენ ეთიკურ ნორმებს და აბრალებენ მათ, რომ ხშირ შემთხვევაში ეთიკური ნორმების მიღმა მოქმედებენ საკუთარი კაპიტალის გასაზრდელად. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს აქვთ უარყოფითი მხარეები, მაგრამ თუ ქვეყანას აქვს გათვლილი და სწორად გაწერილი საკუთარი ეთიკის ნორმები და არის უაღრესად მოწესრიგებული, ამ შემთვევაში საქმე გვექნება სწორ კორდინირებულ მუშაობასთან.

ძირითადი ნაწილი

საინტერესო და აქტუალური საკითხია ტრანსნაციონალურ კორპორაციების დაბეგვრა, რამდენადაც ისინი ბევრ მანიპულაციაზე მიდიან შეამცირონ თავიანთი გადასახადები. აღნიშნულთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები ცნობილი ეკონომისტების მოსაზრება კორპორატიული გადასახადის პროცენტული მაჩვენებელს სიდიდის შესახებ. საერთაშორისო კომპანიებისთვის კორპორაციული გადასახადების საპროცენტო განაკვეთი არის სრულიად ლოგიკურ ჭრილში. მსოფლიოს ქვეყნების დაახლოებით ერთ მესამედში ანუ პროცენტულად 32-33 %-ში არსებული საგადასახადო კანონმდებლობების მიხედვით, კორპორაციული გადასახადის ე.წ საშემოსავლო გადასახადის ოდენობა განსაზღვრულია 20%-ით ან ნაკლებით. ეკონომიკური ოპერაციებისა და განვითარების სააგენტოს OECD მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ვნახოთ, რომ კორპორატიული გადასახადების ოდენობა საკმაოდ მრავალფეროვანია ქვეყნების მიხედვით. მაგალითისთვის, გაერთიანებულ სამეფოში კანონით დადგენილი საშემოსავლო გადასახადი არის 20%. შეიძლება ითქვას, ეს განვითარებულ ქვეყნებში არსებული გადასახადებიდან ყველაზე დაბალია. ყველაზე მაღალი გადასახადით, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს გვევლინება ამერიკის შეერთებული შტატები - 35%, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით შვეიცარია. მხოლოდ იმის გამო, რომ ამერიკას აქვს ყველაზე მაღალი საშემოსავლო გადასახადი, ეს არ ნიშნავს, ამერიკული კორპორაციები დღეს უფრო მკაცრ საგადასახადო პოლიტიკაშია არიან მოხვედრილი ვიდრე ადრე. St. Louis Federal Reserve Bank-ის მონაცემების მიხედვით, ნათლად ჩანს ბოლო 40 წლის განმავლობაში კორპორატიული -გადასახადების შემცირების ტენდენცია **(იხ. დიაგრამა 1)**.

დიაგრამა 1

დიაგრამა 2



წარმოდგენილ დიაგრამაზე ნათლად ჩანს გლობალური კორპორაციული გადასახადების განაკვეთები პროცენტილი წილი სხვადასხვა ქვეყნებში. აქედან ირკვევა, რომ მსოფლიოს 34 ქვეყნიდან ამერიკაში, საფრანგეთსა და ბელგიაშია გლობალური კორპორაციული გადასახადების მაღალი განაკვეთები - 30 %-ზე მეტი 35%-მდე; მექსიკასა და ავსტრალიაში - 30 %; ესპანეთში, პორტუგალიაში, ახალ ზელანდიაში, იტალიაში, ნორვეგიაში, ისლანდიაში საბერძნეთში - 25 %-ზე მეტი 30%-მდე; დაბალი - ირლანდიაში - 15 %-ზე ნაკლები და ყველაზე დაბალი - შვეიცარიაში - 10% ნაკლები.

ასევე, საინტერესოა კორპორაციების გადასახადების გადახდების ოდენობა, რომელიც წარმოდგენილია დიაგრამის სახით (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამაში ასახულია ამერიკული კორპორაციების გადასახადების გადახდების დინამიკა. აქ ლურჯი ხაზი აღნიშნულია სუფთა მოგება, მწვანე ხაზი გვიჩვენებს, რომ ფედერალური მთავრობის მიერ დადგენილი კორპორაციული გადასახადების მოცულობა შეადგენს დაახლოებით 400 ტრილიონ ამერიკულ დოლარს, მაგრამ ამრიკული კორპორაციული გადასახადების ოდენობა, როგორც მოგების პროცენტული ნაწილი, წითელი ხაზი დიაგრამაზე ასახავს მას, 2015 წლის ივნისის მდგომარეობით არის დაახლოებით 21,5% რაც ისტორიული სტანდარტების მიხედვით ამერიკისთვის არის დაბალი მაჩვენებელი. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი მაღალია ფინანსური კრიზისის პერიოდთან შედარებით, მაგრამ 1970 წლის შემდეგ გადასახადების შემცირების ტენდენცია ნათლად ჩანს.

როგორც ცნობილია, კორპორაციები იხდიან სხვადასხვა სახის გადასახადს, რაც განპირობებულია მრავალრიცხოვანი ფაქტორით, კონკრეტულად კი კომპანიის ფიზიკური მდებარეობითა და ბიზნესის ტიპის მიხედვით. იმისთვის, რომ კომპანიებმა აირიდონ დაბეგვრა ერთ ან რამდენიმე ლოკაციასა და ქვეყანაში, ძალიან ფრთხილად არჩევენ საგადასახადო პოლიტიკას, რომელიც, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს ერთზე მეტი ქვეყნის საგადასახადო კოდექსებს.

ტიპიური გადასახადებია: კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი (income tax), ეგრეთწოდებული „ლოკალ ტაქსი“ (Withholding Tax), და დღგ-ს გადასახადი (reverse charge).

პირველ შემთხვევაში, კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი არის კორპორაციის დადეკლარირებული შემოსავლის მიხედვით და შეადგენს შემოსავლის 20% -ს.

ლოკალური გადასახადის 10%-ის დაანგარიშება ხდება კომპანიის მიერ სხვა ქვეყნებში მიღებულ პასიურ შემოსავლებზე, ქვეყანა საიდანაც მომდინარეობს კორპორაციის შემოსავლები, მოიცავს გადასახადებს, იქიდან გამომიდინარე, რომ მიმღებ კორპორაციას არ ეკისრება პირდაპირი ფორმალური ვალდებულება, რომ დაადეკლარიროს შემოსავალი, რომელიც მიიღო მან საკუთარი წარმომავლობის ქვეყნის იურისდიქციის გარეთ. ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც გამოითვლება რეალიზებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების საფუძველზე 18 %-ის დანამატით და იხდის სახელმწიფოს ბიუჯეტში.

ქართულ რეალობაში გადასახადების დადება კი წარმოებს შემდეგნაირად: კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადს კორპორაცია იხდის იმ შემთხვევაში, როდესაც თანამშრომელი არის მივლინებული რომელიმე ქვეყანაში სამუშაო მიზნით, რაც შეეხება „ლოკალ თაქსს“ ამ ტიპის გადასახადი საქართველოში წარმოდგენილი კორპორაციის ფილიალებს ეკისრებათ იმ შემთხვევაში თუ თანამშრომლობს ორგანიზაციებთან, რომელთანაც არ აქვს რეზიდენტობის ხელშეკრულება ან სერტიფიკატი. თუ მსგავსი ხელშეკრულება არ არსებობს, მაშინ ქართული ფილიალი ვალდებულია მისი წარმომავლობის ქვეყანას გადაუხადოს „ლოკალ თაქსი“ რაც წარმოადგენს დაბეგვრას მომსახურების ელემენტების შემცველ სერვისებზე და წარმოადგენს 10% გროსს. ხოლო რაც შეეხება საერთაშორისო დღგ, რაც არის ეგრეთ წოდებული დაბრუნებადი გადასახადი და პრაქტიკაში მისი ეფექტი არის ნული. იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო დღგ-ს გადამხდელი არის არა ის კონკრეტული ფილიალი, რომელმაც მიიღო საერთაშორისო სერვისი, არამედ სათაო ოფისი, იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც არის ორგანიზაცია დარეგისტრირებული.

დასკვნა

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ გლობალიზაცია ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში გარდაუვალ პროცესად იქცა და თავისი არსიდან გამომდინარე მოახერხა მთელი მსოფლიოს მასშტაბით საზღვრების „მოშლა" თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთქმედების საშუალებით. გლობალიზაციამ შანსი მისცა ბევრ ორგანიზაციას, აწარმოონ ბიზნეს ოპერაციები სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე და თანდათანობით ჩამოყალიბდნენ, როგორც ტრანსნაციონალურ კორპორაციები. ტრანსნაციონალურ კორპორაციად მიიჩნევა კომპანია, რომელსაც წარმომადგენლობითი ოფისი გააჩნია რამდენიმე ქვეყანაში და ცენტრალიზებულად ან რეგიონალურ დონეზე ახორციელებს მის მართვასა და კოორდინირებას. ინტერნაციონალიზაცია თავისუფალი ვაჭრობის პირობებში ბევრი ორგანიზაციისთვის გახდა შანსი, დაესახათ გლობალური მიზნები, ეწარმოებინათ ისეთი საქონელი და მომსახურება, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებისთვის უცხო, მაგრამ სასურველი იქნებოდა. გლობალურ გარემოში ფუნქციონირებისას ორგანიზაციის თვითმიზანია მოგების მაქსიმალიზაცია საწარმოო დანახარჯების მინიმიზაციის ხარჯზე. დანახარჯების მინიმიზაციის შესაძლებლობას კი ინტერნაციონალური კორპორაციები ახერხებენ საწარმოო ხაზის ისეთ ქვეყანაში გადატანით, სადაც ნაკლებადაა განვითარებული ეკონომიკა, სამუშაო ძალა და მატერიალები არის იაფი, რის გამოც, წარმოების დანახარჯების მინიმიზაცია საკმაოდ იოლად მისაღწევი ხდება. დანახარჯების მინიმიზაცია ინტერნაციონალური კორპორაციებისთვის ასოცირდება კონტრიბუციის ზრდით ერთეულზე, რითიც საბოლოოდ მაღალი მოგების მაჩვენებელი იდება, მაგრამ გარდა ამისა, სარგებელს ნახულობენ ის ნაკლებად განვითარებული და ღარიბი ქვეყნებიც, სადაც ხდება უცხოური კომპანიების შემოსვლა და წარმოება, რადგან ისინი ხშირ შემთხვევაში უწესებენ მაღალ კორპორაციულ გადასახადებს, როგორც ბაზარზე შესვლისთვის, ასევე რეალიზაციიდანაც, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ამ ქვეყნების კეთილდღეობას და ამდიდრებს ბიუჯეტს. ფირმების ინტერნაციონალიზაცია ქმნის ძალიან ბევრ სამუშაო ადგილს. ახდენს კადრების კვალიფიცირებას სხვადასხვა პროფესიებში და ცოდნის გავრცელებას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ მეტი განათკებული და კვალიფიციური მუშახელის რაოდენობას გაზრდის მოკავშირე ქვეყნებში ანუ იმ ქვეყნებში, რომლებშიც არის მსგავსი კორპორაციული ფილიალები. ეს თავის მხრივ იქნება განვითარების, პროგრესის და განათლების წინაპირობა, რომელიც გლობალიზაციის თანმსდევ პროცესად უნდა მივიჩნიოთ და ყველამ ვეცადოთ შევქმნათ სამყარო, სადაც ადამიანთა ცხოვრება, მათი განათლება და ჯანდაცვა იქნება კანონით დაცული და მიღწეული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 Neef j. ced.),(1998). The knowledge Economy. Boston;

2 Romer P. M. The Origins of Endogenous Growth. The Journal of Economic perspectives. 8(1). Pp.5-6;

3 Друкер П. (1993). Постэкономическое обшество;

4 Alkaly R.(2003). The New Economy. N.Y.;

5 Kean j.(2009). Life and Death of Democracy. L.;

https://www.bartleby.com/essay/Problems-and-Challenges-Faced-by- Multinational-Corporations-Mncs-F3TD6JAX73GEY;

https://www.ukessays.com/essays/business/issues-faced-by-the-multinational- companies-business-essay.php;

http://erepository.uonbi.ac.ke/bitstream/handle/11295/58553/Kirema_Market%20Development%20Challenges%20Faced%20By%20Multinational%20Coporatio ns%20In%20Sub- Sahara%20Africa%20A%20Case%20Study%20Of%20Basf.pdf?sequence=3&isAll owed=y;

6 https://library.fes.de/;

10. https://www.cfr.org/backgrounder/corporate-taxes-globalized-world;

https://www.theigc.org/project/the-taxation-of-multinational-corporations-in-developing-countries/;

https://www.intereconomics.eu/contents/year/2021/number/2/article/taxing-multinationals-a-fundamental-shift-is-under-way.html.

მოგება?.. წაგება?.. წიგნი, რომელიც პასუხს გაპოვნინებს

რეცენზია ბესიკ ბოლქვაძის მონოგრაფიაზე: **სათამაშო ბიზნესი და ეკონომიკა** (გლობალური გამოცდილება და საქართველო), გამომცემლობა „საარი“. 2021, გვ. 360.

ლუდომანია, გემბლინგი, აზარტომანია - საკაცობრიო პრობლემად ქცეული ქცევითი დამოკიდებულების ყველაზე უარყოფითი ფსიქიკური პათოლოგიის გამოვლინებების კრებსითი აღმნიშვნელებია. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, ისტორიულ წარსულში ნაწრთობმა ამ სენმა მეტი გავრცელების არეალი იპოვა, საშუალებებიც დაიხვეწა, გამრავალფეროვნდა - სამორინეების, ლატარიების გარდა, დღეს ფეხბურთი, ჩოგბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკიც, თითქმის ყველა სანახაობა და სპორტის სახე აზარტმა ჩაითრია. ჩვენი დროის უბედურებათა შორის ელექტრონული თამაშებიც გაჩნდა. ცალკეული შეზღუდვების მიუხედავად, აზარტული ბიზნესი, სხვაგანაც და საქართველოშიც, კვლავ ჰყვავის, ვითარდება. შედეგად, პირის ან სოციუმის, ან ორივეს მიმართ მისგან მომდინარე ზიანიც სულ უფრო იზრდება. ახლა უკვე სახლიდან გაუსვლელადაც, შესაძლებელია ნებისმიერ თამაშზე ფსონის დადება და ამ **„ბურუსით მოცული სამყაროსთვის“** დამახასიათებელი ყველა მძაფრი შეგრძნების განცდა.

ომებით, კატასტროფებით, ბუნებრივი კატაკლიზმებით თუ პანდემიებით დაზაფრულ ადამიანის საცხოვრისში, აზარტული თამაშების გამო, ვალები, ლომბარდებში გამოუხსნელად ჩადებული უძრავ-მოძრავი ქონება, უსახლკაროდ დარჩენა, ოჯახების დანგრევა, სვეგამწარებული ადამიანების ურვა, სასტიკი მკვლელობები, სუიციდი ყოველდღიურობად იქცა.

უარყოფითი შედეგობრივი გამოვლინებებით აზარტულმა ქცევითმა დამოკიდებულებამ ნარკომანიას გადაასწრო და მისგან თავდაღწევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, ადამიანს ნივთიერებების კი არა, უფრო უარესი, უშუალოდ თამაშის პროცესში განცდილი შეგრძნებების მიმართ ფსიქოლოგიური მიჯაჭულობა განუყრელად იმორჩილებს. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება განსაკუთრებული სიმწვავით მოზარდების მყიფე ცნობიერებაში ჩასახლდა, ახალგაზრდულ ემოციებს მოეკიდა.

პრობლემის აქტუალობის და სიმწვავის მიუხედავად, განსხვავებულია ქვეყნების, ხელისუფლების, ადამიანების განწყობა აზარტული თამაშებისადმი: ზოგიერთ ქვეყანაში ის აკრძალულია, ზოგან - პირიქით, მხარდაჭერა აქვს, ზოგან (სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, პორტუგალიაში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში) მონოპოლია აზარტულ თამაშებზე სრულად ან ნაწილობრივ, მხოლოდ სახელმწიფოებს აქვთ; მეტწილ იგი სანახაობად, გართობად, ბიზნესად, ინვესტიციების მოზიდვის, ბიუჯეტის შევსების წყაროდ და დასაქმების შესაძლებლობად არის მიჩნეული, თუმცა

ისიც ცნობილია, რომ ამ „ბიზნესს“ სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის უკიდურესად მაღალი რისკები ახლავს. მასში ასევე „შავი“ ფული ბრუნავს და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ემსახურება - თამაში ფულის გათეთრების შირმად იქცა; შეუზღუდავად მომრავლებული ბუკმეიკერული კომპანიები საქართველოს ეკონომიკისგან თანხებს პარაზიტულად ისრუტავენ. ფინანსური რესურსი, რომელიც სოციალური პრობლემების მოგვარებას წაადგებოდა, ქვეყნიდან გაურკვეველი მიმართულებით გაედინება და ოფშორულ ანგარიშებზე ილექება; აზარტული თამაშებიდან ნაერთ ბიუჯეტში შემოსავლები უმნიშვნელოა; აზარტი კლავს, გენოფონდს ანადგურებს; **„ნარკომანია, აზარტული თამაშები თუ უზნეო ცხოვრების წესი ათასობით ახალგაზრდას იწირავს და ეს დანაშაულებანი ჩვენგან პასუხს ითხოვს“**[1] და მაინც, აზარტულ თამაშებს ხელისუფლებებში ძლიერი ლობისტები ჰყავს, მსოფლიოს მოედო, მისგან მთელი ინდუსტრიები იქმნება, ქალაქები შენდება...

თემა, ცხადია, ფაქიზია - **„გააჩნია მრავალი წახნაგი - სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, რელიგი-**

1 საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის ილია მეორის 2019 წლის საშობაო ეპისტოლიდან.

ური, ჯანდაცვითი, ეთიკური და სხვა.[1] ამიტომაც მასზე უარგუმენტოდ, შიშველი ემოციებით მსჯელობა უნაყოფო ლაყბაასა, მით უფრო, ალბათ არცაა სხვა სფერო, ამდენად განსხვავებული და მკვეთრად საპირისპირო მოსაზრებები ეჯახებოდეს ერთმანეთს, როგორც აქ.

სინამდვილეში, რა არის ეს აზარტული თამაშები? თავისუფლება? ბედნიერება? ავადმყოფობა? ბიზნესი? კეთილდღეობა? ბიუჯეტის შევსების წყარო? - ამ კითხვებზე კვალიფიციური პასუხი საზოგადოებას, მათ შორის, ქვეყნების მმართველობით ხელისუფლებას, არ გააჩნია, მეტიც, მათზე სრული ინფორმაცია და წარმოდგენაც არ აქვთ, ამიტომაცაა, რომ სათამაშო ბიზნესზე შესაბამისი რეგულაციები და გადაწყვეტილებები არ მიღებას.

დიახ, თამაშები, რომლის ზურგსუკან აზარტი შავ-ბნელ თავგადასავლებს ხლართავს, სანახაობაა, დასვენებაა, სპორტია. სანახაობა, დასვენება, სპორტი, ისევე, როგორც პური, ხალხს სჭირდება; დიახ, ყველა გარეგნული ნიშნის მიხედვით, აზარტულ თამაშებს ბიზნესის სახე აქვს - კაპიტალდაბანდებას ითხოვს, მოგება მოაქვს, ბიუჯეტშიც არის შემოსავლები, დასაქმების საშუალებაცაა; დიახ, სამორინეებს, ტოტალიზატორებს, სათამაშო აპარატების სალონების მოწყობას ინვესტიციებიც შემოაქვს - შენდება სასტუმროები, ვითარდება ინფრასტრუქტურა, იზრდება ტურისტების შემოდინება. ინვესტორებს მოსწონთ ღია კარი, შეუფერხებელი შესაძლებლობები და ხელშეწყობა. მაგრამ განსაკუთრებული მომზადების გარეშეც ყველა ხედავს, რომ აქედან, „თავსატეხიც“ და გაურკვეველიც ძლიერ ბევრია - **ამ „ბიზნესიდან“ როგორია ფინანსური და სოციალური სარგებელი, რამდენია მოგება, რას ღებულობს ბიუჯეტი, რამდენი დარჩა „ბედნიერი“ ან რამდენი შეეწირა მას მსხვერპლად, ღირს კი ამდენ უბედურებად ამ ბიზნესისთვის ხელშეწყობა? სად იწყება საფრთხეები და სად დაცხრება კაცობრიობის მოსპობაზე დამუქრებული ლუდომანიის ტალღა, რაშია გამოსავალი?**

1 ბოლქვაძე ბ. სათამაშო ბიზნესი და ეკონომიკა (გლობალური გამოცდილება და საქართველო), თბილისი, 2021, გვ. 15.

ცხადია, მეტი კითხვებიც არსებობს და მათზე პასუხებიც უნდა გაიცეს.

ინტერნეტსივრცესა და სპეციალურ ლიტერატურაში სათამაშო ბიზნესზე მასალები იშვიათობა არ არის. ცალკეული შეფასებები და ანალიზიც იძებნება. მაგრამ ამ სფეროს სრულფორმატიანი მეცნიერული კვლევა საქართველოში ჯერ არავის უცდია. გააზრებული, არგუმენტირებული, ერთად თავმოყრილი მოსაზრებები, შეფასებები და განსჯისთვის აუცილებლად საჭირო ზუსტი ინფორმაცია, ფაქტობრივად, აქამდე არც იყო.

და, აი, გამოჩნდა ძალიან საინტერესო, აზარტულ თამაშებზე მიძღვნილი პირველი, სამეცნიერო მონოგრაფიული გამოკვლევა - მიმდინარე წლის 17 მაისს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა პროფესორ **ბესიკ ბოლქვაძის** წიგნის **„სათამაშო ბიზნესი და ეკონომიკა“** (გლობალური გამოცდილება და საქართველო) წარდგინება. მანამდე, რამდენიმე დღით ადრე, მქონდა შესაძლებლობა გავცნობოდი ამ გამოცემას. იმდენად ბევრია აქ სიახლე, საყურადღებო, სასარგებლო და დასაფიქრებელი, იმთავითვე გამიჩნდა განწყობა, გამეკეთებინა გამოხმაურება ამ უაღრესად საინტერესო მონოგრაფიაზე.

პირველი, რაც წიგნის გვერდების აფურცვლამდე მზერას მიიპყრობს, გამოცემის დიზაინი და ხარისხია. არავისთვისაა უცხო, რომ ათასფერადი გამოცემებით გადავსებულ ჭრელ სამკითხველო სივრცეში, შინაარსის გაცნობამდე, წიგნით დაინტერესებას განწყობა ახდენს. ვიზუალმაც უნდა მიგიზიდოს. დაკვეთის და დანახარჯის გარდა, პოლიგრაფიული შესაძლებლობები, გემოვნება უთუოდ მნიშვნელოვანია. მეტი რომ არ გავაგრძელო, პირდაპირ ვიტყვი: ამ შემთხვევაში, გამომცემლობა „საარის“ პროდუქტი სანაქებო გამოცემა გამოდგა - დიზაინი, ქაღალდი, სიმსუბუქე - მთლიანობაში მაღალ დონეზეა.

მეორე, გამოცემა მადლიერების ჩანართით იწყება - ეს კარგი ტონია და მომწონს. მართლაც, წიგნს მარტო ავტორი არ ქმნის. მადლიერებაც ნიჭია და ნიჭიერმა ავტორმა წიგნის შექმნა-გამოცემაში ყველა მონაწილეს გულწრფელი მადლობა უძღვნა.

გამოხმაურების ეს ნაწილი მეც მადლობით მინდა

დავიწყო - რა თქმა უნდა, **მადლობა** მათ, ამ იდეის ჩამგონებელ-შემგულიანებლებს და **მადლობა განმახორციელებელს!** მადლიერების ჩანართის ვრცელ ჩამონათვალში **მადლობა ავტორსო,** - არ წერია. ამიტომ ვავსებ თავმდაბლობით გამოტოვებულ მწკრივს და არ დავაშუროთ **მადლობა** მას იმისთვის, რომ ასეთ რთულ თემაზე, საოცარი მონდომებით, დაკვირვებით, პატიოსნად იმუშავა და გამოსცა წიგნი, რომელიც, ყველა ნიშნის მიხედვით, უნიკალურია. ეს წიგნი იძლევა შესაძლებლობას, დაინტერესებულმა მკითხველმა საფუძვლიანად ჩაიხედოს აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული მრავალმხრივი პრობლემის არსში.

მესამე და მთავარი, რაც წიგნის პირველივე გვერდიდან მკითხველს გაუძღვება ყველა დროის სოციალურ-ეკონომიკური „თავსატეხის" რეალური ბუნების აღქმასა და გაცნობიერებაში, ესაა მკვლევარის გულმოდგინე მეცადინეობა, დამაჯერებლობა, გადმოცემის უნარი, სარწმუნო წყაროების დამოწმება, ავტორიტეტული მკვლევარებისა თუ ინსტიტუტების მოსაზრებების სიუხვე და შეჯერების შესაძლებლობა. ამ დროს, ავტორი თავს არ გახვევს თავის მოსაზრებებსა და დასკვნებს, არამედ მკითხველს უქმნის წინაპირობას, გაეცნოს, გაიცნობიეროს და თავად შეაფასოს რისკები, რომელიც აზარტზე დამოკიდებულ პირსა და რისკებით გაჯერებულ სათამაშო ინდუსტრიას მოაქვს.

„ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს სათამაშო ბიზნესის ქვეყნის ეკონომიკაზე ზეგავლენის ანალიზი შეადგენდა" - აცხადებს ავტორი, თუმცა ინტერესი უფრო ფართო ჭრილში - აკადემიური კვლევის სიბრტყეზეა გადატანილი და წიგნში გაცილებით მეტი საკითხთა წრეა მოცული - სათამაშო ბიზნესის ქვეყნის ეკონომიკაზე ზეგავლენის ანალიზის გარდა, აქ დაიტერესებული მკითხველი გაეცნობა აზარტული თამაშების წარმოშობის და ევოლუციური განვითარების ისტორიას, სათამაშო ბიზნესის თანამედროვე სისტემას, მათ თეორიულ დოქტრინებსა და კონცეფციებს, აგრეთვე აზარტული თამაშების გავრცელების არეალის ქვეყნების რეგულაციებს; რას წარმოადგენს სათამაშო ბიზნესი, რაში ვლინდება მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რა ხდება სხვა ქვეყნებში, რა შემოსავლები მოაქვს ამ აზარტს, რამდენი ფული ბრუნავს ამ სფეროში, - ავტორს ზედმიწევნით კარგად აქვს შესწავლილი, თითქმის ყველა ამ კითხვაზე და უფრო მეტზეც პასუხები ამ წიგნში მარტივად, გასაგებად, არგუმენტირებულადაა გადმოცემული.

აღნიშნულ თავდაუზოგავ მეცადინეობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ავტორმა წიგნში წარმოადგინა მსოფლიოს ოთხი კონტინენტის და მისი ყველა რეგიონის - ამერიკის, აზიის, აფრიკის, ევროპის 31 ქვეყნის სათამაშო ბიზნესის განვითარება და მდგომარეობა - დამოკიდებულება, შემოსავლები, წილი ქვეყნის ბიუჯეტში, საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხები, აზარტული თამაშების ცალკეული სახეების სტრუქტურა ბაზარზე - მოკლედ, ყველაფერი, რაც სათამაშო ბიზნესს უკავშირდება. მათ შორის, სრულად და საფუძვლიანადაა აღწერილი საქართველოში სათამაშო ბიზნესის რეგულაციები, პრობლემები და გამოწვევები.

ამ წიგნში ყველაფერს თავისი ადგილი აქვს - ყველა წინადადება თუ მოსაზრება სათანადოდაა გამყარებული - წიგნში დამოწმებულია 308 წყარო (ლიტერატურა, ინსტრუქცია, კანონი, დებულება, ინტერნეტსაიტი); წიგნს ერთვის ორი დანართი: **დანართი №1 – „გლობალური სათამაშო ბიზნესის მაჩვენებლები"**, რომელიც მოიცავს 27 ცხრილს და **დანართი №2 – „საქართველოს სათამაშო ბიზნესის მაჩვენებლები",** რომელშიც წარმოდგენილია 10 დიაგრამა და 17 ცხრილი. აღნიშნული დანართები (ცხრილები და დიაგრამები), თავისი შინაარსით, უნიკალურია და დამოუკიდებლადაც საინტერესო, საცნობარო, შემეცნებით ინფორმაციას შეიცავს. ამასთან, ქმნის შთაბეჭდილებას ავტორის, როგორც მკვლევარის, უდიდეს შრომისმოყვარეობასა და პასუხისმგებლობაზე. სახასიათოდ გამოვყოფ დანართ 1-ის მხოლოდ პირველ ცხრილს „სათამაშო ბიზნესის ერთობლივი სათამაშო შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტებთან მიმართებით ევროპის ქვეყნებში". ამ ცხრილის მიხედვით ირკვევა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით ერთობლივი სათამაშო შემოსავლების (GGR) წილის საშუალო მაჩვენებელი 0,68 %-ია, რაც ნიშნავს, სათამაშო ბიზნესი, როგორც ეკონომიკური ფაქტორი, ევროპის ფისკალურ პოლიტიკაში, ფაქტობრივად, უმნიშვნელო როლს თამაშობს. ასეთივე საცნობარო და შემეცნებითი ინფორმაციის მატარებელია ყველა სხვა ცხრილი თუ დიაგრამა და მათ საფუძველზე, შესაძლოა, შესაბამისი დასკვნები მკითხველმა დამოუკიდებლადაც გააკეთოს.

სავსებით ბუნებრივია, რომ ეს ერთი ნაშრომი ვერ ამოწურავს პრობლემათა სრულ სპექტრს, რაც სათამაშო ბიზნესს ახლავს. თანაბარი ყოველმხრიობით, ვერც ყველა საკითხის განხილვა მოხერხდებოდა. არ ვაპირებდი და ამით არც მინიშნებას ვაკეთებ ხარვეზებზე, რაც გამოცემას, შესაძლოა, გამოჰყვა. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ შეიქმნა ძალიან მაღალი ნიშნული, საიდანაც უკეთ გამოჩნდება „ჰორიზონტიც" და „ვერტიკალიც". აქედან, აწი ახალი მკვლევარები „ასაფრენ ბილიკებს" მოინიშნავენ და საზოგადოების ინფორმირებას უკეთ შეძლებენ.

ამჯერად, ჩემი მიზანი ამ წიგნის საზოგადო დანიშნულებისა და შემეცნებითი ღირებულებების წარმოჩენა, მკითხველის ყურადღების მხოლოდ არსებითად მნიშვნელოვანზე მიპყრობაა.

სათუო არაა, რომ წიგნი მეცნიერ-ეკონომისტებს, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს, აზარტული თამაშების პრობლემებით დაინტერესებულ პირებსა და საზოგადოებას ცნობიერების ამაღლებაში დაეხმარება.

მასში განხილულ საკითხთა წრის, აქტუალობის, სიღრმისა და კომპეტენტურობის გამო, ეს წიგნი იმსახურებს მაღალ შეფასებას, ავტორი კი - პატივისცემას. აღნიშნული ნაშრომი სახელმძღვანელოა, განსაკუთრებით სახელისუფლებო ორგანოებისათვის, როცა იხილება ან წყდება სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული საკითხი.

იური პაპასქუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი, სსუ პროფესორი

მეცნიერ-ეკონომისთა წრეს კიდევ ერთი დოქტორი შეემატა

მიმდინარე წლის 19 მაისს გაიმართა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომა, რომელზეც ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომი დაიცვა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა **თეიმურაზ ფარცხალაძემ.**

სადისერტაციო ნაშრომის სათაურია: **აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის სრულყოფის მიმართულებები.**

სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელია **იური პაპასქუა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

დისერტაციის დაცვისას, ექსპერტებმა: **ნანული ძიმცეიშვილმა და ნიკოლოზ ბაკაშვილმა,** რეცენზენტებმა: **დავით ჯალაღონიამ** და **ლევან გრიგალაშვილმა** აღნიშნეს ნაშრომის აქტუალობა, კვლევის მაღალი დონე, ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სადისერტაციო კვლევისთვის არჩეული იყო თემა, რომელიც ერთ-ერთი აქტუალური და პროფესიული საქმიანობის სანდოობის ამაღლებისთვის უმთავრესი წინაპირობა - აუდიტორული მომსახურების ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის აუცილებელი ინსტრუმენტია, რაც დისერტანტმა ბრწყინვალედ დაძლია.

სხდომის დასასრულს აწუკვე წარმატებული მეცნიერის მიმართ, მისალოცი და ღვაწლის აღმნიშვნელი სიტყვები წარმოთქვეს პროფესორებმა: **დავით ჯალაღონიამ, ირმა დიხამინჯიამ, ზურაბ ლიპარტიამ.**

თეიმურაზ ფარცხალაძე მაღალი კლასის პროფესიონალია ამჟამად ხელმძღვანელობს საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის ქართულ წარმომადგენლობას (Crowe GE LLC); არის საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარე, გამგეობის წევრი. ასევე, ის გახლავთ საქართველოს დამოუკიდებელ შემფასებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი. სერტიფიცირებული აუდიტორი და ასევე ბიზნესის და უძრავი ქონების სერტიფიცირებული შემფასებელი.

თეიმურაზ ფარცხალაძე ლექციებს კითხულობდა და კითხულობს სხვადასხვა უნივერსიტეტში. მისი კვლევის ინტერესებია: აუდიტორული საქმიანობის განვითარება საქართველოში, აუდიტის ხარისხის კონტრილი, ბიზნესის შეფასებების თავისებურებანი საქართველოში.

თეიმურაზ ფარცხალაძის სახით ეკონომიკურ მეცნიერებას კარგი მკვლევარი, გამოცდილი სპეციალისტი და პროფესიონალი შეემატა.

ჟურნალის რედაქცია ულოცავს თეიმურაზ ფარცხალაძეს ამ დიდ აღიარებას.

ჟურნალის რედაქცია

ჟურნალში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების წესი

ვფიქრობთ, თქვენთვის საინტერესოა გაცნობოთ, რომ ჟურნალი **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** უკვე გასული წლის დეკემბრიდან გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური სტატუსით და ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში **- Google Scholar.**

ჟურნალი წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქმიანი წრეებისთვის საიმედო პარტნიორს, ბიზნესის დარგში - გამოცდილ გზამკვლევს, საკანონმდებლო აქტების ლაბირინთებში - გულთმისან მეგზურს, აკადემიურ სფეროსთვის - უანგარო მსახურს და გააგრძელებს ამ ტრადიციას.

ჟურნალი ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის. მასში შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე სტატიების გამოქვეყნება ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. მიიღება რეცენზიები გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე, აგრეთვე საკანონმდებლო აქტებზე კომენტარები, განმარტებები, შენიშვნები და სრულყოფის რეკომებდაციები.

ჟურნალის ახალ სტატუსთან დაკავშირებით, შეგახსენებთ სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების წესს და გაწვდით დამატებით მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს **A4 ფორმატით.** მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატის ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე **1,5 ინტერვალით** და **11 ზომის შრიფტით** ნაბეჭდი ტექსტის **20 გვერდს.** მასში უნდა იკვეთებოდეს საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.

- ქართულ ენაზე შესრულებულ ნაშრომს უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილს კი - ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

- რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელვერსიასთან ერთად (ქართული - შრიფტით **Sylfaen**, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - **Times New Roman**). სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;.

- სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი; ბ) საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი. ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [3,გვ.41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებუილი წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

- ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია გადის რეცენზირებას დარგის სპეციალისტ რეცენზენტთან (რეცენზენტის ვინაობა ავტორისთვის არ იქნება ცნობილი, არც რეცენზენტს ეცნობება ავტორის/ავტორების ვინაობა).

ცალკეული გამონაკლისის გარდა, სტატიის გამოქვეყნება ფასიანია. **ერთი გვერდის საფასურია 5 (ხუთი) ლარი.** ანგარიშსწორების ანგარიში მითითებულია ჟურნალში.

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობისას, სტატია არ გამოქვეყნდება და ავტორს არ უბრუნდება.

წელიწადში გამოდის ჟურნალის არანაკლებ 2 ნომერი, ვრცელდება ელექტრონულად და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის მისამართზე: **b-k.ge.**

ჟურნალის რედაქცია